

მანანა გუჩია

ნაკვეთები
ქართველურ-აფხაზური
ლინგვოკულტურული
ურთიერთობის
ისტორიიდან

I



მანანა ბუკია

ნარკვევები ქართველურ-აფხაზური
ლინგვოკულტურული ურთიერთობის
ისტორიიდან

ნაწილი პირველი

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

2013

უაკ (UDC) 81-119+811.353.1:811.352.2

ბ-86

ნაშრომში გაანალიზებულია დარგობრივი ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც პოვნიერია ქართველურსა და აფხაზურ ენებში. დადგენილია საერთოკავკასიური, ქართველურ-აფხაზური ლექსიკური ერთეულები, სესხების მიმართულებები და ქრონოლოგია, ის ლინგვოკულტურული გარემო, რაშიც უხდებოდა უხდებოდათ თანაცხოვრება ქართველებსა და აფხაზებს.

წიგნი განკუთვნილია ქართველურ და კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, ასევე საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი თეიმურაზ გვანცელაძე

ISBN 978-9941-10-754-2

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1 რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელი ლექსიკა.....	11
თავი 2 მწყემსური ლექსიკა.....	60
თავი 3 ანატომიური ლექსიკა.....	119
თავი 4 შრომის იარაღებისა და საოჯახო მოხმარების საგნების აღმნიშვნელი სიტყვები.....	133
თავი 5 საომარი იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა.....	151
თავი 6 სოციალურ ურთიერთობათა და ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა.....	158
თავი 7 ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა.....	173
თავი 8 კულინარიული ლექსიკა.....	191
თავი 9 ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკა.....	209
თავი 10 სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა.....	226
თავი 11 ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა.....	252
თავი 12 ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკა.....	268
თავი 13 ავადმყოფობის, ავადმყოფისა და სამკურნალო საშუალებათა აღმნიშვნელი ტერმინები	275
დასკვნა.....	287
შემოკლებათა განმარტებანი.....	292
ლიტერატურა.....	296

შესავალი

ენა თავის ხსოვნაში ინახავს სხვადასხვა ენობრივ კოლექტივთა კონტაქტებისა და ურთიერთობების პერიპეტიებს, რომლებიც ისტორიის ფურცლებმა ვერ შემოინახა, ან სხვადასხვა მიზეზთა გამო დამახინჯდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ენობრივ მონაცემებს შეუძლია ნათელი მოჰფინოს მრავალ ისტორიულ სიტუაციას. „ენობრივ მასალას ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ერის ისტორიის აღსადგენად. ვინაიდან ენა ასახავს სინამდვილეს და შემოინახავს ხოლმე ისეთ ცნობებს, რომლებიც სათანადო ისტორიული პერიოდის შესახებ საისტორიო წერილობით წყაროთა უქონლობის ან ნაკლებობის შემთხვევაში თვითონ ასრულებს საისტორიო წყაროს მოვალეობას“ (თ. გვანცელაძე).

მონათესავე ენათა ლექსიკური ურთიერთობის შედარებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო დარგების ამსახველ ენობრივ მასალას – მათ ოდინდელი ვითარება შემოგვინახეს, ამიტომ საერთო ძირებისა თუ სესხების მიმართულების რკვევა ბევრ საკამათო საკითხს ახლებურად წარმოაჩენს.

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი და მრავალწახნაგოვანი ისტორია აქვს, ენობრივმა მასალამ შემოგვინახა ის რეალობა, რომელიც ისტორიის ფურცლებზე

გაბუნდოვანდა ან პოლიტიკური კონიუნქტურების გამო არასწორად იქნა ინტერპრეტირებული.

ენობრივი ურთიერთობის კვლევა არაერთ საინტერესო ლინგვისტურ თუ ისტორიულ საკითხს ჰფენს ნათელს. ამ თვალსაზრისით ქართველურ-აფხაზური ლექსიკის კვლევა საშურ საქმეს წარმოადგენს.

გარდა წმინდა მეცნიერული საჭიროებისა, თვით ცხოვრებამ დააყენა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კვლევის აქტუალურობა. ქართველურ-აფხაზურ ლექსიკურ ურთიერთობებზე ბევრი ნაშრომი შექმნილა, პირველი შენიშვნები ამ საკითხზე აფხაზური ენის კვლევის დასაწყისიდანვე ჩნდება. აფხაზური ენის პირველმკვლევრები უკვე უთითებდნენ საერთო სიტყვებს ქართველურსა და აფხაზურ ენებში. ამ თემას საგანგებოდ იკვლევდნენ პ. ჭარაია, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, დ. გულია, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ხ. ბლაჟბა, გ. კლიმოვი, გ. მაჭავარიანი, თ. გვანცელაძე, ა. შაგროვი, კ. შაყრილი, ს. ჩირიკბა, ნ. არშბა, ნ. მაჭავარიანი, მ. ჩუხუა... ამ თემას მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია თუ ცალკეული სტატიები. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად შეგვხვდება სხვადასხვა, ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები.

ქართველურ-აფხაზურ ენობრივ ურთიერთობათა კვლევას ახალი შტრიხები შეაქვს რატომღაც საეჭვოდ მიჩნეულ ისტორიული ხასიათის საკითხებში, კერძოდ, ენის ისტორია, რომელიც პოლიტიკურ თუ სხვა სახის კორექტივებს ვერ გუობს, ნათლად წარმოგვიდგენს ამ ორი მონათესავე ტომის არა მხოლოდ ენობრივ ურთიერთობებს, არამედ იმ ისტორიული და

კულტურული ყოფის სურათებს, რის ფონზეც ვითარდებოდა მათ შორის კონტაქტები.

ერთი რამ ცხადია, ქართველური ენებისა და დიალექტების, კერძოდ, მეგრულის სუბსტრატი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ აფხაზური ენიდან ქართველურში შეთვისებული ლექსიკის თემატიკა, გავრცელების არეალი და სემანტიკის გრადაცია საშუალებას გვაძლევს, რეკონსტრუქცია მოვახდინოთ იმ ისტორიული ვითარებისა, რომელშიც ყალიბდებოდა ამ ორი ენობრივი კოლექტივის ურთიერთობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ სესხება ამ ორ ენობრივ კოლექტივს შორის ხდება ორივე მიმართულებით, ოღონდ არათანაბარი ინტენსივობით. აფხაზურს ქართველურიდან ნასესხები აქვს საყოფაცხოვრებო, შრომის იარაღების, სამეურნეო ნაგებობების, კულტურული მცენარეების, მიწათმოქმედებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტერმინები (ბლაჟბა 1964: 202).

„ადვილი შესამჩნევია, რომ აფხაზურიდან მეგრულში ნასესხები ლექსიკა ძირითადად დაკავშირებულია მესაქონლეობასთან, ან, საერთოდ, მთის ლანდშაფტთან. საქმე ისაა, რომ მე-19 საუკუნემდეც კი აფხაზთა ძირითადი მესაქმეობა იყო მესაქონლეობა. აფხაზი და მეგრელი მწყემსები ერთმანეთს ხვდებოდნენ ზღვისპირა საზამთრო სადგომებზე და უფრო ხშირად, მთის საზაფხულო სამოვრებზე“ (ცხადაია 1999: 15).

ლინგვისტიკაში მიღებული ბგერათმესატყვისობის და ფონოტაქტიკის წესები საშუალებას იძლევა დადგინდეს საერთოკავკასიური ძირები,

ურთიერთნასესხები ლექსიკა, სესხების მიმართულება, სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, უცხოენოვანი გარემოდან შეთვისებისას კი, იმავე პრინციპზე დაყრდნობით, სესხების შუალედური რგოლის დადგენა.

აკად. ქეთევან ლომთათიძე ერთგან აღნიშნავს: „ბოლო ხანებში მითითებულ (ქართველურ და აფხაზურ – მ. ბ.) ენათა შორის გამოვლენილმა ბგერათშესატყვისობებმა და ბგერათცვლილებების კანონზომიერებებმა ერთგვარად ნიადაგი „მოსაუფთავა“ ნასესხები ლექსიკის გამოყოფისა და სესხების მიმართულების გარკვევისათვის“ (ლომთათიძე 1999: 25).

ქ. ლომთათიძისა და მისი მოწაფეების მიერ გამოვლენილ ბგერათშესატყვისობის კანონებზე დაყრდნობით შევეცდებით, წარმოვადგინოთ ქართველურ-აფხაზური საზიარო ფუძეები, განვიხილოთ მათი ეტიმოლოგია, ფონეტიკური ბუნება და გამოვავლინოთ სესხების მიმართულება.

ზოგადად შევნიშნავთ, რომ სესხება მეტ-ნაკლები ინტენსივობით ორივე მიმართულებით ხდება. გარდა ამისა, გვაქვს სიტყვათა ნაწილი, რომელიც ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ აფხაზურ ფორმას აშკარად ეტყობა, რომ სესხებისას შუალედური რგოლი ქართველური, ძირითადად, მეგრულია. შეთვისებულ სიტყვათა ნაწილში კი შუალედური რგოლის გამოკვლევა ჭირს, რადგანაც ხელშესახები ფონოტაქტიკური მასალა არ გვაქვს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ სესხების შემდეგი მიმართულებები: 1. აფხაზურიდან ქართველურში

შეთვისებული ლექსიკა; 2. ქართველურიდან აფხაზურში შესული სიტყვები; 3. უცხო ენებიდან (ძირითადად აღმოსავლურიდან) აფხაზურში შეთვისებული ლექსიკური ერთეულები, სადაც სესხების შუალედური რგოლი ქართველური, ხშირად კი მეგრულია; 4. ლექსემათა მცირე ნაწილი, რომელიც ორივე ენისთვის ნასესხობაა, მაგრამ სესხების მიმართულების კვლევა ჭირს (ბუკია 2000: 98-103). განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კიდევ ერთი ფენა – ე. წ. ჰიბრიდული კომპოზიტები, სადაც ერთი კომპონენტი ქართველურია, მეორე კი – აფხაზური, ისინი ფონეტიკური ადაპტაციის შემდეგ ახალ სიტყვათა რიგს აყალიბებს ენებში.

ქართველიზმები (resp. ზანიზმები) ჭარბობს აბჟურ დიალექტში. ბზიფურში მათ სინონიმურ წყვილებად აფხაზური, თურქული, იშვიათად რუსული სიტყვები დაჩნდება.

მიუხედავად ამისა, თვალში გვხვდება ერთგვარი ტენდენცია საკუთრივ ქართველიზმების გადანაწილებისა აფხაზური ენის დიალექტთა შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რაც უფრო „ზევით“, ჩრდილოეთისკენ (ბზიფურისკენ – მ. ბ.) მივიწევთ, იკვეთება სალიტერატურო ქართულიდან ნასესხები ლექსიკის სიმრავლე, აბჟურში კი მეგრელიზმები ჭარბობს. ბზიფურ მეტყველებას ისეთი ფაქტები ახასიათებს, რაც უცხოა აბჟურისთვის. ამ მოვლენას განიხილავდნენ ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟბა, თ. გვანცელაძე...

ნაშრომში წარმოდგენილია ძირითადი დარგობრივი ლექსიკის ანალიზი სემანტიკური ჯგუფების მიხედვით.

დადგენილია საერთოკავკასიური, ქართველურ-აფხაზური ძირები, სესხების მიმართულება და ქრონოლოგია, სესხებისას მიმდინარე ფონეტიკური პროცესები, სემანტიკის ცვლილების პირობები და მიზეზები.

შემდგომ ეტაპზე (წიგნის მეორე ნაწილში) ივარაუდება დანარჩენი დარგის ლექსიკის, ასევე ზედსართავების, რიცხვითი სახელების, ზმნური ძირების, ფორმაუცვლელ სიტყვათა შედარება.

თავი 1. რელიგიური რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელი ლექსიკა

ქართველურ-აფხაზური ისტორიული და კულტურული ურთიერთობები განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში. ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ურთიერთობები საკმაოდ ხანგრძლივი და არაერთგვაროვანი იყო. ამ მასალის კვლევა ყველაზე საიმედო და საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესებისა და აფხაზურსა და ქართულს შორის არსებული ბგერათფარდობის წესების გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ქართველური **ღმერთი** : მეგრ. **ღორონთი** : ლაზური **ღორმოთი** : სვან. **ღერბეთ** ფუძის შესატყვისად აფხაზურ-აზაზურში **აამგსთა** / **ჰამსთა** „აზნაური“ მივიჩნიოთ (ოსიძე 2001: 147). სვანური **აფსათ** / **აფსანთ** / **აფსანდ** / **აფსასტ** „გარეულ ნადირთა ღმერთი“ (თოფურია 2000: 68) კი აფხაზურიდან უკუნასესხობად განიხილება (ოსიძე 2001: 146). მ. ჩუხუა სვანურ **აფსანდ** / **აფსათ** / **აფსანთ** / **აფსანდ**-ს მეგრულ **ანთარ**-სა და ქართულ **აფთარ**-თან ერთად განიხილავს, უკავშირებს აფხაზურ **აფთარ**-ს და აფხაზურ ფორმას მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევს (იხ. **ანთარ**-თან; ჩუხუა 2000-2003: 52).

აქვე განვიხილავთ ქართულ ფუძეს **მიზეზი** „მოვლენა, გარემოება, რომელიც იწვევს, აპირობებს, ხელს უწყობს, საფუძველს უქმნის ახალი მოვლენის წარმოშობას“ (ქეგლ V: 337), **მიზეზი** (მეგრ.) „მიზეზი, დანაშაული“ (ციფშიძე 1914: 280), **მიზეზ** (სვან.) „მიზეზი“ (საღლიანი 2005: 22), რომელიც აფხაზურში რელიგიურ ტერმინად მოიაზრება: **ა-მზეზ** „რელიგ. მიზეზი“ (ჯანაშია 1954: 190); **ანც'არემგზეზ** „ღვთის სასჯელი“ (ჭარაია 1912: 32). 3. ჭარაიას აზრით, აფხაზურში შესულია ქართულიდან (ჭარაია 1912: 14). შდრ. მეგრ. **ღორონთიშ დამიზეზებული** „ღვთისგან დასჯილი“, ზედმ. „ღმერთის დამიზეზებული“.

წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების აღმნიშვნელი ლექსიკა

აფხაზთა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში ყველაზე დიდი ადგილი დღესაც კი წარმართულ ტრადიციებსა და რიტუალებს უჭირავს, მეტიც, ქრისტიანული ტერმინებით გადმოცემული დღესასწაულები თუ რიტუალები ხშირ შემთხვევაში წარმართული შინაარსის შემცველია (იხ. ქვემოთ). ყველა ეპოქის ღვთისმსახურებებისა თუ საკულტო ნივთების აღმნიშვნელ სიტყვებს ქართველური გავლენის, ან ქართველურ-აფხაზური ურთიერთობის კვალი ატყვია.

აფხაზურ წარმართულ პანთეონში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადგ~გლ-დედო[უ]ფალ-ს. მას დიდ ხუთშაბათს სამკურნალო ბალახების მოსაგროვებლად ტყეში წასული ქალები ევედრებოდნენ (ჯანაშია 1960: 34), შესთხოვდნენ ოჯახის გამრავლებას და კეთილდღეობას. აფხაზი მწყემსები და მონადირეები ყოველი გადაადგილების დროს ლოცულობდნენ მისადმი და მსხვერპლს სწირავდნენ. ადგ~გლ-დედო/უფალს მიმართავდნენ ბატონების, ახალი სამირკვლის დალოცვის დროს. ლოცვის აუცილებელი ატრიბუტი იყო რიტუალური კვერი (იქვე: 62). ადგილის დედის რწმენა გავრცელებული იყო სრულიად საქართველოსა და კავკასიაში. აფხაზური რწმენა-წარმოდგენა ქართულთან ერთიან ჭრილში უნდა განვიხილოთ, შდრ. ადგილის დედა „ადგილის მფარველად წარმოდგენილი ზღაპრული, მითოლოგიური არსება“ (ქეგლ I: 114), ადგილიშ დიდა (მეგრ.) „ადგილის დედა“ (ქობალია 2010: 8). აფხაზური კომპოზიტი ადგ~გლ-დედოფალ მთლიანად ქართულიდანაა ნასესხები.

საერთო ბუნებას და ლექსიკურ მსგავსებას ამჟღავნებს მეგრული ანთარი „მეგრული სალოცავი“ (ყიფშიძე 1914: 194) და აფხაზური აითარ „ბუნების განახლების, გამრავლების, მესაქონლეობის მფარველი ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 24), აითერ / აითერ / აითარ (შაყრილი 1986: 36). სამურზაყანოელ მეგრელებში გვხვდება აფხაზური ფორმა: აითარ! „ღმერთმანი!“ (ქობალია 2010: 14), რაც აფხაზური გავლენით უნდა

აიხსნას. შდრ. ანატორი „ძვ. ეთნ. ღვთაება წარმართულ პანთეონში“ (ქეგლ I: 487). ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეგრული ანთარი და ხევსურების ანატორი ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. „აფხაზური აითარ მარტო სახელით კი არ უდრის მეგრულ ანთარ-ს, არამედ ბუნებითაც“ (ჯავახიშვილი 1960: 83). ვ. კვარჭიას შეხედულება ქართველური ფორმების აფხაზურიდან შეთვისების შესახებ (მისი აზრით, მეგრული ანთარი და ხევსურული ანატორი აფხაზურიდანაა შეთვისებული) ექვექვემ დგას (ბუკია 2001: 71). მ. ჩუხუა მეგრულ ანთარ-ს უკავშირებს ქართულ აფთარ-ს და სვანურ აფსსდ / აფსათ / აფსათ / აფსად „გარეულ ნადირთა ღმერთი“ და აფხაზურ ფორმას მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევს (ჩუხუა 2000-2003: 52).

XVI საუკუნის I ნახევარში მამია დადიანის მიერ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი გაცემულ სიგელში პირველად იხსენიება აფხაზური წარმომავლობის ტოპონიმი აითარნგ, რომელიც უკავშირდება მესაქონლეობის მფარველი ღვთაების აფხაზურ სახელს აითარ. მას ერთვის აფხაზური მატოპონიმბელი –ნგ სუფიქსი (გვანცელამე 1997-ბ: 31). არსებობს თვალსაზრისი, რომ სიტყვა წარმართობის დროს უნდა იყოს შესული მეგრულში ბერძნულიდან ზეპირი სესხების გზით. ბერძნულად ანთარე „ამაღლებულს“ ნიშნავს (ცხადაია 2004: 86).

აფხაზური აითარის ერთ-ერთი წილია ძალღების მფარველი ღვთაება ალგმკ~გნტგრ (არშა 1980: 42). სიტყვა მეგრულშიც გვხვდება – ალიშკინტირი “ძალღთა მეუფე”

(ქაჯაია 2001: 182). აფხაზურ ფორმაში გამოიყოფა ძაღლის აღმნიშვნელი ა-ლ(ა) ფორმა, მაგრამ სხვა ელემენტების აფხაზურ ნიადაგზე ახსნა შეუძლებელია. მეტიც, სიტყვაში შეიძლება გამოიყოს მეგრული ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -იშ და სიტყვის სემანტიკა მოხდეს ასე: **ალიშ-კინტირი**, რომელიც ზედმიწევნით „ალის კიტრს“ (?!) ნიშნავს. მეგრულში არსებობს გამოთქმა: **ალიშკინტირი გითოლაფილი** „ალის, ავსულის ქარჩავარდნილი“, **ალიშკინტირქ ქედქოლუ** „ალის ქარი ჩაგივარდეს (პირში)“. „ძაღლთა მეუფის“ მნიშვნელობით **ალიშკინტირი** მეგრულში ნაკლებადაა ცნობილი, ჩანს, სემანტიკა აფხაზურიდანაა შესული.

აფხაზური **ა-ცაყა-ელია** „ცისარტყელას და ზოგიერთი დაავადების მფარველი ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 57) და ზედმიწევნით „ცისარტყელა ელიას“ ნიშნავს (აფხ. ა-ცაყა „ცისარტყელა“), აბუჟელ აფხაზებთან ის **ელიაფშ** სახელითაა ცნობილი (ჭარაია 2011: 74), რაც „წითელ ელიას“ ნიშნავს. შდრ. ქართული **ელიაწითლობა** – ტაროსთან დაკავშირებული დღესასწაული – სოფელი, ან რამდენიმე სოფელი საერთო შემოწირულობებით საკლავს ყიდულობდა და მსხვერპლს სწირავდა ამინდის ღვთაებას (აბაკელია 1991: 98). აფხაზური კომპოზიციის მეორე ნაწილი **ელია** ქართულ წარმართულ პანთეონში კარგად ცნობილი ღრუბელთბატონია (ჯავახიშვილი 1960: 76). შდრ. მეგრ. **ელიობა** „20 ივლისის დღესასწაული“ (ციფშიძე 1914: 231), სვან. **ელმა / დელმა** „წმ. ელია“ (თოფურია 2000: 209), ამინდის მფარველი ღვთაება. სახელი უკავშირდება ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს, წმ. ელია

თეზბიტელს, თუმცა შინაარსობრივად შორს დგას ბიბლიური სწავლებისგან.

მეგრულიდანაა შესული აფხაზურ რელიგიურ ცნობიერებაში **ა-ყანჭ** „აბრეშუმის ჭიის ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 61). ის გავრცელებული იყო აბჟუაში მცხოვრებ აფხაზებში. სიტყვა გვხვდება ძველ ქართულში, ქართულის დიალექტებში, სვანურში: **ყაჭი** „1. ნაცარტუტაში გამოხარშული აბრეშუმის ჭიის პარკი. 2. კუთხ. (იმერ.) აბრეშუმი“ (ქეგლ VII: 516), **ყაჭი** (ძვ. ქართ.) „აბრეშუმი“ (აბულაძე 1973: 465), **ყაჭი** „ბოჟი გამოხარშული“ (საბა 1993: 264), **ყაჭი** (კახ., ინგ., თუშ.) „აბრეშუმის ჭია“ (ჯავახიშვილი 1983: 52, 68, 79), **ყაჭობა** (გურ.) „აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენების დრო“ (ლლონტი 1984: 605), **ყანჭი** (მეგრ.) „აბრეშუმის ჭია“ (ჭარაია 1997: 118), **ყაჭ** / **ყაჭ** (სვან.) “ყაჭი, აბრეშუმი” (თოფურია 2000: 804).

მეგრულსა და აფხაზურში გვხვდება ერთი და იმავე სიტყვით წარმოდგენილი **ნაფრა** / **ნაფურნახე** „რიტუალური ცერემონიალი“ (ყიფშიძე 1914: 490) და **ანაფრა** „ავადმყოფობის ავი სული“ (ჯანაშია 1960: 60). ი. ყიფშიძის განმარტებით, **ნაფრა** / **ნაფურნახე** რომელიღაც ღვთაების სახელწოდებაა. მისი მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდებოდა ივლისში, შაბათ დღეს. მსხვერპლად სწირავდნენ ერთგვარ ყველს – შელებურს. ლოცვისას დგებოდნენ პირით სამხრეთისაკენ. ერთი თვალსაზრისით, მეგრულ-აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს არაბული **ნაფრ-ათურ**

„თვალწაკრავის, გათვალვის საწინააღმდეგო ამულეტი, ავგაროზი“ (ბალიშვილი 2009: 14). ვ. აბაევი მეგრულ ფორმას უკავშირებს ოსურში კარგად ცნობილ ნაჭ „ღვთაებისა და დღესასწაულის სახელს“ (აბაევი 1973: 148). ეთნოლოგ ნ. ანთელავას თვალსაზრისით, მეგრული ნაფურნახა მომდინარეობს აფხაზური ნაფრა-ნგხა-დან, რაც „ნაფრას სალოცავს (ხატს)“ ნიშნავს. „როგორც ჩანს, ტერმინი და მისით აღნიშნული რიტუალი სამეგრელოში შემოტანილია აფხაზეთის ამ რეგიონიდან სამეგრელოში ჩამოსახლებულთა მიერ“ (ანთელავა 2006: 58). ვვარაუდობთ, რომ სწორი უნდა იყოს ტერმინის არაბულიდან შეთვისების თვალსაზრისი. ამ შემთხვევაში სესხების შუალედური რგოლი აფხაზურისთვის მეგრულია.

აფხაზთა რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ა-სალერტე იყო ზოგიერთი დაავადების (თავის ტკივილი, შაკიკი, ცხვირიდან სისხლის დენა, უნებლიე შარდვა) მფარველი სული აბჟუს აფხაზებში (ჯანაშია 1960: 59; ანთელავა 2006: 73). სიტყვა მეგრული ალერტ-იდან მომდინარეობს. ი. ყიფშიძის განმარტებით, ის “სალოცავია” (ყიფშიძე 1914: 193). ალერტისადმი აღვლენილ მეგრულ ლოცვებში ყველგან წმ. გიორგი იხსენიება. ყოველ წელიწადს ტარდებოდა ალერტობის გრანდიოზული დღესასწაული მარტვილის რაიონის სოფ. ალერტში, სადაც წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს (მაკალათია 2006: 426). გვხვდება იმერულშიც: ალიორტობა საღვთო სალოცვილია (ბერიძე 1912: 13). საინტერესოა, რომ ა-სალერტე-ის სინონიმია ა-

გერძე-ნგჳა (ჯანაშია 1960: 59) ზედმ. „მეგრული სალოცავი“. მიუხედავად იმისა, რომ მეგრული დღესასწაული ქრისტიანულ წმინდანს უკავშირდება, აფხაზურ რწმენა-წარმოდგენებს არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანობასთან. აქვე შევნიშნავთ, რომ ბევრი ქრისტიანული ტერმინის მნიშვნელობა აფხაზურში გადააზრებულია (იხ. ქვემოთ).

მეგრულიდან უნდა იყოს შეთვისებული აფხაზურში **ჯანგერი** „ავი სული აბჟუის აფხაზთა რწმენით“ (ანთელავა 2006: 117). მისი ძალის გასანეიტრალებლად ჩატარებული რიტუალი ძალიან ჰგავს ქართულ ჭიაკოკონას, მეგრულ ჭეჭეთობას. მეგრულში გვაქვს შესიტყვება **ჯანგარიში ოკკომალი** „ჯანგარის შესაჭმელი“. **ჯანგარა** „მური, ჭურჭელზე გარედან მოკიდებული მჭვარტლია“ (ქაჯაია 2002-ა: 595), სიტყვა გვხვდება დასავლურქართულ დიალექტებში: **ჯანგარა** (გურ.) „ჟანგი“, **ჯანგარა** (ლეჩხ., გურ.) „ცეცხლზე ნახმარი ჭურჭლის კედელზე მოდებული მჭვარტლი, ჟანგის მონადები“ (ღლონტი 1984: 774). მეგრულიდან მომდინარეობს აბჟუურ დიალექტში გავრცელებული **ა-ჯანგარა** „შავი“ (შაყრილი 1987: 536), „მურივით შავი“ (კასლანძია 2005-ა: 683), საკუთრივ მეგრული სიტყვა კი ქართული „ჟანგის“, „ჟანგიანის“ ექვივალენტია.

ითვლება, რომ ქართულიდან მომდინარეობს მემინდვრეობისა და მებოსტნეობის მფარველი ქალღვთაების **ჯაჯაა**-ს სახელი. ნ. ჯანაშია მას ქართულ **ჯოჯობა**-ს უკავშირებს (ჯანაშია 1960: 35) **ჯაჯა**-ს

სახელობის ლოცვა ჩაჩხადილ-ს „დიდ ხუთშაბათს“ (იხ. ქვემოთ) აღევლინებოდა.

მეგრული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ბზობას, ბაიობას წინ უძღვის აიობის დღესასწაული. ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის ეს დღე არ ჩანს, თუმცა ხალხური მთქმელი მას მათ რიგში ასახელებს: აია რე, ბაია რე, ბაიაშ წორ თანაფა რე, ქირსე რე დო კალანდა რე, წაკურთხია დიდი დლა რე „აიაა, ბაიაა, ბაიას სწორი (კვირის თავი) აღდგომაა, შობაა და კალანდაა, ნათლისღება („წყალკურთხევა“) დიდი დღეა“. ეთნოგრაფიული ჩანაწერების და ლექსიკონების მიხედვით, ის „ქვევრის დალოცვის დღესასწაულია“ (ჭანტურია 1982: 220). შესაძლოა, ამ დღეს ილოცებოდა საადღომო ზედაშის ქვევრი, სავარაუდოდ, ეს დღესასწაულის გვიან შექმნილი დატვირთვაა.

მეგრული აიობა „ქვევრის დალოცვის დღესასწაული“, სვანური აია მიშლადეღ „ბზობის წინა კვირის დღესასწაული“, აფხაზური აიობა „ბზობის წინა კვირა“ (ჯანაშია 1960: 33) გარდამავალ დღესასწაულთა ციკლის სალოცავებია, თუმცა შინაარსობრივად არაფერი აქვს საერთო საადღომო დღესასწაულებთან.

ნ. ჯანაშია აია-ს გაზაფხულის პირველ ყვავილს, იას უკავშირებს (ჯანაშია 1960: 33), ეთნოლოგ ნ. ანთელავას ვარაუდით, შესაძლოა ის ბერძნულ აია-ს (აგიოს) უკავშირდებოდეს და იქვე შენიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, აიობა გაზაფხულის ბუნიობისადმი მიძღვნილ დღესასწაულთა ციკლის ერთ-ერთ დღეობას წარმოადგენდეს (ანთელავა 2006: 5). ტერმინი და მასთან

დაკავშირებული ჩვეულება აფხაზურში მეგრული სინამდვილიდანაა შეთვისებული.

ნ. ჯანაშია თავის ეთნოგრაფიულ ნაშრომში “Статии по этнографии Абхазии” ძალზე საინტერესოდ აღწერს **ბარბანჯია**-ს რიტუალს (ჯანაშია 1960: 50): 12 აგვისტოს საღამოს ყველა სახლის წინ ინთებოდა კოცონი. ახალგაზრდები მას ახტებოდნენ და ცეცხლის ალზე „წვავდნენ“ შეჩენილ ეშმაკებს. ეს რიტუალი ზედმიწევნით იმეორებს ქართულ **ჭიაკოკონას** (მეგრ. **ჭეჭეთობა** იხ. ქვემოთ). ეთნოგრაფი მიუთითებს, რომ მისთვის გაუგებარია ტერმინი **ბარბანჯია**. **ბარბანჩი** / **ბორბონჩი** მეგრული სიტყვაა და „ცეცხლის ბურბურს, ბრიალს“ ნიშნავს (ქარაია 1997: 43). **ბარბანჩია** კი „გიზგიზა ცეცხლია“ (ქაჯაია 2001: 270). ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2009: 39).

იმავე ნაშრომში ნახსენებია მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალი **ჭინჭათობა ნანჰა** (ჯანაშია 1960: 49). სიტყვა მეგრული **ჭეჭეთობა** / **ჭიჭეთობა** „ჭიაკოკონობა“ (ტარდებოდა მიძინების და ელიობის დღესასწაულებზე (ყიფშიძე 1914: 387) ფორმიდან მოდის და ზედმიწევნით ნიშნავს „ჭინჭათობის, ჭიაკოკონობის სალოცავს“. შინაარსობრივი დატვირთვით და გარეგნულად ის იგივეა, რაც **ბარბანჩია**.

აფხაზურ საკულტო რიტუალთა შორის სახელდება **გოთანუა** „შობის წინ შესასრულებელი რიტუალი“ (ჯანაშია 1960: 52). სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული

აფხაზურში და „გათენებას“ ნიშნავს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ აფხაზურად ამ რიტუალს **შარფ-ნგჰა** „დილის სალოცავი“ ჰქვია, მაგრამ რატომღაც მეგრული ტერმინი უფროა გავრცელებული (იქვე). ს. ზვანბას მითითებით, აბჟუელ აფხაზებში გამოიყენებოდა ტერმინი **გოუთანუ** „აფხაზური წარმართული სალოცავი, სრულდება შობის წინ“ (ზვანბა 1982: 39). ა. გენკოს მოჰყავს **გ°ათანგა** ფორმა (გენკო 1998: 67). **გოუთანუ** „გათენების“ აღმნიშვნელი მეგრული **გოთანა** ზმნის პირიანი ფორმაა და ზედმიწევნით **გაუთენა**-ს ნიშნავს. ს. ზვანბას გადმოცემით, ეპისკოპოსმა გიორგიმ მრევლს ამ რიტუალის შესრულება აუკრძალა და მეგრელები ამ სალოცავს მღვდელმთავრის განჩინებით აღარ ასრულებენ (მასალა ჩაწერილია აძიუბჟაში). ამ რიგის ტერმინთა არსებობა აფხაზურში ცხადად წარმოგვიდგენს იმ სიახლოვეს, რაც ქართველთა და აფხაზთა შორის იყო (ბუკია 2009: 37).

მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ხეჩხვამა** „ახალწლის დღესასწაული“ (ჯანაშია 1954: 443), **ხ~აჩხ~ამა** „ახალი წელი“ (შაყრილი 1987: 260); მეგრული **დეჯხვამა** „ახალწლის დღესასწაული“ (ქაჯაია 2002-ა: 172) და ზედმიწევნით „ღორით ლოცვას“ ნიშნავს (შდრ. მეგრ. **თუშ ოხვამერი** „გოჭით („გოჭის“) სალოცავი“). არის ტერმინის ეტიმოლოგიის სხვა ვერსიაც, ის მეგრულსავე **ხეშხვამა**-ს „ხელის ლოცვას“ ან **ხეხუჯხვამა**-ს „ხელ-მკლავის ლოცვას“ უკავშირდება (ანთელავა 2006: 109). ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ

ხეჩხვამა-ს აფხაზები მჭედლობის მფარველი ღვთაების შაშვის სახელზე აღავლენდნენ.

აფხაზური **კალინდა** / **კალანდა** „სახალწლო ლოცვა“ (ზვანბა 1982: 40). ლათინური **calendarium**-დან მიღებული **კალანდა** ფართოდ არის გავრცელებული დასავლურ ქართულ დიალექტებში, მეგრულსა და სვანურში: **კალანდა** (გურ., იმერ., რაჭ.) „ახალი წელი“ (აბაკელია 1991: 28, 32, 33), **კალანდა** (მეგრ.) „ახალი წელი მეგრელებში“ (ყიფშიძე 1914: 251), **კალანდა** / **კანდა** (სვან.) „ახალი წელი“ (თოფურია 2000: 341, 342). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

აფხაზურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში გვხვდება **წაჩხურ მარდიან თარგალაზ** „ბრწყინვალე შვიდეულის ხუთშაბათის სალოცავი“ (ჯანაშია 1960: 44). აბჟუელ აფხაზთა წარმოდგენით, წაჩხურის ძალას ოჯახში სიკვდილიანობა (განსაკუთრებით ბავშვების) მოჰქონდა და მის გასანეიტრალებლად მუხასთან ლოცულობდნენ. აფხაზი ეთნოგრაფი ლ. აკაბა მიიჩნევს, რომ სიტყვა **მარდიან** თავისი დაბოლოებით სვანურს ჰგავს, ძირი **მარ** (!) გვაქვს მრავალ კავკასიურ ენაში, ხოლო აფხაზურში ეს ძირი გვხვდება სიტყვებში, რომლებიც აღნიშნავენ სიმდიდრეს, წარმატებას და წარმომობით უკავშირდებიან მზეს (!) (აკაბა 1984: 21). ბუნებრივია, ამ მსჯელობაში ჭეშმარიტების ნახვა გაჭირდება.

ტერმინი მთლიანად მეგრულიდანაა შეთვისებული. **მარდიანი** „მადლიანის“ მნიშვნელობით გვხვდება ყველა ქართველურ ენაში: **მადლიანი** „მადლის

მქონე“ (ქეგლ V: 13), **მარდიანი** (მეგრ.) „მადლიანი“ (ჭარაია 1997: 91), **მადლიან** / **მადლიან** / **მადლიან** / **მადლიან** (სვან.) „მადლიანი“ (თოფურია 2000: 555). **თარგ ალაზ** მეგრული **თარანგილოზია** და „მთავარანგელოზს“ ნიშნავს, ხოლო **წაჩხური** სამეგრელოში და არამარტო აქ კარგად ცნობილი სალოცავი, სადაც დაბრძანებული იყო მთავარანგელოზის ხატი, სახელით **მოსკე-წაჩხური**, ანუ „ვაჟების მომცემი“. ს. მაკალათიას გადმოცემით, აქ სალოცავად მოდიოდნენ სამეგრელოს ყველა კუთხიდან, აგრეთვე სამურზაყანო-აფხაზეთიდან და „სათათრეთიდანაც“, ანუ ლაზისტანიდან (მაკალათია 2006: 433). ტოპონიმი ეტიმოლოგიურად „წყალ-ცივს“ ნიშნავს. ამგვარი ენობრივ-ეთნოგრაფიული მონაცემების ფონზე ანგარიშგასაწევი არაა აფხაზი ეთნოგრაფის ლ. აკაბას თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სიტყვა მომდინარეობს აფხაზური ზმნიდან **ა-წაჩხურა** „*МОЛИТЬСЯ ПОД СЕНЯ*“ (?!), ხოლო **წაჩხურ** ამ ზმნისგან ნაწარმოები ზედსართავია (აკაბა 1984: 21). აფხაზური **წაჩხურ** მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2009: 39)

აფხაზურიდანაა შესული მეგრულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში **ძივავა** / **ძიძავა** „გვალვის დროს გამართული რიტუალური სვლა მდინარისკენ“ (მაკალათია 2006: 399), „მეგრული თამაშობა“ (ჭანტურია 1996: 225), მომდინარეობს აფხაზური **ძიუოუ** „გვალვის დროს რიტუალური სვლა მდინარისკენ“ (ჯანაშია 1960: 63); **ა-ძიტაჟ** / **ძიტაჟ** „1. უწვიმობის დროს ჩასატარებელი რიტუალი, 2. ამ რიტუალისთვის განკუთვნილი თოჯინა“ (კასლანძია 2005: 444) სიტყვებისგან. ნ. ჯანაშია **ძიუოუ**

ფორმას კომპოზიტად მიიჩნევს და შლის ა-ძგ „წყალი“ და ა-უ ელემენტებად, ეს უკანასკნელი წყლის, თოვლის სვლას აღნიშნავს (ჯანაშია 1960: 64). ი. ჯავახიშვილი **ძივოუ**-ს პირველ ნაწილს **ძი**- აფხაზურ წყალს, ხოლო **ვოუ**-ს სვანური ტაროსის ღვთაების სახელს **ვები**, **ვოუ**-ს ადარებს, თვით კომპოზიტი კი უნდა ნიშნავდეს ან „წყალი (მოგვეც) ვობი“, ანდა შეიძლება იყოს „წყლის ვობივ“ (ჯავახიშვილი 1960: 79). ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ ტაროსის ღვთაებას მეგრულშიც **ობი** / **ვობი** ჰქვია, აქედან პარასკევი **ობიშხა**-ა, ანუ **ობის** დღე. აქვე მოვიყვანთ ეთნოლოგ ნ. ანთელავას მიერ ციტირებულ კიდევ ერთ მოსაზრებას **ძიუოუ**-თან დაკავშირებით: „უფრო მართებული ჩანს ნ. პატეიფას მიერ გ. ჩურსინთან გამოთქმული აზრი, რომ ტერმინის მეორე ნაწილი **უოუ** / **ვოუ** არის მოთქმის გამომხატველი შორისდებული – **ძიუოუ** „ვოი, წყალო“ (ანთელავა 2006: 101).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნ. ჯანაშიას მიერ აღწერილმა დოკუმენტების სალოცავმა **დოპუ-ნგხა**-მ, რომელსაც აგრეთვე ემახიან **შუჯენ ნგხა**-ს, ანუ სუჯუნის ხატს: „დოპუას გვარის რძლები **დოპუ-ნგხა**-ს (დოპუას ხატს) ემახიან **ჭარაქე**-ს, რადგან აფხაზ ქალებს უფლება არა აქვთ სახელით მოიხსენიონ ქმრის ნათესავები. დ. გულია მიუთითებს, რომ სიტყვა **ჭარაქე** იგივეა, რაც ქართული **ზვარაკი** „სამსხვერპლო საქონელი“ (ძვ. ქართ. **ზუარაკი** = **ზოუარაკი**, სომხ. **ზოვარაკ**)“ (ჯანაშია 1960: 25). ა. გენკო **ჭარახე** განმარტავს, როგორც ქალთა მეტყველებაში სუჯუნის სალოცავს (გენკო 1998: 91). ეს ტერმინი ფართოდაა გავრცელებული ქართველურ

ენობრივ მიკროსისტემებში: **ზვარაკია** (მეგრ.) „ცხოველი, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად შეწირული“ (ყიფშიძე 1914: 236). **ზვარაკი** (ქ. ზვარა, ზვარაკი) „მსხვერპლი; **ზვარაკუა** ზვარაკის შეწირვა“ (ჭარაია 1997: 67). შდრ. **ზვარაკი** / **ზორა** „ძვ. რელიგ. მსხვერპლად შესაწირავი საქონელი“ (ქეგლ IV: 148); **ზვარა** / **ზვარაკი** „შეწირული საქონელი, ნასუქალი ხბო“; „ნასუქარი ჯბო“ (საბა 1991: 280, 287), „მსხვერპლი“ (აბულაძე 1973: 169). სვან. **ზუერ** „სამსხვერპლო შესაწირავი“ (თოფურია 2000: 254), **ზვარა** (საბა, კახ.) **ბერ-ზორა** (გუდ., მთიულ.) / **ზორა** (მთიულ., გუდ., მოხ.) „ხატისთვის შეწირული ხარი“ (ლეონიძე 1925: 24); ზემოიმერ. **ზვარა** / **ზვარაკი** „შესაწირავი ცხვარი ან მოზვერი“ (ძოწენიძე 1974: 156), ფშ. **ზვარა** „დეკეულის პირველი ხბო, რომელიც აუცილებლად უნდა დაიკლას ხატის სახელზე“, მთიულ. **ზვარა** / **ზორა** „1. ხატისთვის შეთქმული მოზვერი; 2. ასეთი მოზვერის სახელი“; **მზორა** „ხატისთვის შეთქმული მოზვერი“ (კაიშაური 1967: 206); რაჭ. **ზვარა** „ძროხის პირველი ხბო“ (კობახიძე 1987: 49).

ნ. ჯანაშიას ასეთი ფაქტიც მიჰყავს: „მამსირ დოჰუა აცხადებს: „ჩვენი ხატი ახლა სუჯუნაშია“ (გვ. 26). შდრ. **შუჯუნა** „წმიდა გიორგის ხატის სახელწოდება“ (გენკო 1998: 365).

ეს განაცხადი ნათლად გვიჩვენებს იმ სიახლოვეს, რაც ქართველთა და აფხაზთა შორის იყო.

სპარსული წარმოშობის **zōhrak**-დან მომდინარე **ჟარაქ** აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2009: 36).

აფხაზი მეცნიერი შ. ინა-ივა აფხაზურ წარმართულ სალოცავთა შორის მოიხსენიებს **ჯაჰაშქარნგხა** / **ჯახაშქარნგხა**-ს. ის გულრიფშის რ-ნის სოფ. წებელდაში მცხოვრებთა და აქედან ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჭლოუში გადასახლებულ აფხაზთა სალოცავია (ანთელავა 2006: 118). სიტყვის მეორე ნაწილი აფხაზური (ა)ნგხა „ხატი, სალოცავია“, პირველი ნაწილის აფხაზურ ნიადაგზე ახსნა ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, ის მეგრული **ჯიხაშქარ**-იდან მომდინარეობს, რაც ზედმიწევნით „ციხისკარს“ ნიშნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში დაშვებულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ის **ჯეგეშქარი** (**ჯეგე** „წმ. გიორგი“) ფორმიდან მომდინარეობდეს (ანთელავა იქვე).

კავკასიელ ხალხთა ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მიცვალებულთა პატივისცემის ტრადიციას. ის შესაბამისად ასახულია სხვადასხვა რიტუალებსა და საკულტო დანიშნულების ნივთებში.

მეგრულ სინამდვილეში ფართოდ იყო გავრცელებული ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა **თარჩია** „ბაირალის გატაცება“ (მაკალათია 2006: 281). ქეგლ-ის მიხედვით, **თარჩია** „ძველებური ქართული ცხენოსნური სპორტის სახეობაა“ (ქეგლ IV: 344). თვით **თარჩიას** თამაში შემდეგში მდგომარეობდა: ერთ-ერთი მხედარი მიიღებდა ბაირალს, ან სხვა ნივთს და სათამაშო მოედანზე გავიდოდა. დანარჩენი მხედრები მას გამოედევნებოდნენ და ცდილობდნენ ბაირალის წართმევას. ბაირალი ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. გამარჯვებულად

მიიჩნეოდა ის მხედარი, რომელიც განსაზღვრული დროის მანძილზე შეინარჩუნებდა ბაირაღს. **თარჩია** ტარდებოდა ცნობილი მხედრის გარდაცვალების წლისთავზე, მისი ხსენების დღეს და ა. შ.

ეს ტერმინი ოდნავი ფონეტიკური ცვლილებებით გვხვდება აფხაზური ენის ორსავე დიალექტში **ა-თარჩე** / **ა-ჩართე** სახით, ნიშნავს ცხენით ერთგვარ თამაშს წლისთავზე ქელების დროს (ჯანაშია 1954: 121). ს. ამიჭბას განმარტებით, **ათარჩე** – „поминальные скачки“ (ამიჭბა 1975: 120). ტერმინს რიტუალური დატვირთვა ჰქონდა, კერძოდ, ტარდებოდა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. იგივეა ამ სიტყვის ოდინდელი მნიშვნელობა მეგრულში. ო. ვახანიას მიერ აღწერილი **ათარჩე** (ვახანია 1959: 28) ძალზე ჰგავს ჩვენს მიერ მოძიებულ მასალას. ფაქტობრივად საქმე გვაქვს ერთი და იმავე თამაშობის სახეობასთან, რომელიც საერთო სიტყვითაა გადმოცემული მეგრულსა და აფხაზურში.

აფხაზური ენისათვის ამოსავალია აბჟურთი ფორმა **ა-თარჩე**. ვ. კვარჭია დასაშვებად მიიჩნევს სიტყვის თურქულ წარმომავლობას და უკავშირებს **derece** ფორმას, რაც ღირსებას ნიშნავს (კვარჭია 1981: 96). **ა-თარჩე**-ს თურქულიდან მომდინარეობას დაბრკოლება ახლავს, ასახსნელია ის ფონეტიკური მოვლენები, რაც სესხების შემდეგ მომხდარა აფხაზურში.

ვვარაუდობთ, რომ ტერმინისათვის ამოსავალი უნდა იყოს სპარსული წარმოშობის **თარეში** (**tarāj**-იდან „ძარცვა, დაიავარება“ ნაწარმოები), რომელიც „სპორტის სახეობის“ სემანტიკით შესულია, ერთი მხრივ, ქართველურში, მეორე მხრივ, კი აფხაზურ ენაში. შდრ.

თარაშა (მეგრ.) „1. მოთარეშე; 2. მუსრის გამვლები“ (ქაჯაია 2009: 245), აგრეთვე **თარეში** „სხვათა ენაა, ქართულად მარბიელი ჰქვიან“ (საბა 1991: 301), თუშური **თარეში ცხენისა** „ცხენის თამაშით ჰქნება“. მისი ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობა ქართულში „თავისუფლად სიარული, თავის ნებაზე ნავარდია“ (ქეგლ V: 341-342). **თარეშ**-ს მეგრულში **თარაში** ენაცვლება (ჭარაია 1997: 69). სემანტიკური სიახლოვის გამო სპორტული თამაშობის აღმნიშვნელი ტერმინის ძირად მეგრულმა ეს სიტყვა გამოიყენა და დაუმატა -ია სუფიქსი, რომელიც ხშირად გვხვდება მეგრულში თამაშობების აღმნიშვნელ ლექსემებში. მაგ. **ხინტკირ**-ია „კენწლაობა“, ოდიშურ-აფხაზური დუელი, სატევრებით შეჯიბრება“, **ტკუტკუბურა**-ია „ფეხებზეტყუპებით გადახტომა“... სუფიქსის დართვამ გამოიწვია ფუძეში ხმოვნის რედუქცია: *თარაში-ია > *თარშ-ია > თარჩ-ია. რაც შეეხება შ > ჩ პროცესს, შ სპირანტის აფრიკატიზაცია (შ > ჩ) ქართული და ზანური ენების საერთო კანონზომიერებაა და არა მხოლოდ ქართული ენის რომელიმე დიალექტის ან დიალექტთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა. დღევანდელ მეგრულში **თარჩია**-ს სემანტიკა გაფართოვდა და თავდაპირველ მნიშვნელობასთან ერთად ხმაურით, ენერგიულად მოძრაობასაც გულისხმობს.

ტერმინის მეგრულიდან აფხაზურში შეთვისების სასარგებლოდ მეტყველებს აფხაზური ლექსემის -**ე** დაბოლოება, რომელიც ჩნდება ქართველური ენებიდან ნასესხებ მასალაში. შდრ. აფხ. **აკალეე** < ქართ.-მეგრ. **კალა**, აფხ. **აძბეე** < ქართ.-მეგრ. **ძიძა**, აფხ. **აჯგქრეე** „სიმინდი“ <

ქართ. (იმერ.) **ჯიქურა** „ცოცხის მცენარე, სორგო“, აფხ. **აბჟეი** „ძმარი“ < მეგრ. **ბაჟა, ბჟე**. აფხაზურს ნასესხებ სიტყვებში აუსლაუტში ახასიათებს დიფთონგიზაცია (გვანცელაძე 1998-ა: 35).

ამრიგად, საერთო მეგრულ-აფხაზური **თარჩია** / **ა-თარჩეი** ფორმისთვის ამოსავალია **თარეში** „თავისუფლად სიარული, თავის ნებაზე ნავარდი“, რომელმაც მეგრულში რიტუალური თამაშობის სემანტიკა მიიღო, აქედან კი იმავე მნიშვნელობითა და შესაბამისი ფონოტაქტიკით გადავიდა აფხაზურში.

ქართულსა და აფხაზურში გვაქვს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული **ნიშანი** (მეგრ.) „ფიტული, რომელსაც მიცვალებულის ტანსაცმელს აცმევენ და ორმოცი დღის მანძილზე პატივს მიაგებენ“ (ქაჯაია 2002: 391), **ნიშანი** (იმერ.) „მიცვალებულის ტანსაცმელი, ლოგინზე დასვენებული გლოვის ნიშნად, გარკვეულ დრომდე“ (ბეზარაშვილი 1978: 114), **ა-ნშან** „id.“ (ჯანაშია 1960: 81). ნიშნის გაფენის წესი მრავალი ხალხის ეთნოგრაფიიდან ცნობილი მოვლენაა. იგი ეფუძნება უძველეს კონცეფციას, რომლის თანახმად ადამიანის ტანისამოსი და სხვა სამკაული მისი სულის მატარებელია (ანთელავა 2006: 60). ჩვენი აზრით, ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

ტირილის აღმნიშვნელი **ზარი** ფართოდ არის გავრცელებული ქართველური ენებში: **ზარი** „[სპარ. ზარო „ტირილი“] 1. უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით... გამოწვეული შემფოთება, –

შემრწუნება, ელდა; 2. ძვ. სამგლოვიარო უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას“ (ქეგლ IV: 97), **ზარი** (ძვ. ქართ.) „შიში“ (აბულაძე 1973: 162), **ზარი** (მეგრ.) „ტირილი, მოთქმა“ (ყიფშიძე 1914: 236), **ზარ** / **ზარ** (სვან.) 1. „ზარი, 2. სამგლოვიარო ჰიმნი“ (თოფურია 2000: 251), იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვხვდება აფხაზურში: **ა-ზარ** „სამგლოვიარო სიმღერა“ (ჯანაშია 1960: 80), „ჯირითის წინ შესასრულებელი სიმღერა“ (კასლანძია 2005: 408). ა. შაგიროვის ვარაუდით, სავსებით დასაშვებია აფხაზურში მეგრულიდან სესხების შესაძლებლობა (შაგიროვი 1989: 127).

აქვე განვიხილავთ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ სხვა ტერმინებს, რომლებიც ქრისტიანულ ეპოქაში შემოვიდა ქართველურ ენობრივ სივრცეში, მაგრამ აზრობრივად წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება.

მეგრული **პერტობა** „პეტრე-პავლობის დღესასწაულია“ (ქაჯაია 2002: 481). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურში **პარტაბა** / **პერტაბა** ფორმით და „ინისს“ აღნიშნავს (იხ. ქვემოთ). ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღწერილია **პერტაბა**-ს დღესასწაული თუ სალოცავი, რომელიც აღდგომის მეორე დღეს აღინიშნებოდა. ამ დღეს აფხაზებმა ძველი და ახალი მიცვალებულებისთვის საერთო საკურთხის დადგმა იცოდნენ (ანთელავა 2006: 63). შესაძლოა, ეს ტრადიცია ქრისტიანობას უკავშირდებოდეს, თუმცა, მიცვალებულთა საყოველთაო

მოხსენიება მართლმადიდებლური კალენდრით აღდგომის განახლების შემდგომ სამშაბათსაა დადგენილი. მითუმეტეს, მას არაფერი აქვს საერთო მოციქულთა თავთა სახელთან.

მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული **კელაპტარი** „დიდი ცვილის სანთელი“ (ქეგლ IV: 1138), **კელაპტარი** (ძვ. ქართ.) „ცვილის სანთელი დიდი ზომისა“ (აბულაძე 1973: 196), **კელაპტარი** „სასანთლე, ხოლო აწ დიდსა სანთელს უკმობენ ტყუ(ვ)ილად“ (საბა 1991: 364), **კილანტარი** (მეგრ.) „id.“ (მაკალათია 2006: 356), ასევე **ა-კ~ალანტარ** „კელაპტარი“ (ჯანაშია 1954: 160); აფხაზურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღწერილია შემდეგნაირად: **ა-კ~ალანტარ** „მიცვალებულის ხე“. წარმოადგენს ერთ მეტრამდე სიგრძის ცვილის განტოტვილ სანთელს, რომლის ღერძი მთელ სიგრძეზე სპირალურად წითლად არის შეღებილი და სადგართან თეთრი ლენტია შემოხვეული. სანთლის თავში დასმულია ცვილისაგან დამზადებული ჩიტის გამოსახულება. ასეთი სანთლის ჩამოქნა აფხაზებმა ორმოცზე ან წლისთავზე იცოდნენ“ (ანთელავა 2006: 40). მსგავსი სიმბოლო მეგრელებსაც აქვთ, ნათლულს ნათლის გასვენების დღეს, ორმოცსა და წლისთავზე მიაქვს ასეთი ფორმის კელაპტარი. ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 141). ირკვევა, რომ ბერძნული **კეპოლამპტერ**, საიდანაც მომდინარეობს ქართული **კელაპტარი** თავდაპირველად აღნიშნავდა არა სანთელს, არამედ სასანთლეს, სანთლის სადგარს, აფხაზურში კი შესულია სანთლის მნიშვნელობით, შესაბამისად, ამ ენაში

შესულია მას შემდეგ, რაც ქართულში მისი მნიშვნელობის გადაზრება მოხდა, ანუ XI-XVIII საუკუნეებს შორის (გვანცელაძე 1998: 45). სიტყვას ქართულსა და აფხაზურში გადატანითი მნიშვნელობაც აქვს და მოხდენილ, აღნაგ ადამიანს ნიშნავს (შაყრილი 1986: 329).

ამავე კონტექსტში განიხილება აფხაზური **ა-კ~ან** „ძელი, რომელიც წლისთავზე გამართულ ნიშანში სროლის რიტუალში გამოიყენებოდა“. არ არის გამორიცხული, რომ **ა-კ~ან** **ა-კ~ალანტარ**-ის შემოკლებული ფორმა იყოს (ანთელავა 2006: 41).

მიცვალებულის კულტთან არის დაკავშირებული კიდევ ერთი აფხაზური სიმბოლო **ა-ოკუმ** – ერთ მეტრამდე სიგრძის ხის განტოტვილი კარკასი, რომელიც ფერადი ფურცლებითა და წვრილად გასანთლული პატრუქებითაა შემკული. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლოა ის კავშირში იყოს გუნდრუკის, საკმეველის აღმნიშვნელ მეგრულ ფორმასთან **ოკუმაფუ**. ამ უკანასკნელის პარალელურად მეგრულში გამოიყენება სიტყვა **საკმელი** (იხ. ქვემოთ), საიდანაც მოდის აფხაზური **ა-საკგმალ** „საკმეველი“ (ანთელავა 2006: 62).

აფხაზურ წარმართულ პანთეონში გვაქვს სიტყვები, რომლებიც ქრისტიანული ტერმინებითაა გადმოცემული, მაგრამ შინაარსით წარმართულია.

ერთ-ერთი ასეთი ტერმინია აფხაზური **ა-მიქამგარია** „ძროხის მფარველი ღვთაება“ (ჯანაშია 1960: 25). ეთნოგრაფი მიუთითებს, რომ ქრისტიანობა ცდილობდა ამ სალოცავით შეეცვალა **აითარ**-ის კულტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოლო დრომდე აფხაზების უპირატესობას წარმართულ ღვთაებას ანიჭებენ (იქვე). გარდა ტერმინისა, **ა-მიქამგარია**-ს არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან. „აშკარაა, რომ მიქამ-გარიას დასავლურ-ქართული ტრადიციის წყარო ქრისტიანულია, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ ადგილობრივ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო დამახასიათებელი კონტამინაცია ქრისტიანული და წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისა, რამაც განაპირობა არსებითი ტრანსფორმაცია თავდაპირველი სახეებისა (ანუ ქრისტიანული მთავარანგელოზები აღმოჩნდნენ წინაქრისტიანული ღვთაებების შემცვლელად და, შესაბამისად, მათ გაითავისეს რიგი ნიშნებისა, რომელიც წინაქრისტიანული წარმომავლობისაა“ (აბაკელია 1999: 302).

ეთნოგრაფების მიერ მოძიებული და ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით მეგრელები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმ. მთავარანგელოზთა წყვილს – მიქაელსა და გაბრიელს, მეგრულად **მიქამგარიო** / **მიქანგარიო**-ს (სახოკია 1985: 370). აქვე შევნიშნავთ, რომ ერთ ლექსემად ქცეული სახელი ზოგჯერ ერთ ღვთაებად აღიქმება. სწორედ ამაში ჩანს მისი სინკრეტული ბუნება.

მიქამ-გარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი. უიმისოდ მზე ვერ გაანათებს,

მთვარე არ ამოვა. მიქამ-გარიოზეა დამოკიდებული დარი და ავდარი, ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა.

ამ რწმენა-წარმოდგენებში ცალსახად ჩანს, თუ როგორ არის ტრანსფორმირებული ბიბლიურ უსხეულო ძალთა არსის გაგება წარმართულ ბუნებისად.

სამეგრელოში დიდი პატივით აღასრულებენ მიქელ-გაბრიელისადმი მიძღვნილ დღესასწაულს **მიქამგარიოშ გითოხვამა**, ზედმ. „მიქელ-გაბრიელის გამოლოცვას“, აგრეთვე **სამგარიო-ს** „სამიქელგაბრიელო სალოცავს“ (ყიფშიძე 1914: 315), **ოდუდია სამგარიო-ს** „მესაქონლეობასთან დაკავშირებული რიტუალს“ (მაკალათია 1979: 68). ეს ტერმინი, რომელიც ზედმიწევნით „მთავარ, თავ სამიქამგარიო სალოცავს“ ნიშნავს, ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი გამორჩეული ადგილი ეკავა მთავარანგელოზთა წყვილს მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებში.

მიქამგარიო აფხაზურმა ენამაც შეითვისა და მას მესაქონლეობის მფარველი ღვთაების ფუნქცია დააკისრა. თ. გვანცელაძის გამოკვლევით სხვა ქრისტიანულ ტერმინთა გვერდით წარმოდგენილია მეგრულიდან აფხაზურში შეთვისებული **ა-მიქამგარია** „ძროხის მფარველი ღვთაება“, ამოსავალია მეგრული **მიქამგარიო, ა-სემგარია** „ზაქის მოგების კვირისთავზე ფურკამეჩისათვის გამოლოცვის რიტუალი“, მომდინარეობს მეგრული **სამგარიო**-დან (გვანცელაძე 1996: 76). იმავე სემანტიკის მქონე **ა-სქამგარია**, რომლის ამოსავალი უნდა იყოს **მიქამგარიო**-დან ნაწარმოები ***სა-მიქამგარიო**, რომელიც მეგრულში აღარ გვხვდება, მაგრამ

ქ. შარდენთან შემონახულია ტერმინი **სამიქანგარა**, რომელიც, როგორც ჩანს, სავარაუდო ფორმის დამახინჯებული ვარიანტია. იგივე კომპოზიტი გვხვდება ოსურ ენაში: **მქალგაბერთა** / **მიქალგაბურთა** „ღვთაებათა სახელები, უკავშირდება მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელებს“ (აბაევი 1973: 138).

აფხაზურ წარმართულ პანთეონში წამყვანი ადგილი უჭირავს ღვთაებას, რომლის სახელიც სამ ვარიანტადაა ცნობილი: **აარგ** / **აერგ** / **აარგგ**. ის არის ყაჩაღობა-ძარცვისა და ქურდობის, მესაქონლეობის, ნადირობისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი (!!!). თ. გვანცელაძე მიიჩნევს, რომ **აარგ**-ის სახელი აფხაზური ენის ფონეტიკური კანონების შესაბამისად ადაპტირებული წმინდა გიორგის სახელია და ამ ენაში შესული უნდა იყოს ქართული ენიდან (გვანცელაძე 2011: 339). ნ. გენკოსთან **ააარგ** / **ააგრგ** – ნადირის მფარველი ღვთაება, წმიდა გიორგი (გენკო 1998: 108), **ააარგ** (ა)აშა „ნადირობის მფარველი წმ. გიორგის საგალობელი“ (იქვე). წმ. გიორგის მეგრული სახელები **ჯგაგე** / **ჯერგე** / **ჯეგე** / **გეგე** / **ერგე** ეტიმოლოგიური თვალსაზრისით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ ძირითადად წმ. გიორგის უკავშირდება. აფხაზური **აარგ** / **აერგ** / **აარგგ** მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, წმ. გიორგისთან მოგვიანებით გაიგივებული წარმართული ღვთაებაა, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ის „გააფხაზებული“ წმ. გიორგია, თუმცა შინაარსობრივად მას არაფერი აქვს საერთო კაბადოკიელ დიდმოწამესთან.

ამავე დროს, ეთნოგრაფიულ მასალაში გვხვდება შემთხვევები, როცა **ერგე** გაიგივებულია **მიქამგარიო**-სთან.

ერგე-აშვა „მიქელგაბრიელის სიმღერა“, ერგეძაშრა (მეგრ.) „მიქამგარიოს ტბა“ (სახოკია 1985: 375). ეთნოლოგ ნ. ანთელავას აზრით, აერგი / ერგე-ს გაიგივება მთავარანგელოზთა წყვილთან შემთხვევითი არ არის (ანთელავა 2006: 43). ამ თვალსაზრისს ამყარებს მეგრულ ლექსიკონში წარმოდგენილი ტერმინი მიქამგარიო ერგე „მთის ბატონი, მეუფე“ (ქობალია 2010: 452). ამ მონაცემებისაგან სრულიად განცალკავებით დგას ო. ქაჯაიას ლექსიკონში წარმოდგენილი განმარტება ერგე ფორმისა: ერგე „წყალღვთაება“ (ქაჯაია 2009: 223).

ქრისტიანული ტერმინოლოგია ქართველურსა და აფხაზურ ენებში

ჟაკ ფრანსუა გამბას გადმოცემით, „თავიანთი ძველი სარწმუნოებიდან აფხაზებმა მრავალი ზნე-ჩვეულება შემოინახეს. მაგალითად, ისინი სამ დღეს უქმობენ აღდგომას და ამ დროს წითელი კვერცხის ჭამის ტრადიციას იცავენ. ზეიმობენ აგრეთვე სამებისა და შობის დღესასწაულებს. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც ჩვენში, 25 დეკემბერს უწევს; ორი დანარჩენი დღესასწაულისთვის კი დროს თავად აწესებენ, რადგან ეპაქტას გამოანგარიშება არ შეუძლიათ. უნდა დავძინო, რომ ბევრმა აფხაზურმა ოჯახმა შემოინახა ქრისტიანობა. მათ წინაპრებად მეგრელები ითვლებიან“ (გამბა 1987: 88).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებში საკმაოდ გაბუნდოვანებულია ქრისტიანული ცნობიერება, მასთან დაკავშირებული სიტყვები მრავლად მოიპოვება.

თ. გვანცელაძის დაკვირვებით, „აფხაზურ ენაში აშკარად გამოსაყოფი ჩანს ქართველური ენა-კილოებიდან შესული ქრისტიანული ტერმინების ორი ქრონოლოგიური პლასტი: ერთი XVI საუკუნემდე ნასესხებ ლექსიკას აერთიანებს, მეორე კი უფრო გვიანდელს, ჩვენი ვარაუდით, XVI-XVIII საუკუნეებში შესულ სიტყვებს“ (გვანცელაძე 2011: 335). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ტერმინები ყველა ენაში ბერძნულიდანაა შესული, აფხაზურს „გაქართულებული“ და „გამეგრელებული“ ბერძნული სიტყვები აქვს შეთვისებული (გვანცელაძე 1998: 43). უშუალო კონტაქტი აფხაზებს ბერძნებთან არ ჰქონიათ. ეს ფაქტი დამატებითი არგუმენტია აფხაზთა ისტორიული სამშობლოს გეოგრაფიული ლოკალიზაციისთვის.

თავად სიტყვა ქრისტიანი, ქრისტიანობა აფხაზურს მეგრულიდან აქვს შეთვისებული: **ქირსიანი** (მეგრ.) „ქრისტიანი“ (ქაჯაია 2002-ა: 146) – **ა-ქ~გრსიან** „id.“ (ჯანაშია 1954: 310); სიტყვები შეაპირისპირა თ. გვანცელაძემ (გვანცელაძე 1996: 80). **ქირსიანობა** (მეგრ.) „ქრისტიანობა“ (ქაჯაია 2002-ა: 146) – **ა-ქ~გრსიანრა** „ქრისტიანობა“ (შაყრილი 1986: 355).

მართალია, მთავარანგელოზთა წყვილის მეგრულმა სახელმა აფხაზურში (ისევე, როგორც მეგრულში) წარმართული დატვირთვა მიიღო, მაგრამ

ქართული მთავარანგელოზ-იდან შეთვისებული თარგ~ალაზ (ჯანაშია 1960: 44) იმავე მნიშვნელობისაა, რაც ქართული. შდრ. მეგრ. თარანგელოზი „id.“ (ქაჯაია 2002: 37), სვან. თარინგზელ / თარგლეზერ / თარინგზელ / თარინძელ / თარინგზელ / თარინგლეზერ (სვან.) „id.“ (თოფურია 2000: 257). სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (გვანცელაძე 1996: 77).

მასალის სიუხვის გამო ჩვენ სემანტიკურ ჯგუფებად დაყოფილი მასალის ანალიზს წარმოვადგენთ.

ქრისტიანულ დღესასწაულთა აღმნიშვნელი ტერმინები

ბზობის აღმნიშვნელი ბაიობა გვხვდება მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში: ბაიობა „იგივეა, რაც ბზობა“ (ქეგლ I: 953), ბაიობა (მეგრ.) „საეკლესიო დღესასწაული“ (ქაჯაია 2001: 214), ბაამ / ბაა (სვან.) „ბზობა“ (თოფურია 2000: 146). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურში: ბააობა „ბზობის დღესასწაული“ (ჯანაშია 1968: 33). იქვე მითითებულია, რომ ფორმა მეგრელიზეებულია (იქვე). მართალია, ბააობა ტერმინით და კალენდრულად ქრისტიანულ დღესასწაულს ემთხვევა, მაგრამ რიტუალურად წარმართულს ჰგავს, მას

აღნიშნავენ სპორტული შეჯიბრებებით, ცეკვებით, სიმღერებით, სახლებს რთავენ ყვავილებით და ა. შ. (ჯანაშია 1960: 33).

გიორგობა „1. იგივეა, რაც გიორგობისთვე. 2. წმინდა გიორგის სახელობის დღეობა, დღესასწაული“ (ქეგლ II: 1454) **გერგება / გერგობა** „გიორგობა“ (ჭარაია 1997: 48) > **ა-გ~არგ°აბა** „გიორგობა, წმ. გიორგის დღესასწაული“ (შაყრილი 1986: 144); სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 145). ამასთან სრულად დაცულია ფონოტაქტიკის წესები: უკანაენისმიერი **გ**-ს შემდგომ პოზიციაში ი დაკარგულია და რეფლექსის სახით დარჩენილია **გ**-ს პალატალიზებულ ფორმაში, **ო** > **ა**, ხოლო **გო** კომპლექსი გადაქცეულია ლაბიალიზებულ **გ°**-დ.

უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა ქრისტიანული წმინდანებისგან განსხვავებით, აფხაზები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმ. გიორგის და მისადმი მიძღვნილ დღესასწაულსაც შესაბამისად აღნიშნავდნენ. ს. ზვანბას გადმოცემით, ყველა აფხაზს ჯოგში ჰყავდა მარჯვენა ყურდასერილი საუკეთესო ძროხა, რომელიც წმ. გიორგის შესაწირად იყო დანიშნული. ასევე, ყველა აფხაზს ჰქონდა საგანგებო ქვევრი წმ. გიორგის სახელობისა, სადაც იწურებოდა სამსხვერპლო წითელი ღვინო. წმ. გიორგის ლოცვას აღასრულებდა ყველა აფხაზი, განურჩევლად სარწმუნოებისა. ქრისტიანები ლოცულობდნენ აღდგომის დღეს, წირვის შემდეგ, წარმართები და მუსულმანები კი ადრიან დილას, სისხამზე (ზვანბა 1982: 25).

ქირსე მეგრულში მაცხოვარსაც აღნიშნავს და „ქრისტეშობის დღესასწაულსაც“ (ყიფშიძე 1914: 344), აფხაზურში **ქ~ერსა** „შობაა“ (ჯანაშია 1954: 310); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 168). იმავე მნიშვნელობისაა ჰიბრიდული კომპოზიტით გადმოცემული **ქირსამშ** „ქრისტეშობის დღე“ (გვანცელაძე 2000-ა: 60). შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სალოცავები და რიტუალები (**გოთანუა**, **ა-გ~გნგჰა**) მიგვანიშნებს, რომ მას ძირითადად წარმართული დატვირთვა ჰქონდა.

ნათლისღების აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი **წაკურთხია** „ნათლისღება“ (ყიფშიძე 1914: 377) ზედმიწევნით „წყლის კურთხევას“ ნიშნავს. აფხაზური **წყარკ~უთხია** „წყალკურთხევა, ნათლისღება“ (ჯანაშია 1954: 386); ტერმინი მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (მაჭავარიანი 1966: 168). აფხაზურ ფორმაში დაცული ი ხმოვანი სესხების სიახლეზე მიგვითითებს, სხვა შემთხვევაში მას წინამავალი უკანაენისმიერი **ხ** უნდა გაეპალატალებინა და თავად დაკარგულიყო.

მეგრულიდან არის ნასესხები **ჩაჩხადგლ** „დიდი ხუთშაბათი“ (ჯანაშია 1960: 35), **ჩხადგლ** (ბზ.) „მოსავლის სალოცავი აგვისტოში“ (ბლაჟბა 1964: 225). ამოსავალია **ცაშხადიდი** (მეგრ.) „დიდი ხუთშაბათი“ (ქაჯაია 2002-ა: 344). აბჟურში მას თავდაპირველი სემანტიკა აქვს შენარჩუნებული, ბზიფურში კი გადააზრებულია და წარმართული შინაარსითაა დატვირთული.

აფხაზურში გვხვდება ქართველურიდან შეთვისებული ქრისტიანულ დღესასწაულთა აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც, მაგრამ მათ რელიგიური დატვირთვა არა აქვთ, მეგრულის ანალოგიით თვეების აღმნიშვნელ სიტყვათა ნაწილებადაა გამოყენებული (იხ. ქვემოთ).

ქრისტიანულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ტერმინები

ერთ-ერთი ქრისტიანული საიდუმლო **ზიარება** „ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი წესი“ (ქეგლ IV: 151), **ზიარება** / **ზიარობა** (ძვ. ქართ.) „მონაწილეობა, თანასწორობა, ერთობა, ამხანაგობა; ზიარება“ (აბულაძე 1973: 166) ქართველურ ენებში ასეა წარმოდგენილი: **ზიარება** (მეგრ.) „ზიარება“ (ყიფშიძე 1914: 236), **ზირაბ** / **ზირაბ** / **ზირებ** (სვან.) „ზიარება“ (საღლიანი 2005: 87). იგივე სემანტიკა აქვს აფხაზურ **ა-ზარება** (ჯანაშია 1954: 108), **ა-ზარაბა** (კასლანძია 2005: 408) ფორმებს. აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაჭავარიანი 1966: 168). ვ. კასლანძიას ლექსიკონში მოხმობილ ფორმაში ფონეტიკური ადაპტაცია დასრულებულია ე > ა, რაც ბუნებრივია აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში.

ასევე ქართულ-ქართველური **ნათლობა** „ნათვლა, მონათვლა“ (ქეგლ V: 1298), **ნათუა** (მეგრ.) „ნათვლა“ (ყიფშიძე 1914: 285) არის ამოსავალი აფხაზური **ა-ნათრა** „ნათლობა“ (ჯანაშია 1954: 202) სიტყვისთვის; ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვის აფხაზურში ქართულიდანაა შესვლას ადასტურებს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 141). საგულისხმოა, რომ აფხაზურში მოიპოვება საკუთრივ აფხაზური წარმოშობის **ა-ძაახრა** „მონათვლა“, ზედმ. „წყლის მოხვედრა, მისხურება“ (გვანცელაძე 2011: 287).

აფხაზური **ა-მარაან** „ნათლისღების ცერემონიალი“ (კასლანძია 2005: 664) სავარაუდოდ **მირონ-ს** უკავშირდება (იხ. ქვემოთ).

ერთ-ერთი ქრისტიანულ საიდუმლოებათაგანია **ჯვრისწერა** „საეკლესიო წესით დაქორწინება“ (ქეგლ VIII: 1585), რომელიც მეგრულში **გურგინუა** ზედმ. „დაგვირგვინება“, სვანურში კი **ლიგურგინე / ლიგურგუინე / ლიგურგუინე** „ჯვრისწერა“ (თოფურია 2000: 177) ფორმით გადმოიცემა. იგივე წარმოება გვაქვს აფხაზურში: **ა-გ°რგ°ენხაწარა** „დაგვირგვინება, გვირგვინის დადგმა“ (შაყრილი 1986: 165). ქართ. **გვირგვინი**, მეგრ. **გურგინი**, სვან. **გურგუინ** / **გურგუინ**, აფხ. **ა-გ°რგ°ენ** სიტყვათა ურთიერთმიმართებაზე იხ. შესამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა.

ჯვარი „ქრისტიანული კულტის სიმბოლო“ (ქეგლ VIII: 1580), **ჯუარი** „ესე არს ძელი გარდაჭდობილი სასიკვდილოთა კაცთა დასამსჭვალავად“ (საბა 1993: 464), **ჯვარი** (მეგრ.) „ჯვარი“ (ციფშიძე 1914: 412); **ჯუარ** / **ჯუარ** (სვან.) „ჯვარი“ (თოფურია 2000: 889) ფორმებიდან მომდინარეობს აფხაზური **ა-ჯარ** „ჯვარი“ (უსლარი 1887: 133); პ. უსლარი მიუთითებს, რომ აფხაზურში სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (იქვე); **ა-ჯარსახ** „ჯვრის სახე“ (ჯანაშია 1954: 447); კომპოზიტი (ორივე ინგრედიენტი) აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). შდრ. **ჯვარსახე** (მეგრ.) „პირჯვარი, პირჯვრის გადასახვა“ (ქობალია 2010: 738); **ჯვარი** შესულია აზერულში: **ჯუარ** „ჯვარი“ (აბრლ 1967: 210), ადიღეურში **ჯორ**, ყაზარდოულში **ჟორ** სახით (შაგიროვი 1989: 139).

ხატი „[არაბ. ხატ **„ხაზი; ნაწერი“**] 1. გარეგნობა, სახე; 2. ეკლ. ღვთაების ან წმინდანის სურათი...“ (ქეგლ VIII: 1353), **ხატი** / **ხანტი** „ხატი“ (ციფშიძე 1914: 399) – **ანგხა** „ხატი“; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 40).

მირონი „სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი; იხმარება ქრისტიანული ღვთისმსახურების დროს“ (ქეგლ V: 421), **მიჰრონი** (ძვ. ქართ.) „ნაკურთხი ზეთი“ (აბულაძე 1973: 255) ქართულში ნასესხებია, თუმცა აფხაზური **ა-მირან** „მირონი“ (ჯანაშია 1954: 191) ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე, 1999, 25). ვვარაუდობთ, რომ ამავე

წარმოშობის უნდა იყოს **ა-მარიან** „ნათლისღების ცერემონიალი“ (კასლანძია 2005: 664).

ქართული **ზედაშე** „წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ ზიარების დროს ან ჯვრისწერის წესის შესრულებისას“ (ქეგლ IV: 116) არის ამოსავალი აბჟურში გავრცელებული **ა-ზადაშ** „ზედაშე, ქვევრიდან პირველად ამოღებული ღვინო“ (გენკო 1998: 95) ფორმისთვის. მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ აბჟურში წარმოდგენილი ქართველიზმები ძირითადად მეგრულის გავლენითაა გაჩენილი, გვინდა შევნიშნოთ, რომ **ზედაშე** ფორმა მეგრულში არ გვხვდება, მის ნაცვლად **ნადუდა** ზედმ. „ნათავარი“ გვაქვს.

კანდელი „ძვ. სანათი, ლამპარი“ (ქეგლ IV: 1047), **კანდელი** (ძვ. ქართ.) „სანთელი“ (აბულაძე 1973: 191), **კანდელი** „ფრანგულია, ქართულად სანათი“ (საბა 1991: 350) არის ამოსავალი აფხაზური ფორმისთვის **ა-კანდელ** „კანდელი“ (ჯანაშია 1954: 141). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 141). შესაძლოა, ახალი შეთვისებულია აფხაზურში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტყვაში ე ხმოვანი არ გვექნებოდა, ის ა-დ უნდა გადაქცეულიყო.

ქართველური **საკმეველი** „ტროპიკული ხის გამონაჟური სურნელოვანი ფისი, რომელსაც ეკლესიაში აკმევენ ღვთისმსახურების დროს, – საკმეველი, გუნდრუკი“ (ქეგლ VI: 655), **საკმელი** / **სარკმელი** (მეგრ.)

„id.“ (ქაჯაია 2002: 571), **საკმეტელ / საკმელუ / საკმტელ / საკმეტელ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 25, 92) ფორმებიდან მომდინარეობს აფხაზური **ა-საკგმალ** „საკმეველი“ (ჯანაშია 1954: 253). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში შესულია ქართველურიდან (მაჭავარიანი 1966: 168). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **საკმეველ**-ისგან მიღებულ მეგრულ **ოკუმაფუ**-ს უკავშირდებოდეს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული აფხაზური **ა-ოკუმ** (იხ. ზემოთ).

სარეველი „1. ძვ. დასარევი მოწყობილობა“ (ქეგლ VI: 781), **სარეველი** „ლოცვად მისაწოდებელი“ (საბა 1993: 50) – **ა-სარკვალ** „დიდი ზარი“ (ჯანაშია 1954: 254), **ა-ზარკვალ** (კასლანძია 2005: 409); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 168); გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში: **ა-სარკვალ ბუე** „ზარის ხმა“ (რალ 1964: 234), **ა-სარკვალასკვ** „მნათე, ზარის მრეკავი“ (იქვე).

ბერძნულიდან შეთვისებული ერთი და იგივე სიტყვა გვაქვს ქართულსა და აფხაზურში: **მეტანია** „[ბ. მეტა[გ]ნოია მონანიება] მუხლის მოდრეკა და წელში მოღუნვა მიწამდე, იატაკამდე ლოცვისა ან ღვთისადმი ვედრების დროს“ (ქეგლ V: 200), **ა-მატანეირა** „მეტანიობა“. სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 2011: 340).

ქართულიდან არის შესული აფხაზურში ლიტურგიის თანმხლები **გალობა** „1. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, – სიმღერა, მღერა. 2. საეკლესიო სიმღერა, საგალობელი“ (ქეგლ II: 641), **გალობა** (მეგრ.) „გალობა“ (ჭარაია 1997: 47) > **ა-გალაზა** „გალობა“ (შაყრილი 1986: 130); სესხების მიმართულება დადგენილია ქ. ლომთათიძის მიერ (ლომთათიძე 1999: 25).

ბერძნულის მეშვეობით ძვ. ებრაულიდანაა შესული მთელ ქრისტიანულ სამყაროში **ამინ** „[ბერძ. **amēn**, ძვ. ებრაულიდან] 1. ეკლ. ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად. 2. ძვ. სასაუბრ. ითქმის დასტურის მნიშვნელობით“ (ქეგლ I: 310), **ამინ** „(ებრ.) „ჭეშმარიტად, ნამდვილად“ (ჩუბინაშვილი 1887: 25). აფხაზური **ამეძან** „აფხაზთა წარმართული ლოცვების დამამთავრებელი სიტყვაა“ (გენკო 1998: 15).

აქვე განვიხილავთ აფხაზურ საწესო სიმღერას **ბედნიერა** „საქორწილო სიმღერა“ (ჭარაია 2011: 44), **ბედნარა** (აბჟ.) „საქორწილო სიმღერა“ (შაყრილი 1986: 100). შდრ.: **ბედნიერება** „1. დიდი სიხარულისა და სრული კმაყოფილების განცდა, – ნეტარება, ლხენა, სიამე. 2. ყოველგვარი სიკეთითა და სიხარულით სავსე ყოფა, სრული კეთილდღეობა. 3. გადატ. კარგი ბედი, გაბედნიერება“ (ქეგლ I: 1021), **ბედნიერება** (ძვ. ქართ.) „ბედის ქონება“ (აბულაძე 1973: 30), **ბედნიერება** „ბედის მქონებლობა“ (საბა 1991: 101), **ბედინერა** (მეგრ.) „საბედნიერო, მაყრული სიმღერა ერთგვარი“ (ქობალია 2010: 60), **ბედნიერ** / **ბედნიარ** / **ბედნიერ** / **ბედნიარ** /

ბედნიერ (სვან.) „ბედნიერი“ (თოფურია 2000: 150). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25).

ნ. ჯანაშია საქორწინო რიტუალის აღწერისას მიუთითებს, რომ ქორწილის დროს მღერიან საქორწილო სიმღერას „**ორი დადე მოყუა**“ და სვამს კითხვას: „ხომ არ არის ეს ქართული „**ორი მდადე მოყვა**“ (ჯანაშია 1960: 99). ვვარაუდობთ, რომ ეთნოგრაფის მიერ დასმული შეკითხვა ლოგიკურია და აფხაზური სიმღერის ტექსტი ქართულია.

სასულიერო იერარქიის აღმნიშვნელი ტერმინები

ქართველურ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობა აისახა სასულიერო იერარქიის აღმნიშვნელ ტერმინში: **ჰყონდარი** (მეგრ.) „ჰყონდიდელი“ (ქაჯაია 2002-ა: 504) > **ა-ჰყანდარ** „ეპისკოპოსი“ (ჯანაშია 1954: 394); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ტერმინი აფხაზურში შესულია ქართულიდან (კლიმოვი 1986: 182). თუ დავაკონკრეტებთ, ეს სიტყვა აფხაზურს მეგრულიდან უსესხებია. **ჰყონდიდელ**-ის მეგრული შესატყვისი **ჰყონდიდარი** > **ჰყონდარ**-ია. სიტყვა აფხაზურისთვის დამახასიათებელი სესხების კანონების სრული დაცვითაა შესული (გვანცელაძე 1992: 11).

ასევე ძალზე საინტერესოა სასულიერო იერარქიის აღმნიშვნელი სხვა აფხაზური ტერმინების შედარება შესაბამის ქართულ მასალასთან:

მამა „1. კაცი თავისი შვილების მიმართ. 2. ძვ. კაცი, მამაკაცი... 8. რელიგ. კულტის მსახურთა, ბერთა და სხვ. სახელწოდება“ (ქეგლ V: 29) > **მამა** „ძვ. სასაუბ. მღვდელი, ხუცესი“ (ჯანაშია 1954: 183).

პაპა „ბერძულად მღვდელი“ (საბა 1991: 615), **პაპა** „(ბერძ.) ბაბუა, მამის მამა; სვანეთში მღვდელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1004), **პაპა** (მეგრ.) „მღვდელი“ (ყიფშიძე 1914: 296), **პაპაზი** (ლაზ.) „სასულიერო პირი, მღვდელი“ (ქლენტი 1938: 203), **ბაპ / პაპ** (სვან.) „მღვდელი“ (თოფურია 2000: 143) > **ა-პაპ** (აფხ.) „id.“; **პაპა** „პაპი (რომის)“ (შაყრილი 1987: 9). ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვის აფხაზურში შეთვისების შუალედური რგოლი მეგრულია (ჭარაია 1912: 10). გვხვდება კომპოზიტურ ტოპონიმი: **აპაპ(ი)კვარა** „მღვდლის ღელე“ – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელი (ცხადაია 2003: 21).

ბერი „1. ბებერი, მოხუცებული; 2. საეკლესიო ძმობის წევრი“ (ქეგლ I: 1032), **ბერი** (ძვ. ქართ.) „მოხუცებული, მონაზონი კაცი“ (აბულაძე 1973: 31), **ბერ** (სვან.) „ბერი“ (თოფურია 2000: 150) > **ა-ბერ** (აფხ.) „მონაზონი“; **ა-ბაირ** „id.“ (კასლანძია 2005: 218); სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში (ჭარაია 1912: 12).

დიაკვანი / დიაკონი „ეკლესიის მსახური, მღვდლის თანაშემწე, მედავითნე“ (ქეგლ III: 1160), **დიაკონი** (მეგრ.) „დიაკვანი“ (ციფშიძე 1914: 225), **დრკუტენ / დიაკენ / დრკონ / დიაკუტენ** (სვან.) „დიაკვანი“ (თოფურია 2000: 196) > **ა-დიკან** „id.“ (ჯანაშია 1954: 95); სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე 1976: 60).

აქვე განვიხილავთ კიდევ ერთ ტერმინს, რომელიც კულტის მსახურს აღნიშნავს: **ქადაგი** „1. ძვ. ხატის მსახური კაცი ან ქალი. 2. რისამე მოძღვრების მლალადებელი, მქადაგებელი, გამავრცელებელი სიტყვიერად“ (ქეგლ VII: 237), **ქადაგი** (მეგრ.) „წინასწარმეტყველი, წინასწარმჭვრეტი“ (ციფშიძე 1914: 341) – **ა-ქადაქჯგ** „ორატორი, ქადაგი“ (ჯანაშია 1954: 295); ვფიქრობთ, ამავე წარმოშობის უნდა იყოს **ა-ქადაქრა** “ყბედობა, ლაქლაქი” (კასლანძია 2005: 536).

საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები

ეკლესია [ბერძ. *ekklesiā* „შესაკრებელი“] „1. საგანგებო შენობა, სადაც იმართება ღვთისმსახურება, – საერთო სამლოცველო, საყდარი, ტაძარი. 2. ქრისტიანული ორგანიზაცია, შექმნილი ერთიანი რელიგიური დოგმატების საფუძველზე“ (ქეგლ III: 1305) > **ა-ეკლესია** „ეკლესია“; ბერძნული სიტყვა აფხაზურში შესულია ქართულის საშუალებით (შაგიროვი 1989: 141). ჩანს, აფხაზურში სიტყვა ახალი შესულია, მას არ აქვს გავლილი ფონეტიკური ადაპტაციის სრული გზა.

მონასტერი „[ბერძ. *monastērion*] ბერ-მონაზონთა საეკლესიო-საადგილმამულო ორგანიზაცია, თემი, რომელსაც აქვს თავისი მეურნეობა“ (ქეგლ V: 826) > **ა-მონასტერ** „მონასტერი“ (რალ 1964: 331). სავარაუდოდ, ეს სიტყვაც ახალი ნასესხებია, წინააღმდეგ შემთხვევაში სიტყვის ძირში ო ხმოვანი არ გვექნებოდა.

ოხვამე (მეგრ.) „ეკლესია, სალოცავი“ (ციფშიძე 1914: 401), **ლაჭუამ** / **ლაჭუამ** / **ლაჭუმი** (სვან.) „ეკლესია“ (თოფურია 2000: 377) > **ა-უახამა** „ეკლესია“ (უსლარი 1887: 164); მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (ჭარაია 1912: 14). სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია ამ სიტყვის აფხაზურში შეთვისების ქრონოლოგიური ზღვარი: მეგრულ ფორმაში არ ჩანს ამოსავალი *ჯ ფონემა, რომელიც ცოცხალია მის სვანურ შესატყვისში **ლაჭუამ**.

შესაბამისად, სიტყვა ნასესხებია მეგრულში მისი (ჭ ფონემის) დაკარგვის შემდეგ, არაუგვიანეს X-XIII საუკუნეებისა (გვანცელაძე 2011: 342). სიტყვა გვხვდება აფხაზურ ტოპონიმში **აჯიოხვამე** – სახნავი სააბაშიოში (ცხადაია 2003: 37). მ. ჩუხუას თვალსაზრისით საკუთრივ ქართ. **ხმოზა** : მეგრ. **ხვამა** „ლოცვა“ : სვან. **ჭუამ**- „ლოცვა“ სიტყვებისგან გამომდინარე საერთოქართველურ *ჭუამ-არქეტიპს უკავშირდება აფხაზური **ა-ჰარა** „თქმა, თხოვნა / ხვეწნა, ლოცვა“, ნახ. **მოჯ** „ჰანგი, ლექსი, სიმღერა“ (ჩუხუა 2000-2003: 410).

საყდარი / საყუდარი „1. საგანგებო შენობა, სადაც სრულდება ღვთისმსახურება, – ეკლესია, ტაძარი; 2. ძვ. მეფეთა და მღვდელმთავართა საჯდომი სკამი, – ტახტი, (ქეგლ VI: 876), **საყდარ** / **საყდარ** (სვან.) „საყდარი, ეკლესია“ (თოფურია 2000: 697) დაცულია აფხაზურ **ასაყდარა**-ში. ის ოჩამჩირის რ-ნის სოფ. მოქვში არსებული მიკროტოპონიმი. ტოპონიმის ძირეული მასალა აფხაზურს უსესხებია არა აპელატივის, არამედ ტოპონიმის სახით, უეჭველად განეკუთვნება სუბსტრატულ ქართველურ ფენას და აბჟუაში აფხაზთა დასახლებამდეა შექმნილი (გვანცელაძე 2002: 17).

ქართულ-აფხაზური კომპოზიტია მონასტრის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ბერთეფ** (რალ 1964: 331), **ა-ბაირთეფ** (კასლანძია 2005: 231). ეტიმოლოგიურად „ბერის ადგილს“ ნიშნავს.

კალენდრული ლექსიკა ქართველურსა და აფხაზურ ენებში

დროის საზომის, თვეებისა და დღეების აღმნიშვნელი სიტყვები ამ თავში განხილულია იმის გამო, რომ უმეტესწილად სიტყვის ნაწილად რელიგიური დღესასწაულის, ან წმინდანის სახელია გამოყენებული, თუმცა ხშირ შემთხვევაში რელიგიური შინაარსისაგან დაცლილია.

ორივე ენაში ნასესხებია **კალენდარი** „[ლათ. **calendarium**] „წელიწადის დღეების აღნიშვნის სისტემა“ (ქეგლ IV: 1032) ≈ **ა-კალენდარ** „კალენდარი“ (შაყრილი 1986: 294); **თარიღი** „რაიმე მოვლენის, ფაქტის მომხდარობის, რაიმე დოკუმენტის შექმნის დრო, აღნიშნული წერილობით“ (ქეგლ IV: 342) ≈ **ა-თაარგხ** / **ა-თჭრგხ** „ისტორია“ (ჯანაშია 1954: 115, 126)... შესაძლოა ეს სიტყვები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ესესხებინა ქართულსა და აფხაზურს.

ხანი „1. დროის მონაკვეთი; დრო, ჟამი. 2. ადამიანის ასაკი“ (ქეგლ VIII: 1329), **ხანი** (ძვ. ქართ.) „დრო“ (აბულაძე 1973: 560), **ხანი** (მეგრ.) „დრო“ (ყიფშიძე 1914: 397), **ხან** / **ხან** (სვან.) „ხანი“ (თოფურია 2000: 869) იგივეა, რაც აფხაზური **ა-ხაან** „დრო“, „ხანი“; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 42).

საერთო ძირი ჩანს ქართველურ **წელი** „1. წელთაღრიცხვის ერთეული, – თორმეტი თვე; 2. ასაკი, ხნოვანება; დროის მონაკვეთი, განკუთვნილი რაიმე გარკვეული საქმიანობისთვის“ (ქეგლ VIII: 1047), **წანა** (მეგრ.-ლაზ.) „წელი“, **წგ** (მეგრ.) „წელი, წელს“ (ციფშიძე 1914: 377) და **წგ-ფხ** „გასული წელი“ (ბლაჟბა 1948: 40); ხ. ბლაჟბა მიიჩნევს საერთო ქართველურ-აფხაზურ ძირად (იქვე).

საერთო ძირებია ქართულ **მწუხრი** „1. საღამოს ბინდი, შეღამება, შებინდება. 2. საღამოს ლოცვა“ (ქეგლ V: 1226) და აფხაზურ **ა-წხ** „ღამე“ (ჯანაშია 1954: 387) სიტყვებში; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 45), ს. ჯანაშია მიიჩნევს საერთო ქართველურ-აფხაზურ სიტყვად (ჯანაშია 1959: 15). მ. ჩუხუას მოჰყავს სხვა ფორმებიც: ქართ. **წუხელ**, ზან. **წოხოლე** / **წოხლე** „წინ, წინათ“, აბაზ. **წხგ**, ადიღ. **ჭ~აშ~გ** < ***ჭახ~გ**, ყაბ. **ჭას**, უბიხ. **ს'გს'** (ჩუხუა 2007-ა: 44).

წელიწადის დროების აღმნიშვნელ საერთო სიტყვათაგან მეგრულს აფხაზურიდან აქვს ნასესხები **აფუნი** „გაზაფხული“ (ციფშიძე 1914: 197), მომდინარეობს აფხაზური **ააფენ** „გაზაფხული“ (უსლარი 1887: 121) ფორმიდან (დაწვრილებით იხ. მწყემსური ლექსიკა).

ქართველური **ზაფხული** „წლის ყველაზე ცხელი დრო“ (ქეგლ IV: 105), **ზაფხული** „ჟამი სიცხეთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 514), **ზზარხული** (მეგრ.) „ზაფხული“ (ციფშიძე 1914: 203), **მაფხა** (ლაზ.) „ზაფხული; დარი“

(ქუთელია 1982: 64), **ლუფხუ** „გაზაფხული“ (თოფურია 2000: 498) და **ა-ფხენ** „ზაფხული“ საერთო წარმომავლობის სიტყვებად მიიჩნევა (ჭარაია 1912: 36); **ფხ**- ძირი სიტბოს აღნიშნავს როგორც აფხაზურში (ბლაჟბა 1948: 40), ასევე ქართველურში.

კვირის დღეების აღმნიშვნელ ტერმინთაგან საერთო ფორმები იკვეთება მეგრულ **თუთაშა** „ორშაბათი, მთვარის დღე“ (ყიფშიძე 1914: 229) და აფხაზურ **ა-შაზა** „ორშაბათი“ (ჯანაშია 1954: 338) სიტყვებში. ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით მეგრული და აფხაზური ფუძეები საერთო წარმოშობისა ჩანს (ლომთათიძე 2000-ბ: 127).

საბატონი (მეგრ.) „შაბათი“ (ყიფშიძე 1914: 519), **საფტინ / სამტინ** (სვან.) „შაბათი“ (საღლიანი 2005: 123) – **ა-საბშა** „შაბათი“ (შაყრილი 1987: 114), **ა-საბშაზ** „მიცვალებულთა მოხსენიება შაბათობით“ (ჯანაშია 1960: 84). ზედმ. „შაბათის წილი“. შდრ. **საბშა** (აბაზ.) „შაბათი“ (აბრლ 1967: 329). ივარაუდება, რომ კვირის დღეთა გამოხატვის აფხაზურ-აბაზურ სისტემაზე გავლენა იქონია შესაბამისმა მეგრულმა სისტემამ. მეგრულის ზეგავლენაზევე მიუთითებს **(ა)საბშა** „შაბათი“ სიტყვის გაცვეთილი **საბ** ელემენტის არსებობაც (გვანცელაძე 2000: 30). ქართულიდან შეთვისებული სიტყვა გვხვდება ადიღურშიც: **შაბათ / შამბათ** „შაბათი“ (შაგიროვი 1977-ა: 146).

რელიგიური შინაარსის სიტყვებია გამოყენებული თვეთა აღმნიშვნელ შემდეგ აფხაზურ სიტყვებში:

ხ~აჩხ~ამამზა „იანვარი“ (შაყრილი 1987: 260); სიტყვის პირველი ნაწილი **ხ~აჩხ~ამა** მეგრულია (იხ. ზემოთ), მეორე კი „თვის“ აღმნიშვნელი აფხაზური (**ა**)**მზა**. სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 141).

ხ~აჟ~კვენ-მზა „თებერვალი“ (ჯანაშია 1960: 26). თვემ ეს სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ რიტუალი თებერვალში სრულდებოდა (იქვე). აფხაზურ ფორმაში შემავალი **ხ~აჟ~** მიიჩნევა მეგრული **ხოზო**-ს ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია 1912: 15). **ხოზო** ≈ **ა-ხ~აჟ~ა**-ს შესახებ იხ. კულინარიული ლექსიკა.

პარტაბა / პერტაბა „ივნისი“; სიტყვა მეგრული **პერტობა**-დანაა („პეტრეობა“, იგულისხმება პეტრეპავლობა) შესული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 145). პეტრე-პავლობის დღესასწაული 29 ივნისს (ახ. სტ. 12 ივლისს) აღინიშნება, თვემაც აქედან მიიღო სახელი.

აფხაზური **კ~ვრკ~(ა)** „ივლისი“ მეგრული **კვირკვე** „ივლისი, კვირიკობისთვე“ (ყიფშიძე 1914: 256) სიტყვიდან მოდის (შაგიროვი 1989: 145). სახელწოდება უკავშირდება წმ. კვირიკეს ხსენების დღეს 15 (ახ. სტ. 28) ივლისს.

მარგუმეზა „აგვისტო, მარიამობისთვე“; სიტყვა აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან (შაგიროვი 1989:

145). შდრ. მარაშნა / მარაშენა „მარიამობა“ (ციფშიძე 1914: 276), მარაშინა / მარიაშინა (ლაზ.) „მარიამობისთვე, აგვისტო“ (ქუთელია 2005: 55). მეგრულ-ლაზური ფორმა ზედმიწევნით „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს.

ა-გ არგაბამზა „ნოემბერი“ (კასლანძია 2005: 280) ზედმიწევნით „გიორგობისთვეა“ და ისეა გაფორმებული, როგორც ქართული **გიორგობისთვე**, მეგრული **გერგობათუთა**. სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 145).

ქ გრსა-მზა „დეკემბერი“. სიტყვის პირველი ნაწილი **ქ გრსა** მეგრულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 141), ტერმინიც მეგრულის ანალოგიითაა წარმოქმნილი: მეგრ. **ქირსეთუთა** „ქრისტესთვე“.

ვვარაუდობთ, ქართულის კალკია აფხაზური **ნანჰამზა** „აგვისტო“ (კასლანძია 2005-ა: 10). **ნანჰა** „მარიამობა, ღვთისმშობლის მიძინება“ (იქვე). კომპოზიციის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „მარიამობისთვე“.

ასევე მეგრულის კალკია აფხაზური **ა-ბჩარამზა** „ოქტომბერი“ (ჯანაშია 2010: 37). **აბჩარა** „ღომის ცეხვა“, (**ამზა** „თვე“. მეგრულში ოქტომბერს **გიმათუთა** აღნიშნავს, ზედმიწევნით ნიშნავს „ღომის ცეხვის თვეს“.

საინტერესო პარალელები იკითხება ქართულ **ქველთობა** (მვ. ქართ.) „აგვისტოს თვის ძველი ქართული

სახელწოდება“ (ქეგლ VII: 305) და აფხაზურ **ქ'გთმზ / ქვათემზ** „მაისი“ ფორმებს შორის. აფხაზური კომპოზიციის მეორე ნაწილი (ა)მზა „თვეა“, პირველი კი ქართულ **ქველთ-ობა** ძირს უკავშირდება (ლომთათიძე 1976: 177; შაგიროვი 1989: 145).

თვეების სხვა სახელები ქართველურსა და აფხაზურში ნასესხებია, მაგრამ აფხაზურ ფორმებს ქართველურის გავლენა ეტყობათ:

იანვარი „კალენდრული წლის პირველი და ზამთრის მეორე თვე“ (ქეგლ IV: 529), **იანარი** (მეგრ.) „იანვარი“ (ციფშიძე 1914: 247), **იანუარ** (სვან.) „იანვარი“ (საღლიანი 2005: 18) – **იანარ / იანვარ** „იანვარი“ (ჯანაშია 1954: 133); სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე 1976: 63). ქართველურში კი შესულია ლათინურიდან **ianuarius** „იანვარი“.

თებერვალი „კალენდრული წლის მეორე (და ზამთრის) მესამე თვე“ (ქეგლ IV: 359), **ფრევალი** (მეგრ.) „თებერვალი“ (ქაჯაია 2002-ა: 110) – **ფერუალ** „თებერვალი“ (შაყრილი 1987: 33).

მაისი „[ლათ. **maius**-იდან] კალენდრული წლის მეხუთე თვე, – „ვარდობისა“ (ქეგლ V: 23), **მესი** (მეგრ.) „მაისი“, **მაის** (სვან.) „მაისი“ (საღლიანი 2005-ა: 249) – **მეს** „მაისი“ (კასლანძია 2005: 679). აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

ქართველურ-აფხაზური მითოლოგიური ლექსიკა

გველეშაპი „ზღაპრული საზარელი ცხოველი – ფრთიანი უზარმაზარი გველი; ურჩხული“ (ქეგლ II: 1437), **გუელეშაპი** „გველეშაპი“ (საბა 1991: 174), **გვერშაპი** (მეგრ.) „გველეშაპი“ (ყიფშიძე 1914: 216), **გუელაშაპ** / **გუელეშაპ** / **გელაშაპ** / **გოლერშაპ** / **გოლიერშაპ** / **გუელაშაპ** / **გუელიერშაპ** (სვან.) „გველეშაპი“ (თოფურია 2000: 180) – **ა-გოლშაპ** „გველეშაპი“ (ჯანაშია 1954: 84); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (გვანცელაძე 1997-ა: 221). ო. ძიძარას ვარაუდით, ქართულიდან ნასესხობა უნდა იყოს (ძიძარია 1989: 47).

დევი „[სპარ. დევ] მავნე ზღაპრული არსება“ (ქეგლ III: 1126), **დევი** (ძვ. ქართ.) „ემშაკი, „ვეშაპი“, ბოროტი, „გუელი“ (აბულაძე 1973: 139), **დევი** / **ნდევი** (მეგრ.) „დევი“ (ყიფშიძე 1914: 224), **დივი** (ლაზ.) „დევი“ (ქუთელია 1982: 47), **დჷჷ** / **დჷჷ** / **დჷჷ** (სვან.) „დევი“ (თოფურია 2000: 190) – **ა-დაჷ** / **ა-დაჷგ** „დევი“ (ჯანაშია 1954: 93); მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა ქართულსა და აფხაზურში აღმოსავლურენოვანი სამყაროდან არის შეთვისებული, აფხაზურში ქართულის მეშვეობითაა შესული. გამსესხებელ ენაში (აფხაზურისთვის მხოლოდ თურქული

თუ შეიძლება იყოს) ის **დივ** ფორმითაა წარმოდგენილი, აფხაზური კი ქართული **დევ**-ის ტრანსფორმაციითაა მიღებული. ქართულის გზით შეთვისებული სიტყვა გვხვდება აფხაზურ ტოპონიმიაში: **ა-დეტიჩკოვბართა / ადუიჩკვაბართა / ა-დტიცუკვაბართა** „დევის საბანაო“ – მღვიმე (ცხადაია 1999: 227).

როკაპი „1. კუდიანების უფროსი. 2. გადატ. უშნო, ავი და ყბედი დედაბერი“ (ქეგლ VI: 451) **როკაპი** „ჯადოქარი“ (ყიფშიძე 1914: 308) – **ა-რუპაპ** „როკაპი, კუდიანი ქალი“ (ჯანაშია 1960: 48), **ა-რუპან** „id.“ (რალ 1964: 229), **ა-რუფაფ** (ბზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 225). ნ. ჯანაშიას აფხაზური სიტყვის გვერდით მოჰყავს მეგრული ფორმა (ჯანაშია 1960: 48). აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 141). **ა-რუპაპ** „წითელნისკარტა მალრანი“ შეფერილობის გამოა შედარებული ავსულ, როკაპ დედაბერთან. ნასესხებ ვარიანტში უ-ს შენარჩუნება სესხების სიახლეზე მიგვითითებს (გვანცელაძე 2011: 327).

ქაჯი „[სპარ. ქაჯ „ყალბი“] 1. ავი სული, ეშმაკი; 2. გადატ. ეშმაკი, მაცდური ადამიანი; თავზე ხელაღებული, დამთხვეული“ (ქეგლ VII: 277), **ქაჯი** (მეგრ.) „ქაჯი, ავი სული“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქაჯ** (სვან.) „ქაჯი“ (სალლიანი 2005: 62) – **ა-ქაჭა** „ქაჯი“ (ჯანაშია 1954: 296), **ა-ქაჯაა** „id.“ (შაყრილი 1986: 349). გვაქვს ოსურშიც: **ქაძი** „ეშმაკი“ (აბაევი 1958: 566).

შეითანი „[არაბ. შაიტან] ეშმაკი, სატანა“ (ქეგლ VII: 809), შეითანი / შეიტანი (ლაზ.) „ეშმაკი“ (ჟენტი 1938: 212) – ა-შაითან (შაყრილი 1987: 484), ა-შაიტან „id.“ (შაგიროვი 1989: 82). შდრ. თურქ. (< არაბ.) *şeytan* „სატანა, დემონი“ (მაგაზანიკი 1945: 567).

ჯინი „[არაბ. ჯინნ] ავი სული, გრძნეული, დემონი“ (ქეგლ VIII: 1591) – ა-ჯენ „ჯინი, ავი სული“ (შაგიროვი 1989: 79). შდრ. თურქ. *cin* „ავი სული“ (მაგაზანიკი 1945: 101).

ისლამიზმები ქართველურსა და აფხაზურში

აფხაზეთში მაჰმადიანობა XVI საუკუნიდან ვრცელდება. აფხაზი ეთნოგრაფი ს. ზვანბა წერს: „მაჰმადის მოძღვრებამ ამ ქვეყანაში დააბნელა ჭეშმარიტი სარწმუნოების სხივი. ამჟამად აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი არის ქრისტიანი და ძალზე მცირე ნაწილი თვლის თავს მაჰმადიანად, ხოლო დანარჩენები წარმართები არიან“ (ზვანბა 1982: 24).

ისლამიზმები ქართველურსა და აფხაზურს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აქვთ ნასესხები. აფხაზურში აღმოსავლურენოვანი სამყაროდან შეთვისებული სიტყვები ძირითადად თურქულის მეშვეობით არის შესული. რამდენიმე სიტყვა გვხვდება ქართულშიც:

მოლა „[მაულან „ბატონი“] მუსლიმთა მღვდელი“ (ქეგლ V: 774) – **ა-მოლა** „მოლა“ (ჯანაშია 1954: 193).

მუსლიმანი / მუსულმანი „[არ.-სპ. **მუსლუმან**] ისლამის მიმდევარი, – მაჰმადიანი“ (ქეგლ V: 1161) – **ა-მსელმან** „მუსლიმანი, მაჰმადიანი“ (ჯანაშია 1954: 193).

რამაზანი „[არაბ. **რამადან**] მაჰმადიანთა მთვარის კალენდრის მეცხრე თვე, რომლის განმავლობაში ისინი ინახავენ მარხვას მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე“ (ქეგლ VI: 361) – **ა-რამაზან** „id,“ (შაგიროვი 1989: 81). შდრ. თურქ. **ramazan** „არაბული მთვარის კალენდრის მეცხრე თვე“ (მაგაზანიკი 1945: 498).

ხოჯა „[სპარ. **ხოჯა**] 1. საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე). 2. იგივე, რაც საჭურისი“ (ქეგლ VIII: 1502), **ხოჯა** „დიდვაჭარსა ჰქვიან“ (საბა 1993: 428) – **ა-ხოჯა** „ხოჯა“ (შაყრილი 1987: 274)

ჯამე „[არაბ. **ჯამე**] საკრებულო მეჩეთი“ (ქეგლ VIII: 1555) – **ა-ჯამა** “მეჩეთი, ჯამე” (რალ 1964: 326).

აქვე წარმოვადგენთ რამდენიმე ფორმას, რომელიც აღმოსავლურენოვანი სამყაროდანაა შესული ქართველურსა და აფხაზურში, მაგრამ მხოლოდ მუსლიმანური შინაარსის მატარებელი არ არის:

კულტურული კონცეპტის აღმნიშვნელი სიტყვა **ადათი** გვხვდება როგორც ქართველურ, ასევე აფხაზურ ენებში: **ადათი** „[არაბ. **ადათ** „ჩვეულება“] მამა-პაპათაგან დამკვიდრებული ჩვეულება, ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესი“ (ქეგლ I: 108), **ადეთი** (ლაზ.) „ადათი,

ჩვეულება“ (მარი 1910: 126), **ა-დათ** (აფხ.) „დათი, წესი“ (რალ 1964: 19) < **adet** (თურქ.-არაბ.) „წესი, ჩვეულება“ (მაგაზანიკი 1945: 16).

ნიშანი „2. მომასწავებელი, მაჩვენებელი“ (ქეგლ V: 1498), **ნიში / ნიშანი** (ძვ. ქართ.) „სასწაული, მაჩვენებელი“ (აბულაძე 1973: 329), **ნიშანი** „ნიში, სასწაული“ (საბა 1991: 595) – **ა-ნაშანა** „სასწაული“ (გვანცელაძე 2003-ა: 199).

შანა „ხატთა ზედა შებმული ფული, მინდობის ნიშანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1394), **შანა** (მეგრ.) „ქალის დასანიშნი ნივთი; ნიშანი; საქმროს საჩუქარი“ (ყიფშიძე 1914: 355), **შანა** (იმერ.) „თილისმა“ (ბეზარაშვილი 1978: 118) – **ა-შანა** (აბჟ.) „შანი“ (ჯანაშია 1954: 321); მეგრული ფორმა სპარსული წარმოშობის **ნიშან**-იდან მომდინარეობს. მეგრულიდან არის გადასული აფხაზურში. სხვათაშორის, აფხაზურში გვაქვს იგივე სიტყვა სხვადასხვა, ქართულის მსგავსი მნიშვნელობით – **ა-შანა** (აბჟ.) „ხალი“ (ბლაჟბა 1964: 218); **ხალ**-ის აღსანიშნავად აბჟურმა მეგრული ფორმა გამოიყენა. შდრ. მეგრ. **ნიშანი** „ხალი“ (ყიფშიძე 1914: 290).

ყიამათი / ყიამეთი „[არაბ. **კიამათ** „მეორედ მოსვლა“] ძნელი, უბედური, საზარელი, საშინელი“ (ქეგლ VII: 541) – **ა-კაამეთ** „1. ძვ. მეორედ მოსვლა, 2. საშინელება“ (ჯანაშია 1954: 139). ორივე ენისთვის ნასესხობაა, მაგრამ აფხაზური ფორმა თურქულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 2011: 49), ქართული კი, სავარაუდოდ, არაბულიდან.

ჯანდაბა „[არაბ. **ჯაჰან-ნამ**] ჯოჯოხეთი; მოუსაველეთი; უბედურება“ (ქეგელ VIII: 1558) – **ჯაჰანგმ** „ჯოჯოხეთი“ (რალ 1964: 19), **ჯანდაბა** „id.“ (შაგიროვი 1989: 141). უკანასკნელი ფორმა აფხაზურში შესულია ქართულიდან (იქვე). შდრ. **ჯაჰანამ** (აბაზ.) „ჯანდაბა“ (აბრლ 1967: 210).

თავი 2. მწყემსური ლექსიკა

ეთნოგრაფიულ-ლინგვისტურმა მასალებმა ქართველურ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის ამსახველი არაერთი საინტერესო მომენტი შემოგვინახა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ოდითგანვე მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი მესაქონლეობა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა. საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტი საერთო ფორმა, ორივე მიმართულებით მიმდინარე ნასესხობები ამ დარგშია წარმოდგენილი.

ენობრივი გავლენები, ურთიერთნასესხობანი, ფორმათა შეთვისების ქრონოლოგია ჩვენთვის მნიშვნელოვან არაერთ საკითხს ახლებურად წარმოგვიდგენს.

ჩვენ საგანგებოდ გამოვიკვლიეთ მეგრულ მესაქონლეთა ტრანსჰუმანსული მარშრუტები. ეთნოგრაფიული ხასიათისა და ჩვენს მიერ ველზე მოძიებული მასალები გვიჩვენებენ, რომ მეგრელი მწყემსების საზაფხულო (სააფუნო) სამოვრები იწყებოდა სამეგრელოს ტერიტორიიდან და გრძელდებოდა აფხაზეთ-სვანეთის ქედზე ყარაჩაიმდე (ბუკია 1999: 4). სწორედ აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს მეგრელი და აფხაზი მესაქონლეები, მათ გვერდიგვერდ ჰქონდათ საზაფხულო ბინები (კარეები და თიფუები), იცოდნენ ერთმანეთის ენა და აქტიური კონტაქტებიც ჰქონდათ.

ამ მიმართულებით კვლევისთვის ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს თ. სახოკიას „მოგზაურობანი“. ეს მასალა ჩაწერილია ხალხთან, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, ე. ი. არ წარმოადგენს მკვიდრი მოსახლეობის მეტყველებას. აშკარაა, ენობრივი ურთიერთგავლენის მიზეზია სამეურნეო დარგისთვის დამახასიათებელი მიგრაციის პროცესი. იმავე ეთნოგრაფთან აღწერილია ის გზა, რომელსაც მეგრელი მწყემსები გადიოდნენ ზაფხულობით ბარიდან სამურზაყანოს მთებში. ეს გზა მთებით თვით ყუბანის აუზამდე გრძელდებოდა. ამ გზებზე ხვდებოდნენ ერთმანეთს მეგრელი და აფხაზი მწყემსები, ამ გზებზე ეკონტაქტებოდნენ ისინი ერთმანეთს და ეს კონტაქტები იყო მიზეზი სამეტყველო კოდების შერევის ასე შორს წასული პროცესისა.

აფხაზები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. სამურზაყანოს მთიანეთის საძოვრები თითქმის მთლიანად მათი იყო. ზღვისპირა საზამთრო საძოვრებსაც ძირითადად ისინი იყენებდნენ. მეგრელი მწყემსები ძალაუნებურად აფხაზურსაც ითვისებდნენ (ცხადაია 2003: 140).

საინტერესოა, რომ მეგრულ მწყემსთა მეტყველებაში თავს იჩენს აფხაზური ლექსიკა, თუმცა მათი სემანტიკური კორელატები საკუთრივ მეგრულში გვაქვს. ანუ, მეგრულში გვაქვს საკუთრივ ამ ენისათვის ძირეული ფორმა, მაგრამ გამოყენებულია სინონიმური ფორმები, რომლებიც აფხაზიზმებითაა წარმოდგენილი.

მწყემსურ ლექსიკასთან დაკავშირებული ზოგადი ტერმინები

მწყემსური ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში განიხილება მეგრული **აფუნი** „გაზაფხული“ (ყიფშიძე 1914: 197), რომელიც აფხაზურიდანაა შეთვისებული და გამსესხებელ ენაში **ააფუნ** ფორმა აქვს და აფხაზურშიც „გაზაფხულს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 6). ამ ლექსემათა ურთიერთობას ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება (ჭარაია 1912: 18).

როგორც ჩანს, **აფუნი** აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთიანობის გათიშვის შემდეგ შეითვისა მეგრულმა, რაზეც ანლაუტის ა ხმოვანი მიგვანიშნებს: აბაზ. **ჭაფუნ**, აფხ. **ააფუნ** > მეგრ. **აფუნი**. აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროინდელ ნასესხობებში შენარჩუნებულია ოდინდელი ვითარება, კერძოდ, ანლაუტში წარმოდგენილია **ღ** თანხმოვანი, შდრ. აბაზ. **ჭანდა**, აფხ. **აანდა**, მაგრამ მეგრ. **ღანდა** „ღობე“. სესხების შემდეგ **ააფუნ** ფორმაში ლაბიალური **ფ**-ს შემდგომ პოზიციაში **გ** > **უ**.

მეგრულში სესხების შემდეგ ლექსემამ სემანტიკა რამდენადმე გაიფართოვა.

პირვანდელი „გაზაფხულის“ მნიშვნელობით **აფუნ**-ის გამოყენებას შედარებით ლოკალური ხასიათი აქვს და ძირითადად მთიან სამეგრელოშია დაცული. ძირითადად მეგრულში ამ მნიშვნელობით ქართველური წარმომობის **გაზარხული** დასტურდება.

აფუნი აქტიური, ფაქტობრივად უსინონიმო ფორმაა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში და ნიშნავს

საქონლის გარეკვის დროს საზაფხულო სამოვრებზე: აფუნქ ქიდიჭყუ „საქონლის გარეკვის დრო დადგა“ (წალენჯ.), „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკის დრო) დროს ტბას ნაპირად მატყლი გამოჰქონდა“ (სახოკია 1985: 376). ეთნოგრაფი იქვე განმარტავს: აფუნი „ცხვრის მთაზე გარეკვის დრო“ (იქვე: 363), ამ ლექსებიდან ნაწარმოები აფუნობა ნიშნავს „საზაფხულო საქონლის გარეკვას სამოვარზე“ (ელიავა 1997: 21); საფუნო „საზაფხულო სამოვარი მთაში, ე. ი. აფუნობის დროის სამოვარი მთის ზონაში“ (იქვე: 285).

აფუნი ისე საფუძვლიანად შემოვიდა მეგრულ მწყემსურ ლექსიკაში, რომ აქედან ქართულში გადავიდა და სამეცნიერო ტერმინადაც კი დამკვიდრდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ისევე, როგორც აფხაზურივე წარმოშობის აგვარა: სააფუნო „საზაფხულო სამოვარია“ (შამილაძე 1986: 152), აგვარა კი „სამეურნეო ნაგებობის ტიპი“ (იქვე).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა საანალიზო ლექსიკური ერთეულის კიდევ ერთი, მეტაფორული სემანტიკა – ის თავისუფლებას, გათავისუფლებას აღნიშნავს: ბაღანა აფუნგმა გუუტე „ბავშვი სათამაშოდ გავუშვი“ ზედმ. „ბავშვი აფუნზე (თავისუფლად) გავუშვი“; კუჩხგმა აფუნი ქიმიფჩი „ფეხზე გავიხადე“ ზედმ. „ფეხს აფუნი (თავისუფლება) მივეცი“. როგორც ჩანს, მეგრელთა ცნობიერებაში აფუნი იმთავითვე საქონლის საზაფხულო იალაღებზე გარეკვას, თავისუფლად გაშვებას, გათავისუფლებას უკავშირდებოდა.

ცნობილია, რომ სიტყვათა სესხების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ენობრივ კოლექტივთა მეზობლობაა. მიუხედავად მეგრული და აფხაზურენოვანი კოლექტივების დღევანდელი მეზობლობისა, ეს ლექსემა (ისევე, როგორც მესაქონლეობის სხვა ტერმინები) მეგრულში მეგრული მწყემსების შემოტანილი უნდა იყოს. მისი შეთვისება გაპირობებული უნდა ყოფილიყო მეგრული და აფხაზი მწყემსების ყოველდღიური ურთიერთობით მთაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ გვერდიგვერდ ჰქონდათ საზაფხულო კარები (კარვები) და თიფუები (მწყემსის ქოხები).

მეგრული აგვარობა „საქონლის საჩეხში შერეკვის სეზონი“ (ქობალაია 2010: 8) აფხაზური ა-გ^არა „ეზო“ (ჯანაშია 1954: 80) სიტყვიდანაა მიღებული. შდრ. აფხაზური ა-გ^არაწარა „საქონლის ბინაზე, სადგომზე მოსვლა“ (ჯანაშია 1954: 80) (ტერმინის შესახებ იხ. ქვემოთ).

აქვე განვიხილავთ მწყემსის პროფესიასთან დაკავშირებულ სიტყვებს.

აფხაზი ეთნოგრაფების მითითებით, მეგრულში გვაქვს ტერმინი ჩინორი „დაქირავებული მწყემსი“ (ბჟანია 1962: 89; ინალ-იფა 1986: 152). „მწყემსი. დინდარი კოჩი მათხილეს დეკენდენი, თის ჩინორს უმახდეს „მდიდარი კაცი მწყემსს რომ დაიკავებდა, იმას ჩინორს ემახდნენ“ (ქაჯაია 2002-ა: 310); მეგრულ სინამდვილეში (ჩვენს ხელთ არსებულ მასალებში, გარდა ო. ქაჯაიას ლექსიკონისა,

რომელიც აფხაზურ მასალას ეყრდნობა) ეს ტერმინი არ ჩანს. შემორჩენილია აფხაზურ ეთნოგრაფიულ მასალებში, სადაც მითითებულია, რომ აფხაზებში, მეტწილად სამხრეთში, ისევე, როგორც აბაზებსა და მეგრელებში გავრცელებული იყო მწყემსის დაქირავების წესი. ხშირად ფარას ახლდა **ჩინორი** „გარკვეული ვადით დაქირავებული მწყემსი“. შდრ. აფხ. **ა-ჩნგრ** „რამდენიმე წლით მწყემსად წასული კაცი“ (ჯანაშია 1954: 345; ბჟანია 1962: 93). **ჩინორი / ჩინორობა თავდაპირველი მნიშვნელობით კარგადაა დაცული აზუელ აფხაზებში** (ინალ-იფა 1986: 152). ტერმინი აბაზურში წარმოდგენილია **ჩენგრ** სახით. ვ. კვარჭიას აზრით, ფორმა უახლოვდება ოსურ **ჩნრუნ** „ცხოვრება“ < „საქონლის მოვლა“ (კვარჭია 1981: 117). ეს თვალსაზრისი ბევრ დაბრკოლებას ხვდება: გარდა იმისა, რომ სემანტიკური სიშორე ასახსნელია, დასასაბუთებელია მეგრულში **ი-სა** და **ო-ს** გაჩენის ლინგვისტური საფუძველი. ვთვლით, რომ ვ. კვარჭიასეული თვალსაზრისის მიღება გაჭირდება.

ყარული „ფარის მორიგე მწყემსი“ (ჯვ.) **ყარული / ყარულუ / ყარულული** „ყარაული“ (ქაჯაია 2002-ა: 207). თურქულიდან შეთვისებული სიტყვა ფართოდაა გავრცელებული ქართველურ და სხვა ენებში. შდრ. **ყარაული** „[თურქ.] დარაჯი“ (ქეგლ VII: 508); სვან. **ყნრტილ / ყარტილ / ყნრულ** „ყარაული, გუმბგი, დარაჯი“ (თოფურია 2000: 804); მეგრულს ტერმინი ქართულიდან აქვს ნასესხები გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით, კერძოდ, გამარტივებულია ქართული ფორმის **-აუ-**

ხმოვანთკომპლექსი, -ა- ჩავარდნილია. სიტყვა შეთვისებული აქვს აფხაზურს: ა-ყარულ „დარაჯი, ყარული“ (ბლაჟბა 1964: 559). თუმცა ტერმინი თურქულია (**karagül** „დარაჯი“ (მაგაზანიკი 1945: 315), მაგრამ ჩანს, აფხაზურისთვის სესხების შუალედურ რგოლს მეგრული წარმოადგენს, რადგან აფხაზურისთვის დამახასიათებელი ზოგადობის ა- პრეფიქსი „გამეგრულეზულ“ ფორმაზეა დართული.

საზაფხულო სამოვრებზე მწყემსთა შორის მნიშვნელოვანი ფიგურა იყო **მაჯინუ** „მონადირე“ (შამილაძე 1974: 75). მისი ფუნქცია იყო კარვის მომარაგება საკვებით (ნანადირევით), აგრეთვე საქონლის დაცვა მტაცებელ-ნადირთაგან (იქვე). ამის გამო ამ სემანტიკურ ჯგუფში განვიხილავთ ქართულიდან აფხაზურში შეთვისებულ სიტყვას ა-მარკალ „ნადირის გამომრეკავი ნადირობის დროს“ (ჯანაშია 1954: 185), ამოსავალია ქართული **მარეკი** „ნადირობისას ნადირის მომრეკი, მომდენი“ (ქეგლ V: 57) < ***მარეკელი**.

აფხაზურში მდიდრადაა წარმოდგენილი ე. წ. „ტყის ენა“. მისი კუთვნილებაა ა-გ^აჭ / ა-გ^აჭა „უმცროსი მწყემსი“ (ბჟანია 1962: 78; შაყრილი 1986: 156). სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში და ამოსავალია **გოჭი** „ღორის შვილი ოთხი თვის ასაკამდე“ (ქეგლ II: 1478); შდრ. სვან. **გოჭ** / **გუეჭ** / **გეჭ** „გოჭი“ (თოფურია 2000: 181).

სადგომი სააფუნო საძოვარზე, მწყემსის ქოხი და აღჭურვილობა

საგულისხმოა, რომ ყველაზე მეტი ნასესხობა აფხაზურიდან წარმოდგენილია მწყემსისა და საქონლის სააფუნო სადგომის აღმნიშვნელ ტერმინებში:

აგვარა / ანგვარა (მეგრ.) „საქონლის შესადენი და დასამწყვდევი“ (ყიფშიძე 1914: 192), „გადაუხურავად შემოღობილი ადგილი ღამით საქონლის დასამწყვდევად“ (ჯვ., მარტვ., წალენჯ., ზუგდ.), **აგორა** (სვან.) „საქონლის ბაკი“ (თოფურია 2000: 25) – **ა-გარა** „ეზო“ (ჯანაშია 1954: 80), **ა-გარ** (ზზ.) „id.“ (კვარჯია 1981: 60). სიტყვა მეგრულში აფხაზურიდან შესულად მიაჩნია გ. კლიმოვს (კლიმოვი 1986: 182). გვაქვს სხვა აფხაზურ-ჩერქეზულ ენებშიც: **გარა** (აბაზ.), **გალა** (უბიხ.) „ეზო“ (შაგიროვი 1982: 125); შეიძლება გვევარაუდა, რომ აფხაზური **(ა)გარა** ქართული **გორა** სიტყვისაგან მომდინარეობს **გო** მარცვლის ლაბიალიზაციით და **ა** ხმოვნის გაჩენით. მით უმეტეს, მეგრულში **გორა გვალა-ა**. სემანტიკა აქ დაბრკოლებას ვერ ქმნის. არქ. ლამბერტის აღწერით, აფხაზები XVI ს. I ნახევარში ცხოვრობდნენ თხრილშემოვლებულ გორებზე პატარ-პატარა ჯგუფებად (ლამბერტი 1938: 168). თუმცა ამ ვარაუდს დაბრკოლებას უქმნის აფხაზურ-უბიხური **რ : ღ** შესატყვისობა, რომელიც ძირეულ, არანასესხებ მასალაში დასტურდება. ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად შეიძლება არც იყოს აფხაზური, მაგრამ მეგრულში აშკარად აფხაზურიდანაა ნასესხები, რაზეც

აფხაზურისთვის დამახასიათებელი სახელთა ზოგადი ფორმის ა- პრეფიქსის არსებობა მიანიშნებს. ეს აფხაზური პრეფიქსი შენარჩუნებულია მეგრულში. წ. ბჟანიას მოჰყავს პარალელები: მეგრული **აგვარა** „საქონლის სადგომი“, გურული **აგვართა** „მწყემსის ქობი“, ადიღური **გუართან** „ჯოგი“, აგრეთვე რუსული **гурты** „მსხვილფეხა საქონლის ჯოგი“ (ბჟანია 1962: 103). ეს ფორმა გვაქვს სვანურშიც **აგორან** (ლენტ.) „საქონლის ბაკი“ (თოფურია 2000: 25). ი. ყიფშიძე მეგრულ **აგვარა**-სთვის ამოსავალ ფორმას მიიჩნევს აფხაზურ **აბოტრა**-ს (ყიფშიძე 1914: 192), რაც არ მიგვაჩნია მართებულად. მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის მიხედვით რიგ შემთხვევაში უკანაენისმიერი **გ**-ს წინ განვითარებულია **ნ** სონორი: **აგვარა** > / **ანგვარა**; შდრ.: ქართ. **მაგარი** > მეგრ. **მანგარი**, ქართ. **უნაგირი** > მეგრ. **უნანგირი** (ბუკია 1999: 138).

აფხაზურიდან ქართველურში შეთვისებული სიტყვა დამკვიდრდა ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში: ვ. შამილაძის მითითებით, მეგრულ მეჯოგე-მესაქონლეთა საკარვო მეურნეობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო საქონლის შესარეკი დიდი ზომის **აგვარა** (შამილაძე 1974: 68).

ა-გ^არა-სგან არის მიღებული **აგვართა** „ჯოგი“ (ჭარაია 1997: 33). **-თა** სივრცის, მოზღლედული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინია აფხაზურში. თავდაპირველი სემანტიკა იქნებოდა „შემოღობილი ადგილი“, შემდეგ „ჯოგი“, რომელიც **ახკარა**-ში, შემოღობილში იმყოფებოდა, აქედან კი, ზოგადად „ჯოგი“. **-თა** სუფიქსი ამგვარი ფუნქციით გამოიყენება აფხაზურ სახელებში

(შდრ. ავნგ „სახლი“ > ავნათა „ოჯახი, სახლობა“). ტერმინი წარმოდგენილია აფხაზურის მონათესავე ენებშიც: აბაზ. გ^ართა, ადიღ. გ^ართ ყაბარდ. გ^ართ^ა „ჯოგი“ (შაყრილი 1968: 67). ვ. კვარჭია აფხაზურ სიტყვას უკავშირებს მეგრულსა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში გავრცელებულ ქართა / ქალტა-ს, რაც არ არის დამაჯერებელი.

აგვართა აფხაზურიდან შესულია მეგრულში და გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა (აგვართა ორინჯი „ჯოგი, მრავალი საქონელი ერთად“), ხალხის კრებულის, ბრბოს მნიშვნელობითაც გამოიყენება. ხშირად გვხვდება მეტათეზირებული ფორმით: აგვართა > / არგვათა (ყიფშიძე 1914: 196). სიტყვა მეგრულის საშუალებით შესულია გურულ დიალექტში და ნიშნავს „მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულო ქობს მთაში ან ტყეში“ (ღლონტი 1984: 22). აგვართა და მისი სემანტიკური გადაწევით მიღებული გვართა „ზვინი“, გვართუა „დაზვინვა“ გვხვდება მეგრულ ტოპონიმიაში: ნააგვართ / ნააგვართ / ხუტუმ ნააგვართ „სახნავი ერისწყლის მარჯვენა სანაპიროზე“ (ცხადია 1999-ა: 229).

ბ. ჯანაშიას განმარტებით, ახკარა „შემოღობილი ადგილია, რომელიც ეზოს აკრავს“ (ჯანაშია 1954: 415). წ. ბჟანიას მიხედვით კი „ცხენების ღია სადგომი“ (ბჟანია 1962: 30, 102). გვხვდება ბზიფურში ამ დიალექტისთვის დამახასიათებელი თანხმონით: ა-ხ^აკარა (შაყრილი 1985: 13). აქედანაა შეთვისებული მეგრულში: აკარა / ახკარა / ხეკარა „შემოღობილი ადგილი, სადაც ზაფხულში საქონელი ჰყავთ“ (ქაჯაია 2001: 207; ქობალია 2010: 15).

მეგრულში შემოსვლის შემდეგ სიტყვამ რამდენიმე ფორმა მიიღო. ჯერ –აა- კომპლექსში დაიკარგა ა ხმოვანი, შემდგომ ცალკეულ შემთხვევაში –ბკ- კომპლექსიც გამარტივდა > კ (ბუკია 1999: 139); სიტყვა დასტურდება მეგრულ ტოპონიმაში: **ნაახკარ** – 1. მინდორი ნაგვალოუში, 2. ჩაის ფართობი ოქუმწყარის მარცხ. მხარეს (ცხადაია 2003: 101), **ხკარა** – ტყე ხკარაშ ღალის ნაპირებზე (იქვე: 220), **ფარნაშ ხკარა** (ცხადაია 1999-ა: 16) ჰიბრიდული ტოპონიმია (ბუკია 2007-ა: 51). იხ. აგრეთვე **ხვითიშ ხკარა** – სამოვარი ხვითის ნაპირას (ცხადაია 2003: 217), **ხკარაშ ღალ** – ობარხალაის ზემო წელი (იქვე: 220), **ახკარა** – ფერდობი საგერგედაში (ცხადაია 2004-ა: 243). შდრ. ჯავახურ დიალექტში დაცული **ახრა** „სამოვარზე პირუტყვის სადგომი, რომელიც შემოზღუდული არ არის“. თუ ეს ფორმა სპარსულიდან ნასესხები **ახორ-** / **ახურ-**ის ფონეტიკური სახენაცვალი არ არის და შესაძლებელია აფხაზურ ფორმას (ა-**ხკარა**-ს) დაუკავშირდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ვარიანტთა დამკვიდრება უნდა მივაწეროთ მეგრულ მეჯოგეებს, რომლებსაც საქონელი ძალიან შორს მიჰყავდათ – ჩრდილოეთით აფხაზეთ-სვანეთის ქედით ყარაჩაიმდე და სამხრეთით – მესხეთ-ჯავახეთამდე (შამილაძე 1974: 58).

აფხაზურიდანაა შეთვისებული მეგრულში **აფთარა** „ქართა, საქონლის დასამწყვდევი შემოღობილი ადგილი“ (ქაჯაია 2001: 199); **აფთურა** „თხისა და ცხვრის საზამთრო ბინა ფერდობ ადგილებში“ (ჯვ.). **აფთარა** / **აფთარა** „ქართა, საქონლის დასამწყვდევად შემოღობილი ადგილი“ (ინფ.) / **აფთურა** „უშობელი საქონლისათვის შემოკავებული

ადგილი“ (ინფ.) აფხაზური **აფთარა** „მწყემსების საზამთრო სადგომი ადგილია“ (ჯანაშია 1954: 6). სიტყვა ხშირად გვხვდება მეგრულ ტოპონიმებში: **აფთარა / ნააფთარუ** – დავაკება ტარჩის სათავესთან (სოფ. სამესხიო);; **აფთარა** – ტყე სოფ. ნაცატუში, სოფ. ჯაპშაქარაში.; **ნააფთერ** – ტყე სოფ. ალერტკარში, ახალ აბასთუმანში; **ნაოფთერ** – კუნძული ენგურზე; **ნაოფთურ** – სახნავი საჯობაში, რუხში; **ნაოფთურა** – ფერდობი სოფ. ხეთაში; **ნაოფთურუ** – ბორცვი სოფ. ჯიხაშკარში; **ნაფთურუ** – ფერდობი სოფ. ურთაში; **ნაფთერ** – ფერდობი ნემგოლასთან (სოფ. საკვიკვინიო); **ოფთურე** (< **აფთურა**) – მინდორი საჯობაში. აფხაზური სიტყვა დადასტურებულია სხვადასხვა ფორმითა და ოდნავ განსხვავებული შინაარსით ჩრდილოეთ სამეგრელოში – წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის რაიონებში (ცხადაია 1999: 16).

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ერთი მხრივ, მეგრული **თბუ / თიბი / თიფუ / თეფე** „საქონლის სადგომი“ და, მეორე მხრივ, აფხაზური **ა-თეფე** „მწყემსის საზაფხულო სადგომი“ (ბჟანია 1962: 105); „ფარის სადგომი“ (კვარჭია 1981: 45; ინალ-იფა 1986: 234).

საქონლის სადგომისა და მწყემსის საზაფხულო კარვის აღმნიშვნელი **თიფუ** მეგრულში პოლისემანტიკური სიტყვაა. მისი პირველი მნიშვნელობა საერთოქართველური წარმომავლობისაა და უკავშირდება **თივა-ს**. შდრ. ქართ. **თიბვა** : მეგრ. **თიფუა**; ქართ. **თივა** : მეგრ.-ლაზ. **თიფუ**. ეს ლექსემა ქართულიდან აქვს ნასესხები აფხაზურს და ფონეტიკური ტრანსფორმაციის

შემდეგ **ა-თა** ფორმითაა დამკვიდრებული (ჯანაშია 1954: 131). აქ სესხების მიმართულება ეჭვს არ იწვევს.

მეორე მნიშვნელობით, მწყემსის ბინის აღსანიშნავად **თიფუ** მეგრულში ფონეტიკური ვარიანტებითა და სემანტიკური გრადაციების სახით გვხვდება: **თიფუ** „მწყემსის ბინა“ (სახოკია 1985: 355), „მწყემსის თავშესაფარი იალაღებზე“ (ციფშიძე 1914: 243), **თფფე** „ადგილი, სადაც მთელი სამწყსო დგას“, **თიბი / თბუ** „ადგილი, სადაც ცხვარი დგას“ (ჯავახიშვილი 1986: 216). იგივე ტერმინი გვხვდება აფხაზურში **ა-თფფ** სახით და გარდა ზემოთ აღნიშნული სემანტიკისა, კერძოდ, მწყემსის სადგომისა, ნიშნავს ადგილს, სამსახურს (ჯანაშია 1954: 130). ასევე ვინმეს მდგომარეობას, თანამდებობას, სამსახურის, ანაბეჭდს (კასლანძია 2005-ა: 223). ტერმინი წარმოდგენილია აბაზურში **თფფ** „ქობი“, „რამის ადგილი“. ვ. კვარჭია ტერმინის სეგმენტაციას ასე აკეთებს: **ა-თფ** „ადგილი“ და **-ფ-** (**ია-ფ-უ**) „მუდმივი, ტრადიციული“ (კვარჭია 1981: 113). ჩვენთვის ეს სეგმენტაცია და ეტიმოლოგია ბუნდოვანია.

თუ პირველ შემთხვევაში **თიფა-სა** და **ა-თა-ს** ურთიერთმიმართებისას სესხების მიმართულება უეჭველია, იმავეს ვერ ვიტყვით მეგრულ-აფხაზურ **თიფუ** : **ა-თფფ-ს**თან დაკავშირებით. ყოველშემთხვევაში, დღემდე დადგენილი სესხებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები რაიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას ვერ გვაძლევს. ჩვენთვის ეს მთის ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ტერმინია (ყველა ინფორმატორი ამ ტერმინს სააფუნო საძოვრებს უკავშირებს). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ლექსემა არ

გვაქვს ლაზურში, ვერ აისახა ვერცერთ მეგრულ ლექსიკონში. მეტიც, ბარის სამეგრელოში ამ ტერმინს ამ მნიშვნელობით არ იცნობენ. ვვარაუდობთ, რომ ეს სიტყვა მეგრულში აფხაზურიდანაა შესული (ბუკია 2002: 53). გვხვდება ტოპონიმად: **ნათეფ** – სახნავი საგამსახურდიოში (ცხადაია 2003: 105), ჰიბრიდულ ტოპონიმებში **დოდონი** **ნათეფ** „დოდონის ნაკარვალი“ – დავაკება გვალაიასა და ოფუჯეს შორის, იქვე არის **ჯამაშ ნათეფ** (იქვე, 64), **ჭყონი** **თეფ** – დავაკება აქედგრაში (იქვე, 214), **აკურტანეთეფ** – ტყე ლაშქინდარის კალთაზე (იქვე, 17); **(ა)კურტან** აფხაზურში ქართულის მეშვეობითაა შესული; სხვა ტოპონიმები: **ნათიფ** / **ქვაცამ ნათიფუ** – სამოვარი შანდიაშ გვალაში, **დიდი თეფ** – ტყე-სამოვარი გაჭედილის სატყეოში, **ქუაშ თიფუ** / **ქუათეფ** – სამოვარი ლეჩქხაში, **ოთარათეფ(უ)** – სამოვარი ოხაჩქუეს კალთაზე (ცხადაია 2004-ა: 244).

კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ქართველურსა და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში: **აბურა** / **აბურა** / **ამბური** (მეგრ.) „ბოსელი, საძროხე“ (ჭარაია 1997: 35), **აბორა** (ლაზ.) „ცხენის სადგომი“ (ჟღენტე 1938: 177), **აბორა** (აფხ.) „მსხვილფეხა საქონლის სადგომი“ (არშბა 1980: 15), **აბორ** / **აბოურა** (აფხ.) „საქონლის სადგომი“, **ბორა** (აბაზ.) „ბოსელი, გომური“, **ბოუ** (ყაზარდ.) „გადახურული სადგომი ცხენებისა და კამეჩებისათვის“, **ბგ** (ადიღ.) „სორო, ბუნაგი“, **ბაუ** (ბალყ.) „გომური“ (კვარჭია 1981: 86); ქართველურ-აფხაზური სიტყვების მსგავსებას პირველად პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება (ჭარაია 1912: 20); მიიჩნევა, რომ სიტყვა

სპარსული წარმოშობისაა (კვარჭია 1981: 127). ა. შაგიროვი აყენებს ამ სიტყვის სლავურთან დაკავშირების ჰიპოთეზას (ამოსავლად სლავური მიაჩნია) და ადარებს რუსულ **ობორა** „ეზო“, სლოვენურ **ობორ** „ღობე“, ბულგ. **ობორ**, პოლონ. **ობორა** „ბაკი, საქონლის სადგომი“ ფორმებს (შაგიროვი 1989: 8). გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ადიღეურიდანაა შესული (კლიმოვი 1968: 292). სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა მითითებული, რომ ტერმინი მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული (ჭარაია 1912: 20; ზჟანია 1962: 108; კვარჭია 1981: 86), მაგრამ სპარსული ა- ხმოვნით დაწყებული **ამბურ** / **აბურ** ვარიანტები და ლაზურში **აბორა**-ს არსებობა ეჭვქვეშ აყენებს მეგრულისათვის სესხების შუალედურ რგოლად აფხაზური ენის ჩათვლას (ბუკია 1999: 136).

საქონლის სადგომის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი უსესხებია აფხაზურს ტოპონიმად: ქართული **საჩეხი** / **საჩეხე** „ეზოში (სახლის უკან) შემოღობილი ადგილი პირუტყვის სადგომად, შეშის დასაწყობად“... (ქეგლ VI: 897), **საჩეხი** „დერეფანთა ზედა, ფანჯარათა და შესავალთა კართა ზედა ჩამოფარებული ფიცრული“ (ჩუბინაშვილი 1887: 1139) აფხაზურში დამკვიდრდა **ასაჩეხ** / **აჩაჩეხ** ფორმით. ეს უკანასკნელი მიკროტოპონიმია ოჩამჩირის რ-ნის სოფ. გუფაგუში; ტოპონიმის ძირეული მასალა აფხაზურს უსესხებია არა აპელატივის, არამედ ტოპონიმის სახით, უეჭველად განეკუთვნება სუბსტრატულ ქართველურ ფენას და

აბჟუაში აფხაზთა დასახლებამდეა შექმნილი (გვანცელაძე 2002: 17).

ამ დარგის კიდევ ერთი ქართველური ტერმინი გვხვდება აფხაზურში: **ქართა** „მოლობილი საქონლის სამწყვდევა“ (ქეგლ VII: 262), **ქართა** (მეგრ.) „საზაფხულო ბაკი“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქართა / ქეთა** (მეგრ.) „მჭიდროდ დასახლებული ადგილი; ქალაქი“ (ქობალია 2010: 632), **ქართუა** (მეგრ.) „შეკვრა, შებოჭვა“ (ქაჯაია 2002-ა: 128), **ქერთ-** (სვან.) „ღობვა“, **ლი-ქერთ-ე** (სვან.) „შემოლობილი“. ამ სიტყვისგან მიღებული აფხაზური **ა-ქეთა** „სოფელი“ (ჯანაშია 1954: 307); გვაქვს აზაზურშიც: **ქეთ** „სოფელი“. აფხაზური ფორმა ზანიზმია (ჩუხუა 2000-2003: 261).

ქართა / ქალტა ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში **ქალტა / ქართა** (იმერ.) „ბაკი“ (ლეონიძე 1925: 76); გურ. **ქალტა** „შემოლობილი ჩიხი საქონლისათვის“ (ჟღენტი 1936: 248); ზემოიმერ. **ქართა** „იგივეა, რაც საჩეხი“ (ძოწენიძე 1974: 400); რაჭ. **ქართა** „წვნილით შემოლობილი საქონლის საზაფხულო სადგომი“ (კობახიძე 1987: 109). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიძლება ეს ვარიანტი ზანიზმად განვიხილოთ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (დანელია 1991: 608).

უნდა აღინიშნოს, რომ **ქართა** „ეზოს, ქალაქის“ მნიშვნელობით ბევრ ენაში გვხვდება. „მისი გავრცელების დიაპაზონი ძალზე დიდია, – წერს ვ. აბაევი თავის ნაშრომში „ოსური ენა და ფოლკლორი“, – ფინურ-უნგრული ენებიდან და ჩუვაშურიდან ოსურის, ჩეჩნურის, ინგუშურის გავლით სომხურამდე: მორდ.

ქარდას, ჩუვამ. ქარდა, უნგრ. ქერთ, ოსური ქართ, ჩეჩნ. ქერთ. სომხურში ტოპონიმებში შემავალი ქერთ შეესატყვისება რუსულ город -ს. შდრ. ისტორიული ტოპონიმი ტიგრანო-ქართა თანამედროვე სტეპანოკერტ. „მწელია გადაჭრით ითქვას, საიდან მომდინარეობს ეს სიტყვა. შეიძლება აქვე დავასახელოთ რუსული город, ამოსავალი ოგრადა „შემოკავებული ადგილი“, ლიტვ. გარდას „ეზო“, ძვ.,-საშ. გერმ. გარდრ „ქალაქგარეთ“, გოთ. გარდს „ეზო“, ჩეხ. ჰრად „სიმაგრე, საზღვარი“, ლათ. ჰორტუს „ბოსტანი, ბაღი“, ბერძ. ქორტოს „შემოკავებული მოედანი“, „სამოვარი“, ფრიგ. გორდუმ, ხეთ. გურთა „გამაგრებული ადგილი, სიმაგრე, ქალაქი“ (კვარჭია 1981: 111-112). „არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი კულტურული ტერმინი, რომელიც წარმოდგენს ოსურ, უნგრო-ფინურ, კავკასიურ ენათა საერთო საკუთრებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება ქართ. ცალკეული სიტყვების წარმომავლობის დადგენა ჭირს, მაგრამ აშკარაა, რომ მათ გარცელებაში დიდი როლი ითამაშა სკვითურ-სარმატულმა... კავკასიურ ენებში: ჩეჩნ. ქერთ, ინგ. ქართ, ქართ. (დას. დიალექტ.) ქართა, ქალტა, მეგრ. ქართა“ (აბაევი 1957: 587).

მწყემსის სააფუნო სადგომში მნიშვნელოვანი ადგილი იყო კოცონის დასანთები ადგილი ქუმხარა / ქუმუხარა (ჯავახიშვილი 1986: 216; შამილაძე 1974: 70; მარტვ.), მას საკუთარი ზედამხედველი ჰყავდა მექუმხარე (იქვე). ვფიქრობთ, ამ ტერმინის ანალიზისას ვერ გავექვევით იმავე სემანტიკის მქონე ა-ფემფხ~არა-ს გათვალისწინებას (ბჟანია 1962: 49). აფხაზური ტერმინი

კომპოზიტია. **ა-ფგფშარა** “თვალყურის დევნას” ნიშნავს, **ა-ფხ~არა** “ლამისთევას” (იქვე). დასადგენია სესხების ფონოტაქტიკის წესები, კერძოდ, **ფ > ქ**. უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზურ ეთნოგრაფიულ მასალაში დაფიქსირებულია **ა-ფგმფხ~არა**-დან მიღებული მეგრული **თამხარა** (იქვე). ეთნოგრაფი აღნიშნავს, რომ მეგრელი მწყემსებიც სარგებლობდნენ ამ ტერმინით და მიუთითებს ჩვენს მიერ აღნიშნული ფორმას (**თამხარა**). ჩანს, ხდება ფშვინვიერთა მონაცვლეობა **ფ > თ > ქ**.

ამ შეხედულების გაზიარებაში ხელს გვიშლის რიგი მოვლენები: მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური ეტიმოლოგია თითქოს დადგენილია, რასაც ვერ ვიტყვით იმ შემთხვევისათვის, თუ ამოსავალ ფორმად მეგრულს მივიჩნევდით, ტერმინის აფხაზურ წარმომავლობაზე ეჭვს ბადებს რამდენიმე დეტალი. ჯერ ერთი, გასარკვევია, საიდან გაჩნდა ძირეულ აფხაზურ სიტყვაში პალატალიზებული უკანაენისმიერი. დადგენილია, რომ უკანაენისმიერთა პალატალიზაცია აფხაზურში მხოლოდ შეთვისებულ ფორმებში ხდება (ლომთათიძე 1976: 170). გარდა ამისა, ასევე დადგენილია, რომ „საკმაოდ ხშირად ქართველურ ენებში ბაგისმიერ ხშულთა სამეული **ბ ფ პ** იქა გვაქვს, სადაც ამოსავალში სავარაუდებელია შესაბამისი გვარობის უკანაენისმიერი ან ფარინგალური ხშული, რომელსაც მოსდევს ლაბიალური **ვ / უ** (ე. ი. იქმნება ლაბიალური კომპლექსი)... მსგავსი ბგერათცვლილებები ცნობილია სხვადასხვა ოჯახის ენებში. კერძოდ, დასტურდება ინდოევროპულ ენებში; ფართოდაა გავრცელებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (ლომთათიძე 1996: 37). ამგვარ ცვლილებებს

ხშირად სისტემური ხასიათი აქვს და გარკვეულ კანონზომიერებად წარმოგვიდგება. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე ამოსავალ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ლაბიალური ქუ (ქუმუხარა) კომპლექსიდან მომდინარე ა-ფემფხ~არა. შდრ. ქართ. ქვითკირი / ქვიტკირი : სვან. ფიტკირი; ქართ. ქვინახარი : მეგრ. ფინახარი; იმერ. ქურჩა : მეგრ. ფურჩა (ლომთათიძე 1996: 35-37). საინტერესოა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალაში დაცულია ფორმა ფუმხარა „ცხვრის ან თხის კარავთან ახლოს გაკეთებული ნაგებობა მწყემსებისათვის საჭმლის გასაკეთებლად“ (ჭანტურია 1996: 214).

ასევე განსაკუთრებული ადგილი იყო მწყემსის სააფუნო ქოხში ხვიშტა / ჰუმტა „კარვის უფროსის საწოლი“ (სახოკია 1985: 372). ამოსავალია იმავე სემანტიკის მქონე აფხაზური ა-ჰუმთა / ა-ჰუმთ „უფროსი მწყემსის საწოლი“ (არშბა 1980: 76).

გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფორმები (ქუმუხარა, ხვიშტა / ჰუმტა) მეგრულ ლექსიკონებში ვერ აისახა, როგორც ჩანს, ენაში რეალიზაციის ლოკალური ხასიათის გამო.

სააფუნო სამოვარზე მწყემსის ქოხის აუცილებელი ატრიბუტი იყო აშვამკიათი „მწყემსის საველე ბუფეტი“ (სახოკია 1985: 357). ეთნოგრაფი ასე აღწერს მას: „მომორებით ოთხი ბორჯდლიანი მაღალი სარია, გარდი-გარდმო ლატნები აქვს დახარიხებული და ზედ აწყვია: ხის ლანგარი, ჩაყვები, ხის კოვზები და ჭყლინტი ყველი...“

ამ ზემოთ აღწერილ თავისებურ ბუფეტს აქ „აშვამკდათ“-ს ემახიან“ (სახოკია 1985: 357).

ტერმინი **ა-შ-გ-მკ-ათ** სახით გვაქვს აფხაზურ ენაში (ინალ-იფა 1986: 158). ამ ფორმას ჯერ კიდევ ნ. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება და ის მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნია აფხაზურში (ჯანაშია 1960: 28). მოგვიანებით სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს საკუთრივ აფხაზური სიტყვაა და იქიდან შემოვიდა მეგრულში (ბჟანია 1962; კვარჭია 1981).

წ. ბჟანიამ მოახდინა ფორმის სეგმენტაცია და შეეცადა ეტიმოლოგიური ახსნა მოეძებნა მისთვის. ის ტერმინს ჰყოფს **ა-შ-გ-მკ-ათ** ელემენტებად და მიიჩნევს, რომ პირველი ნაწილი **ა-შ** „ყველის“ აღმნიშვნელი აფხაზური სიტყვაა, მეორე კი სემანტიკურად გაბუნდოვანებულია. ეთნოგრაფი იქვე მიუთითებს სხვა ტერმინზე **ჰაძამკ-ათ** „ღვინის ჭურჭელი“, რომელსაც ასევე კომპოზიტად მიიჩნევს და პირველ ნაწილს **ჰაძა** უკავშირებს „მაჭარს“. შესაბამისად, მეორე, ეტიმოლოგიურად დაუდგენელი ნაწილი **-მკ-ათ** სათავსოს, საწყაოს უნდა აღნიშნავდესო (ბჟანია 1962: 127).

ვ. კვარჭია თავის ვრცელ მსჯელობაში ზედმიწევნით იმეორებს წ. ბჟანიას მოსაზრებას და მიუთითებს, რომ მეგრულში წარმოდგენილი ფორმა არ არის ამ ენისთვის ბუნებრივი (კვარჭია 1981: 114). როგორც ჩანს, მკვლევარი მიანიშნებს აფხაზურისათვის დამახასიათებელ **ა-** ზოგადობის აფიქსსა და პალატალურ უკანაენისმიერზე.

ჩვენთვის ეს მსჯელობა ბოლომდე ნათელი და მისაღები არაა. გარდა იმისა, რომ ეტიმოლოგია საკმაოდ

საეჭვო და ბუნდოვანია, ასახსნელია აფხაზურ ფორმაში პალატალიზებული უკანაენისმიერი კ-ს გაჩენა, რომელიც ძირეულ აფხაზურ ლექსიკაში ჩვეულებრივ არ გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ პალატალიზებული უკანაენისმიერები აფხაზურში შეთვისებულ ლექსიკაში დაჩნდება და მათი გაჩენა ყოველთვის ახსნადია, კერძოდ, ის გვხვდება აუსლაუტში, როგორც მეგრულ-ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსი, აგრეთვე მაშინ, როცა ამოსავალ (გამსესხებელ) ფორმაში უკანაენისმიერს მოსდევს ი ან ე ხმოვანი. სესხებისას ე > ა, ი > ა ან გ და იწვევს წინა უკანაენისმიერი თანხმოვნის პალატალიზაციას (ლომთათიძე 1976: 170, 225).

აფხაზურში სესხებისას მიმდინარე ბგერათა ადაპტაციის წესების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ აფხაზური ა-შემკვ-ათ-ისთვის ამოსავალ ფორმად მისაჩნევი სავარაუდო მეგრული სიტყვა. ლაბიალიზებული შ მომდინარეობს ქართველური (რესპ. ზანურ-ქართული) სუ- /სო- მარცვლისაგან (შდრ.: მეგრ. სულუგუნი > აფხ. ა-შოლაგან; ქართ. სომეხი > აფხ. ა-შამახ...), სიტყვის შიგნით უკანაენისმიერის პალატალიზაციას იწვევს ე ხმოვანი, რომელიც ა-დ იქცევა და აპალატალებს წინმაველ უკანაენისმიერს (შდრ.: ქართ. კეხი > აფხ. ა-კახ; ქართ. გედი > აფხ. ა-გად; ქართ. ქერი > აფხ. ა-ქარ...). გარდა ამისა, შეთვისებულ აფხაზურ მასალაში აუსლაუტში ხშირად ხდება აბრუპტივთა (ყრუ მკვეთრთა) გაფშვინვიერება (შდრ.: მეგრ. გვაბანაკი > აფხ. ა-გაბანაქ...).

ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს ამოსავალ სავარაუდო ფორმად აღვადგინოთ ***სუმკეტი** „სამკეტი, სამჯოხი“. ეს სიტყვა ჩვენს მიერ მოძიებულ მასალაში არ დასტურდება, მაგრამ კომპოზიტის ამგვარი წარმოება მეგრული სათავის უცხო არ არის (შდრ. **სუმკუჩხი** „სამფეხი“; **შქვითქუა** „თამაშობა შვიდი ქვით“, ზედმ. „შვიდი ქვა“).

ჩვენს შემთხვევაში ეტიმოლოგიაც, სემანტიკაც, ფონეტიკური ატრიბუტიკაც აბსოლუტურად გამჭვირვალეა.

საინტერესოა თვით ტერმინის სემანტიკის გრადაცია. როგორც ჩანს, თავიდან ის სარიტუალო მაგიდას აღნიშნავდა. ნ. ჯანაშია აღწერს მესაქონლეობის მფარველი ღვთაების აითარისადმი აღვლენილ რიტუალს, რომელსაც აშვამკმათთან ატარებდნენ: „სადილის შემდეგ **აშვამკმათ**-ის სამ ფეხს ჭრიან, მეოთხეს კი ტოვებენ. ვფიქრობ, სწორედ აქედან მიიღო მაგიდამ ეს სახელწოდება. **აშვამკმათ** მეგრულად იგივეა, რაც **სუმკეტი** „სამი ჯოხი“, ან შესაძლოა, **სუმკუათ** „სამი ნაჭერი“ (ჯანაშია 1960: 28).

სხვაგან ეთნოგრაფი მიუთითებს, რომ მსხვერპლშეწირვა ხდებოდა **აშვამკმათ**-ის წინ (იქვე, 38). რიტუალი სრულდებოდა სახლიდან მოშორებით, ტყეში. მესაქონლეობის მფარველი ღვთაების მეგრული **ანთარ**-ის, აფხაზური **აითარ**-ისადმი მიძღვნილმა რიტუალმა შემდგომ მწყემსის სააფუნო სადგომში გადაინაცვლა. მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, **ა-შემკმათ**-ის, როგორც რიტუალური ნივთის სემანტიკამ

თანდათანობით გადაიწია და დღეს უკვე მწყემსის საველე ბუფეტს აღნიშნავს.

ამგვარად, აფხაზური **ა-შემკათ** მომდინარეობს მეგრული **სუმკეტ**-ისაგან. მოგვიანებით ეს სიტყვა მეგრულში დაიკარგა, მაგრამ აფხაზურიდან უკუნასესხობის სახით აღსდგა მწყემსურ ლექსიკაში.

მწყემსის ქოხში იყო აგრეთვე **ჩერხვი** „საზაფხულო სამოვარზე მწყემსის მაგიდა“ (წალენჯ.), **ჩეხუ** „ხის მაგიდის მაგვარი“ (ქაჯაია 2002-ა: 302). სიტყვა გვაქვს აფხაზურშიც: **ა-ჩარღ** „მწყემსის მაგიდა“ (ჯანაშია 1954: 343; არშბა 1980: 82). აფხაზურში სიტყვას გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს და კომპოზიტად განიხილება: **ა-ჩარღ** < * **ა-ჩარა** - **ღ**, სადაც **აჩა-რა** „პურობა“, **ღ** „ფიცარი“ (ლომთათიძე 1976: 128). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ არა აფხაზური ეტიმოლოგია, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ამოსავალი მეგრული **ჩერხვი** იყოს: აფხაზურში ნასესხები სიტყვის ე ინტერვოკალურ პოზიციამი > ა. გარდა ამისა, **ხვ** კომპლექსი იქცა ლაბიალურ **ღ**-დ, რაც ასევე ბუნებრივია აფხაზური ფონოტაქტიკისთვის (ბუკია 2006: 102).

სააფუნო სამოვარზე მწყემსის აღჭურვილობის აუცილებელი ნაწილი იყო:

ათამყა / ათმაყა / ათმაყა (მეგრ.) „მწყემსის ჩანთა, აბგა“ (ჭარაია 1997: 33; ელიავა 1997: 12), **ათმოყა** „id.“ (ქაჯაია 2009: 21). იგივე სიტყვა იმავე სემანტიკით გვაქვს აფხაზურსა და აბაზურში: **ა-რთმაყ** „აბგა“ (ჯანაშია 1954: 236); **ართმაყ** (აბაზ.) „აბგა“ (აბრლ 1967: 83). ტერმინი

მეგრულს აფხაზურიდან აქვს შეთვისებული. სესხებისას ფორმამ დაკარგა სონორი რ-, ფუძის შიგნით მოხდა მეტათეზისი, აუსლაუტში გაიჩინა -ა სუფიქსი, რომელიც მეგრულში ხშირად დაჩნდება უფუნქციოდაც, ამასთანავე შეინარჩუნა აფხაზური ზოგადობის ა- პრეფიქსი (ბუკია 2002: 52). აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ პრეფიქსის შენარჩუნება აფხაზურიდან შეთვისებულ ფორმებში ყოველთვის არ ხდება. ამ ფორმებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მათი მეგრულში შეთვისების ქრონოლოგიური ზღვარი (აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროინდელი ნასესხობა, როცა ეს პრეფიქსი ენაში არ იყო) და პირობები (შემოტანილია იმ ენობრივი კოლექტივის თუ ინდივიდის მიერ, რომელმაც იცის ა- პრეფიქსის ფუნქციის შესახებ აფხაზურში [რომ ფუძის ელემენტი არ არის]. თ. გვანცელაძე მიუთითებს, რომ სიტყვა აფხაზურში ნასესხებია (გვანცელაძე 2011: 61).

თ. სახოკიას, რომელიც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმატორია ამ სემანტიკური ჯგუფის კვლევისას, მწყემსის ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნია საკი „ტომარა“ (სახოკია 1985: 346). სიტყვის ამოსავალია ბერძნული **saccos** „ძაძა, ტომარა, ბერის შესამოსელი“. ვვარაუდობთ, რომ ნასესხობას თავიდან ქრისტიანული სემანტიკა უნდა ჰქონოდა. მეგრულიდან აქვს შეთვისებული აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტს ა-საკ~ ფორმით. ბზიფურში მას საკუთრივ აფხაზური ა-აწ~ ჩაენაცვლება (ბლაჟბა 1964: 205); სესხების შუალედური რგოლი აფხაზურისთვის მეგრულია, ამას ადასტურებს

აფხაზური პალატალიზებული უკანაენისმიერი კ[~] აუსლაუტში, რომელიც მეგრული სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსად ივარაუდება, ასევე სიტყვის გავრცელების არეალი (ბუკია 2002-ა: 38).

ტერმინი **კვახჩა**, რომელსაც ვერ დავაშორებთ ქართულ (დიალექტურ) **ქეჩხო**-ს (აჭარ. „თხის ან ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მოსაცმელი“, იმერ. „პატარა ხალთა მწყემსის საგზლის შესანახ-სატარებლად“, გურ. „ქურქი, ტყავი რისამე, ეძახიან აგრეთვე ტყავის პარკს, რომელშიც საჭმელს დებენ და ზურგზე იკიდებენ“, მეგრულში გარდამავალი სემანტიკით გვხვდება. ი. ყიფშიძის განმარტებით, ესაა „თხის ტყავი, ქეჩხო, მწყემსები იყენებენ ჩასაცმელად“ (ყიფშიძე 1914: 255), პ. ჭარაიასთან „ცხვრის მოქნილი ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“ (ჭარაია 1997: 78), ვ. შამილამის ეთნოგრაფიულ მასალებში „ხის ტახტი მწყემსის კარავში“ (შამილაძე 1974: 69).

აფხაზურში გვხვდება იმავე სემანტიკის **ა-კ[~]ახ[~]ჩა** „ბეწვის მოუქნელი ტყავი ქვეშაგებად ხმარებული, ქეჩხო“ (ჯანაშია 1954: 153); „საქონლის დამუშავებული ტყავი“ (არშბა 1980: 31); ვ. კვარჭიას მოჰყავს ტერმინის ასეთი ეტიმოლოგია: „**ა-კ[~]ახ[~]ჩა** იყოფა **ა-კ[~]ა** „შიგნითა ნაწილი“ და **ხ[~]ჩა** „მოვლა, დაცვა“. სიტყვა მთლიანობაში მოიაზრება, როგორც „შიგნეულობის მცველი“ (კვარჭია 1981: 55). ეტიმოლოგიის ამგვარი გააზრება არადამაჯერებელია. ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2002-ა: 27).

მწყემსს მუდამ თან ჰქონდა ხართა „გუდა“. ეს სიტყვა მთელ ქართველურენოვან სივრცეში ჩანს: ხალთა „ტყავის ტომარა, გუდა“ (ქეგლ VIII: 1322), ხალთა „გუდის ვარშაკარანი“ (საბა 1993: 414), ლეჩხ. „ხბოს გუდა საფქვილედ, სახორბლედ და სხვ.“ (ლეონიძე 1925: 94), გურ. „ბეწვიანი ტყავი“ (ჟღენტო 1936: 260); ზემოიმერ. „თხის ან ცხვრის ტყავის ჭურჭელი – გუდა“ (ძოწენიძე 1974: 501), იმერ. „თხის ტყავი თოფრაკივით გაკეთებული, ზურგზე მოსაკიდებელი გუდა“ (გაჩეჩილაძე 1976: 173), ხართა (მეგრ.) „გუდა“ (ყიფშიძე 1914: 398), ხალთა / ხალთ (სვან.) „ხალთა, გუდა“ (თოფურია 2000: 867). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში: ა-ხ^ათრა (აფხ.) „ხალთა, გუდა“ (ჯანაშია 1954: 441), ა-ჰათა (აფხ.) „ხალთა“ (ჭარაია 1912: 15), ხ^ათე (აბაზ.), ჯატ^ა / ჯატ^ა (უბიხ.) „ხალთა, ტყავის ტომარა“ (შაგიროვი 1989: 139); სიტყვა ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურ-ჩერქეზულში (ჭარაია 1912: 15; შაგიროვი 1989: 139); აფხაზურში მეგრულიდან სესხებისას ერთ შემთხვევაში მოხდა მეტათეზისი ხართა > ა-ხ^ათრა, მეორე შემთხვევაში სონორი რ საერთოდ დაიკარგა, თანაც მოხდა ხ-ს პალატალიზაცია. იმავე ხართა-სგან მომდინარეობს აფხაზური ა-ჰათა (ჯანაშია 1954: 451). ამ შემთხვევაში ხ > ჰ, რაც ასევე ბუნებრივია ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებულ ფორმებში: შდრ. კალმახა > ა-კალმაჰა „კალმახი“, მუხამუზი > ა-მაჰმუზ „დეზი“ (ბუკია 2002-ა: 38).

სააფუნო საძოვრებზე მწყემსის ასევე აუცილებელი ნივთი იყო ბოხჩა „ტყავის აბგა“ (ყიფშიძე 1914: 207). ეს

ტერმინი ლაზურშიც გვხვდება. იგივე ლექსემა გვაქვს აფხაზურში **ა-ბოხჩა** „მწყემსის ტყავის ჩანთა“ (ბჟანია 1962: 99). ეს სიტყვა თურქულიდან აქვს შეთვისებული ორსავე ენობრივ კოლექტივს. ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი აფხაზურსა და მეგრულს შორის ძნელია. აფხაზებს, ისევე, როგორც მეგრელებს, თურქებთან საკმაოდ ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ, ასე რომ ამ შემთხვევაში რამის თქმა ძნელია.

მწყემსის აუცილებელი ატრიბუტი იყო **ლაბაშა** „წვეტიანი რკინამოცმული მწყემსების ჯოხი მთაზე სახმარი“ (ყიფშიძე 1914: 269; ჭარაია 1997: 84). სიტყვა აფხაზურიდან აქვს შეთვისებული მეგრულს: **ა-ლაბ** „ჯოხი“ (უსლარი 1887: 146), **ა-ლაბა** (ჯანაშია 1954: 162), **ა-ლაბაშა** „მწყემსის ხელჯოხი“ (ბჟანია 1962: 99), **ბაშა** (ადილ.), **ბაშა** (ყაბარდ.), **ბაშა** (უბიხ.) „ჯოხი“ (შაყრილი 1968: 76); აფხაზურ ნასესხობას სემანტიკური სინონიმური წყვილები აქვს მეგრულში: **ბიგა / კალუამი კეტი / ჩხვინდამი კეტი** „მწყემსის ხელჯოხი“ (ბუკია 2008-ბ: 23). მეგრული **კეტი** კი აფხაზურს ნასესხები აქვს **ა-კატი** ფორმით (ჯანაშია 1954: 161); ნასესხობას პირველად პ. ჭარაიამ მიაქცია ყურადღება (ჭარაია 1912: 13).

მწყემსის აღჭურვილობის აღმნიშვნელ სიტყვათა შორის შეგვხვდა კიდევ რამდენიმე სიტყვა, რომელიც გამოყენების ფართო არეალის გამო განხილულია სამოსის აღმნიშვნელ სიტყვათა შორის. ეს სიტყვებია: **ქართვ. გვაბანი / გვაბანა / გობანი** „საზამთრო წამოსასხამი“, „ლეიბი“ (ჭარაია 1997: 49; ბერიძე 1912: 21) ≈ აფხ. **ა-გაბან**

„ლეიბი“ (ჯანაშია 1954: 346); ქართვ. გვაბანაკი „ერთგვარი ზედა სამოსი, თექის მსგავსი“, გვაბანაკი „მწყემსის პალტო“ (ქეგლ II: 1432; სახოკია 1985: 349) ≈ აფხ. ა-გაბანაკჷ „ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელი, გვაბანაკი“ (ჯანაშია 1954: 79); ქართვ. ხურჯინი / ხურჯინი / ხურჯონი / ხუროჯინი / ხურუჯონი / ხურჯინ / ხურჯუნ „ხურჯინი“ (საბა 1993: 435; ყიფშიძე 1914: 30; თოფურია 2000: 877) ≈ აფხ. ა-ხ^ჲგრჯენ „ხურჯინი, აბგა“ (ჯანაშია 1954: 425).

მსხვილფეხა საქონლის აღმნიშვნელი ლექსიკა

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან შედარებულია ქართველური ძუ „ხორცისმჭამელი ცხოველის დედალი“ (ქეგლ VIII: 781), ჯუა (მეგრ.) „ძუ“ (ყიფშიძე 1914: 416), ჯუა / ჯუნა (ლაზ.) „ძუ“ (ქუთელია 2005: 86), ჯუა (სვან.) „ძუ“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 630) და აფხაზური ა-ჟ^ჲ „ძროხა“ (ჯანაშია 1954: 226). მისი ავტორი, მ. ჩუხუა თვლის, რომ ქართველური და აფხაზური ფორმები საერთოკავკასიური წარმოშობისაა და მოჰყავს სათანადო ძირები სხვა კავკასიური ენებიდან: აბაზ. ჟ^ჲ, უბიხ. მგზ^ჲლ „დეკეული“, ჩეჩნ. ჯა, ინგ. ჯ^ჲ, ბაცბ. ბჟა „ძროხა“, ანდ. ზი^ჲჟუ, ახვ. ჟი^ჲჟო, ტინდ. ზინი... (ჩუხუა 2008: 465).

ქართველურიდან არის ნასესხები აფხაზურში ა-ჯაკალ „დეკეული“ (ჯანაშია 1954: 446); ა-კამბაშჯაკალ „ორი წლის კამეჩი“ (კვარჭია 1981: 28). ამოსავალი მეგრული ჯაკელი „დეკეული“ (ყიფშიძე 1914: 411). იმერული და გურული ჯაკელი / ჯაკელა „ძროხა ორიდან სამ წლამდე, დეკეული“ (დლონტი 1984: 772) ზანიზმად უნდა იქნეს განხილული. საგულისხმოა, რომ ბზიფურში შესაბამისი სემანტიკის საკუთრივ აფხაზური ა-ზუწგს' გვაქვს (ბლაჟბა 1964: 213).

მეგრული ქაბულა / ქაბლა „მოზრდილი ხბო, მოზვერი“ (ყიფშიძე 1914: 341) აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში გვხვდება ა-ქაბლა / ა-გამლა „ერთი წლის ხბო“ (არშბა 1980: 17) სახით. სიტყვა აქტიურად მონაწილეობს კომპოზიტებში: ა-კამბაშ გამლა „ერთი წლის კამეჩი“ (არშბა 1980: 28). აფხაზი ენათმეცნიერი ვ. კვარჭია, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს გამოკვლეული აფხაზური მწყემსური ლექსიკა, შენიშნავს, რომ ა-ქაბლა / ა-გამლა „ერთი წლის ხბო“ მხოლოდ აბჟურ დიალექტში გვხვდება, გვაქვს აგრეთვე მეზობელ სამეგრელოში ქაბულა / ქაბულე „დეკეული“. ძნელია ითქვას, რომელი ენაა გამსესხებელი და რომელმა ისესხა. ჩანს, ამოსავალი სპარ. გაბილეი უნდა იყოს, რაც „ჯიშიანს“ ნიშნავს“ (კვარჭია 1981: 84).

თუმცა ლექსიკური პარალელები სწორადაა მითითებული, მაგრამ ძნელია დავეთანხმოთ მეცნიერის თვალსაზრისს სპარსულიდან სესხების თაობაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზანური ქაბ-ულ-ა სვანურ ღაბ-ნ-ა-სა და ქართულ ჯბ-ო-ს ლექსიკურ ფარდად

მიიჩნევა და საერთოქართველურ ტერმინად განიხილება (ჩუხუა 2000-2003: 262). შესაბამისად, ჩვენთვის მიუღებელია ვ. კვარჭიასეული ვარაუდი სიტყვის სპარსულიდან შეთვისების შესახებ.

მეგრული **ბატი** (მეგრ.) „ზაქი“ (ყიფშიძე 1914: 201) ფორმიდან არის ნასესხები აფხაზური **ა-ბატ** „ზაქი“ (ჯანაშია 1954: 63), ასევე უბიხური **ბატი** „ზაქი“ (შაგიროვი 1989: 139). საკუთრივ მეგრული **ბატი** **ბატკ**-ისგან არის მიღებული მეგრულ სახეობაში კ-ს დაკარგვით (ჯავახიშვილი 1937: 191). შდრ. **ბატკი** „შემოდგომაზე მოგებული საქონელი“ (ქეგლ I: 990), **ბატკი** „ჩვილი თიკანი“ (საბა 1991: 97), **ბატკი** (გურ.) „შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონელი; ხბო, ბატკანი ან თიკანი“ (ღლონტი 1984: 62), **ბატკი** (იმერ.) „თხა სამ წლამდე“ (ჯავახიშვილი 1986: 182) **ბატკი** (მეგრ.) „ერთი წლის თხა, დედალი“ (ჩიქობავა 1942: 15). აფხაზურსა და უბიხურში შესულია მეგრული (სემანტიკა დავიწროებული) მნიშვნელობით (ლომთათიძე 1974: 95). იგივე ტერმინი ჩანს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში **ა-ჟბატ** „მდედრობითი სქესის ზაქი“, **ა-ცბატ** „მამრობითი სქესის ზაქი“ (არშა 1980: 22, 79), **ა-ჟბატფშა** „ახალდაბადებული ფურ-ზაქი“ (კვარჭია 1981: 28).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-მაკ** / **ა-მოკ** „ზაქი, კამეჩის შვილი“ (კვარჭია 1981: 86). სიტყვა ძირითადად აბჟუაში გვხვდება. მკვლევარს შესაძარებლად მოჰყავს მეგრული **მოკი**, ქართული **ზაქი**, თუმცა არ მიუთითებს სესხების მიმართულებას.

აფხაზური ფორმისთვის ამოსავალია მეგრული **ძოკი / ძოკა** „პატარა ღორი“ (ქაჯაია 2002-ა: 391), ოღონდ სემანტიკა გადაწყულია. აფხაზური ფორმები სესხების ორ ქრონოლოგიურ დონეზე მიგვითითებს, **ა-ძოკ~** ადრინდელი ნასესხობა უნდა იყოს.

ქ. ლომთათიძის შეხედულებით, აფხაზური **ა-წორე** „ბერწი“; **ა-წწორე** „ბერწი ძროხა“ (ჯანაშია 1954: 391) ქართულ **წურვილ**-ს („გამოწურულს“) უკავშირდება. აფხაზურ ტერმინთაგან პირველი ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე კი ჰიბრიდული კომპოზიტია. ამ შედარების თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია აფხაზურის **აჟჟა**, რაც „გამშრალს“ (ძროხას) აღნიშნავს (ლომთათიძე 1999: 26).

ჰიბრიდული კომპოზიტია აფხაზური **ამარგლარა** „ძროხის დაშრობა“. აქ პირველი კომპონენტი ქართულ **შრობა** ძირს უნდა უკავშირდებოდეს, ხოლო მეორე –**ლა** აფხაზური ზმნური სუფიქსია იქითა მიმართულებისა (ლომთათიძე 1999: 26).

მეგრული **ფუდა** (მეგრ.) „მახური, უშვილო, უგი“ (ჭარაია 1997: 137) აფხაზურიდან უნდა იყოს ნასესხები, სადაც მარტივი ფორმითაც გვხვდება და კომპოზიტის ნაწილადაც: **ა-ფგდა / ა-ფადა** (ზზ.) „ნაშიერდაკარგული საქონელი“ (კვარჭია 1981: 24), **აინ-ფგდა** „ბერწი“ (არშბა 1980: 12), **ა-ჟფგდა** „ბერწი ძროხა“ (იქვე: 25), **ა-კამბაშ ფგდა** „ბერწი კამეჩი“ (იქვე: 29), **ა-ჯმა ფგდა** „ბერწი თხა“ (იქვე: 99). აფხაზური ტერმინი ეტიმოლოგიურად „უშვილოს“

აღნიშნავს: (ა)ფა (შვილი) + და უარყოფითი სუფიქსი (ჭარაია: იქვე).

სიტყვათა სესხებას ვერცერთი ენა ვერ აცდებდა, ეს ბუნებრივი და ენის არსებობის აუცილებელი პირობაა. ქართველურსაც და აფხაზურსაც აქვთ საერთო ლექსიკა, მათ შორის მესაქონლეობის, რომელიც ორივე ენაში შეთვისებულია.

სპარსულიდან შეთვისებული კამეჩი მთელ ქართულენოვან სივრცეში გვხვდება: **კამბეჩი / კამეჩი** „ხარზე დიდი რქოსანი ცხოველი“ (ქეგლ IV: 1043), **კამბეში, კამბეჩი** (ძვ. ქართ.) „კამეჩი, „გამეჩი“ (აბულაძე 1973: 191), **კამბეჩი / კამბეში** (მეგრ.) „კამეჩი“ (ყიფშიძე 1914: 251), **ჯამუში / ჯამიში** (ლაზ. < თურქ. *camuş*) „კამეჩი“ (მარი 1910: 235; ჯიქია 1975: 67), **კამბეჩ / კამბეშ / კამბეჩ** (სვან.) „კამეჩი“ (თოფურია 2000: 344). იგივე სიტყვა გვაქვს რიგ კავკასიურ ენაში: აფხ. **ა-კამბაშ**, აბაზ. **კამბეშ**, ყაბარდ. **კამბეშ**, ხუნძ. **გამუშ / კამუშ**, ლეზგ. **გამიშ**, დარგ. **გამუშ**... ვ. კვარჭია, მრავალგზის მიუთითებს, რომ **ა-კამბაშ** სიტყვის ამოსავალია სპარსული **გომეშ** (კვარჭია 1981: 85...), მაგრამ არაა ნათქვამი, რომ აფხაზურისთვის, ისევე, როგორც აბაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია, უფრო ზუსტად, სპარს. **გომეშ** > ქართ. **კამეჩი** > მეგრ. **კამბეში** > აფხ. **ა-კამბაშ**. ქართველურიდან შეთვისებული ფორმაა აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში **ა-ჟკამბაშ** „ფურკამეჩი“ (არშვა 1980: 24), **ა-ცკამბაშ** „ხარკამეჩი“ (იქვე: 79), **ა-კამბაშჯაკალ** „ორი წლის

ფურ-კამერი“ (კვარჭია 1981: 28), **ა-კამბაშნაძე** „ხუთი წლის კამერი“ (იქვე), **ა-კამბაშმაყა** „ბებერი კამერი“ (იქვე)... **ა-ჟკამბაშწორე** „ბერწი კამერი“ (ბუკია 2008: 25). სიტყვა გვხვდება ტოპონიმში **კამბეშა(ჭა)თრა** – მორევი მორინჯეში (ცხადაია 2003: 79).

თურქულ-მონღოლურიდანაა შესული მთელ კავკასიურ ენობრივ სივრცეში (და არამარტო აქ) დაუკოდავი საქონლის აღმნიშვნელი **ბულა**: **ბულა** „დაუკოდავი ხარი (კამერი), რომელსაც ინახავენ სანაშენედ, კურო“ (ქეგლ I: 1193), **ბულა** (ქართლ., კახ.) „დაუკოდავი ხარი, რომელსაც ინახავენ საქონლის მოსაშენებლად“ (ლეონიძე 1925: 110), **ბულა** (მეგრ.-ლაზ.) „კურო“ (ელიავა 1997: 37), **ბულა** (სვან.) „ბულა, კურო“ (თოფურია 2000: 158), **ა-ბგღ** (აფხ.) „ბულა“ (შაგიროვი 1989: 91); შდრ. ოსური **ბოდ / ბოდა**, თურქ. (ანატ.) **ბულა**, აზერბ. **ბულა**, ყუმ. **ბოდა**, ალთ. **ბუკა**, მონღ. **ბუკა**; აქვე განიხილება რუს. **ბუგაი**, უკრ. **ბუგაი**, რუს. **ბიკ**. კავკასიურ ნიადაგზე; ქართ. **ბულა**, ხუნძ., ლაკ., დარგ. **ბულა**, ინგ. **ბულა**, უზბ. **ბულუ**, შაფს. **ბუგჰო** (აბაევი 1958: 264).

მნელია ქართველურ-აფხაზურ ფორმებთან დაკავშირებით სესხების მიმართულებაზე ვისაუბროთ, შესაძლოა, აფხაზურს თურქულიდან შეეთვისებინა.

დომბა „ჩლიქოსანი ცხოველი ძროხების ოჯახისა, ტანით დიდი“ (ქეგლ III: 1209), **დომბა** „ვირმოზუერი“ (საბა 1991: 223), **დომბა** / **დომბა** / **დომბა** (სვან.) „დომბა“ (თოფურია 2000: 197); გვხვდება ბევრ კავკასიურ ენაში:

აფხ. **ა-დომბე** „დომბა, ზუბრი“ (ჯანაშია 1954: 96), აბაზ. **დომბა** „დომბა“ (აბრლ 1967: 205), ადიღ. **დომბა**, ყაბარდ. **დომბა**, ლაკ. **დუმბე** „დიდი“, „გონებრივად არასრულყოფილი“, „სუსტი ნებისყოფის“, ოს. **დომბა** „დომბა“, „ლომი“, „ძლიერი“, სომხ. **დმბო** „უგნური“ (შაგიროვი 1974: 248); კავკასიურ ენობრივ სივრცეში შესულია თურქულიდან. შდრ. თურქ. **dombay** „ფურკამეჩი“ (მაგაზანიკი 1945: 152).

წვრილფეხა საქონლის აღმნიშვნელი ლექსიკა

ეს სემანტიკური ჯგუფი გამოირჩევა ურთიერთნასესხობათა სიმრავლით, გამოთქმულია მოსაზრება ცალკეულ ფორმათა ქართველურ-აფხაზური ენობრივი ერთობის შესახებ:

ვერძი „მამალი ცხვარი, ყოჩი“ (ქეგლ IV: 57), „წულებრივი“, მამალი ცხვარი“ (აბულაძე 1973: 157), **ერჯი** (მეგრ.) „ცხვარი“ (ყიფშიძე 1914: 232) – **ა-ჯმა** „თხა“, (ჯანაშია 1954: 449); სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ქართველური და აფხაზური ფორმების იდენტობის თაობაზე და მოყვანილია აფხაზურ-ჩერგეზულ ენათა მონაცემები: აბაზ. **ჯმა**, ადიღ. **ფჩანგ**, ყაბ. **ბჟან** „თხა“ (ჩუხუა 2007-ა: 40).

ბატკანი „ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე“ (ქეგლ I: 990), **ბატკანი** „ჩვილი კრავი“ (საბა 1991: 97) **ბატკანი** (მეგრ.)

„ბატკანი“ (ჭარაია 1997: 39) – **ა-ბატკან** „გაზაფხულზე დაბადებული თიკანი“ (კვარჭია 1981: 23); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული, კერძოდ, დასავლური დიალექტებიდან. ამაზე მიუთითებს აფხაზურ ფორმაში დაცული **-თკ-** თანხმოვანთკომპლექსი, რომელიც იმერულ და გურულ დიალექტებში ისტორიულად სავარაუდებელი ***ბათიკან** ფორმიდან უნდა იყოს შემორჩენილი (გვანცელაძე 1988: 75). ბზიფურში გვხვდება კომპოზიტში გადაწეული სემანტიკით: **ა-ჰასკუნ ბატკან** „ნორჩი ბალახი“ (ლომთათიძე 1941: 202).

ყურადღებას იქცევს აფხაზურ-მეგრული საზიარო ფუძე აფხ. **ა-ქაშთ** : მეგრ. **ქვაშთი** „თიკანი“. ვ. კვარჭია ვარაუდობს, რომ გამორიცხული არაა, აფხაზური ფუძე იგივე წარმოშობისა იყოს, რაც ოსური **კუისტ / კოსტ** „ერთი წლის ცხვარი“, სვან. **ნელაშთ** „ნ თვემდე ბატკანი“ და დასძენს, რომ აფხაზურ ნიადაგზე შესაძლებელია გამოიყოს ელემენტი **თ** „ცხვარი“, მაგრამ აფხაზურ ფუძეს ეტიმოლოგია არ ეძებნება (კვარჭია 1981: 75). ის საკვლევ ფორმაში გამოყოფს **თ-** ელემენტს, მაგრამ აუხსნელად რჩება **ა-ქაშ** მორფემა (ბუკია 2008: 24). შდრ. **ქაშთ** (აბაზ.) „ახალგაზრდა ცხვარი“ (აბრლ 1967: 245).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეგრული ფორმა ქართველურ **ქოსტ**-თან („ციკანი, შემოდგომობით მთიდან დაბრუნებული თიკანი“) ამჟღავნებს ერთობას და საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ქუესთ** > ქართლ. **ქოსტი** (< ***ქვესთ**-ი) : ზან. **ქვაშთ-ი** (ჩუხუა 2000-2003: 255).

თილი (მეგრ.) „ცხვარი“ (ყიფშიძე 1914: 243) – **ა-თელ** „ყოჩი“ (ჯანაშია 1954: 130); გ. კლიმოვი მიიჩნევს მეგრულში აფხაზურიდან ნასესხობად (კლიმოვი 1986: 182), მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც: მეგრული **თილი** საერთოქართველური წარმოშობისა ჩანს. მას ქართულში **თიკან-ი**, ხოლო სვანურში **ნელაშდ / ნელემდ / ნილაშტ** „თიკანი“ შეესატყვისება. ქართველურ ფუძეს შესატყვისები ეძებნება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენებში: შდრ: **წეკირ**, ბოთლ. **წეკირ**, ჭარ. **წეჭი** < **წეკირ**, ტინდ. **წიკარ**, ბაგვ. **წეკერ**, კარ. **წიკერ**, ახვახ. **ჭეკე**, დიდ. **ცეკი**, ხვარშ. **ჩიკი**, ბეჟ. **ჩიკე**, ჰუნზ. **ჩიკე** „თიკანი“ (ჩუხუა 2000-2003: 263). აფხაზური **ა-თელ** მკვლევრის თვალსაზრისით ქართული **თოხლ-ი** „ბატკანი; ცხვარი“ : ზან. (ჭან.) **თოხლი** „ერთი წლის თხა“ : სვან. **დუხ** „ერკემალი, ყოჩი“ შესატყვისია და გამორიცხულია საერთოქართველური ***დოხლ-** არქეტიპის თურქული **თოქლუ-**სგან მომდინარეობა (იქვე: 95). **ა-თელ** ფორმას აუსლაუტში პალატალური უკანანისმიერი აქვს, რომელიც ჩვეულებრივ ნასესხებ ფორმებში დაჩნდება და გვევლინება, როგორც ქართველური სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის რეფლექსი, ამდენად სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2006: 100).

ქართული **გოჭი** დასტურდება აფხაზურ კომპოზიტიში **ა-კვცაგაჭკ** „თხის ნაშიერი“ (ლომთათიძე 1991: 49). სიტყვა ე. წ. „ტყის ენის“ კუთვნილებაა. კომპოზიტის ორივე ნაწილი ქართულია: (ა)კვცა ქართული

„კვიცია“, **გაჭ** კი „გოჭი“. ძველი ქართული **კიცვ** კი აფხაზურ „ტყის ენაში“ თხას აღნიშნავს (იქვე).

მეგრულში გვაქვს რამდენიმე ნასესხობა აფხაზური ენიდან:

ბზისქე (მეგრ.) „ადრე ნაშობი, რომ არ ეკუთვნის ისე“ (ქაჯაია 2001: 240) – **მზესხა** „ნაადრევად დამაკებული თხა“ (არშა 1980: 44), **ძსხა** (ბზ.) „id.“ (კვარჭია 1981: 79). ვ. კვარჭია ვარაუდობს, რომ ამოსავალია ბზიფური **ძესხა** „დამაკებული თხა“, სადაც **(ა)ძეს** „თხა“, **ხა** „დამაკებული“ (**ა-ხარა** „შობა“) და მიუთითებს „აბჟუური ფორმის მ- ელემენტი არაა ნათელი. ძნელია მ- უარყოფის აფიქსად ჩავთვალოთ“ (იქვე). აბჟუურში გაჩენილი **მ** იქნებ მეგრულისთვის დამახასიათებელი სონორის განვითარებით აიხსნას ?!

თეზნეზ „შიშაგი“ (ჭარაია 1997: 70); **თზნ** „ორი წლის მამალი ცხვარი“ (ჯავახიშვილი 1986: 221) – **ათეზნეჟ** / **ათემნეჟ** „წლინახევრის ცხვარი“ (კვარჭია 1981: 76). ვ. ჭარაია მიუთითებს, რომ ფორმა აფხაზურიდანაა შესული მეგრულში. ვ. კვარჭია სიტყვას ჰყოფს სამ ელემენტად: **ა-თე** „ცხვარი“, **(ა)ზნ** < **(ა)ძნ** „ზამთარი“, **ჟ(ა)** „გატარებული“, ანუ ეტიმოლოგიურად „ნაზამთრალი ცხვარი“. შდრ. მეგრ. **ნაზოთუ** „ნაზამთრალი“, ზამთარგამოვლილი საქონელი.

ერთი სიტყვა ორივე ენობრივ სივრცეში ნასესხებია თურქულიდან: **შიშაგი** / **შიშაქი** „[თურქ. **şişek**] დედალი

ცხვარი ერთიდან ორ წლამდე“ (ქეგლ VII: 1411), შიშაგი (ძვ. ქართ.) „ცხოვარი წელიწადს უკან“ (საბა 1993: 347), შიშაგი (აჭარ.) „წლის დედა ცხვარი, ბატკნის მოგებამდე“, შიშაგი / შიშაქი (თუშ.) „დედალი ცხვარი ერთი წლისა“, შიშაგი (ჯავახ.) „დედალი ცხვარი, ვიდრე ბატკანს მოიგებდეს, ერთიდან სამ წლამდე ცხვარი თოხლია. მამალს ჰქვია ჭედილა, ხოლო დედალს – შიშაგი“, შიშელი (ლაზ.) „ორი წლის ბატკანი“ (მარი 1910: 206) – ა-შშგა / ა-შშგ „კრავი“, ა-შშგ-სგს „აპრილის ბოლოს, ან მაისში დაბადებული ბატკანი“ (კვარჭია 1981: 76). ვ. კვარჭია პარალელს ავლებს ქართულ შიშაგ-თან, თუმცა სესხების მიმართულებაზე არ საუბრობს (იქვე).

ცხენტან დაკავშირებული ლექსიკა

სპარსულიდან შეთვისებული რაში ფართოდ არის გავრცელებული ქართველურ ენებში: რაში „1. ზღაპრული ცხენი, – მერანი. გადატ. მეტად მალი ცხენი, – ბედაური“ (ქეგლ VI: 371), რაში „ზღაპართა შინა უხმობენ ბედაურს ცხენსა ფრთიანსა“, „მეზღაპრულად მოგონილი“ (ჩუბინაშვილი 1961: 334, 438), რეში, რეშხი, რაჟი (მოხ., გუდ. მთიულ., გურ.) „რაში, ბედაური“ (ლეონიძე 1925: 53), რაში (მეგრ.) „პეგასი“ (ყიფშიძე 1914: 303), რაშ (სვან.) „რაში“ (თოფურია 2000: 688). აფხაზურ ფოკლკლორში გვხვდება ა-რაშ „ფრთოსანი ცხენი“ (ჯანაშია 1954: 231), ა-ბრაშ „თეთრფაფრიანი ცხენი“ (არშბა 1980: 15). ლექსემა შეიძლება განვიხილოთ სპარსულიდან ნასესხობად, სადაც

შუალედურ რგოლად საგულისხმოა ქართველური ენები, კერძოდ, მეგრული დიალექტი, რადგანაც აფხაზებს უშუალო კონტაქტი მეგრელებთან ჰქონდათ. ეს ლექსემა აფხაზურში ქართველურიდან ნასესხებად მიაჩნია ა. შაგიროვსაც (შაგიროვი 1989: 143). ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უცნაურად ჟღერს ვ. კვარჭიას განცხადება: „Абхазами создан образ мифического коня Арашь“ (კვარჭია 1981: 31). რეალურად რაშის მითოლოგიური სახეცა და მისი სახელიც აფხაზებს მეგრული ფოლკლორიდან და მეგრული დიალექტიდან შეუთვისებიათ (ბუკია 1999: 10).

ცხენის ნაშიერის აღსანიშნავად ქართულში გვხვდება **კიცვ** (ძვ. ქართ) „ნაშობი კარაულისად“, კვიცი“ (აბულაძე 1973: 199), **კიცვ** „კვიცი“ (საბა 1991: 376), **კიცვი** (ხევს.) „კვიცი“ (ლეონიძე 1925: 33), **კვიცი** „ცხენის ნაშიერი სამ წლამდე“ (ქეგლ IV: 1185), **კვიცი** (მეგრ.) „ცხენის შვილი, მამალი“ (ჭარაია 1997: 79). დასტურდება სვანურშიც ოდნავი ფონეტიკური ცვლილებით, ოღონდ სემანტიკა გადაწეულია: **კვიცრა** ნიშნავს „დედალ ჯიხვს“ (ქერქაძე 1974: 65). იგივე სიტყვა აფხაზურს გამოყენებული აქვს „ტყის ენაში“. თხის აფხაზური სახელი მონადირეთა ენაზე შეცვლილია **კვც** ფორმით, რომელიც მომდინარეობს ძველი ქართული **კიცვ**-იდან (ლომთათიძე 1991: 49). აფხაზური ფორმა გვავარაუდებინებს, რომ მეგრულშიც პირვანდელი ფორმა ძველი ქართულის მსგავსად **კიცვ** უნდა ყოფილიყო.

ქართული ენის დასავლურ დიალექტებსა და მეგრულში დაკოდირებული ცხენის აღსანიშნავად გვხვდება **ლაფშა** (ქეგლ IV: 1489); **ლაბშა / ლაფშა** (მეგრ.) „იაბო“ (ყიფშიძე 1914: 269) აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში გავრცელებულია იმავე ფუძის ვარიანტები: აფხ. **ა-ლაშა** (ჯანაშია 1954: 169), აბაზ. **ლაშა**, უბიხ. **ლაშა**, ადიღ. **ალაშა**, **ალაშ** (შაყრილი 1968: 77). მათგან აფხაზურს კ. ჭარაია უკავშირებს მეგრულ **ლაფშა**-ს და მიიჩნევს თურქულიდან ნასესხობად (ჭარაია 1912: 48). თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხებად განიხილავს ამ ლექსემებს აფხაზურ-ჩერქეზულში ა. შაგიროვიც (შაგიროვი 1989: 90), სხვა მოსაზრებით, აფხაზური **ა-ლაშა** მიჩნეულია ყარაჩაულ-ბალყარიზმად (ხაბიჩევი 1980: 42). ჩვენ ვიზიარებთ ნ. ბაღათურიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეგრული **ლაფშა** არის ამოსავალი რიგ ენებში, მათ შორის აფხაზურში გავრცელებული ფორმებისა (ბაღათურია 1996: 30-31); ვთვლით, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი თურქულენოვანი სამყაროდან (შაგიროვი 1989: 90), ყარაჩაულ-ბალყარულიდან (ხაბიჩევი 1980: 42) შეთვისების შესახებ არ არის მისაღები (ბუკია 1999: 26).

აჩუ „შორისდებული ცხენის გასარეკად“ (ქეგლ I: 829), **აჩუა** „ცხენი ბავშვების ენაზე“ (ლეონიძე 1925: 4), **აჩუ** / **აჩი** „ცხენის გასამხნეველი, გასარეკი შორისდებული“ (ჭარაია 1912: 48). **ჩაჟ** / **ჩაჟ** / **ჩაჟ** (სვან.) „ცხენი“ (თოფურია 2000: 828). გვხვდება მთელ ქართველურენოვან სამყაროში როგორც ამ ფუნქციით, ისე ბავშვთა ენაში ცხენის აღსანიშნავად. სიტყვა უკავშირდება აფხაზურ-ჩერქეზულ

ენათა ფორმებს: **ა-ჩე** (აფხ.), **ჩე** (აბაზ.), **შე** (ადიღ.), **ჩე** (ყაზარდ.), **ჩე** (უბიხ.) „ცხენი“ (შაგიროვი 1977-ა: 141); ივ. ქავთარაძის აზრით, ეს სიტყვა საერთოკავკასიურია (ქავთარაძე 1972: 177-179), თუმცა **ა-** თავსართის არსებობა ქართულში მის აფხაზურიდან სესხებაზე უნდა მიაწინებდეს (ბუკია 1999: 95).

ქართულ დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული სიტყვა **ურა** გარდამავალი სემანტიკით: **ურა** „მამალი კვიცი“ (ქეგლ IV: 856), **ურა** „ახტა კვიცია“ (საბა 1993: 166), **ურა** „უხედნი ცხენი, რომელზეც არავინ მჯდარა და არც უნაგირი დაუდგამთ“ (ლეონიძე 1925: 71), **ურა / ურო** „უხედნი კვიცი“ (ჯავახიშვილი 1986: 188), **ურა** (გურ.) „გაუხედნელი, მოუთვინიერებელი, გაუწვრთნელი“ (იმნაიშვილი 2006: 347), **ურა** (მეგრ.) „გაუხედნავი ცხენი“ (ციფშიძე 1914: 372). სიტყვა აფხაზურ ენაშიც გადასულა: **ა-ურა / ა-ჩეურა** „ურა ცხენი“ (ჯანაშია 1954: 269, 349), **ა-ჭურა** „ახლადგახედნილი ცხენი“ (ამიჭბა 1975: 17), **ა-ურა** „გაუხედნავი ცხენი“ (არშბა 1980: 144). ვ. კვარჭია აფხაზური ფორმისთვის ამოსავლად მიიჩნევს ულაყის აღმნიშვნელ თურქულ **ადირ-**ს (კვარჭია 1981: 108). ამ თვალსაზრისს არანაირი საფუძველი არა აქვს, სიტყვა ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ბუკია 1999: 24).

უუნაგრო, შეუკაზმავი ცხენი ქართულში აღინიშნება **უბელო** სიტყვით (ქეგლ VI: 1395). ფორმაში გამოიყოფა უ-ო უარყოფითობის გამომხატველი ცირკუმფიქსი, **ბელ-**ი კი განმარტებითი ლექსიკონის

მიხედვით „ხის კუნძია“ (ქეგლ I: 1957). მეგრულს ეს სიტყვა ქართულიდან უსესხებია **უბელო** / **უმბელო** / **უბელე** / **უბეჲე** (ყიფშიძე 1914: 202; ჭარაია 1997: 131; ჯვ., სენ., მარტვ.) სახით. ქართული **უბელო**, ანუ „ხის უნაგირის არმქონეს“ ეტიმოლოგიას (ლომთათიძე 1981: 84) ადასტურებს იმავე მნიშვნელობის მქონე მეგრული **უნჯალე** (ბუკია 1999: 133).

აფხაზურ ენაში გვაქვს კომპოზიტი **ა-ჩეგუბალ** „შეუკაზმავი, უბელო ცხენი“ (ჯანაშია 1954: 351). აფხაზური მწყემსური ლექსიკის მკვლევარი ვ. კვარჭია ამ კომპოზიტში გამოყოფს **ა-ჩე** ან **ა-ჩეგუ** („ცხენის ზურგი“) ნაწილს, რომელიც თავის მხრივ თითქოს დაიყოფა **ა-ჩე** და **გუ** > **ღუ** ელემენტებად (კვარჭია 1981: 95-96). ამ ეტიმოლოგიას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს: აუხსნელი რჩება კომპოზიტის მეორე ნაწილი –ბალ. გარდა ამისა, აუხსნელია, რამ გამოიწვია **ღუ** თანხმოვნის ცვლა **გუ** თანხმოვნით. რაც მთავარია, **ღუ** არ აღნიშნავს ზურგს. ზურგი აფხაზურად არის **ა-ბლა**, რომელიც სულ სხვა აგებულებისაა. ქ. ლომთათიძე სიტყვას მიიჩნევს ჰიბრიდულ კომპოზიტად, სადაც საზღვრული აფხაზური **ა-ჩე** „ცხენია“, მსაზღვრელად კი ქართული **უბელო**-ა გამოყენებული. ტრანსფორმაცია ამგვარად ხდება: **ა-ჩეუბალა** > **ა-ჩეუბალ** > **ა-ჩეგუბალ**. ნასესხებ მასალაში აფხაზურში **ე** > **ა**, **ო** ხმოვანი სონორის მომდევნოდ იძლევა **ა**-ს, შემდეგ უმახვილოდ დარჩენილი საერთოდ იკარგება. გარდა ამისა, **ჟ**-ს წინ განვითარდა უკანაენისმიერი **კ** ხშული. ეს ფონეტიკური პროცესი (**კ**-ს განვითარება **ჟ**-ს წინ) დასტურდება მეგრულიდან შეთვისებულ **ა-კატალა** („ჯირკვალი“) სიტყვაში < მეგრ. **ო[ნ]ტოლი** („ჯირკვალი“).

აბაზურში კომპოზიტს ფუძის ბოლოს დარჩენილი ლ-ც ჩამოშორდა და მივიღეთ (ა)ჩეუბა (ლომთათიძე 1981: 84-85). აფხაზური და აბაზური ფორმების შედარება გვაპარაულებინებს ამ სიტყვის სესხების ქრონოლოგიას. როგორც ჩანს, უბელო აფხაზურ-აბაზურმა ისესხა ამ ენათა ერთობის ხანაში, XVI ს-ის მეორე ნახევრამდე, როცა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში ცხოვრობდა (გვანცელაძე 1997-ა: 28-31). აფხაზთა სამხრეთისკენ მიგრაციისა და აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაშლის შემდეგ აფხაზურში მოხდა კ-ს განვითარების ფონეტიკური პროცესი (ა-ჩეუბალ, ა-კატალა), აბაზურმა კი აფხაზურისაგან დამოუკიდებლად მოიკვეცა აუსლაუტის ლ სონორი და დარჩა (ა)ჩეუბა ფორმა. შდრ. ა-ჩეუბალ „id.“ (კასლანძია 2005-ა: 561).

სპარსულიდანაა შესული ქართულში ჩალვადარი (სპარ. ჩარვანდარ) „ოთხფეხის პატრონი“ (ქეგლ VIII: 163), ჩარვადარი „(სპარ.) მეურმე სავაჭროთა ნივთთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1557), ჩალანდარი (გურ., იმერ.) „ჩალვადარი“ (დლონტი 1984: 642). მეგრულში სიტყვას სემანტიკა ოდნავ უცვლია და ჩალანდარი „საპალნე ცხენს“ ნიშნავს (ქაჯაია 2002-ა: 289), იმავე მნიშვნელობისაა მეგრული ტერმინოლოგიური შესიტყვება ჩალანდარიშ ცხენი „გასაქირავებელი ცხენი“ (ჯვ.). იგივე სიტყვა გვხვდება აფხაზურშიც: ა-ჩალანდარ ჩე „ბარგის ცხენი“ (არშბა 1980: 82), ა-ჩალანდარ „ქარავანი“ (კასლანძია 2005-ა: 520). სპარსული სიტყვას მეგრულის მეშვეობით აქვს შეთვისებული აფხაზურს (ბუკია 1999: 16). სპარსული

Ārvādār „მეხრეს, სასაპალნე საქონლის გადამრეკს“ ნიშნავს (ბართაია 2010: 119).

ქართველურში ფართოდ გავრცელებული **მარქაფა** „სათადარიგო, შემცვლელი“ (ქეგლ V: 70), **მარქაფა** „ჯინიბი, მეორე ცხენი“ (საბა 1991: 443), **მარქაფა** (მეგრ.) „მარქაფა, მეორე ცხენი, რომელიც კაცი რომ არ ზის და ისე მიყავს მხედარს“ (ჭარაია 1997: 91), **არქაფა / მარქაფა** „id.“ (ქაჯაია 2009: 37), **მარქაფ** (სვან.) „მარქაფა“ (თოფურია 2000: 550) აფხაზურშიც გვხვდება **ა-მარქაფა** „მარქაფა, სათადარიგო“ (კასლანძია 2005: 665) სახით. სპარსული ლექსემა ქართველურიდან შეითვისა აფხაზურმა (ბუკია 1999: 13).

ლურჯა „1. იგივეა, რაც ლურჯა ცხენი; 2. უხმარიათ მოლურჯო ნაცრისფერი სხვა ცხოველის ეპითეტადაც“ (ქეგლ IV: 1594), **ლურჯა** „ცისფერი ცხენი“ (ჩუბინაშვილი 1887: 654), **ლურჯა / იურჯა** (მეგრ.) „ლურჯი ცხენი“ (ელიავა 1997: 205). სიტყვა ქართულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ ენას, სადაც წარმოდგენილია როგორც მარტივი სახით, ასევე ჰიბრიდული კომპოზიციის კომპონენტად: **ა-ლარჯ / ა-ჩგლარჯ** „ლურჯ-ნაცრისფერი ცხენი“ (არშბა 1980: 85). იგივე სიტყვა გვაქვს აბაზურშიც: **ლარჯ** „id.“ (აბრლ 1967: 265). ჩანს სიტყვა ნასესხებია აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაყოფამდე (ბუკია 1999: 73).

ქართველურსა და აფხაზურში გვხვდება მეცხენეობის ლექსიკასთან დაკავშირებული კიდევ ერთი

სიტყვა: **ზერდაგი** „ოქროსფერი ცხენი“ (ლეონიძე 1925: 24), **ზერდაგი** (მეგრ.) „ზერდგამი ცხენი, ჩალისფერი ცხენი“ (ჭარაია 1997: 67), **ა-ზარდაგ~ / აჩაზარდაგ~** (აფხ.) „ზერდაგი, ჩალისფერი, ოქროსფერი“; „ჩალა ცხენი“ (ჯანაშია 1954: 198; არშბა 1980: 87).

ქეგლ-ის მიხედვით **ზერდაგი** „მუქი ოქროსფერია“ (ქეგლ IV: 142), საბასთან „ყვითელ-შავია“ (საბა 1991: 280), „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით კი „ჩალისფერი“ (ფოჩხუა 1987: 232). სპარსული წარმოშობის სიტყვა (სპარ. **ზარდანგ** „მუქი ყვითელი“) ფართოდ არის გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში, ქართულიდან აქვს შეთვისებული მეგრულს.

ეს სიტყვა ქართულ-მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ ენას, სადაც დამკვიდრებულია **ა-ზარდაგ~ / აჩაზარდაგ~** სახით. სესხების ამ გზაზე მიუთითებს აფხაზური ფორმის პალატალიზებული **გ~** თანხმოვანი. იგი ქართველური სახელობითი ბრუნვის რეფლექსია. ე > ა ნასესხებ სიტყვებში ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. **ჩელტი** > **ა-ჩალტ, კამბეში** > **ა-კამბაშ, წესი** > **ა-წას** (ლომთათიძე 1976: 47). ვ. კვარჭია მიიჩნევს, რომ აფხაზური **ა-ზარდაგ^{1/2}** თურქული **ზერთ** „ყვითელიდან“ არის შეთვისებული, თუმცა არ განმარტავს, რა უნდა იყოს სიტყვის მეორე ნაწილი **-დაგ~** ან **-აგ~** (კვარჭია 1981: 89). ვ. კვარჭიასგან განსხვავებით, სიტყვას ქართველურიდან ნასესხობათა რიგში განიხილავს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 143). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ ზემოთ დასახელებულ ფონოტაქტიკურ წესებზე დაყრდნობით (ბუკია 1999: 71). „აფხაზურის მიერ ქართულიდან ნასესხებ მასალაში

ზოგჯერ ისეთი სიტყვებიც შეიძლება მოჰყვეს, რომლებიც თვით ქართულში უცხო ენობრივი სამყაროდან მომდინარეობენ... აფხაზური ამ სიტყვებს ისევე ეპყრობა, როგორც ქართულიდან შესულ საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვებს“ (მაჭავარიანი 1966: 165).

მარლი ქეგლ-ის მიხედვით არის „1. ულამაზო თეთრი (ითქმის თვალის შესახებ); 2. ასეთი თვალების მქონე, თვალთეთრი“ (ქეგლ V: 72), საბასთან „თვალთეთრია“ (საბა 1991: 443), ქართული ენის დიალექტებში (მთიულ., გუდ., გურ., ფშ., ხევს., ქიზიყ., ლეჩხ., გურ.) „თვალზე ლიბრგადაკრული პირუტყვი“ (ღლონტი 1984: 346). იგივე სიტყვა გვაქვს მეგრულში: **მარლი** „მარლი, თვალჭრელი“ (ჭარაია 1997: 91). სიტყვა ქართულიდან მეგრულის გზით ნასესხები აქვს აფხაზურს: **ა-მარღა** „ცალთვალთეთრი, მარლი“ (ჯანაშია 1954: 185), **ა-ჩემარღ** „თვალთეთრი ცხენი“ (არშბა 1980: 85). აფხაზურში ღ-ს პალატალიზაცია გამოწვეულია ქართულ-მეგრული სახელობითი ბრუნვის ნიშნით. ბოლოკიდურა -ა ხმოვანი **ა-მარღა** ფორმაში აფხაზურში სესხების შემდეგაა განვითარებული (ბუკია 1999: 77).

ქართველურ ენებში **ბაჩა** ცხენის გარეგნობის აღმნიშვნელი სიტყვაა და ქართული ენის დიალექტებში ოდნავ განსხვავებული სემანტიკით გვხვდება: ქეგლ-ის მიხედვით **ბაჩა** „1. პატარა ტანის საქონელი საერთოდ, 2. ცხენი, რომელსაც ძუა-ფაფარი გაკრეჭილი აქვს“ (ქეგლ I: 1003), ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში **ბაჩა** განმარტებულია, როგორც „ცხენი, მცირე ჰასაკის მალ-

მორბედი“ (ჩუბინაშვილი 1887: 100), მთიულურში „პატარა, დაბალი ცხენია“ (კაიშაური 1967: 185), ქართლურში – „დაბალი, ნაკლები ჯიშის საქონელი“ (ბეროზაშვილი 1981: 55); იმერულში – „დაბალი, ტანმორჩილი“ (მოწინიძე 1974: 47); მეგრულში „თოხარიკი, პატარა ტანის ფაფარგაკრეჭილი ცხენი“ (ჭარაია 1997: 40). ლ. ლეონიძის მითითებით, „მხოლოდ შეძლებულ მებატონეებს ჰყავთ (სამეგრელოში) გვარიანი ჯოგი, რომელშიც კარგი, ბაჩად წოდებული თოხარიკი ცხენები გამოერევა ხოლმე“ (მოამბე, 1900, № III5 II-28. ლეონიძე 1925: 7). „ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, **ბაჩა** „ფაფარგაკრეჭილია“ (ფოჩხუა 1987: 231). ქართველური ფართოდ გავრცელებული სიტყვა მომდინარეობს სპარსული **bačča/e/** ფორმიდან, რომლის მნიშვნელობაცაა „ბავშვი, ნაშიერი საქონლისა“ (ბართაია 2010: 27).

სიტყვა აფხაზურში შესულა ქართულის მსგავსად განსხვავებული სემანტიკით: **ა-ბაჩა** „შეკრეჭილი ცხენი“ (გენკო 1998: 50), „პატარა ცხენი“ (კასლანძია 2005: 224).

ოჩანი ქველ-ის მიხედვით, „ურჩი, ზანტი, ჯიუტი საქონელია“, ლ. ლეონიძის მიხედვით კი, „ცხენი, რომელიც მუშაობის თუ სვლის დროს უცებ დადგება“ (ლეონიძე 1925: 53). სიტყვა ქართულიდან უსესხებია მეგრულს: **ორჩანი** „ზარმაცი, ოჩანი, უკუღმართი“ (ყიფშიძე 1914: 294; ჭარაია 1997: 109), სესხების შემდეგ მეგრულში განვითარდა **რ** სონორი.

მეგრულიდან სიტყვა ნასესხები აქვს აფხაზურ ენას: **ა-ჰარჩან**, **ა-ჩეჰარჩან** სახით (ბუკია 1999: 98).

კომპოზიტი **ა-ჩუტარჩან** პირველი კომპონენტი ცხენის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ჩუ** ლექსემაა, მეორე კი – მეგრული **ორჩანი**. აფხაზურში **ო** ხმოვანი სხვა ენათაგან დიდი ხნის წინათ შესულ სიტყვებში ჩვეულებრივ გადმოცემულია **ა** დიფთონგით (ლომთათიძე 1976: 51). ამ წესის შესაბამისად, მეგრული **ორჩანი** > აფხ. **ა-ტარჩან**. ქართულიდან სიტყვა ნასესხები აქვს ოსურ ენასაც (აბაევი 1973: 224).

მეგრულში **ნოღია** „მხდალსაც“ ნიშნავს და „ნელმავალ, ოჩან, ზანტ ცხენსაც“ (ქაჯაია 2002: 394). იგივე სიტყვა გვაქვს აფხაზურში დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად და კომპოზიტის ნაწილადაც: **ა-ნადი**, **ა-ჩუნადი** „ლოხი, ლოხი ცხენი“ (ჯანაშია 1954: 202; არშბა 1980: 87); პ. ჭარაია მიიჩნევს, რომ სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში (ჭარაია 1912: 14). ქართულიდან შეთვისებულად განიხილავს აფხაზურ ფორმას ა. შაგიროვიც (1989: 143). ვ. კვარჭიას ვარაუდით, ამოსავალი უნდა იყოს სპარსული **ენად**, რაც „სიჯიუტეს, ურჩობას, შეუსმენლობას“ ნიშნავს (კვარჭია 1981: 90), მაგრამ ამ შემთხვევაში აუხსნელი რჩება აფხაზურში ბოლოკიდურა ი ხმოვნის რაობა.

ინად ფორმა ნასესხობის სახით გვაქვს ლაზურში: **ინადი** „სიჯიუტე“ (ჯიქია 1975: 63), ქართული ენის დიალექტებში: ჯავახურში **ინადი** „ქიშპი, სიჯიუტე“, ქართლურში **ინადი ქნა** „გაჯიუტდა“, იმერხელში **ინათი** „ჟინიანობა, სიჯიუტე“, აჭარულში **ინათიანი** „ჯიუტი ცხენი“. ამ ფორმათაგან, მიუხედავად სემანტიკური იგივეობისა, შორს დგას მეგრული **ნოღი** / **ნოღია**, თუმცა

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სესხებისას ანლაუტში **ი** ხმოვანი დაიკარგა, თვით ფუძეში **ა > ო**. ერთი რამ ცხადია, მეგრული **ნოდი** / **ნოდია** არის საფუძველი აფხაზური **ა-ნადი** ფორმისთვის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სესხების ფონოტაქტიკის წესები, კერძოდ, აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში გამსესხებელი ენის ო ხმოვნის ადგილს იჭერს **ა**, როცა მის წინ დგას სონორი (ლომთათიძე 1976: 51). აფხაზურ ფორმაში ბოლოკიდურა **ი** ხმოვნის შენარჩუნება (რომელიც, როგორც ჩანს, **ნოდ-ი** ფორმის სახელობითი ბრუნვის ნიშანია) ამ სიტყვის სესხების სიახლეზე უნდა მიგვანიშნებდეს. წესით, იგი ამ პოზიციაში უნდა რედუცირებულიყო, ან ხმოვანი მოეცა.

აქვე განვიხილავთ ცხენის აღკაზმულობის აღმნიშვნელ ლექსიკას, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ არის წარმოდგენილი ქართველურსა და აფხაზურში.

ქართველურიდან აფხაზურში ნასესხებია:

ქართული **კეხი** ქეგლ-ის მიხედვით „უნაგირის ხის ჩონჩხია“ (ქეგლ IV: 155), საბასთან „შეუმზადებელი კეხი“ (საბა 1991: 369), ნ. ჩუბინაშვილი აკონკრეტებს: „უნაგირის ხე გათლილი და ჯერეთ შეუმოსავი“ (ჩუბინაშვილი 1961: 247). გვაქვს მეგრულ-ლაზურსა და სვანურში: **კეხი** (მეგრ.) „უნაგირის ხის ჩონჩხი“ (ჭარაია 1997: 77), **კეხი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 154), **კეხ** / **კეჰ** (სვან.) „კეხი“ (თოფურია 2000: 347). სიტყვა ქართველურიდან უსესხებია აფხაზურს, სადაც დამკვიდრებულია **ა-კ~ახ~** სახით (ჯანაშია 1954: 162). **ხ**-ს პალატალიზაციის მიზეზია ქართულ-მეგრული სახელობითი ბრუნვის **ი** სუფიქსი, **კ**-ს პალატალიზაცია კი

გამოიწვია ფონეტიკურმა წესმა, რომლის მიხედვითაც აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში უკანაენისმიერნი პალატალიზდებიან, თუ გამსესხებელ ენაში მათ მოსდევს ი ან ე ხმოვანი (ლომთათიძე 1976: 176). სიტყვა აფხაზურს შეთვისებული აქვს ქართველურიდან (ბუკია 1999: 120).

ცხენის სამართავი მოწყობილობა **აღვირი** ყველა ქართველურ ენაში გვხვდება: **აღვირი** „მოწყობილობა ცხენის სამართავად“ (ქეგლ I: 751), **აღვრი** (ძვ. ქართ.) „აღვირი, ლაგამი“ (აბულაძე 1973: 22), **აღვირი** (მეგრ.) „id.“ (ქაჯაია 2001: 200), **აღვირი** (ლაზ.) „id.“ (ქუთელია 1982: 38), **ჰაღღირ** / **აღღირ** (სვან.) „id.“ (თოფურია 2000: 895). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფორმა შეიძლება უკავშირდებოდეს **ლუა**-ს („ლოყა“). „აღვირი არის, რაც **ღვა**-ს ამოედება“ (ჭინჭარაული 1989: 121). აფხაზური **ა-ღრა** „id.“ (უსლარი 1887: 129) მიიჩნევა ქართულიდან ნასესხობად (ჭარაია 1912: 16). ნასესხობად მიაჩნია ს. ამიჭბასაც (ამიჭბა 1975: 121). სიტყვა გვხვდება აფხაზური კომპოზიტის კომპონენტადაც: **ალაგამა-ღრა** (კვარჭია 1981: 35), **ა-ღრა ა-გზრგზლ** „ჯილავი, აღვირის რგოლი“ (ჯანაშია 1954: 86). კომპოზიტების ორივე ნაწილი ქართულიდანაა ნასესხები (იხ. ქვემოთ). ტერმინი იძებნება – **ღრა** (აბრლ 1967: 143) და ბაცბურშიც **აღვირი** (კვარჭია 1981: 93) ფორმით. მივიჩნევთ, რომ აფხაზურ-ჩერქეზულში ქართველურის გზით არის შესული (ბუკია 1999: 127).

ლაგამი „ცხენის სატუჩარი აღკავებულობა“ ქართულს ნასესხები აქვს აღმოსავლურენოვანი

სამყაროდან. არაბულში მას **liġām / luġum** ფორმა აქვს (ქერქაძე 1974: 167), სპარსულში **logam** (კვარჭია 1981: 93), თურქულში **gem** (მაგაზანიკი 1945: 205). სიტყვა გვაქვს მეგრულში **ლაგამი / ლაგანი / აგამი** სახით (ყიფშიძე 1914: 269; ჭარაია 1997: 84; ელიავა 1997: 202), სვანურში კი **ლაგამ / ლაგამ** ფორმით (თოფურია 2000: 358). ტერმინი აფხაზურშიც შესულა მარტივი **ა-ლაგამა** (არშბა 1980: 40) და კომპოზიტის კომპონენტადაც **ა-ლაგამალ^არა** (ჯანაშია 1954: 311) სახით. ვ. კვარჭია აღნიშნავს, რომ ტერმინი **ლაგამა** სახით გვხვდება აფხაზურშიც (კვარჭია 1981: 126), მაგრამ ა. შაგიროვის მითითებით, არც აშხარულ, არც ტაპანთურ დიალექტში ეს სიტყვა ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება. მეცნიერი აფხაზურ **ა-ლაგამას** ქართველურიდან ნასესხობათა რიცხვში განიხილავს (შაგიროვი 1989: 143).

მეგრულში „აღვირის რგოლის“ აღმნიშვნელია **გორგოლია** (ჩხორ.), რომელიც ზედმიწევნით „რგოლს, მრგვალ საგანს“ ნიშნავს. ტერმინი რედუპლიცირებული ფორმაა და ქართული **რგოლ**- სიტყვის ამოსავალ ფუძეს შეიცავს. აფხაზურ ენაში დასტურდება მარტივი **ა-გ^აგრგ^აგლ** „რგოლი“ და „ჯილავის, აღვირის“ აღმნიშვნელი **ა-ლ^არა ა-გ^აგრგ^აგლ** (ჯანაშია 1954: 86). ტერმინი აფხაზურს ნასესხები აქვს მეგრულიდან აფხაზურ-აფხაზური ენობრივი ერთიანობის დაყოფის შემდეგ, რადგანაც აფხაზურში ეს სიტყვა არ დასტურდება (ბუკია 1999: 128).

მეგრულში დეზი აღინიშნება **მუხამუზი / მოხამუზი** ფორმით (ყიფშიძე 1914: 282; წალენჯ.) სიტყვა

არაბულიდანაა ნასესხები და გამსესხებელ ენაში **mahamiz** ფორმა აქვს. ეს სიტყვა **ა-მაჰმეზ** სახით გვხვდება აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტში (ზღაჟბა 1964: 219; ამიჰბა 1975: 119). სავსებით დასაშვებია, რომ აფხაზური **ა-მაჰმეზ** მომდინარეობდეს მეგრული **მუხამუზი / მოხამუზი**-სგან. უ > გ და უ / ო > ა, აგრეთვე ხ > ჰ (მეგრ. **კალმახა** > აფხ. **ა-კალმაჰა**) აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში ბუნებრივი პროცესია. გარდა ფონოტაქტიკის წესის სრული დაცვისა, ამ თვალსაზრისის სისწორეში გვარწმუნებს სიტყვის აფხაზურ ენაში გავრცელების არეალი – გვხვდება აბჟუურ დიალექტში, სადაც გაცილებით ინტენსიურად შეიმჩნევა მეგრულის ზეგავლენა (ბუკია 1999: 130).

აფხაზურიდან უსესხებია მეგრულს **აბდანი** / **აბუდანი** / **აფდანი** „ცხენის რკინის ბორკილი“ (ქაჯაია 2001: 163) **აბუდანიშ ლაგამი** „აღვირი“ (ქობალია 2010: 7) ჰიბრიდული კომპოზიტია. ერთ-ერთი ინფორმატორის განმარტებით, რკინის საკეტს, აბდანს ცხენს უკეთებდნენ ფეხზე, რომ ქურდებს არ მოეპარათ (წალენჯ.). სიტყვა მთელ აფხაზურ-ჩერქეზულ ენობრივი სივრცეში გვხვდება და საერთო აფხაზურ-ჩერქეზულ ლექსემადაა მიჩნეული: **ა-ფდან** (აფხ.) **ფფდგნ** (ადიდ.), **ფფდგნ** (ყაზარდ.) „რკინის ბორკილი“ (შაყრილი 1968: 81). მეგრულში ფორმა გადმოსულია აფხაზურისთვის დამახასიათებელი **ა-ზოგადობის** პრეფიქსის დაცვით. სესხების შემდეგ ფუძეში მოხდა რეგრესული ასიმილაცია – **დ**-ს გავლენით **ფ** გამჟღერდა > **ზ** (ბუკია 1999: 130).

აღკაზმულობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა ორივე ენობრივ სისტემაში ნასესხებია სხვა ენებიდან, მაგრამ ფონეტიკური ინვენტარი არ იძლევა სესხების შუალედური რგოლის რკვევის საშუალებას.

აშმარის აღსანიშნავად მეგრულში გვაქვს თურქული წარმოშობის სიტყვა **ნახთა** / **ნახუთა** / **ნახტა** / **ნახთა** (ყიფშიძე 1914: 287; ჭარაია 1997: 102; წალენჯ., ჩხორ.). ეს ტერმინი ფართოდაა გავრცელებული აფხაზურ-ჩერქეზულ ენებშიც: აფხ. **ა-ნახთა** (ჯანაშია 1954: 208), აბაზ. **ნახთა**, უბიხ. **ნახთა** / **ნოხტა**, ადიღ. **ნახტა** / **ნახტა** (კვარჭია 1981: 93). გვხვდება აგრეთვე ყარაჩაულ-ბალყარულში **ნუქთა**, აზერბაიჯანულში **ნოხთა**, ჩუვაშურში **ნახთა** ფორმით. იგივე სიტყვა წარმოდგენილია მონღოლურ ენაში და, როგორც ვარაუდობენ, ძირი ჩინურამდეც კი მიდის (შაგიროვი 1989: 94). გ. კლიმოვი ამ სიტყვას მეგრულში აფხაზურიდან შესულად მიიჩნევს (კლიმოვი 1986: 182), თუმცა თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს. აქ სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს, ვინაიდან ასევე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეგრულიდანაც შეეძლო ესესხა აფხაზურს. საკითხის გადასაწყვეტად ხელჩასაჭიდი მასალა არ ჩანს (ბუკია 1999: 128).

უზანგის აღმნიშვნელი **აფჟანდი** ფონეტიკური ვარიანტების სახით მთელ ქართველურ მიკროსისტემებში გვხვდება: **აფჟანდი** / **აფჟანდა** „უნაგირის ნაწილი, ფეხის შესადგმელი“ (ქეგლ I: 159), ქართლ. **აფჟანდა**, იმერ. **აბჟანდი** / **აბჟანდა**, ლეჩხ. **აბჟანტი**, მესხ. **აბჟანდი** / **აფჟანდი**,

ფშ., მთიულ., გუდამ., ხევს. აფჟანდა, გურ. აფჟანგა (ლეონიძე 1925: 10; ლლონტი 1984: 21), მეგრ. აბჟანდი / აფჟანდი / აბჟანი / აფჟანი (ქაჯაია 2001: 163; ჯვ., წალენჯ., ჩხორ.), სვან. ატჟანდ / ატჟენდ / ატჟანდ (თოფურია 2000: 66). იგივე სიტყვა აბჟანდა ფორმით გვხვდება აფხაზურშიც: აბჟანდა „უნანგი“ (არშბა 1980: 14). ს. ამიჭბა ვარაუდობს, რომ აფხაზურს იგი ნასესხები აქვს, ოლონდ არ მიუთითებს პირველწყაროს (ამიჭბა 1975: 121), ვ. კვარჩია კი საკმაოდ გამჭვირვალე აფხაზურ-აბაზურ ლექსემად მიიჩნევს (კვარჩია 1981: 94-95), თუმცა მის ვარაუდს საკმაოდ სერიოზული ფონეტიკურ-სემანტიკური დაბრკოლებები ახლავს. ქართველურ ენებსა და დიალექტებში სიტყვის გავრცელების ფართო არეალი და ფონეტიკური სპექტრი სათუოს ხდის სიტყვის აფხაზურიდან სესხების შესამღებლობას. რეალური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტერმინი ნასესხები აქვს როგორც აფხაზურს, ასევე ქართველურ ენებს (ან ქართულს და იქიდან მეგრულსა და სვანურს), მაგრამ ჭირს სესხების მიმართულების გარკვევა (ბუკია 1999: 123). შდრ. თურქ. *üzengi* (მაგაზანიკი 1945: 647).

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, მეგრულსა და აფხაზურში ქალის უნაგირის აღსანიშნავად გვაქვს საერთო წარმოშობის **სედლო** „ქალის უნაგირი“ (წალენჯ.) **სედლო** (გურ.) „ქალის უნაგირს ემახიან, მხოლოდ ფორმით განსხვავდება უნაგირისაგან“ (ქლენტი 1936: 243), **სედლო** (იმერ.) „უნაგირი“ (მოწენიძე 1974: 356), **ა-სედლა** „ქალის უნაგირი“ (კვარჩია 1981: 34). სიტყვა ორივეგან რუსულიდანაა ნასესხები. საინტერესოა, რომ

სესხების შემდეგ ორივე ენაში ერთნაირი, ამოსავალისგან ოდნავ განსხვავებული სემანტიკა მიიღო. არც ძველ ქართულში, არც ქართული ენის დიალექტებში ქალის უნაგირის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი არ დასტურდება. არადა, ცხენოსნობაში მამაკაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ცხენოსნობაში ქალები იმდენად გავარჯიშებულნი არიან, რომ ბევრი მათგანი ცხენზე თვითონ ჯდება სხვის დაუხმარებლად და უშიშრად მიაჭენებს... ისე მარჯვედ და დახელოვნებულად სხედან ცხენზე, რომ ძველი ამორძალები მოგაგონდებათ“ (ლამბერტი 1938: 109). ტერმინი გვიან, XIX საუკუნიდან არის ნასესხები, როცა ყოფაში ქალის უნაგირი ჩნდება (ბუკია 1999: 119).

ძალღოთან დაკავშირებული ლექსიკა

ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებას აფხაზური **ა-მაწუარ** „მწევარი“ (ჯანაშია 1954: 188), **ა-მაწუგრ** (ბზ.) „id.“ (კვარჭია 1981: 60). აფხაზურმა შემოინახა ოდინდელი ფორმა ***მა-წევ-არ-ი**, რომელიც ქართულში გამქრალია (გვანცელაძე 1988: 77). შდრ. **მწევარი** „სანადირო ძაღლი, რომელმაც კარგი სირბილი იცის, გაქცეულ ნადირს ადვილად ეწევა და იჭერს“ (ქეგლ

V: 1218), **მწევარი** „ძალი მომწევი“ (საბა 1991: 545), **მეწეპარ** / **წეპარ** / **წაპარ** / **წეპარ** (სვან.) „მწევარი“ (თოფურია 2000: 568, 852). **ა-მაწეპარ ლა** „სანადირო ძალი, მწევარი“ (არშბა 1980: 43) ჰიბრიდული კომპოზიტია: ქართულიდან შეთვისებულ **ა-მაწეპარ**-ს ერთვის „ძალის“ აღმნიშვნელი საკუთრივ აფხაზური (**ა**)**ლა** (ბუკია 2008-ა: 105). საინტერესოა, რომ აბაზურმაც შემოინახა ორენოვანი კომპოზიტი **ლამწეპარ** სახით, რომელიც „უპატრონო, მოხეტიალე ძალს“ ნიშნავს (აბრლ 1967: 264). ყოვლად დაუსაბუთებელია, არაარგუმენტირებულა ვ. კვარჭიას ვარაუდი, რომლის მიხედვით აფხაზური ფორმა იყოფა შემდეგ ნაწილებად: **ამაწ** „მსახურება“, **უგ** „კეთება“, **რ** მრავლობითობის აფიქსი და ზედმიწევნით ნიშნავს „მომსახურეებს“ (კვარჭია 1981: 101).

აბჟურმა მეგრულიდან ისესხა „მწევრის“ აღმნიშვნელი **წიარი**, როგორც პირდაპირი მნიშვნელობის გამოსახატავად, ისევე გადაწეული სემანტიკით. **ა-წიარ** აფხაზურში ისევე, როგორც მეგრულში „მწევარსაც“ ნიშნავს და „გამხდარსაც“ (გვანცელაძე 1988: 78). შდრ. აგრეთვე **წიარგ** „წვრილი, სწორტერფიანი ცხენი“ (წალენჯ.). მეგრულში გვაქვს ფორმა **ო-წიარ-ა-ია** „წვრილწელა, გამხდარი (ადამიანი)“. როგორც ჩანს, ამ სიტყვის ძირი, უკავშირდება **წიარ-ს** „მწევარს“ (**ო-წიარ-ა-ია** > **ო-წიარ-ა-ია** პროგრესული ასიმილაციით). მითუმეტეს, სწორტერფიანი ცხენის აღსანიშნავად ინფორმატორები ასახელებენ შესიტყვებას **წიარცალ კუჩხამი** „მწევარივით ფეხიანი“. ქართულშიც **მწევარი**

ფეხებმაღალ ან წვრილფეხება არსებაზე ითქმის. გამოიყენება მეტაფორადაც: მწევარივით არისო, იტყვიან გამხდარ, მაღალფეხება, ან წვრილფეხება ადამიანზე, შდრ. აგრეთვე მეგრული **წიარცალი** „მწევარივით, ე. ი. გამხდარი“, **გითოწიორილი** „ჩამოსხმული, ჩამონაკვთული“ (ბუკია 1999: 84). სიტყვამ აფხაზურში მეგრულის მსგავსად გადატანითი მნიშვნელობაც მიიღო და „გამხდარს, წვრილს“ ნიშნავს (კვარჭია 1981: 101).

ქართ. **მწევარი** ≈ აფხ. **ა-მაწუარ** /**ა-მაწუერ**, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ მეგრ. **წიარი** ≈ აფხ. **ა-წიარ** ფორმათა ურთიერთმიმართება კიდევ ერთი გამოვლინებაა ქართველიზმთა გადანაწილების ერთგვარი ტენდენციისა აფხაზური ენის დიალექტთა შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ რაც უფრო „ზევით“, ჩრდილოეთისკენ (ბზიფურისკენ – მ. ბ.) მივიწევთ, იკვეთება სალიტერატურო ქართულიდან ნასესხები ლექსიკის სიმრავლე, აბჟურში კი მეგრელიზმები ჭარბობს. ამ მოვლენას განიხილავდნენ ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ხ. ბლაჟბა, თ. გვანცელაძე... (შდრ. ქართ. **ხერხი** ≈ ბზ. **ა-ხ~არხ~** – მეგრ. **ხორხი** ≈ აბჟ. **ა-ხ~არხ~** „ხერხი“; ქართ. **პრასა** / **პრასი** ≈ ბზ. **ა-პარასა** – მეგრ. **პურასკია** ≈ აბჟ. **ა-პრასქია** / **ა-პარასქია** „პრასი“, ქართ. **ხაზი** ≈ ბზ. **ა-ლაზა** „ნახნავი, ხნული“ – მეგრ. **წურუა** „დაკვალვა“ ≈ აბჟ. **ა-წორუა** „ხნული“, ქართ. **ქვირითი** ≈ ბზ. **ა-ქვრითი**, მეგრ. **ქვილითი** ≈ აბჟ. **ა-ქვლითი** „ქვირითი“...

მურა „1. რუხ-წითელი, შავ-წითელი. 2. შავ-წითელი ძაღლი (საბა). 2. საერთოდ, ძაღლის ფართოდ გავრცელებული სახელი“ (ქეგლ V: 1157), **მურა** „ინგუშა,

შავ-თეთრი“ (ჩუბინაშვილი 1887: 907), **მურია** „პატარა შავი ძაღლი“ (ჩუბინაშვილი 1887: 907), **მურა** „მუქი წითელი ძაღლი“ (ლეონიძე 1925: 44), **მურა** (მეგრ.) „მურა ძაღლი“ (ქაჯაია 2002: 339), **მურა** (ლაზ.) „მურა, ნაგაზი“ (მარი 1910: 170) ჩანს აფხაზურ ფორმაში **ა-ლამურა** „ნაგაზი“ (რალ 1964: 32); აფხაზური სიტყვა ჰიბრიდული კომპოზიტია, შედგება აფხაზური **ა-ლა** „ძაღლ“-ისა და ქართულიდან შეთვისებული **„მურა“**-საგან (ბუკია 2008-ა: 105). ქართული სიტყვა გვხვდება აფხაზურში ზოონიმად **მურა** „დიდი ძაღლის სახელი“ (კვარჭია 1981: 39).

საინტერესოდ გვეჩვენება ქართ. **ფინია** „პატარა ძაღლი, – გოშია“ (ქეგლ VII: 114), **ფინია** „ცუდი ძაღლი“ (საბა 1993: 351), **ფინია** (მეგრ.) „id.“ (ქარაია 1997: 135), **ფინო** (ლაზ.) „1. პატარა ძაღლი; 2. ტანმომცრო“, **ფინიან** / **ფინიან** / **ფინიან** (სვან.) (თოფურია 2000: 761) და აფხაზური **ა-ფინა** „ფინია“ (ჯანაშია 1954: 276) ფორმათა ურთიერთმიმართება. ვ. კვარჭია მიუთითებს, რომ სიტყვა გვხვდება მეგრულსა და ქართულში, მაგრამ მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს თურქული **bina** „კარგადმხედველი, გამჭრიახი“ (კვარჭია 1981: 102); ვვარაუდობთ, რომ აფხაზური სიტყვა ქართველურიდანაა შეთვისებული. გაუგებარია, რა საერთო აქვს თურქულ და ქართველურ-აფხაზურ სემანტიკას ერთმანეთთან (ფინიები არც კარგადმხედველობით გამოირჩევიან და არც გამჭრიახობით). **ა-ლაფინა** „ფინია“ (კასლანძია 2005: 618) აფხაზურ-ქართულ კომპოზიტად განიხილება.

აფხაზური ა-ციცვა „მაწანწალა ძაღლი“ (კვარჭია 1981: 39) მხოლოდ აბჟუურ დიალექტში გვხვდება. ვ. კვარჭია მიიჩნევს, რომ რუსული **цуцик / цуцка**-დანაა ნასესხები. მეგრულში გვაქვს **ცუცვა / ცუცა** „პატარა ძაღლის“ მნიშვნელობით (ქაჯაია 2002-ა: 358). სავარაუდოდ, აბჟუურში სიტყვა მეგრულიდანაა აბჟუურში.

მესაქონლეობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები

მაკე „ორსული საქონელი“ (ქეგლ V: 24), **მაკე** (ძვ. ქართ.) „მუცლადღებული, ფეხმძიმე“ (აბულაძე 1973: 213), **მაკე** „ორსული პირუტყვი“ (საბა 1991: 429), **მაკე** (მეგრ.) „დანერბილი ცხენი“ (ქაჯაია 2002: 208) – **ა-მაკა** „მაკე“ (არშბა 1980: 43); გვხვდება ჰიბრიდულ კომპოზიტებში: **ა-ჩანმაკა** „მაკე ცხენი“ (იქვე: 84); **ა-ჰანმაკა** „მაკე ღორი“ (კვარჭია 1981: 37). აფხაზური ფორმა, მარტივი **ა-მაკა** და ჰიბრიდული კომპოზიტების ნაწილები ქართველურიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 143).

მაკე საერთოა ქართულ-ზანურისათვის. ქართული **მაკე**-ს მეგრულ-ლაზურში შეესატყვისება **მონკა**. ნ ფონეტიკურად განვითარებულად ივარაუდება (ჩიქობავა 1938: 272), ხოლო -ე ქართულში – დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენად (ჩიქობავა 1942: 18). მეგრულში მოხდა ერთგვარი დიფერენცირება: ჩვეულებრივ, ქალის

ორსულობის აღსანიშნავად მონკა გამოიყენება: **მონკა-თ-ალ-ა** „ფეხმძიმობა“, **მონკათ ოსური** „ფეხმძიმე ქალი“, მაგრამ საქონელთან მიმართებაში **მაკე** იხმარება.

ფორმა **მაკე** მეგრულიდან აქვს ნასესხები აფხაზურ ენას. ნასესხებ მასალაში აფხაზურში ე ხმოვანი უკანაენისმიერთა მომდევნოდ გადმოცემულია ა ხმოვნით, თანაც იწვევს წინა თანხმოვანთა პალატალიზაციას (ლომთათიძე 1976: 47). ამდენად, ფორმა აფხაზურში ტრანსფორმირებულია ასე: **ა-მაკ~ა, აჩან მაკ~ა** „მაკე, მაკე ცხენი“ (არშბა 1980: 43, 84). **ა-მაკ~ა**-ს ქართველური ენებიდან ნასესხობად მიიჩნევს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 143).

ხალა / ხაფა / ხუალა (მეგრ.) „შობა, გაჩენა“ (ციფშიძე 1914: 396; ჭარაია 1997: 175; ელიავა 1997: 382) – **ა-ხ~არა** „გაჩენა“ (უსლარი 1887: 167); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 40). სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია საერთო ქართველურ-აფხაზურ ლექსემად (ბლაჟბა 1948: 42). მეგრული ფორმა მხოლოდ მესაქონლეობის ლექსიკაში რეალიზდება (ბუკია 1999: 86).

წველა „1. სახელი წველის ზმნის მოქმედებისა, – ცურიდან რძის გამოდინება. 2. გამონაწველი. 3. ყველის კვერი. 4. იგივეა, რაც მაწონი“ (ქეგლ VIII: 1070), **წველა** „1. შედედებული რძე, მაწონი; 2. მოწველა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1676), **ჭვალა / ჭვალუა** (მეგრ.) „წველა“ (ციფშიძე 1914: 388). რძის პროდუქტის ზოგადი სახელის ასეთი აღნიშვნა (მასდართა და მიმღეობით) ბუნებრივია ქართველურ ენებში. შდრ. **წველა** (ჯავახ.) „რძე-მაწონი, ერბო-კარაქი“

(ბერიძე 1981: 164); **წველა** (ქართლ.) „რძე და რძის ნაწარმი“ (მესხიშვილი 2006: 166); **ნაწველ-ნადღვები** (მთიულ.) „რძე და მისი ნაწარმი“ (კაიშაური 1967: 223); **ნაწველი** (აჭარ.) „რძე და მისი ნაწარმი“ (სურმავა 1990: 4); **წველეული** (რაჭ.) „რძე და რძის ნაწარმი“ (კობახიძე 1987: 127). – **ა-ხ-არა** „წველა“, **ა-ხ-არა** „რძე, რძის პროდუქტები“ (კასლანძია 2005-ა: 348). აფხაზურში ისეთივე ვითარება გვაქვს, რაც ქართველურში, „წველა“ და „რძე“ ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული.

ქართული **წოვა** „ძუძუს პირში მოქცევით სრუტვა, წუწნა რძისა“ (ქეგლ VIII: 1164), მეგრული **წუალა** „წოვა“ (ყიფშიძე 1914: 382) და აფხაზური **ა-წარა** „წოვა“ ითვლება საერთო წარმომავლობის სიტყვებად (ჭარაია 1912: 46).

საქონლის მოვლის აუცილებელი ნაწილია **დადაღვა**, სერის დასმა. მასდარის ძირია თურქულ-სპარსულიდან ნასესხები **dağ** (მაგაზანიკი 1945: 127). სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: **დამლა** „[თურქ.-სპ. დამლა] შანთით, გაცხელებული რკინით დაკრული ნიშანი მსხვილფეხა საქონელზე (ქეგლ III: 556), **დამლა** (კახ., ქართლ.) „დაღი“ (ლეონიძე 1925: 18), **ტამურლა** (ლაზ.) „დამლა“ (ქედენტი 1938: 207), **ა-დამელ / ა-დამელა** (აფხ.) „დამლა“ (ჯანაშია 1954: 92, კვარჭია 1981: 60), **დამელა** (აზაზ.), **თამელა** (ადილ.), **დამელა** (ყაბარდ.) „id.“ (შაყრილი 1968: 68); **ტამლა** (უბიხ.) „id.“ (კვარჭია 1981: 95); **თხანლა** (ვაინახ.), **დამლა** (თაბას.) „id.“ (აბაევი 1958: 343), **ა-დამელანწარა** „დადაღვა“ (არშბა 1980: 20); სიტყვა თურქულიდან დამოუკიდებლადაა შესული, ერთი მხრივ,

ქართულსა და, მეორე მხრივ, აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში, **ა-ჯარდამგლ** „ჯვრის ფორმის დამლა“ (კვარჭია 1981: 43) კი ჰიბრიდული კომპოზიტია (ბუკია 1999: 143).

მეგრულსა და სვანურში გვაქვს დაღის, დადაღვის აღმნიშვნელი ერთი და იგივე სიტყვა: **ხინწირა** / **ხენწერა** „ნიშანი, დაღი“ (ქაჯაია 2002-ა: 556), **ხენწერუა** „ნიშნის დასმა საქონელზე“ (ჯვ., წალენჯ., მარტვ.), **ხენწერა** / **ხენწერ** „დაღი“ (თოფურია 2000: 879). ამოსავალია აფხაზური **ა-ხწარა** / **ა-ხწარ** „სერი, ნიშანი“ (ჯანაშია 1954: 431). წ. ბჟანია აფხაზურ **ა-ხწარა**-ში ორ ფუძეს გამოყოფს: **ა-ხ** „თავი“, (**ა**)**ნწარა** „დასმა“ (ბჟანია 1962: 75). შდრ. **ადამგლანწარა** „დაღის დასმა“. ტერმინი აფხაზურიდანაა შეთვისებული ქართველურში (ბუკია 1999: 144).

საქონლის დაკოდვის აღმნიშვნელი სიტყვა საერთოქართველურია: ქართ. **და-ყუერ-ვ-ა**, მეგრ. **ყვარ-უ-ა**, ლაზ. **ო-ყვარ-უ**, სვან. **ყორ-** (ვენრიხი, სარჯველაძე: 1990 369). აფხაზურში შესაბამისი სემანტიკის მქონე ტერმინი **ა-რაცყარა** „დაკოდვა“ (არშბა 1980: 51) მეგრულიდანაა შესული (ბუკია 1999: 145).

შესაბამისად, მეგრულიდანაა შესული **ა-ყარგლ** „დაყვერილი, დაკოდილი“ (უსლარი 1887: 157). შდრ. ბზ. **ა-ბარბანჯ** „id.“ (კასლანძია 2005: 221). დაკოდილის მნიშვნელობით სიტყვა მთელ ქართველურენოვან სივრცეშია გავრცელებული: **ყვერული** „დაკოდილი მამალი (ქათამი)“ (ქეგლ VII: 535), **ყუერული** „ყვერული, ყვერდაკვეთილი“ (საბა 1993: 273); **ყვერული** (გურ.) „დაკოდილი მამალი ქათმისა“ (ლლონტი 1984: 608),

ყვარილი / სვარილი (მეგრ.) (ყიფშიძე 1914: 354; ელიავა 1997: 331; ჯვ.), ყვარელი / კვარერი / ვარერი (ლაზ.) „დაკოდილი“ (მარი 1910: 203), ყუარულ / ყუარილ / ყუარილ (სვან.) „ლაფშა ცხენი“ (თოფურია 2000: 806).

თავი 3. ანატომიური ლექსიკა

სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვები ნებისმიერი ენის ძირეული ლექსიკური ფონდის კუთვნილებას წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ შესაბამისი ქართველური და აფხაზური ლექსიკის შედარებისას გვხვდება საერთოკავკასიური და ქართველურ-აფხაზური ფორმები, ბევრია ნასესხობა ორივე მიმართულებით.

ნაშრომში ერთადაა განხილული ადამიანისა და ცხოველის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი საერთო სიტყვები. მრავალრიცხოვანი მასალის კლასიფიკაციისთვის ნაწილობრივ ვისარგებლეთ ზ. ჯაფარიძის მიერ შემოთავაზებული სქემით, რომელიც წარმოდგენილია ნაშრომში „მესაქონლეობის ლექსიკა – სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე“ (ჯაფარიძე 1966).

სხეული, ტანი

ადამიანის ტანის ერთ-ერთ აღმნიშვნელად ქართულში გამოყენებულია სიტყვა **გვამი** „1. მკვდარი ადამიანის სხეული, ცხედარი; 2. ძვ. წიგნ. პიროვნება, პირი, ადამიანი“ (ქეგლ II: 1433); იგივე სიტყვა გვაქვს ძველ ქართულში: **გუამი** „ჯორცი, სხეული, ტანი, სული“ (აბულაძე 1973: 97), სვანურში მისი სემანტიკა

დავიწროებულია: გუამ „გულ-მკერდი, მკერდი“ (თოფურია 2000: 179). პ. ჭარაიას აფხაზური ა-მგა „მუცელი“ ქართულიდან მომდინარედ მიაჩნია (ჭარაია 1912: 30). შდრ. მგა (აბაზ.) „მუცელი“ (აბრლ 1967: 276). მ. ჩუხუა აფხაზურ ა-მგა-ს პარალელურად მოჰყავს აბაზ. მგა, უბიხური ნგაჰა < *მგაჰა „მუცელი“ და უკავშირებს ქართულ ბოქვენ-ს, ლაზ. ქორბა-ს (ჩუხუა 2006: 60), შესაბამისად, შეიძლება ქართველურ-აფხაზური ტერმინები საერთო წარმოშობისად მივიჩნიოთ.

ასევე საერთო ქართველურ-აფხაზურ-ჩერქეზულ ლექსიკურ ოდენობებად უნდა ჩათვალოს ქართული ძუძუ „ადამიანის (და სხვა ძუძუმწოვარა ცხოველების) სარძევე ჯირკვალი“ (ქეგლ VIII: 784), ძუძუ „რძის სადინარი“ (საბა 1993: 359), მეგრული ძუძუ „id.“, აფხაზური ა-ძმძ „ქალის მკერდი“ (შაყრილი 1986: 275), აბაზური ძმძ, ადიღური ბმძ, ყაბარდოული ბმძ, უბიხური ბიძ „ქალის ძუძუ“ (შაყრილი 1968: 70).

პ. ჭარაია თავის ნაშრომში Об отношении абхазского языка к яфетическим ერთმანეთს უდარებს ქართულ ხორც-ს და აფხაზურ ა-კაჯ „ხორცი“ ფორმებს (ჭარაია 1912: 26). პ. უსლარი გამოთქვამს ვარაუდს აფხაზური ფორმის შესაძლო კავშირის შესახებ ინდოევროპულ ენებთან (უსლარი 1887: 143). სავსებით დასაშვებია, რომ აფხაზური ფორმა ქართველურიდან იყოს შეთვისებული (ბუკია 1999: 30).

ქართულიდან არის შესული აფხაზურში **ა-ჭაპან** „ჭიპი“ (ჯანაშია 1954: 393). შდრ. **ჭიპი** „1. მუცლის შუა პატარა ჩაღრმავებული ადგილი, რომელიც რჩება ჭიპლარის მოჭრის შემდეგ“ (ქეგლ VIII: 1261), **ჭიპი** „უბე, მუცლის შუა ჩუბუტო“ (საბა 1993: 403); **ჭაპანი** (მეგრ.) „ჭიპი“ (ყიფშიძე 1914: 386), **ჭიპ** (სვან.) „ჭიპი“ (საღლიანი 2005: 34). სიტყვის სესხების მიმართულებას ადასტურებენ პ. ჭარაია, ა. შაგიროვი (ჭარაია 1912: 13; შაგიროვი 1989: 4).

აფხაზურში ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევს **ა-პეზ** „კურტუმო“ (ჯანაშია 1954: 224); სიტყვას აფხაზურში ქართველურიდან შეთვისებულად მიიჩნევს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1976: 150). საბასთან **პაღვ** „დიდი მუცელი“ (საბა 1991: 618), მეგრულში კი **პუხუ** (მეგრ.) „კუზია“ (ყიფშიძე 1914: 299).

ჩანს, აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულში **აბლაჟა / აბლაჯა** „მუცელი, ღიპი“ (ქაჯაია 2009: 19; ქობალია 2010: 7), შდრ. აფხაზურში **ა-ბლამარა** „წელი“ (ჯანაშია 1954: 74); **ა-ბლაჯ** „ზურგკუზიანი“ (გვანცელაძე 2011: 113).

საერთო წარმომავლობისაა **ფსუა / ფსვა / მსვა / სუა** (მეგრ.-ლაზ) „ფრთა“ (ჭარაია 1997: 137), **აფსაა / აფსაატ** (აფხ.) „ფრინველი“ (უსლარი 1887: 153), **ფსვარა** (ტაპ.) „ფრენა“, **ზზგუ** (ადილ.) „ფრინველი“. ქართველური და აფხაზურ-ადილური სიტყვები შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 1945: 310).

აქვე განვიხილავთ კიდევ ორ სიტყვას, რომელიც შეიძლება ამ სემანტიკურ ჯგუფს დავუკავშიროთ: **კანი** „გარსი, რომელიც შემოკრული აქვს ადამიანის, ცხოველის ორგანიზმს, – ტყავი“ (ქეგლ IV: 1046), **კანი** „თხელი ტყავი პირისა, ფეხისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 592), **კანი** (მეგრ.) „კანი“ (ყიფშიძე 1914: 251), **კან** / **კან** (სვან.) „კანი“ (თოფურია 2000: 344) – **ა-კან** „ჭორფლი“ (ჯანაშია 1954: 141), **ა-კაკან** „id.“ (რალ 1964: 78); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 146). ქართული **კან**-იდან არის მიღებული ბზიფურ დიალექტში თევზის ქერცლის აღმნიშვნელი **ა-კან**, აბჟურში მას **ა-მგდაღ~ცა** შეესატყვისება (მიძარია 1989: 22), „თევზის ქერცლის“ მნიშვნელობით გამოიყენება ჰიბრიდული კომპოზიტი **ა-ფსგძ-კან** ზედმ. „თევზის კანი“ (მაჭავარიანი 2010: 100). ჰიბრიდული კომპოზიტია **ა-კანწგწრა** „მეჭეჭი“ (ჯანაშია 1954: 141). პირველი ნაწილი ქართულიდანაა შეთვისებული, მეორე ნაწილში პირველი **წ** არის ფუძეწინდებული, მეორე კი – ძირ-სუფიქსი. მთლიანად **ა-წგწრა** რაიმედან გამოსვლას, რაიმედან ამოსვლას ნიშნავს (მეჭეჭიც კანის შეგნიდან ამოდის), -რა აბსტრაქტულობის სუფიქსია (ავიძბა 2010: 6).

ნიშანი სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა მეგრულში „ხალია“ (ყიფშიძე 1914: 290). იგივე სიტყვა გვხვდება აფხაზურში: **ა-ნიშან** „ხალი“ (ჯანაშია 1954: 210), აბჟურში წარმოდგენილი იმავე სემანტიკის **ა-შანა** (ბლაჟბა 1964: 218) ფორმაც მეგრულიდანაა შეთვისებული. სპარსული წარმოშობის სიტყვამ მეგრულში **ნიშან**-თან

ერთად **შანა** ფორმა მიიღო (იხ. „რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელი ლექსიკა“).

ძვალი, სახსარი, კიდური

სახსარი „ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შეერთება“ (ქეგლ VI: 975), **სახსარი** „ნასხამი, ნაწევარი ასოთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1161), **სარსხალი / სახვარი** (მეგრ.) „სახსარი, კიდურის ორი ძვლის შეერთების ადგილი“ (ჭარაია 1997: 123), **შახვარი** (მეგრ.) „ბარძაყი“ (ელიავა 1997: 335) ფორმების ანალოგიურია აფხაზური **ა-შახზარ** „წვრილფეხა საქონლის კანჭი და ძვლის ტვინი“ (შაყრილი 1987: 498); ვფიქრობთ, რომ ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბუკია 1999: 32).

ყულივი (ძვ. ქართ.) „მკრის ძვალი“ (საბა 1993: 273), **ყვლივი** „მხრის ძვალი“ (ლეონიძე 1925: 82), **ყვლივი** (ქართლ.) „ბარძაყის ან მხრის ძვალი“ (გაჩეჩილაძე 1976: 148), **ყვლივი** (გურ.) „დიდი ძვალი“ (ლლონტი 1984: 609), **ყვილი / ყილი / ილი** (ლაზ.) „ძვალი“ (მარი 1910: 203). არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ლაზური **ყვილი / ყილი** : ქართ. **ყვლივ** ფორმათა შესატყვისი ძირი მეგრულში არ ჩანს (ჩიქობავა 2008: 87), რეალურად მეგრულში გვხვდება **ყვიყვილი** „მენჯის ძვალი“ (ზუგდ.). საერთოქართველური ფუძის რედუქციაცირებული მეგრული ფორმიდან აქვს

ნასესხები აფხაზურს (ბუკია 2003: 42): **ა-ყ'ყ'ელ** „ცხენის მენჯის ძვალი“ (არშბა 1980: 39).

ბაყვი „1. „მუხლს ზეითი“ (საბა) / ბარძაყის შიგნითა მხარე. 2. თეძოს ძვალი“ (ქეგლ I: 1002), **ბაყვი** „წვივის წინა დიდი ძვალი“ (ჩუბინაშვილი 1887: 100), **ბაყვი** / **ბოყვი** (ზემოიმერ.) „თეძოს ძვალი“ (ლეონიძე 1925: 7, 10), **ბაყვი** (ქართლ. იმერ.) „id.“ (ჯავახიშვილი 1986: 158, 174), **ბოყვი** (მეგრ.) „ბარძაყის შიგნითა ნაწილი, თეძოს ძვალი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 99), **ბაყვი** (მეგრ.) „ბაყვი“ (ქობალია 2010: 59) – **ა-ბაჯ** „ძვალი“ (ჯანაშია 1954: 64); სიტყვები საერთო ქართველურ-აფხაზური წარმოშობისა ჩანს (ლომთათიძე 1955: 824). გ. კლიმოვი ქართულ ფორმას უდარებს იმავე მნიშვნელობის აფხაზურ-ადიღეურ **ბაყუტ**-ს (კლიმოვი 1969: 289). დაძებნილია სხვა კავკასიური შესატყვისობები: უბიხ. **ჰყეგ**, ადიღ.-ყაბ. **ჰყეგ** „ძვალი“, ნახ. **ბალ**-ი „მხრები“, წახ. **ბარკუტ** / **ბარყუტ** „ძვალი“, ლეზგ. **კარაბ** < **ბარკუტ**, თაბას. **კურაბ** < **ბარკუ**, რუთ. **ყვრგზ** < **ბერყეგ**, ხინალ. **ნიკ** < **ნ-იყუტ**, უდ. **უყეან** < **ნერყუტ** < ***ნ-ერყუტ** „ძვალი“ (ჩუხუა 2000-2003: 241), შესაბამისად, შესაძლოა ვიმსჯელოთ მათ საერთოკავკასიურ წარმომავლობაზე.

მახვარი (მეგრ.) „ხელიხელი მხრიდან მაჯამდე“ (ყიფშიძე 1914: 278) – **ა-მახ'არ** „ხელი“ (ჭარაია 1912: 30); პ. ჭარაიას აფხაზურის პარალელურ ფორმებად მოაქვს ქართ. **მხარი**, სვან. **მეხერ**, მეგრ. **მხუჯი** მეგრული **მახვარი** კი აფხაზურიდან ნასესხობად მიაჩნია (იქვე). ამავე წარმოშობისაა **ა-მახ'°** „ტოტი, შტო, რტო“ (მაჭავარიანი 2006: 180).

აფხაზურიდანაა ნასესხები მეგრულში აფხა „მხარი“ (ციფშიძე 1914: 197), აბხა „ცხენის წინა ფეხები“ (ჯავახიშვილი 1986: 224). მისი ამოსავალი ფორმა თითქმის ყველა აფხაზურ-ჩერქეზულ ენაში გვხვდება: ა-**ბლა** (აფხ.) „ზურგი“ (უსლარი 1887: 124), **ბლა** (აბაზ.) „ზურგი“ (აბრლ 1967: 115), **ბღგ** (ადილ.), **ბღგ** (ყაბარდ.) “ბეჭისთავი” (შაყრილი 1971: 48).

ბეწვი, ბალანი

წვერის აღმნიშვნელი მეგრული **ბჟაკე** (ციფშიძე 1914: 207) აფხაზურიდანაა ნასესხები. შდრ. ა-**ჟაკა** „წვერი“ (უსლარი 1887: 132), ა-**ჟაკა** „id.“ (ჯანაშია 1954: 224), ა-**ჟაკა** „id.“ (რალ 1964: 59); აფხაზურში კი ადიღეურიდან შესულად მიიჩნევა გ. კლიმოვი (კლიმოვი 1968: 293). სიტყვა გვხვდება ოსურ ენაშიც: **ზაკე / ზაკე** „წვერი“ (აბაევი 1989: 285); მეგრულში წარმოდგენილია კომპოზიტის ნაწილად: **ბაბჟაკია (ბაბუმ ბჟაკე)** „ბაბუაწვერა“ (ქობალია 2010: 58), **ბასილაშ ბჟაკე** „ჩიჩილაკის წვერი, წალამური“ (იქვე: 94).

ფიჭვი (მეგრ.) „წამწამი“ (ციფშიძე 1914: 337) – ა-**ფიჭა** „წამწამი“ (ჯანაშია 1954: 172). ვთვლით, რომ აფხაზური სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული, აფხაზურში მას საკუთრივ აფხაზური სინონიმი მოეპოვება: ა-**ლახუც** „id.“ (ჯანაშია 1954: 172).

ფაჭაჭი (მეგრ.) „ფაფარი“ (ჭარაია 1997: 134); „ქოჩორი, ადამიანის შუბლზე წამოზრდილი თმა“ (ზუგდ.) – **ა-ფაჭარ** „ქოჩორი“ (ჯანაშია 1954: 288); აფხაზური სიტყვა ქართველურიდან ნასესხობად განიხილება, თუმცა ამოსავალ ფორმად **ფაფარი** მიიჩნევა (შაგიროვი 1989: 146). ვვარაუდობთ, რომ აფხაზურისთვის ამოსავალია მეგრული **ფაჭაჭი** (ბუკია 1999: 34).

ფაფარი „ვისრის გრძელი ბალანი ცხენისა, ლომისა...“ (ქეგლ VII: 42), **ფაფარი** „ცხენთა ქეჩოს ბალანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1298), **ფოფორი** / **ფაფარი** (მეგრ.) „იგივეა, რაც ფაჭაჭი, ფაფარი“ (ჭარაია 1997: 134), **ფაფალ** (სვან.) „ფაფარი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 457) – **ა-ხჩაფფერ** (აბჟ.), **ა-ჭგმევევერ** (ბზ.) „ფაფარი“ (ბლაჟბა 1964: 219). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აზქუური სიტყვის მეორე ნაწილი **ფაფერ** აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 146).

ბუმბული „1. ფრინველის სხეულის რბილი და მსუბუქი გარესაფარი, – გერმა. 2. ფრინველის ეს გერმა ქვეშაგებში, ბალიშში ჩასაყრელად; ბუმბულით გატენილი ბალიში“ (ქეგლ I: 1168), **ბუმბული** „გერმა, ფრინველთ ნაკრტენი“ (ჩუბინაშვილი 1887: 123), **ბუმბული** / **ბუნბული** (მეგრ.) „ბუმბული“ (ქაჯაია 2001: 263), **ბუმბული** (ლაზ.) „ბუმბული“ (კლიმოვი 1964: 55), **ბუმბ[უ]ილ** / **ბუმბულ** (სვან.) „ბუმბული“ (საღლიანი 2005: 82) – **ა-ბემბგლ** „ბუმბული, ბუმბულით დატენილი ლეიბი“ (ჯანაშია 1954: 76), **ა-ხემბაბგლ** „ხშირთმიანი“ (შაყრილი 1987: 245). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12).

აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან. ქართულიდანვეა შეთვისებული ოსურში **ბუმბული** / **ბომბოლი** / **ბუნბული** სახით (აბაევი 1958: 270).

თავი

სახე „1. ადამიანის თავის წინა ნაწილი. 2. გარეგნობა, შეხედულება, შესახედაობა. 3. სინამდვილის ასახვის თავისებული ფორმა, რომელიც ხელოვნებაში გვხვდება. 4. ვისიმე, რისამე გამოხატულება, გამოსახულება“ (ქეგლ VI: 948), **სახე** (ძვ. ქ.) „ხატი“, პირისახე, გამოსახულება, მსგავსება, შესახედაობა, ფორმა, ბუნება, მაგალითი, ნიშანი, იგავი, ნიმუში“ (აბულაძე 1973: 382), **სახე** (მეგრ.) „სახე, მსგავსება“ (ყიფშიძე 1914: 316), **საზ** / **სახ** (სვან.) „სახე“ (თოფურია 2000: 701) – **ა-ს-ახა** „სურათი“ (ჯანაშია 1954: 255), „ნაყმი“ (რალ 1964: 588), „გარეგნობა“ (გენკო 1998: 228). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 168). გვაქვს აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-ხაჩაჰ** „სახე“ (შაყრილი 1987: 224), სადაც **ა-ხაჩაჰ** „სახეა“ (იქვე), **ა-ჯარსახ-ა** „ჯვრის სახე“ (ჯანაშია 1954: 447).

დ. გულია მიიჩნევს, რომ საერთო ძირი ჩანს ქართველურ **თვალი** „1. მხედველობის ორგანო“ (ქეგლ IV: 391), **თოლი** (მეგრ.-ლაზ.) „თვალი“ (ყიფშიძე 1914: 243, მარი 1910: 147), **თე** (სვან.) „თვალი“ (თოფურია 2000: 259) და აფხაზურ **ა-ლა** „თვალი“ ფორმებში (გულია 2004: 12).

მეგრულიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-ჯგრგ** გლ „სიბრძნის კბილი“ (გენკო 1998: 374), მეგრული **ჯირგილი** „სიბრძნის კბილი“ იგივეა, რაც ლაზური **ჯირჯილი** „ღრძილი“, ქართული **ღრძილი** (ჩიქობავა 2008: 72).

კისერი, მკერდი

საერთო წარმომავლობის ჩანს მეგრული **ყვრცი** „ყელი“, გურული **ყორცი / ყორცინტი** „ყელი“ (ჟღენტა 1984: 613), სვანური **ყვრყინჯ / ყვრინჯ / ყვყრინჯ** „ხორხი; ყრონტი“ (თოფურია 2000: 809) და აფხაზური **ა-ყვრყე** „id.“ (უსლარი 1887: 157), **ა-ყარყე** „id.“ (შაყრილი 1986: 388); **პ.** ჭარაია აფხაზურ ფუძეს უდარებს ქართულ **ხორხ**-ს, **ყარყანტო**-ს, მეგრულ **ყორყელ**-ს და საერთოკავკასიურ ძირად განიხილავს (ჭარაია 1912: 37). ეს ტერმინი აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში ასეთი ფორმით გვაქვს წარმოდგენილი: აფხ. **ა-ყვრყე**, აბაზ. **ყვრყე**, ადიღ. **ჭვრბაჭვბ**, ყაბარდ. **ყვრმყე**, უბიხ. **ყვმბერ** (შაყრილი 1971: 125). თუმცა აფხაზურ-აბაზურში წარმოდგენილ ფუძეთა დაკავშირება ადიღურ-ყაბარდოულ-უბიხურთან დამაჯერებლად არ გამოიყურება. გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **ა-ჩგსყვრყე** „საყლაპავი“ (შაყრილი 1987: 424), ზედმ. „საჭმლის ყელი“.

ერთი და იგივე სიტყვებითაა წარმოდგენილი ქართული **სასა** „პირის ღრუს ზედა, თალისებრი ნაწილი“

(ქეგლ VI: 796), **სასა** „ენას ზედათი კაცამდე“ (საბა 1993: 53) და აფხაზური **ა-სასა** „პირი, ხახა (პირუტყვისა)“ (ჯანაშია 1954: 254), **ა-სას** „id.“ (რალ 1964: 407).

ჩანს, აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულში **აყვაყვა** „კისერი“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 214). აფხაზურში მას სხვა (მაგრამ არა ძალზე დაშორებული) მნიშვნელობა აქვს **ა-ყაყა** „ზურგი“ (ჯანაშია 1954: 316).

შესაძლოა, აფხაზური **ა-ჩგყ** „ჩინჩახვი“ (ჯანაშია 1954: 348), **ა-ჩგჟ** „id.“ (გვანცელაძე 2003: 219) იგივე იყოს, რაც **ა-ჩგყ** „ჩიყვი“ (შაყრილი 1987: 423) და ქართულიდან ნასესხობად განვიხილოთ (იხ. „ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა“), თუმცა არც ქართული **ჩინჩახვი** „1. ფრინველის საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი, სადაც საკვები ღებება“ (ქეგლ VIII: 518) და მეგრული **ჩიყვაფი** (მეგრ.) „კუჭი ფრინველთა“ (ჭარაია 1997: 157) დგას შორს.

შინაგანი ორგანოები

ქართული **გული** „1. ადამიანის ორგანო“ (ქეგლ II: 1497), **გული** (ძვ. ქართ.) „გონება, თავი თვისი, შუაგული“ (აბულაძე 1973: 98), მეგრულ-ლაზური **გური** „id.“ (ყიფშიძე 1914: 220; მარი 1910: 137), სვანური **გუი** / **გუილდ** „გული“ (თოფურია 2000: 181) საერთოკავკასიური ლექსიკური ოდენობებია: არნ.ჩიქობავა აღნიშნავს:

„იშვიათად სხვა რომელიმე სიტყვაში თუ ჩანს კავკასიურ ენათა ერთიანობა ისე ცხადად, როგორც აქ: ქართ. გ-ულ-, მეგრ. გ-ურ-, ჭან. გ-ურ-, სვან გ-უ / გ-უი / გუილ-დ, აფხ. ა-გ-უ, ჩაჩნ. დტო-გ, ლაკ. და-კ, ხუნძ. რა-კ, კიურ. რი-კ, დარგ-ურ-კი...“ (ჩიქობავა 1942: 41). ჯერ კიდევ პ. უსლარი შენიშნავდა, რომ აფხაზური ა-გ^გ საერთოკავკასიური წარმომავლობისაა (უსლარი 1887: 127).

ბუმტი „სითხით, ჰაერით ან გაზით გაბერილი აპკოვანი პარკი“ (ქეგლ I: 1194), **ბუმტი** „ქანთილი, პარკი ცხოველთ შარდისა“ (ჩუბინაშვილი 1887: 126), **ბუმტი** (მეგრ.) „ბუმტი“ (ქაჯაია 2001: 274), **ბუმტ** / **ბიმტუ** / **ბუმტ[უ]** (სვან.) „ბუმტი“ (თოფურია 2000: 159) – **ამფგმტა** (ზზ.), **ანკანფგმტა** (აბჟ.) „შარდის ბუმტი“; **აფგმთა** (კასლანძია 2005-ა: 95); სიტყვა აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაგიროვი 1989: 146).

ფაში „1. კუთხ. (იმერ.) ფაშვი. 2. კუთხ. (ფშ. გუდამაყ.) „დიდი მუცელი (ჩვეულებრივ საქონლისა), – დიპი, პალვი, რუმპე“ (ქეგლ VII: 46), **ფაშვი** „დიდი ნაწლევი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1298), **ფაში** (გუდამაყ.) „საქონლის დიდი მუცელი“ (ლეონიძე 1925: 73), **ფაში** (თუშ.) „ფაშვი“ (ლლონტი 1984: 537), **ფაში** (მეგრ.) „ფაშვი“ (ჭარაია 1997: 134), **ფაშ** / **ფაშუ** / **ფაშუ** (სვან.) „ფაშვი“ (თოფურია 2000: 756) – **აფაშ** „ფაშვი“ (არშბა 1980: 47); ქართული, მეგრული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა ქართველურიდან აქვს შეთვისებული აფხაზურს (ბუკია 1999: 62).

ჭაჭა „კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც თირკმელი“ (ქეგლ VIII: 1234), **ჭაჭა** (მეგრ.) „თირკმელი“ (ყიფშიძე 1914: 387), **ჭაჭა** (იმერ. გურ.) „id.“ (დლონტი 1984: 718), **ჯაჭ / ჭაჭ** (სვან.) „id.“ (თოფურია 2000: 886) – **ა-ჭაჭა** „id.“ (ჯანაშია 1954: 394), **ა-ჭაჭ** „id.“ (რალ 1964: 449); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). გ. კლიმოვი მიუთითებს, რომ სიტყვა აფხაზურიდან აქვს ნასესხები მეგრულს (კლიმოვი 1965: 304). შდრ. ადილ. ***ჟაჟ**, , ყაბ. ***ჟაჟ**, უბიხ. **ჟაჟ**, აბაზ. **ჭაჭა** (შაგიროვი 1982: 54). მ. ჩუხუა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმათა შესატყვისად ვარაუდობს ქართ. **წენწული**, ზან. **ჭინჭა / ჭიმჭა** „ასფურცელა“, სვან. **ჭინჭილ** „ნაწლავი“ ლექსიკურ ერთეულებს (ჩუხუა 2007-ა: 41).

ტყირპი „1. იგივეა, რაც ელენთა; 2. არანორმალური კანქვეშა სიწითლე სხეულის რომელიმე ნაწილზე“ (ქეგლ VI: 1370), **ტყირპი** „ელენთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1231), **ტყილი** (მეგრ.) „ელენთა“ (ყიფშიძე 1914: 331), „ტყირპი“ (ქაჯაია 2002-ა: 47), **ტყლიპ / ტყლიბ** (სვან.) „ელენთა, ტყირპი“ (თოფურია 2000: 721). მეგრულში სემანტიკის გადაწვევითაა მიღებული ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა „დიდი ხალი, სიწითლე სხეულის რომელიმე ნაწილზე“ ამ უკანასკნელი სემანტიკით ისესხა აფხაზურმა მეგრულიდან **ა-ტყ~გლ** „ხალი“ (კასლანძია 2005-ა: 179), ზოგიფურში გვაქვს ამოსავალი სემანტიკით: **ა-ზტყ~გლ** (ზზ.) „ელენთა“ (გენკო 1998: 97).

ოტოლე / ონტოლე (მეგრ.) „ჯირკვალი“ (ქაჯაია 2002: 453), **ონტოლა** (გურ.) „ჯირკვალი, რომელიც გრძლად, ორ ზოლად გადააწვება ადამიანს სიპაში“ (ლლონტი 1984: 429), **ლუნტულ / ლუნტლა** (სვან.) „ჯირკვალი“ (თოფურია 2000: 797) – **ა-შატალა / ა-კატალა** „ჯირკვალი“ (ჯანაშია 1954: 266); გურულში პოვნიერი **ორტოლა** ზანურის სუბსტრატია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ოტოლე / ონტოლე** ზანური შესატყვისია ქართული **არტალა**-სი (როგავა 1962: 73). სიტყვა ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე 1981: 84-85). გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტიში **ა-ჭგრკატალა** „წინამდებარე ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა: 531).

ჯირკვალი „ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ორგანიზმისათვის საჭირო ნივთიერებებს, ან გამოყოფს მავნეს“ (ქეგლ VIII: 1594), **ჯირკუალი / ჯირკვალი** „ყელისა და ილღის კორძი“ (საბა 1993: 458), **ჯარკვალი** (მეგრ.) „ჯირკვალი“ (ქობალია 2010: 735) – **ა-ჯგრყალ** „ჯირკვალი“ (კილბა 1983: 85). სიტყვა აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაშია დაფიქსირებული. არაფერია სადაო, რომ ქართულიდანაა შესული აფხაზურში.

ქონი, ცხიმი

ფეკალი (მეგრ.) „ბადექონი“ (ქაჯაია 2002-ა: 93) – **ა-ფაკალ** „ბადექონი“ (ჯანაშია 1954: 273). ჩანს, აფხაზური სიტყვა მეგრულიდანაა შესული. გაპალატებული

უკანაენისმიერი სიტყვის ნასესხობაზე მიგვითითებს, ზოგადად, აფხაზურში პალატალიზებული უკანაენისმიერები ნასესხებ სიტყვებში ჩნდება.

პოზანი (ძვ. ქართ.) „ცმელი“ (აბულაძე 1973: 342), **პოზნამა** „ჩობალი, ქონი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1021), **პეზანი** (ზემორაჭ.) „მსუქანი ქათამი“; **პოზანი** (იმერ.) „საკლავი პირუტყვის მუცლის ქონი“ (ღლონტი 1984: 436, 442); **პაზანა** (მეგრ.) „ფრინველის შიგნეულის ქონი“ (ქაჯაია 2002: 473) – **ა-პაზანა** „(ქათმის) პოზანა“ (ჯანაშია 1954: 217); „ფრინველის ქონი“ (შაყრილი 1987: 7). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

კეფა (მეგრ.) „ცხვრის დუმა“ (ჭარაია 1997: 77) – **კაფა** „1. სუთი, დუმა (ცხვრისა); 2. კურტუმო“ (ჯანაშია 1954: 161). **კაფა** (აბაზ.) „დუმა“ (აბრლ 1967: 261). გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ადიღური ენებიდანაა შეთვისებული: **კაფე** (ადიღ.), **ჩაფე** (ყაბ.) „ცხვრის დუმა“. სიტყვა კომპოზიტს წარმოადგენს: ჩე „კუდს“ ნიშნავს, **ფე** „დასაწყისია“, გამჭვირვალე ეტიმოლოგია აქვს და ზედმიწევნით ნიშნავს „კუდის დასაწყისს, თავს“ (კლიმოვი 1968: 293). შესაბამისად, მეგრული ფორმა აფხაზურიდანაა ნასესხები.

თავი 4. შრომის იარაღებისა და საოჯახო მოხმარების საგნების აღმნიშვნელი სიტყვები

შრომის იარაღებისა და საოჯახო მოხმარების საგნების აღმნიშვნელ აფხაზურ ლექსიკას ამკარად ეტყობა ქართველურენოვანი გავლენა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისტორიულად მესაქონლე ეთნოსმა ქართველურ ტომებთან უშუალო კონტაქტისა და მეზობლობის შედეგად პრიმიტიული შრომის იარაღების გვერდით ახალი, უფრო სრულყოფილი საგნების გამოყენება აითვისა.

ტრადიციული, მარტივი **აწაჰაცმათა**-ს გვერდით გაჩნდა **ა-კათან** „გუთანი“ (ჯანაშია 1954: 152), **ა-გთან** (აბუ.), **ა-კათანა** (ბზ.) „id“ (შაგიროვი 1989: 102), რომელიც იგივეა, რაც ქართველური **გუთანი** „1. მიწის სახნავი იარაღი საკვეთით, სახნისითა და ფრთით, – სახვნელი“ (ქეგლ II: 1494), **გუთანი** „ერქვანი, სახვნელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 332), **გურთანი** (მეგრ.) „გუთანი“ (ყიფშიძე 1914: 219), **გუთან** / **გუთან** (სვან.) „გუთანი“ (თოფურია 2000: 176). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აბჟუური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული, ბზიფურს და, მასთან ერთად, აბაზურ **კათან**-ს უკავშირებს თურქულ **კუტან**-ს (იქვე, 103). სხვა მოსაზრებით, სიტყვა

უკავშირდება ქართულ **საკვეთელ**-ს და აფხაზების მიერ ათვისებულია ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის შედეგად (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 66). ვ. აბაევს მოჰყავს ფორმები კავკასიური ენებიდან: **ქუთან** (ხუნძ.), **ქოთან** (უდ.), **გუთან** (დარგ.), **გუთოთა** (ვეინახ.) და საერთოკავკასიურ, გაურკვეველი წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს (აბაევი 1958: 527). სიტყვა ქართველურ ნასესხობად უნდა განვიხილოთ აფხაზურ-აბაზურში. აბაზური ენის ტაპანთურ დიალექტში სიტყვა კომპოზიტის ნაწილადაც გვხვდება: **კუათანაჰ** „ხვნის ხელმძღვანელი, უფროსი გუთნისდედა“. ქართ. **გუთან**-ი – აფხაზურ-აბაზური ა-კუათან + აჰ „უფროსი, უხუცესი“ (გვანცელაძე 1997-ა: 172).

ქართველებთან უშუალო ურთიერთობის შედეგად გაჩნდა აფხაზთა ყოფაში ა-ორქუან „ერქვანი“ (ჯანაშია 1968: 165), ა-მარქუან „ურმის ნაწილი“ (გენკო 1998: 164). შდრ. **ერქვანი** „მიწის სახვნელი იარაღი, – გუთანი“ (ქეგლ III: 1428), **ერქვანი** (ძვ. ქართ.) „გუთანი, სახვნელის ტარი“ (აბულაძე 1973: 151), **ვერქვანი** (ხევს.) „ხელნა გუთნისა“ (დლონტი 1984: 225), **ერქვანი** (იმერ.) „გუთნის ხელნა“ (ჯავახიშვილი 1987: 129), **ერქვანაჰ** (თუშ.) „id.“ (იქვე, 91) **ერქვანი** (მეგრ.) „გუთნის ტარი, სახელური“ (ყიფშიძე 1914: 282).

მეგრული **მაგანა**-დანაა შეთვისებული აფხაზურში ა-მაგანა (აბჟ.), ა-ზაგანა (ზზ.) „ნამგალი“ (ჯანაშია 1954: 62); **მანგალი** საბას მიხედვით „ყანის მოსაჭრელია“ (საბა 1991: 434) და იგივეა, რაც თანამედროვე ქართული **ნამგალი**.

ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 13). გურულმა დიალექტმა ორივე (ქართული და მეგრული) ფორმა შემოინახა: **მანგალი** (იმნაიშვილი 2006: 335), **მაგანა** (ღლონტი 1984: 338).

მეგრულიდანაა შესული აფხაზურში **ა-ჭყარპატ** / **ა-ჭყარაპატ** „ორთითა“ (ჯანაშია 1954: 394). ამოსავალია **ჭყოროპოტი** (მეგრ.) „ფიწალი“ (ყიფშიძე 1914: 395). ფორმები შეაპირისპირა ა. შაგიროვმა (შაგიროვი 1989: 148).

ქართველურიდან (resp. მეგრულიდან) არის შესული აფხაზურში „ცელის“ აღმნიშვნელი **ა-ჩაალა** / **ა-ჩაალაა**. აფხაზური ფორმები ქართული **ცელ**- ფუძის მეგრულ-ქანური კანონზომიერი ***ჩალა** სიტყვისგან არის მიღებული და შენარჩუნებული აქვთ ამოსავალი სემანტიკა („ცელი“) (გვანცელაძე 2001: 39). სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ აფხაზურ ენაში დაცულმა არაერთმა ფორმამ „შემოგვინახა ქართველურ ენათა ისტორიისათვის მნიშვნელოვანი, ისტორიული დოკუმენტის ძალის მქონე კონკრეტული მონაცემები“ (იქვე). **ა-ჩაალა** / **ა-ჩაალაა** ერთ-ერთ ამ ფორმათაგანია – დღეს მეგრულ მეტყველებაში ***ჩალა** დაკარგულია.

საინტერესო ლექსიკურ ფორმებს ინახავს ეთნოლოგიური მასალა. ს. ბახია-ოქრუაშვილის მითითებით, ახოს გატეხვისას და მალლარი ვაზის გასასხლავად გამოიყენებოდა აფხაზური **აიგუშ**, მაგრამ

ხალხში წალდა ტერმინით უფრო იყო გავრცელებული (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 67). წალდი ქართული ტერმინია და „ფიჩხის საკაფავს“ აღნიშნავს.

მეგრულიდანაა შესული აფხაზურში ა-წარკანტ / ა-წგრკანტ „id.“ (რალ 1964: 276), ამოსავალია ქართველური ფორმა: წალკატი „1. წერაქვის მსგავსი ქვის სათლელი იარაღი. 2. კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც წერაქვი“ (ქეგლ VIII: 860), წალკატი „ორ-წვეროსანი წერაქვი“ (საბა 1993: 363), წაკატი (გურ.) „წერაქვი“ (იმნაიშვილი 2006: 353), წარკანტი (მეგრ.) „წერაქვი“ (ყიფშიძე 1914: 377), წა[ლ]კატ / წა[ლ]კატ (სვან.) „წერაქვი“ (თოფურია 2000: 850), საინტერესოა, რომ ბზიფურში ამ მნიშვნელობით გვხვდება რუსულიდან ნასესხები ა-კვგრკ (ბლაჟბა 1964: 203); აბჟურში მეგრულიდან ნასესხობაზე მიუთითებს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 148). ა-ჩაგაწარკანტ „თოხწერაქვა“ (ჯანაშია 1954: 347) ჰიბრიდული კომპოზიტია, ა-ჩაგა „თოხი“ (იქვე).

ქართული ხერხი : მეგრული ხორხი აფხაზურში ორივე ფორმიდან ნასესხობის სახით გვაქვს: ა-ხ~არხ~ / ა-ხ~არხ~ „ხერხი“ (ჯანაშია 1954: 421, 442). ამათგან ა-ხ~არხ~ ქართული ხერხ-იდან მომდინარეობს, ამასთან ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითაა დაცული – უკანაენისმიერის შემდგომ პოზიციაში ე ხმოვანი ა-დ არის ქცეული, ხოლო წინამავალი ხ პალატალიზებულია, აუსლაუტში კი სახ. ბრუნვის ი ნიშანი დაკარგულია და რეფლექსის სახით დარჩენილია გაპალატალეზულ ხ-ში. მეგრულიდან ნასესხებ ა-ხ~არხ~ ფორმაშიც ასევე,

ფონოტაქტიკის წესების თანახმად **ხო-** მარცვალი ქცეულა **ხა-**დ (ლომთათიძე 1956: 138). სიტყვა გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტში: **ა-ღზ~არზ~ / ა-ღზ~არზ~** „ფიცხის გასახერხი ხერხი“ (კასლანძია 2005: 330), სადაც პირველი ნაწილი **ა-ღზ** „ფიცარი“ (იქვე).

აფხაზური (აბჟუური) **ა-ბაჰა** „ნიჩაბი, ბარი“ (ჯანაშია 1954: 64) სიტყვის მეგრულ წარმომავლობაზე ჯერ კიდევ ხ. ბლაჟბა მიუთითებდა (ბლაჟბა 1964: 203). ბზიფურში მას **ა-ჟგა** ჩაენაცვლება (იქვე). ხ. ბლაჟბას მოსაზრებას იმეორებს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 146).

მეგრული **კაკუტი** „სიმინდის დასაფშენელი“ (ყიფშიძე 1914: 251) ფორმიდანაა მიღებული აფხაზური **აკალაკგტ / ა-კალაკგტ** „კაკუტი; კომბალა ჯოხი, რითაც სიმინდს ფშენიან“ (ჯანაშია 1954: 140, 146). ნასესხობაზე მიუთითებს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 13). სიტყვა დასავლურქართულ დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული: **კაკუტა/ეი** (გურ.) „კაკვი, მოკაუჭებული ჯოხი“ (დლონტი 1984: 268), **კაკუტი** (იმერ.) „სიმინდის საფშენი ხელკაკვი, კაკუტი“ (იქვე).

ქართულიდანაა შესული აფხაზურში **ა-სალ** „სოლი“ (ჯანაშია 1954: 253). ამოსავალია **სოლი** „1. ერთ ბოლოში წაწვეტებული ხის, რკინის ფართო, მოკლე ნაჭერი ან ქვა; იყენებენ ხის გასაპობად ან რისამე გასამაგრებლად. 2. ურმის თვლის მორგვზე დასობილი ძელაკი, რომელსაც ფერსო აქვს შემოცმული“ (ქეგლ VI:

1124), **სოლი** „ძელთ გასაპობი“ (საბა 1993: 106). ფორმები შეპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

საინტერესო სინონიმურ წყვილს წარმოადგენს ერთი სამუშაო იარაღის აღმნიშვნელი აფხაზური ტერმინი **ა-წკაპარ** (ბზ.), **ა-ცაყა** (აბჟ.) „წკეპარი, სამუშაო იარაღი“ (გვანცელაძე 1997-ა: 224). ამათგან ბზიფური ფორმა ქართველურიდანაა ნასესხები. შდრ. **წკეპარი** „ხელსაწყო, რითაც საწნახელისთვის განკუთვნილ ხეს გულს ამოთლიან ხოლმე“ (ჯავახიშვილი 1986: 157), **წკეპარი** (მეგრ.) „ხის ამოსათლელი იარაღი“ (ჯავახიშვილი 1979: 228), აბჟურული ფორმა კი აფხაზურია. ზოგადად, აფხაზური ენის დიალექტებში ქართველიზმების განაწილებაში შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენცია – ბზიფურში იკვეთება სალიტერატურო ქართული ენიდან შეთვისებული სიტყვების სიმრავლე, აბჟურში კი მეგრული, აფხაზური და სხვა ნასესხობები გვხვდება (ბუკია 2010: 28-31).

ხვეწი „ხის ჭურჭლის სათლელი იარაღი; 2. რკინის თხელპირიანი სატეხი“ (ქეგლ VIII: 1440) ქართველურ ენობრივ მიკროსისტემებში შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **ხვეწი** „მოკაკული სათლელი“ (საბა 1993: 432), **ხვეწი** (გურ., ხევს.) „მოხრილი რკინა, რომლითაც იხვეწება, ე. ი. იფხიკება ხის თეფშები, ხონჩები...“ (დლონტი 1984: 750), **ხვაწა** (რაჭ.) „ხის კოვზის სათლელი დანა“ (იქვე), **ხვაწუა** (მეგრ.) „თლა“ (ქაჯაია 2002-ა: 544), **ხვაწა** (მეგრ.) „რკინის საფხევი ხის ჭურჭლის დასამუშავებლად“ (ქობალია 2010: 726), **ნახვაწა** (მეგრ.)

„ლომის ამოღების შემდეგ ფსკერზე წარმოქმნილი ქერქი“ (ქაჯაია 2002: 376), **ხვეწი** (ლაზ.) „ხვეწი“ (მარი 1910: 232), **ხორწ** (სვან.) „ხვეწი“ (ჯავახიშვილი 1979: 220), **ღანწუბი** / **ღენწი** / **ღენწუბ** / **ღენწუბი** (სვან.) „სახენელი იარაღი, გუთან“ (თოფურია 2000: 793). მ. ჩუხუას ქართველური ფორმების გვერდით მოჰყავს სხვა კავკასიური მაგალითები: ბაცბ. **ღაწ** „ნაკაწრი“, ხუნძ. **ჰეწ**, ანდ. **ხუწუ**, კარატ. **ჰეწე**, ჭამ. **ხიწუ**, ბაგვალ. **ჰეწუ**, ჰინალ. **ხარწუ**, ჰუნზ. **ხაწე**, არჩ. **ხაწი**, აღ. **ღამწ** „მარწუხი, გაზი“ და აფხაზური **აიხაწე** „რკინის შამფური“, **ა-მჰაწ** „კოვზი“ (ჩუხუა 2000-2003: 263). ჩვენი ვარაუდით, ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ **ა-მჰაწ** „კოვზი“, **აიხაწე** „რკინის შამფური“ კი კომპოზიტია, შედგება **აიხა** „რკინა“ და **(ა)წე** „შამფური“ ელემენტებისაგან. ეს უკანასკნელი მიგვაჩნია ქართველურიდან ნასესხობად (იხ. ქვემოთ), შესაბამისად, **აიხაწე** ჰიბრიდული კომპოზიტია.

ხარხინი (მეგრ.) „გამოსაწნეხი“ (ყიფშიძე 1914: 399), „ყურძნის საწური მოწყობილობა, – წნეხი, ხარხინი“ (ქაჯაია 2002-ა: 520), **ხარხინი** / **ხარხიმი** (იმერ.) „ღვინის საწურავი მანქანა“ (დლონტი 1984: 741) – **ა-ხ~არხ~ენ** / **ა-ხ~ერხ~ენ** „ჭაჭის გამოსაწნეხი“ (შაყრილი 1987: 259, 267); აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან (მაჭავარიანი 2006: 161); შდრ. **ა-ჟაღ~ერჯარა** (აბჟ.) „ყურძნის საწური“ (რალ 1964: 204).

ქართული **მაქური** „დანის სასრევი“ (საბა 1991: 448), მეგრული **მაქე** „დანის სალესავი ქვა“ (ჭანტურია 1996: 217; ქაჯაია 2002: 228) აფხაზურში **ა-მაქ~ა** „მაქური, პატარა

საღესი ქვა“ (ჯანაშია 1954: 186) სახითაა წარმოდგენილი; ე. წ. „ტყის ენაზე“ ის ქვას ნიშნავს (კასლანძია 2005: 660); პ. ჭარაია აყენებს აფხაზურიდან სესხების შესაძლებლობას (ჭარაია 1912: 13). ა. შაგიროვის აზრით, აფხაზურ-აბაზურში (აბაზურში მაქა) ნასესხებია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 139). გვხვდება ტოპონიმებში: მაქეუქუ „სადაც საღესი ქვა მოიპოვება“ – ბორცვი ქაცვაკვარასა და ქაჩუკვარას შუა (ცხადია 2003: 94), მაქესტოუმ ღალ – კაკიმ ღალის ზემო წელი. ინფ.: მაქესტოუ აფხაზურად ისეთ ადგილს ეწოდება, სადაც მაქეს (საღესი ქვა) ლესავდნენ (იქვე). შდრ. აბაზური წარმაქა „საღესი ქვა“ (აბრლ 1967: 421).

ქლიბი „ნაჭდეგებიანი ფოლადის ძელაკი, რომლითაც ფხეკენ ლითონს“ (ქეგლ VII: 334), **ქილიბი** (მეგრ.) „ქლიბი“ (ჭარაია 1997: 141), **ქლიბ** / **ქელიბ** / **ქილიბ** (სვან.) „ქლიბი“ (თოფურია 2000: 784) – **ა-ქლებ** „ქლიბი“ (ჯანაშია 1954: 297); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 147).

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებაა მეგრულ **კვალა** „პატარა ნაჯახი“ (ყიფშიძე 1914: 255), იმერულ **კვალა** „პატარა ნაჯახი“ (ჯავახიშვილი 1987: 147) და აფხაზურ **აიკალა** „ხელცული“ (ჯანაშია 1954: 22) სიტყვათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ტერმინი გვაქვს ტაპანთურშიც **კალა** სახით (აბრლ 1967: 259). შდრ. აფხ. **ა-კაგა** „ცელი“ (კასლანძია 2005: 525). ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით აფხაზურ-აბაზურში

შესულია მეგრულიდან (ლომთათიძე 1976: 169). თ. გვანცელაძის შეხედულებით ქართველურში აფხაზურიდანაა შესული (გვანცელაძე 2011: 56).

ლექსემათა ნაწილი ქართველურსა და აფხაზურში შეთვისებულია სხვა ენებიდან, მაგრამ ფორმებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ სესხების შუალედური რგოლი:

ურო „დიდი ჩაქუჩი“ (ქეგლ VI: 1583), **ურო** (ძვ. ქართ.) „დიდი ჩაქუჩი“ (აბულაძე 1973: 430), **ურო** „რკინის ჯვედა“ (საბა 1993: 168), **ურო** (მეგრ.) „ურო – დასაკრავი“ (ჭარაია 1997: 132) – **ა-უგრა** „ურო“ (ჯანაშია 1954: 269); **ა-ჰას'არ** (ბზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 203); აფხაზური (აბჟუური) ტერმინი ქართულიდანაა შეთვისებული (ლომთათიძე 1976: 51). გ. კლიმოვი ვარაუდობს აფხაზურში ადიღეურიდან შეთვისების შესაძლებლობას, თუმცა იქვე ხაზს უსვამს, რომ დასაშვებია ქართველურიდან ნასესხობაც (კლიმოვი 1968: 294).

ფარგალი „[სპარ. **ფარგარ** „რკალი“] სამხაზველო იარაღი, რომელსაც აქვს ორი ფეხი ერთმანეთთან სახსრით შეერთებული“ (ქეგლ VII: 21), **ფარგალი** „(ოსმ.) კარაკინი, იარაღი ხმარებული საზომად წარზიდულთა განფენილებათა, მოსავლებად სიმრგვალეთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1295), **ფარგალი** (მეგრ.) „ფარგალი“ (ყიფშიძე 1914: 334), **ფარგალი** (ქართლ., იმერ., რაჭ.) „ფარგალი“ (ჯავახიშვილი 1987: 117, 131, 137) – **ა-ფგრგალ** / **ა-ფარდგალ** (ბზ.) „ფარგალი“ (ჯანაშია 1954: 274).

ჩარხი „[სპარ. **ჩარხ**] საბრუნებელი მანქანა“ (ქეგლ VIII: 335), **ჩარხი** (მეგრ.) „ჩარხი სალესავი“ (ჭარაია 1997: 155), **ჩაზხ** / **ჩაზხ** (სვან.) „ჩარხი“ (თოფურია 2000: 829) – **ა-ჩარხ**~ „სალესავი ჩარხი“ (ჯანაშია 1954: 343). სპარსულიდან შეთვისებული სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: **ჩარხ** (აბაზ.) „ბორბალი“ (აბრლ 1967: 426), **ჭარხა** (ლაზ.) „ბორბალი“, „საქსოვი დაზგის ნაწილი“, **ჩარხ** (ხუნძ., ლეზგ.) „ჩარხი“, **ჩარხ** (ანდ., ვეინახ.) „ბორბალი“, **შარხ** (ყაბ.) „ბორბალი“; გვხვდება ოსურში **ცალხ** „ბორბალი“ (აბაევი 1958: 287). აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები. ამაში გვარწმუნებს აუსლაუტის პალატალიზებული ხ~, რომელიც ქართული სახელობითი ბრუნვის –ი ნიშნის რეფლექსია.

ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში შრომის იარაღების აღმნიშვნელ ტერმინთა ნაწილების სახელებიც:

ბორბალი „1. რკალისებური საგანი, რომელიც ბრუნავს ღერძის გარშემო და ამოძრავებს გადასაზიდ საშუალებებს“ (ქეგლ I: 1101), **ბორბალი** (ძვ. ქართ.) „მორგუ“ (აბულაძე 1973: 33), **ბორბალი** „წისკვილისა და მისთანათა საბრუნველები“ (საბა 1991: 110), **ბარბალი** (მეგრ.) „ბორბალი“ (ციფშიძე 1914: 200), **ბურბალი** (ლაზ.) „ბორბალი“ (ქუთელია 2005: 161), **ბარბოლდ** / **ბარბელდ** / **ბარბგლდ** / **ბარბჷილ** / **ბარბილ** / **ბარბოლდ** / **ბარბელ** (სვან.) „ბორბალი“ (თოფურია 2000: 144) – **ა-ბარბალ**

„ბორბალი“ (უსლარი 1887: 124); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (ჭარაია 1912: 14); შდრ. ბზ. ა-გ~აჟ / ა-გ~ეჟ (ბლაჟბა 1964: 204).

გოგორა/ეი (გურ.) „პატარა თვალი ურმისა“ (დლონტი 1984: 156), **გოგორა** (ქართლ., მესხ., ჯავახ., იმერ., გურ.) „ურმის ნაწილი“ (ჯავახიშვილი 1987: 111, 124, 126, 128, 148), **გოგორე** (იმერ.) „ურმის ნაწილი“ (ჯავახიშვილი 1992: 278), **გოგორე** (მეგრ.) „ურმის სახეობა“ (ჯავახიშვილი 1987: 146) – ა-გ^აგ^არეჟ „id.“; აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ჭარაია 1912: 15).

ლერე (მეგრ.) „ღერძი“ (ციფშიძე 1914: 273) – ა-ღერა „id.“; აფხაზურში მეგრულიდან შეთვისებულად თვლის პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 14).

მორგვი „1. ურმის თვლის ან, საერთოდ, ბორბლის კუნძი, რომელშიც გაყრილია ღერძის თავი და დამაგრებულია სოლები. 2. მოკლე და მსხვილი მორი; კუნძი“ (ქეგლ V: 850), **მორგუ** (ძვ. ქართ.) „მეჭურჭლის ბორბალი, ჩარხი“ (აბულაძე 1973: 273), **მორგვ** „ურმის თვლის შუა კუნძი“ (საბა 1991: 503), **მორგვი** (მეგრ.) „ბორბლის ღერძი“ (ციფშიძე 1914: 304) – ა-მგრგ^ა „მორგვი“ (ჯანაშია 1954: 200); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25).

საბიჯგი „საყრდენი, საბჯენი“ (ქეგლ VI: 514), **ობიჯგალი** (მეგრ.) „საბიჯგი, საყრდენი, საბჯენი“ (ქაჯაია 2002: 421), „ურმის ნაწილი, საბჯენი, იგივე, რაც კოკინია“ –

ა-საფეჯ „ურმის საბიჯი“ (ბლაჟბა 1964: 224); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 148).

ჩართი (მეგრ.) „ურმის ხელნა“ (ჭარაია 1997: 155), **ჩართ / ჩართ / ჩათრ** (სვან.) “ჩელტი” (თოფურია 2000: 828) – **ა-ჩართ** „ურმის ხელნა“ (ჯანაშია 1954: 343). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში მეგრულიდანაა ნასესხები ისევე, როგორც, მისი ომონიმური წყვილი **ა-ჩართ** „კიბე“ (იხ. „ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა“).

მრავლად გვხვდება საერთო ლექსიკა სამეურნეო საქმიანობისთვის აუცილებელ ნივთთა აღმნიშვნელ სახელთა შორის:

ბაგირი „1. ტექნ. მეტად მსხვილი თოკი. 2. ძვ. თოკი. 3. კუთხ. (ლექხ.) ძუის თოკი“ (ქეგლ I: 943), **ბაგირი** „საბელი ყოველთა უსხოსი, ნავთა ღუზათა მოსაბმელი“ (საბა 1993: 19), **ბაგირ / ბაგირ** (სვან.) „ბაგირი, მსხვილი თოკი“ (თოფურია 2000: 145) – **ა-ბაგალ** „ცხენის ძუისაგან დაწნული თოკი“ (ჯანაშია 1954: 62; შაყრილი 1986: 92). აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები.

ულელი „გათლილი ხე, წყვილი ხარის, ან კამეჩის ქედზე დასადგმელი ურემში შესაბმელად“ (ქეგლ VI: 1649), **ულელი** (ძვ. ქართ.) „ულლეული“, წყვილი; ქედზე დასადები; სასწორი; ლავიწი (აბულაძე 1973: 435), **ულუ** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 333), **ულუა** (სვან.) „ულელი“ (თოფურია 2000: 740) – **ა-ულუ** (ჯანაშია 1954: 272);

ნასესხებია ქართველურიდან (ჭარაია 1912: 15), აფხაზური ფორმა გ. კლიმოვსაც ქართველურიდან ნასესხებად მიაჩნია (კლიმოვი 1986: 182).

ღვარღვალი (მეგრ.) „კაკვი, კაუჭი; ღაღვი გიდლისა“ (ჯავახიშვილი 1979: 244) – **ა-ღვარღვალ** „გიდლის ჩამოსაკიდებელი ხის კაუჭი“ (ჯანაშია 1955: 12); **ა-ცამკვრ** (ზუ.) „id.“ (ზღაჟბა 1964: 205); აბჟუური ფორმა შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 146).

ღეტამა „ტაბიკი“ (ყიფშიძე 1914: 350) – **ა-ღეტამა** „ტაბიკი“ (ჯანაშია 1954: 311), **ა-ყეტამა** (ზუ.) „id.“ (ზღაჟბა 1964: 224); არსებობს აზრი სიტყვის აფხაზურიდან ნასესხობის შესახებ (კლიმოვი 1986: 182), მაგრამ ა. შაგიროვის დამოწმებით, სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 142).

ჩაფარა „კუთხ. (გურ.) ჩალის ღერებისაგან შეკრული ლასტი“ (ქეგლ VIII: 403), **ჩაფარა** (იმერ.) მრგვალი ლასტი ირგვლივ აწეული ნაპირებით“ (გაჩეჩილაძე 1976: 157), **ჩაფარა** (გურ.) „დაღობილი ჩელტი“ (ღლონტი 1984: 647), **ჩაფარი** (ინგილ.) „id.“ (ჯავახიშვილი 1979: 67), **ჩაფარია** (მეგრ.) „ჩელტი“, **ჩაფარა** (მეგრ.) „id.“ (ჯავახიშვილი 1987: 65) – **ა-ჩაფარა** „ლასტი“ (ჯანაშია 1954: 344); სიტყვა ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ბუკია 2007: 165).

ჩელტი „1. იგივეა, რაც ლასტი. 2. ჩალის ღერებისაგან შეკრული ლასტი, – ჩაფარა“ (ქეგლ VIII: 484),

„ლასტი“ (საბა 1993: 318), ჩელტი (იმერ.) „ლასტი“ (გაჩეჩილაძე 1976: 157); ჩელტი (რაჭ.) „წნული, ლასტი“ (ღლონტი 1984: 652). ჩერტი (მეგრ.) „ჩელტი, ლასტი“ (ჭარაია 1997: 158); ჩელტი / ჩელთი / ჩერტი (ლაზ.) „ჩელტი“ (მარი 1910: 210), ჩელტ (სვან.) „ჩელტი“ (თოფურია 2000: 829) – ა-ჩალტ „1. ჩელტი, ლასტი; 2. ფარცხი, კაბდო-ლასტი“ (ჯანაშია 1954: 342), ა-ბეცაყ~ (ბზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 204); აბჟუური ფორმა ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბუკია 2007: 165).

ჩხიჯი / ჩხინჯი (მეგრ.) „ჩხირი“ (ქაჯაია 2002-ა: 333) – ა-ჩხენჯ / ა-ჩხენჩ „ქვაბის ჩამოსაკიდებელი, ცეცხლის პირას აღმაცერად დასობილი ჭდებიანი ჯოხი“ (ჯანაშია 1954: 346). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 138).

ყანთარი „[არაბ. კანტარ „სამხრიანი სასწორი“] ლოლარიკი, ცალ-სასწორა“ (ქეგლ VII: 506), ყანთარი „(არაბ.) ლოლარიკი, ცალ-სასწორა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1372), ყანთარი (მეგრ.) „დიდი უღლიანი სასწორი სულადის ასაწონად“ (ქობალაია 2010: 649), ყანთარი (გურ.) „სასწორი“ (წულაძე 2009: 49), ყაფანი (იმერ.) „დიდი სასწორი; ადგილი, სადაც სწონიან“ (ბერიძე 1912: 66), ყანთარი (გურ., იმერხ.) „სასწორი“ (ნიკოლეიშვილი 1999: 142) – ა-კანთარ „ყანთარი, სასწორი“ (ჯანაშია 1954: 141). ორივე ენაში შესულია არაბულიდან. სესხების შუალედური რგოლი სავარაუდოდ თურქულია: კანტარ „სასწორი“ (მაგაზანიკი 1945: 312).

ლომი „[რუს. **лом**] ძალაყინი“ (ქეგლ IV: 1573), **ლომი** (მეგრ.) „id.“, **ლომ** (სვან.) „ძალაყინი“ (საღლიანი 2005: 21) – **ა-ლომ** „ძალაყინი“ (ჯანაშია 1954: 176). სიტყვა ორივე ენაში რუსულიდანაა ნასესხები.

საოჯახო მოხმარების საგანთა სახელების დიდი ნაწილი ნასესხებია ორივე ენაში, მაგრამ ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით ადვილი დასადგენია სეხების შუალედური რგოლისა და მიმართულების გარკვევა.

საკუთრივ ქართულ-ქართველურია:

მაცივარი „სპეციალური მოწყობილობა ან ნაგებობა რისამე გასაცივებლად ან ცივად შესანახად, – საცივარი“ (ქეგლ V: 108), **მაციჲარ** (სვან.) „მაცივარი“ (საღლიანი 2005: 21) – **ა-მაცივარ** „id.“ (კილბა 1983: 84). ეს უკანასკნელი ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში გვხვდება. შდრ. აფხ. **ა-რხ ~შუშაგა** (იქვე).

წკირი „წვრილი ჩხირი“ (საბა 1993: 381), **წკირი** / **წკჳრი** (მეგრ.) „ხის შამფური“ (ყიფშიძე 1914: 380), **წკირ** (სვან.) „ხიწვი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 648) – **ა-წკ** „შამფური, ჯოხი“ (ჯანაშია 1954: 392). სიტყვები საერთო წარმომავლობისადაა მიჩნეული (ციკოლია 1960: 186).

სარკე „გლუვი და საგანგებოდ გაკრიალებული მინის ან ლითონის ზედაპირის მქონე სხეული, რომელშიც აისახება მის წინ მდგარი საგნები“ (ქეგლ VI: 785), **სარკე**

„მიჭვრიტინა“ (საბა 1993: 51), **სარკე** (მეგრ.) „სარკე“ (ყიფშიძე 1914: 315), **სარკ** / **სარკ** (სვან.) „სარკე“ (თოფურია 2000: 700) – **ა-სარკა** „სარკე“ (ჯანაშია 1954: 254); სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში (ქარაია 1912: 13). **ა-ბლასარკა** „სათვალე“ (ჯანაშია 1954: 69), **ა-ლასარკა** „id.“ (შაყრილი 1986: 408) ზედმ. „თვალის სარკე“ ჰიბრიდული კომპოზიტებია.

ხარხა (მეგრ.) „ხარიხა, გრძელი ჭოკი“ (ქობალია 2010: 718) – **ა-ხარხა** „ფარდის დასაკიდი ზონარი“ (შაყრილი 1987: 218)

ორივე ენაში ნასესხებია:

ლამპა „[ფრ. **ლამპე** რუს. ენის მეშვეობით] გასანათებელი მოწყობილობა“ (ქეგლ IV: 1473), **ლამპა** (მეგრ.) „ლამპა“ (ყიფშიძე 1914: 270) – **ა-ლამპა** „ლამფა“ (ჯანაშია 1954: 166). შესაძლოა, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესულიყო ორივე ენაში.

მაშა „ორად მოკეცილი ხის ან ლითონის იარაღი ნაკვერჩხლის ასაღებად, – საკეცე“ (ქეგლ V: 102), **მაშა** „ტკეცი, მარწუხი ცეცხლის ასაღები“ (ჩუბინაშვილი 1887: 682), **მაშა** „ნაკვერჩხლის ასაღები“ (ყიფშიძე 1914: 278) – **ა-მაშა** „მაშა (ნაკვერცხლის ასაღები)“ (ჯანაშია 1954: 186). გვაქვს უბიხურშიც: **მაშა** „მაშა, სატეხი“ (შაგიროვი 1989: 104). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა თურქულია, არ არის

გამორიცხული, აფხაზურსა და უბიხურში ქართულიდან შესულიყო.

უთო „გლუეპირიანი, სახელურიანი გასახურებელი ხელსაწყო თეთრეულისა და ტანისამოსის გასასწორებლად, გასატკეცად“ (ქეგლ VI: 1461), **უნთო** (მეგრ.) „უთო“ (ყიფშიძე 1914: 332), **უნთოჴ / ონთოჴ** (სვან.) „უთო“ (საღლიანი 2005: 134) – **ა-ჴანთა** „უთო“ (ჯანაშია 1954: 264); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 51). < სპარ. **ut**.

შანდალი „[არაბ. შამ „სანთელი“, სპარ. დან „სათავსი“] სანთლის ჩასადგმელი, – სასანთლე“ (ქეგლ VII: 625), **შანდანი / შამდანი** „(სპარ.) სასანთლე“ (ჩუბინაშვილი 1887: 1304) – **ა-შანდალ** „შანდალი“ (რალ 1964: 267), **ა-(მ)შანდალ** „შანდალი“; **ა-მშანდგლ / ა-მშანდგრ** „id.“ (კასლანძია 2005: 706); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 147).

აქვე განვიხილავთ ავეჯის, დგამის აღმნიშვნელი რამდენიმე საერთო სიტყვას, რომელიც ქართველურსა და აფხაზურში გვხვდება. ეს სიტყვები ძირითადად ნასესხებია, მაგრამ მათი ნაწილი აშკარად ქართულის საშუალებითაა აფხაზურში შესული.

აფხაზური **ა-ყარდ°** „ჯორკო სკამი“ (ჯანაშია 1954: 315) ქართულიდან ნასესხებად განიხილება (ლომთათიძე

2000-ა: 34), ამოსავალია ქართული **გუედო** „საჯდომი ჯორკო“ (საბა 1991: 174).

ლათინური წარმომავლობის **ა-სკამ** „სკამი“ (რალ 1964: 523), **ა-სკამ** „id.“ (შაყრილი 1987: 123) აფხაზურში ქართულიდან შევიდა (შაგიროვი 1989: 148), ქართველურში კი შემდეგი ფორმებით და სემანტიკით გვხვდება: **სკამი** „[ლათ. **scamnum**] დასაჯდომი ავეჯი (დგამი), ჩვეულებრივ, ხისა, ფეხებიანი და ზურგიანი“ (ქეგლ VI: 1112), **სკამი** „(ლათ.) ხისგან შექმნილი საჯდომი ფეხებიანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1186), **სკამი / სქამი** (მეგრ.) „სკამი“ (ყიფშიძე 1914: 319), **სკამ / სკამ** (სვან.) „სავარძელი“ (თოფურია 2000: 708).

ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-ტახტა** „ტახტი“ (შაგიროვი 1989: 89). შდრ. **ტახტი** „[სპარ. **ტაჰტ**] 1. ხის გრძელი ოთხფეხიანი დგამი, დასაწოლი (ან დასაჯდომი). 2. სავარძელი, რომელშიც მეფე ჯდებოდა რაიმე ოფიციალური მიღების, ზეიმისა და მისთ. დროს“ (ქეგლ VI: 1265), **ტახტი** (ძვ. ქართ.) „დასაჯდომელი“ (აბულაძე 1973: 411), **ტახტი** (მეგრ.) „ხის ფართო საწოლი, ფართო ლოდი“ (ყიფშიძე 1914: 327), **ტახტ** (სვან.) „ტახტი“ (სადლიანი 2005: 48). ქართველურიდან შეთვისებული ფორმა გვხვდება აფხაზურ ტოპონიმში: **ჩამანუყვა[ი]ტახტ** – ფართო ლოდი სერზე, რომელსაც **ჩამანუყვაახუ** „ჩამანუყვას ბორცვი“ ჰქვია (ცხადაია 1999: 228). შდრ. თურქ. (< სპარ.) **taht** „ტახტი, სავარძელი“ (მაგაზანიკი 1945: 578).

ა-კალაფ „კოლოფი“ (ჯანაშია 1954: 152) აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 51). სიტყვა მთელ ქართველურენოვან სივრცეშია წარმოდგენილი: **კოლოფი** „1. პატარა ყუთი. 2. მანქანის ზოგიერთი ნაწილი, რომელიც მოთავსებულია საგანგებო ბუდეში“ (ქეგლ IV: 1276), **კოლოფი** (მგ. ქართ.) „კალათი“ (აბულაძე 1973: 201), **კოლოფი** „მცირე შთასადებელი“ (საბა 1991: 381), **კოლოფი** (მეგრ.) „კოლოფი“ (ყიფშიძე 1914: 260), **კოლეფ** / **კოლოფ** (სვან.) „კოლოფი“ (თოფურია 2000: 349).

ქართული **კომოდი** „[ფრ. **commode**] გამოსაწევ-უჯრებიანი დგამი“ (ქეგლ IV: 1232) და აფხაზური **ა-კამოდ** „კომოდი“ (შაყრილი 1986: 296) ნასესხებია ორივე ენაში, მაგრამ აფხაზურში ქართულის მეშვეობით სესხება ნაკლებად სავარაუდო გვგონია. წესით, ქართულ **კო-**კომპლექსს აფხაზურში **კა** უნდა მოეცა, ისევე, როგორც **კოლოფი** ≈ **ა-კალაფ** შემთხვევაში. საფიქრალია, რომ სიტყვა აფხაზურში რუსულის მეშვეობით შევიდა.

თავი 5. საომარი იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა

საუკუნოვანი ისტორიული ურთიერთობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ქართველურსა და აფხაზურში მრავლად იძებნება საომარი იარაღის აღმნიშვნელი საერთო ლექსიკა. საუკუნეების მანძილზე საბრძოლო საქურველი ისტორიული ვითარების შესაბამისად იცვლებოდა, იცვლებოდა მისი აღმნიშვნელი ტერმინებიც. ისტორიული რეალიები მკაფიოდ აისახა ენობრივ მასალაში.

ტერმინთა ერთი ნაწილი აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული და ადრინდელ ნასესხობას წარმოადგენს:

ბოძალი „1. ორწვერა ისარი, 2. კუთხ. (ლექს. იმერ. გურ.) ორკაპა ხე“ (ქეგლ I: 1117), **ბოძალი** „ისარი ორპირი“ (საბა 1991: 112), **ბორზალი** (მეგრ.) „ბოძალი, ორწვერა ისარი; შუბი“ (ციფშიძე 1914: 206), **ბოზალ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 127) > **ა-ბგრზალ** „ორლესული შუბი“ (კასლანძია 2005: 257). მეგრულთა წარმოდგენით, **ბორზალი** წმიდა გიორგის იარაღია და სამეგრელოში წმიდა გიორგის სახელობის ყველა ტაძარში ინახებოდა. აფხაზური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, **ა-ბგრზალ** აღნიშნავს ჭექა-ქუხილის ღვთაების იარაღს, თუმცა აფხაზებს წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა იარაღია

იგი (გვანცელაძე 2011: 339). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2010: 9). ო. ძიძარას მითითებით, ვ. კვარჭია **ა-ბარზალ** „სვია“ ლექსემას უკავშირებს მის ომონიმს **ა-ბარზალ** „ძველი საკულტო და საომარი იარაღი“ (ძიძარია 1989: 46). მართალია, ამ ლექსემათა სემანტიკურად დაკავშირება რთულია, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ **ა-ბარზალ** „ბოძალი“ აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

მაჭახელა „კუთხ. (იმერ. გურ.) კაჟიანი თოფი“ (ქეგლ V: 113), **მაჭახელა** (მეგრ.) „რკინის სასულე“ (ჭანტურია 1996: 220). *შესაძლოა, „სასულე“ კორექტურაა, ალბათ უნდა იყოს სასროლი. სიტყვა მოყვანილია საომარი იარაღის აღმნიშვნელ ტერმინთა განყოფილებაში (მ. ბ.) > ა-მაჩხაღ* „აფხაზური თოფის (!!!) განსაკუთრებული სახეობა“ (შაყრილი 1986: 436); აფხაზური ფორმა ქართულიდანაა შეთვისებული. დასავლურ დიალექტებში კარგად ცნობილი **მაჭახელა** აჭარაში, სოფ. მაჭახელში მზადდებოდა, აქედან მოდის მისი სახელწოდებაც (ლომთათიძე 1999: 27).

ფილთა „კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ფილთა თოფი“ (ქეგლ VII: 107), **ფილთა** (მეგრ.) „ფილთა“ (ჭარაია 1997: 135), **ფილითაძე / ფილითა / ფილთა / ფილითაძე** (სვან.) „ფილთა თოფი“ (თოფურია 2000: 761) > **ა-ფილთა** „ფილთა, ფილთა თოფი“ (ჯანაშია 1954: 276), **ა-მაჯარ** (ზხ.) „id.“ (შაყრილი 1986: 220); აბჟურში შეთვისებულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 150).

ფრანგული „3. ძვ. ერთგვარი ხმალი“ (ქეგლ VII: 166), ფრანგული ხმლის სახეობის სახელად იესე ტლაშაძეს აქვს კათალიკოზ-ბაქარიანში ნახმარი: „ფრანგულმა შექმნა ბრიალი...“ „მაღლა არტყია ფრანგული, ურჭვია მას ხანჯარია“ (ჯავახიშვილი 1962: 256) > ა-ჭრანგ ~ „1. ხმლის სახეობა, 2. თოფის სახეობა, 3. ფოლადის სახეობა“ (გენკო 1998: 253); „უმაღლესი ხარისხის ფოლადი“ (კასლანძია 2005-ა: 260).

ქართულის მეშვეობით უნდა იყოს შეთვისებული აფხაზურში საჭურველის აღმნიშვნელი აღმოსავლურენოვანი სამყაროს კუთვნილი რამდენიმე სიტყვა:

საჭურველის, საომარი იარაღის აღსანიშნ ზოგად სიტყვად აფხაზურში გვხვდება აბჯარ (უსლარი 1887: 119); პ. ჭარაია ეთანხმება ნ. მარის შეხედულებას და თვლის, რომ აფხაზურში სვანურიდან მომდინარეობს (ჭარაია 1912: 12). სიტყვა გვხვდება აბაზურშიც: აბჯარ „იარაღი“ (აბრლ 1967: 28). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზურ-აბაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 139). შდრ.: აბჯარი „საბრძოლო საჭურველი, იარაღი“ (ქეგლ I: 86), აბჯარი (ძვ. ქართ.) „საჭურველი, იარაღი“ (აბულაძე 1973: 1), ანჯარი (მეგრ.) „რკინეული სამუშაო იარაღი“ (ჭარაია 1997: 36), აბჯარ / ჰაბჯარ (სვან.) „აბჯარი“ (თოფურია 2000: 24). აბჯარი წარმოშობით სპარსული სიტყვაა და მომდინარეობს abzâr / afzâr / avzâr „იარაღი, მოწყობილობა“ ფორმებიდან (ბართაია 2010: 12). სიტყვა

აბჯარი ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ IX-X საუკუნის ძეგლებში გვხვდება (ჯავახიშვილი 1962: 206).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზურში **ა-შაქ** „თოფი“ (ჯანაშია 1954: 338) ქართულიდანაა შესული. ის სიტყვა **siláh** თურქულიდან მომდინარეობს, იქ კი არაბულიდან შევიდა. აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია – ბოლოკიდური ქ-ს პალატალიზაცია აიხსნება სახელობითი ბრუნვის ი დაბოლოების რედუქციით და წინამავალ თანხმოვანთან შერწყმით (მაჭავარიანი 1966: 166). სიტყვა გვხვდება დასავლურ დიალექტებში აჭარულში, გურულში: **სილაქი** / **სილადი** „თოფი“ (დლონტი 1984: 493), ასევე ლაზურში **სილადი** (ლაზ.) „იარადი“ (ჯიქია 1974: 126). ეს უკანასკნელი თურქული ენის გავლენით უნდა აიხსნას.

3. ჭარაია თვლის, რომ **ა-ტაბანჩა** / **ა-ტაპანჩა** „დამბაჩა“ მეგრულის საშუალებითაა შესული აფხაზურში (ჭარაია 1912: 12). სპარსული წარმოშობის სიტყვა **ტაბანჩა** / **ტამბაჩა** / **ტაბაჩა** სახით გვხვდება მეგრულში (ციფშიძე 1914: 326). თ. გვანცელაძის ვარაუდით, აფხაზურში შესულია ყარაჩაულ-ბალყარულიდან (გვანცელაძე 2011: 363).

ქართული უნდა იყოს სესხების შუალედური რგოლი აფხაზური სიტყვისთვის **ა-ჰანჯალ** “დიდი დანა” (ჯანაშია 1968: 170), **ა-ჰანჯარ** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 385). სპარსული წარმოშობის (**xančal**) სიტყვა **ხანჯალი** ქართულ

ლიტერატურაში XV საუკუნიდან ჩანს (ჯავახიშვილი 1962: 262). აფხაზურ ნასესხებ მასალაში ხ > ჰ ბუნებრივია. შდრ. ქართ. კალმახი > აფხ. ა-კალმაჰა, ქართ. ხარდანი > აფხ. ა-ჰარდანი.

აფხაზურში გვხვდება სპარსული წარმოშობის ა-ჯაყა (აბჟ.) „ჯაყვა, ჯიბის დანა, კალმის დანა“ (ჯანაშია 1954: 447) / ა-ჩაკე (ბზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 220). იგივე სიტყვა გვაქვს ქართველურშიც: ჯაყვა „[სპარ. ჯაყუ] ჯიბით სატარებელი პატარა, დასაკეცი დანა, – კალმის დანა“ (ქეგლ VIII: 1566), ჯაყვა (მეგრ.) „დანა“ (ყიფშიძე 1914: 411), ჯაყუ / ჯაყუამ (სვან.) „ჯაყვა, ჯიბის დანა“ (თოფურია 2000: 886). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ სპარსული სიტყვის აფხაზურში შეთვისების შუალედური რგოლი ქართველურია (შაგიროვი 1989: 147).

შესაძლოა, ქართულიდან იყოს შეთვისებული აფხაზურში ა-ბეზუთ „ბეზუთი“ (ჯანაშია 1954: 66). სპარსული ბეჰზუდ-დან („საომარი დანა“) ნაწარმოები ბეზუთი „დიდი, მოხრილი, უკეცი დანის“ მნიშვნელობით ფართოდაა გავრცელებული ქართულში, განსაკუთრებით მის დასავლურ დიალექტებში.

მივიჩნევთ, რომ ქართულიდან შესული აფხაზურში ა-ბერდანა „ბერდანი; ბერდანის თოფი“ (ჯანაშია 1954: 66) / ა-ბერდანი „id.“ (რალ 1964: 44) / ა-ბარდანა „id.“ (კასლანძია 2005: 222). შდრ. ბერდანა „ერთვაზნიანი შაშხანა თოფი“ (ქეგლ I: 1033), ბერდენა (მეგრ.) „ბერდენა, ერთვაზნიანი შაშხანა“ (ქაჯაია 2001:

235), ბერდენაჲ / ბერდანაჲ / ბერდენაჲ / ბერდენა / ბერდენაჲ (სვან.) „ბერდანა, ერთლულიანი თოფი“ (თოფურია 2000: 150).

შედარებით ახალი ნასესხობებია ორსავე ენობრივ ერთეულში შემდეგი სიტყვები:

ზარბაზანი „[სპარ. **ზარბაზან**] მსხვილი ყალიბის ცეცხლსასროლი იარაღი, ქვემეხი“ (ქეგლ IV: 100), **ზაბარზანი** (მეგრ.) „ზარბაზანი“ (ყიფშიძე 1914: 235) – ა-**ზზარბზან** „ზარბაზანი“ (ჯანაშია 1954: 67); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (მაჭავარიანი 1966: 168).

ლალუმი „ზოგი ფეთქებადი ნივთიერების საერთო სახელი“ (ქეგლ IV: 1495), **ლალუმი** (მეგრ.) „ნაღმი, დინამიტი“ (ქაჯაია 2002: 186), **ლალუმ** (სვან.) „ნაღმი“ (თოფურია 2000: 371) – ა-**ლაღუმ** „ლალუმი“ (ჯანაშია 1954: 168); გვხვდება ადიღეურშიც: **ლაღუმ** / **ლაღუმ** (შაგიროვი 1977: 240). აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართულია (შაგიროვი 1989: 118, 150). < ბერძ. თურქ. **lagim**.

ნაგანი „ერთგვარი სისტემის მბრუნავცილინდრიანი რევოლვერი“ (ქეგლ V: 1270) – ა-**ნაგან**, ანაგან **ტაპანჩა** „ნაგანი“ (ჯანაშია 1954: 201).

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შევიდა ქართველურსა და აფხაზურში

არაბ.-სპ. **ყამა**. შდრ.: **ყამა** „[თურქ. **კამა**] კუთხ. (გურ.) მრგვალწვერა სატევარი“ (ქეგლ VII: 505), **ყამა** (მეგრ.) „ხანჯალი“ (ციფშიძე 1914: 354), **კამა** (ლაზ.) „დიდი დანა, ხანჯალი“ (ქლენტი 1938: 188) – **ა-ყამა** „ხანჯალი, სატევარი“, **ყამა** (უსლარი 1887: 156). სიტყვა გვაქვს კავკასიის მრავალ ენაში: **ყამა** (აზაზ.) „ხანჯალი“ (აბრლ 1967: 249), **ყამან** (ყაბ.), **ყამა** (უბიხ.), **ლამა** (ჩეჩნ.) „დაშნა“, **ყამა** / **ყამა** (ოს.) „ხანჯალი“ (აბაევი 1973: 260).

ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი ორსავე ენაში უახლოესი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეთვისებული საჭურვლის აღმნიშვნელ სიტყვების განხილვას. ამ შემთხვევაში სესხების მიმართულების კვლევა ჭირს და მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა ნაკლებია.

თავი 6. სოციალურ ურთიერთობათა და ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ქართველურ-აფხაზურ ეთნოლინგვისტური და ლინგვოკულტურული ურთიერთობის საინტერესო კვალი ჩანს სოციალური იერარქიისა და ნათესაობის აღმნიშვნელ ლექსიკაში.

ქართველურსა და აფხაზურ-აბაზურში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ნათესაობის აღმნიშვნელი სისტემები ენობრივი თვალსაზრისით. მრავალრიცხოვან ტერმინთა უმეტესობა ძირეულია, მათგან ნაწილი საერთოკავკასიურ ოდენობებად განიხილება, მაგრამ გვხვდება ნასესხობებიც.

საერთო ლექსიკის ნაწილი ფართოდ არის გავრცელებული მთელ კავკასიურენოვან სივრცეში, ნაწილი კი ურთიერთნასესხობის შედეგია.

აფხაზური აბ „მამას“ აღნიშნავს (უსლარი 1887: 119), ხოლო ბაბა „მამილო, მამიკოს“ (ჯანაშია 1954: 62). ეს უკანასკნელი გავრცელებულია დასავლურქართველურ დიალექტებში „მამის“ აღმნიშვნელად ბაბა / ბაბაია ფორმით. ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიიჩნევდა მათ საერთო წარმომავლობის სიტყვად და ძირისეულ ბ-ს კვალს ხედავდა სიტყვებში ბიბა, ობოლი (ჭარაია 1912: 19). თ. გვანცელაძეც მიიჩნევს, რომ აფხაზური აბ / ბაბა და

ქართული **ბაბა** / **ბაბაია** სიტყვათა ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით საქმე გვაქვს არა სესხებასთან, არამედ საზიარო ფუძესთან (გვანცელაძე 2011: 258).

ნანა „დედის მიმართვაა თავისი შვილისადმი სამეგრელოში“ (ქეგლ V: 1342), დედის მნიშვნელობით გვხვდება ლაზურში (ქუთელია 2005: 135). ქართველური ფორმის შესაბამისი ძირები ფართოდ არის გავრცელებული აფხაზურ-ჩერქეზულ (აფხ. **ნან**), ნახურ-დაღესტნურ (ჩეჩნ. **ნანა**, ლაკ. **ნინუ**) ენებში (კლიმოვი 1964: 146). **ნან** ფორმა აფხაზურ-აბაზურში მაშინ იხმარება, როცა დედა მიმართავს შვილს, ან ასაკით უფროსი ქალი – უმცროს ადამიანს. სიტყვა დედის აღმნიშვნელი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძეა (გვანცელაძე 2011: 258, 354).

მეგრულში **დიდა** „დედას“ აღნიშნავს (ყიფშიძე 1914: 226), გამოიყენება გაკვირვების, გაოცების შორისდებულადაც. აფხაზურში **დიდა** გაკვირვების შორისდებულია (შაყრილი 1986: 204). გ. კლიმოვს მოჰყავს ქართ. **დედა**, მეგრ. **დიდა** „დედა“, ლაზ. **დიდა** „ბებია“, სვან. **დი** „დედა“ ფორმების პარალელები აფხაზურ-ჩერქეზული (აფხ. **დი!** **დია!** „დედა“ და ნახურ-დაღესტნური (ლაკ. **დადა**, ლეზგ. **დიდე**, ხინალულ. **დედე** „დედა“) ენებიდან (კლიმოვი 1964: 72). აფხაზურ **დიედა!** – დედამთილისადმი რძლის მიმართვა – ქართულიდანაა ნასესხები (ლომთათიძე 1992: 227). „აფხაზური ენის ორივე დიალექტში არა მარტო საკუთარი დედისადმი, არამედ უფროსი ასაკის ქალბატონებისადმი მიმართვის ფორმად

იხმარება ქართულიდან შეთვისებული შემდეგი ფორმები: **დიდა**, **დი**, **დია**. მათგან **დიდა** ვარიანტი გამოიყენება ქალთა მიერ გაცემის, აღტაცებისა და აღშფოთების გამომხატველ შორისდებულადაც“ (გვანცელაძე 2011: 268). **დიდა** ფორმა და მისი ფონეტიკური ვარიანტები აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

ქართული **მამიდა** „მამის და“ (ქეგლ V: 35) არის ამოსავალი აფხაზური **ა-მამიდა** „id.“ (რალ 1964: 570) სიტყვისთვის. შესაძლოა, სიტყვა ახალი ნასესხობა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზურ ფორმაში ფუძისეული **ი-ს** ადგილას **გ** გვექნებოდა. ლექსემა აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები, მეგრულ მეტყველებაში ის სწორედ აფხაზურისთვის ბუნებრივი **მამედა** სახითაა წარმოდგენილი.

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური ღვიძლი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები **ა-მოთა** „შვილიშვილი“ და **ა-მოთაშმოთა** „შვილთაშვილი“, ზედმ. „შვილიშვილის შვილი“. მეგრულში ეს ცნებები გადმოიცემა **მოთა** „შვილიშვილი“ და **მოთაშმოთა** „შვილთაშვილი“ ფორმებით. **მოთა**, თავის მხრივ, საერთოქართველური ლექსიკური ოდენობაა და უკავშირდება ქართულ **მართვე** და ლაზურ **მოთა** „შვილიშვილი“, **მოთალი** „ნაშიერი“ სიტყვებს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 317). ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“ წარმოდგენილ ფორმაში **ა-მათა** (კასლანძია 2005: 668) ფონეტიკური ადაპტაცია დასრულებულია, აფხაზურისთვის უჩვეულო ფუძისეული **ო** ხმოვანი > **ა**.

მხევალი „ნაყიდი ან ნამზითვი ქალი; ტყვე ქალი; მოახლე, ხელზე მოსამსახურე ქალი“ (ქეგლ V: 1245), **მჭევალი** (ძვ. ქართ.) „მსახური ქალი, მოახლე; გოგო“ (აბულაძე 1973: 315), **ხე / ფხე** (მეგრ., იმერ., გურ.) „ასული, ქალი, მხევალი“ (ღლონტი 1984: 744) > **ა-ფჰა** „ქალიშვილი, ასული“ (უსლარი 1887: 153). **ა-ფხა** „id.“ (შაყრილი 1987: 49). აფხაზურში შეთვისებულია ქართულიდან (ჭარაია 1912: 35). ფონოტაქტიკის წესების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართული **მჭევალი** აფხაზურში პირველყოვლისა **ა-მჰ(ა)ვა[ლ]** > ***აფჰა** სახეობით შეიძლებოდა მოგვლენოდა. ამ გზით ჩანს ეს ფუძე აფხაზურ-ჩერქეზულ-უბიხურ ენებში შესული: ადიღეურის **ფხ°გ**, ყაბარდოულის **ფხ°გ**, უბიხ. **ფხ~ა** „ასულის“ გადმოსაცემად (ლომთათიძე 2000-გ: 73).

ორიოდე ურთიერთნასესხობა დასტურდება შეძენილი ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებში:

აფხაზური **ა-მაჰ°** „სიძე“ (ჯანაშია 1954: 189) სვანურიდანაა შესული და ამოსავალია **მუხუზე** „მამისთვის“ (თოფურია 2000: 582). რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, გამორიცხული არ არის შინაარსის თვალსაზრისით მიმართებათა გადანაცვლება (ლომთათიძე 2001: 33).

ძღაბი მეგრულსა და იმერულში გოგონას აღნიშნავს (ყიფშიძე 1914: 376; ბეზარაშვილი 1978: 110). იგივე სიტყვა იმავე მნიშვნელობით გვაქვს აფხაზურში: **ა-ძღაბ** „გოგო, გოგონა“ (ჯანაშია 1954: 375); ფორმები

შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ეს ტერმინი გვხვდება აფხაზურ ნათესაობის ლექსიკაში: **ჰაძღაბ** ზედმ. „ჩვენი გოგო“ – ტაბუირებულ მეტყველებაში რძლის მიერ მულის მოსახსენებლად გამოიყენება, მულია რძლისთვის (გვანცელაძე 2011: 280).

მეგრული **ხათეცი / ხაცეცი** „პატარძალი“ (ყიფშიძე 1914: 396) აფხაზურიდანაა შემოსული (ლომთათიძე 1999: 27). ამოსავალია **ა-თაცა** „რძალი, პატარძალი“ (ჯანაშია 1954: 123).

აფხაზურ და დასავლურქართველურ ცნობიერებაში სისხლით ნათესაობაზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა მორდუობისა და ნათელმირონით დაკავშირებულ ურთიერთობებს. ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ეთნოგრაფიული ჩანაწერები წარმოგვიდგენენ უნიკალურ მასალას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ღირებული იყო ქართველისთვის და აფხაზისთვის ნათელმირონით თუ მორდუობით შექმნილი ნათესავი, ხშირად ეს ურთიერთობა სისხლით ნათესაობასაც აღემატებოდა.

ტრადიციის ეს ერთობა აისახა ენობრივ ურთიერთობებშიც. აფხაზურში გვხვდება ქართულიდან შეთვისებული სიტყვები, ან ქართველიზმები წარმოდგენილია ჰიბრიდულ კომპოზიტებში:

გამდელი / გამზრდელი „აღმზრდელი“ (ქეგლ II: 671), **გამდელი** „მოახლეთ-უფალი, უპირატესი შიმუნვართა და მხევალთაგანი“ (ჩუბინაშვილი 1887: 164),

განდელი (მეგრ.) „გამზრდელი“ (ჭარაია 1997: 47), „სასახლეში წესრიგის დამცველი“ (ქაჯაია 2009: 60) > **ა-განდალ** „გამდელი, გადია“ (ჯანაშია 1954: 76); **ა-გენდალ** (ბზ.) „id.“ (გენკო 1998: 62). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 47).

ძიძა (ქართ.) „1. სხვისი ბავშვისათვის ძუძუს მაწოვებელი ქალი“ (ქეგლ VIII: 763), **ძიძა** „დედაკაცი უცხოთა შვილთა მაწოვებელი ქირით“ (ჩუბინაშვილი 1887: 1619), **ძიძე** (მეგრ.) „ძიძა“ (ციფშიძე 1914: 375) > **ა-ძიძე** „ძიძა“ (ჯანაშია 1954: 375); აფხაზურში ქართველურიდანაა შესული (ჭარაია 1912: 15).

დედამძუძე „აღმზრდელი ქალი, გადია“ (ქეგლ III: 1120), „ძიძა, გამდელი; „მგრკვნველი“ (აბულაძე 1973: 139) > **ანამძე** „ძიძა, დედამძუძე“ (ჯანაშია 1954: 49); აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია, პირველი ნაწილი **ან** აფხაზური „დედა“, მეორე კი ქართველურიდან შეთვისებული **ძიძა / ძიძე** (ბუკია 2008-ა: 104).

მამამძუძე „ძვ. გამზრდელი მამაკაცი, – ლალა“ (ქეგლ V: 31), **მამამძუძე** (ძვ. ქართ.) „გამზრდელი“ (აბულაძე 1973: 214) > **აბამძე** „მამამძუძე“ (ჯანაშია 1954: 10); აფხაზური სიტყვა ჰიბრიდული კომპოზიტია, შედგება აფხაზური **აბ** „მამა“ და ქართულიდან შეთვისებული **ა-ძიძე** ელემენტებისგან (ბუკია 2008-ა: 104).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზთა გაქრისტიანების შემდგომ მორდუობის ტერმინთა ნაწილი გამოყენებულ იქნა ნათელმირონობის აღმნიშვნელად (გვანცელაძე 2011: 284). მეცნიერი გადმოგვცემს საინტერესო საექსპედიციო მასალას: „ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჭლოუში ინფორმატორები გვიდასტურებენ, **ანამძე** და **აბამძე** ნათლიას აღნიშნავს“ (იქვე: 285). ანალოგიური ვითარება დასტურდება მეგრულში: „ნათლის“ აღმნიშვნელი **მორდია** ზედმიწევნით „გამზრდელს“ ნიშნავს.

საკუთრივ ნათელმირონობასთან დაკავშირებული ტერმინები, რომელიც აფხაზურში მწირადაა წარმოდგენილი (ისევე, როგორც მეგრულში, განსხვავებით ქართულისგან), ქართულიდანაა ნასესხები, ასევე გვაქვს აფხაზიზმები, რომლებიც ცნებებს აღწერთად გადმოსცემენ (იხ. „რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამსახველი ლექსიკა“).

არანაკლებ საინტერესოაა წარმოდგენილი ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობები სოციალური იერარქიის აღმნიშვნელ სიტყვებში. სიტყვათა ნაწილი ორივე ენაში ნასესხებია, მაგრამ კარგად ჩანს სესხების შუალედური რგოლის კვალი, ნაწილი კი ქართულიდანაა შესული აფხაზურში:

უფლისწული „ისტ. მეფის შვილი, – ბატონიშვილი (ქეგლ VI: 1634), **უფლისწული** „სეფეწული“ (ჩუბინაშვილი 1887: 1276), **უფლისშვილი** „უფლისწული“ – **ა-ჭფშუგლ / ა-ჭფაშუგლ** (ბზ.) „აღზრდილის მოფერებითი სახელი“

(ინალ-იფა 1956: 113). შ. ინალ-იფა მიიჩნევს, რომ აფხაზური სიტყვა მომდინარეობს ქართული **უფლისშვილ**-ისგან. თ. გვანცელაძის თვალსაზრისით, აფხაზური სოციონიმი მომდინარეობს გურულ-მეგრული გვიანდელი **უფლისული** ფორმისაგან (სწ თანხმოვანთკომპლექსის გამარტივება გურულსა და მეგრულში ჩვეულებრივია, ქართულ-ქართველური სუ მარცვალი კი აფხაზურში სესხების დროს კანონზომიერად იცვლება ლაბიალიზებული, გაბაგისმიერებული შ⁰ თანხმოვნით (გვანცელაძე 1998: 47).

თავადი „ძვ. დიდგვაროვანი ფეოდალური წრის, უმაღლესი წოდების წარმომადგენელი“ (ქეგლ IV: 210), **თავადი** (ძვ. ქართ.) „მეთაური“ (აბულაძე 1973: 173), **თავადი** (მეგრ.) „თავადი“ (ყიფშიძე 1914: 239) – **ა-თაჟად** „თავადი“ (ჯანაშია 1954: 122); აფხაზურში ქართულიდანაა ნასესხები (ჭარაია 1912: 11). სიტყვა აფხაზურში შეთვისებულია არაუადრეს XV საუკუნისა, ვინაიდან თვით ქართულში ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც აფხაზურში არ ჩანს (გვანცელაძე 1998: 47). ქართულიდან ნასესხობაა აფხაზური **თაჟად** „ცნობილი პიროვნება“ (შაგიროვი 1989: 139).

მუშა „1. ვინც მუშაობს; 2. ძვ. იგივეა, რაც გლეხი; 3. ისტ. კრებ. სხვის ყანაში მომუშავენი; 4. საუბ. მუყაითი მომუშავე, მშრომელი, გამრჯე“ (ქეგლ V: 1165), **მუშა** (მეგრ.) „მომუშავე“ (ყიფშიძე 1914: 284) – **ა-მუშა** „id.“ (კილბა 1983: 84); შდრ. აფხ. **ა-უტესუჯე** (იქვე). ლექსემის გავრცელების არეალი (წარმოდგენილია ბათუმელ

აფხაზთა მეტყველებაში) და ფონეტიკური აღნაგობა გვაპარაუდებინებს, რომ შედარებით ახალი ნასესხობაა აფხაზურში.

შინაყმა „1. ბატონის კარზე მყოფი უსახლკარო ყმა. 2. შინგაზრდილი აზნაური მეფისა ან თავადისა, კარის მოხელედ მყოფი“ (ქეგლ VII: 1407) – **ა-შინაყმა** „შინაყმა“ (ჯანაშია 1960: 93). აფხაზურში შესულია ქართულიდან.

ობოლი „1. უდედმამო ბავშვი. 2. გადატ. ვისაც თანამგრძობი, თანამოაზრე, მეგობარი არ ჰყავს“ (ქეგლ VI: 6), **ობოლი** (მვ. ქართ.) „უდედმამო“ (აბულაძე 1973: 332), **ომბოლი** (მეგრ.) „id.“, **ობოლ / უთბელ / უობოლ** (სვან.) „id.“ (თოფურია 2000: 744) – **ა-ობა** „ობოლი“; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 16). გ. კლიმოვს საერთოკავკასიურ ფორმად მიაჩნია და მოჰყავს შესაბამისი ფორმები: **უაბა** (უბიხ.) „ობოლი“, **ფებან** (ყაბ., ადიღ.) „ობოლი, მარტოხელა“, შდრ. **ბო** (ჩეჩნ.-ინგ.) „ობოლი“, **გობოლ** (ხუნძ.) „სტუმარი, უცხო“ (კლიმოვი 1964: 150). აფხაზურში სიტყვას ქვრივის მნიშვნელობაც აქვს (გენკო 1998: 19). ვ. კასლანძია აბუყურ დიალექტში მიუთითებს **ა-უამბალ** ფორმაზე, რომელიც „მარტოხელას, ობოლს“ ნიშნავს (კასლანძია 2005-ა: 235). ეს უკანასკნელი მეგრულიდანაა ნასესხები.

ჩაჩანი (მეგრ.) „აცინგანი, ბოშა“ (ქობალია 2010: 671); „მაწანწალა“ – **ა-ჩაჩან** „მაწანწალა, ქურდი“ (შაყრილი 1987: 416), „ბოშა“ (გვანცელაძე 2003: 219). სიტყვა

სავარაუდოდ მეგრულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში.

ჩიჩიე (მეგრ.) „მათხოვარი, ლატაკი, ცუდი“ (ყიფშიძე 1914: 365), **ჩიჩია/ე** (იმერ.) „გლახა, ჩია, ფია, ფიფია, ცუდი“ (ბერიძე 1912: 70) – **ა-ჩიჩია** (ჭარაია 1912: 48), **ა-ჩჩია** (ჯანაშია 1954: 346) „გლახაკი, მათხოვარი“. პ. ჭარაია ვარაუდობს, რომ აფხაზურიდან ისესხა მეგრულმა (ჭარაია 1912: 48), მაგრამ აფხაზურში მას დამაჯერებელი ეტიმოლოგია არ ეძებნება. მაგ. აუხსნელია აუსლაუტის -ია-ს რაობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვა მეგრულიდან აქვს შეთვისებული აფხაზურ ენას (ბუკია 1999: 81). ქართულიდან შეთვისებულად მიიჩნევს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 151).

ტყვე „1. ომის ან რაიმე თავდასხმის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი ან მშვიდობიანი მოსახლე. 2. გადატ. ვისიმე (რისამე) მონა-მორჩილი; ვისმეთი მოხიბლული, დატყვევებული“ (ქეგლ VI: 1368), **ტყუე** (ძვ. ქართ.) „ტყვე; ნამარცვი, ალაფი“ (აბულაძე 1973: 415), **ტყვე** (მეგრ.) „ტყვე“ (ჭარაია 1997: 130), **ტყუე / ტყუეჲ** (სვან.) „ტყვე“ (თოფურია 2000: 722) – **ა-ტყა** „ტყვე“ (ჯანაშია 1954: 262); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 150).

სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა ნასესხებია ქართულ-აფხაზურში:

ბატონი „[ლათ. **patronus** „მფარველი“] 1. პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელი ბატონყმობის დროს. 2. მპყრობელი, მმართველი, მბრძანებელი, მეფე“ (ქეგლ I: 991), **პატონი** „ბატონი“ (საბა 1991: 617), **პატონი** (მეგრ.) „ბატონი“ (ქაჯაია 2001: 478) – **პატენ** „ბატონი“ (რალ 1964: 157). ჩანს, აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული.

ლარიბი „[არაბ. **ლარῖب**] მცირე ქონების პატრონი, მცირე შემოსავლის მქონე, – ხელმოკლე; უქონელი“ (ქეგლ VII: 400), **ლარიბი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 349), **ღარიბ** / **ლარიბ** (სვან.) „ლარიბი“ (თოფურია 2000: 793) – **ა-ლარ** „ლარიბი“ (ჯანაშია 1954: 309), **ა-ლარრა** „სილარიბე“ (რალ 1964: 360); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). შდრ. **ლარიბ** (აბაზ.) „უცხოელი, მოგზაური“ (აბრლ 1967: 141). არაბული წარმოშობის სიტყვა აფხაზურში ქართულის საშუალებით უნდა იყოს შესული.

აბრაგი „1. მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი. 2. კუთხ. (იმერ.) ყაჩაღი, მმარცველი, ავაზაკი“ (ქეგლ I: 73), **აბრაგი** (იმერ.) „ყაჩაღი“ (ბერიძე 1912: 13), **აბრაგი** (მეგრ.) „ყაჩაღი“ (ყიფშიძე 1914: 191), **აბრეკი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 126), **აბრაგ** / **აბრეგ** / **აბრაგ** / **აბრეგ** (სვან.) „ყაჩაღი, აბრაგი“ (თოფურია 2000: 105) – **აბრაგ** „ყაჩაღი, ავაზაკი, ფირალი“ (ჯანაშია 1954: 11). სიტყვა ფართოდ არის გავრცელებული კავკასიურ ენებში: აბაზ. **აბრაგ**, ადიღ. **აბრეგ**, ჩეჩნ. **ობურგ**, ხუნძ. **აბურიქ** „ყაჩაღი“ (აბაევი 1958: 25). ვ. აბაევი მიიჩნევს, რომ

შემოსულია სპარსულიდან და ამოსავალი უნდა იყოს ფალაური ***აპარაკ** < **აპარტაკ** „მარცვა“ (აბაევი 1958: 25).

ავარა „[სპარ. **ავარე**] უსაქმოდ მოხეტიალე. მოხულიგნო ახალგაზრდა“ (ქეგლ I: 148) – **ა-უარ** „ავარა“ (ჯანაშია 1954: 265); ა. შაგიროვის ვარაუდით, აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 152). ამოსავალია სპარსული **avâr/a/e** (ბართაია 2010: 13).

აქვე წარმოვადგენთ ეთნონიმებს, რომლებიც აფხაზურში ქართველურიდანაა შესული:

ბერძენი „ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილზე მოსახლე ხალხის ქართული სახელწოდება“ (ქეგლ I: 1037), **ბერზენი** / **ბერზემი** (მეგრ.) „ბერძენი“ (ქაჯაია 2009: 47), **ბერზენ** / **ბერზემ** / **ბერძენ** / **ბერძემ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 126) – **ა-ბერზენ** „id.“ (რალ 1964: 159), **ა-ბერზენ** (შაყრილი 1986: 113). აფხაზურ ენაში ბერძენთა აღმნიშვნელი ტერმინი მეგრულიდანაა ნასესხები. ეს ფაქტი სხვა მრავალთან ერთად მიგვანიშნებს, რომ უშუალო ურთიერთობა აფხაზებს ბერძენებთან არ ჰქონიათ (გვანცელაძე 1998: 43).

თურქი „თურქეთის ძირითადი მოსახლეობა“ (ქეგლ IV: 494) – **ა-თერქა** „თურქი“ (ჭარაია 1912: 12). აფხაზურში შესულია ქართულიდან (იქვე). სიტყვა გვაქვს აფხაზურ ეთნონიმურ გვარსახელში **თირქა** (ხორავა 2000: 46).

ლაზი „ერთ-ერთი ქართველური ტომი, რომელიც დასახლებულია შავი ზღვის სანაპიროზე, თურქეთის ფარგლებში“ (ქეგლ IV: 1463), **ლაზი** (მეგრ.) „ლაზი“ (ციფშიძე 1914: 270) – **ა-ლაზ** „ლაზი, ჭანი“ (ჯანაშია 1954: 164). სიტყვა გვაქვს აფხაზურ გვარსახელში **ლაზბა** (ხორავა 2000: 46).

მეგრელი „დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – სამეგრელოს მკვიდრი ქართველები“ (ქეგლ V: 449), **მარგალი** (მეგრ.) „მეგრელი“ (ციფშიძე 1914: 276) – **ა-გგრუა** „მეგრელი“ (ჯანაშია 1954: 90). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ. ლექსიკოგრაფს ანალოგიისთვის მოჰყავს ენგურის აფხაზური სახელწოდება **ეგრე** (ჭარაია 1997: 90). ეთნონიმს საფუძვლად უდევს ეგრ-ის-ი ფუძის ეგრ- ძირი, რომელშიც თავკიდურა ე ხმოვანი აფხაზურის სესხების კანონზომიერების საფუძველზე ა ხმოვნით არის შეცვლილი და ერთვის ადამიანის აღმნიშვნელი -ჭა ძირი (გვანცელაძე 1993: 316). სიტყვა რეალიზდება აფხაზურ გვარსახელში: დალისა და წებელდის ხეობიდან 1867 წელს აყრილ აფხაზ მუჰაჯირთა სიაში დასახლებულია გვარი **აგრუა** (იქვე, 318), აგრეთვე **აგრბა** ზედმ. „მეგრელიშვილი“ (გვანცელაძე 1998: 48).

ოსი „კავკასიაში მცხოვრები ირანული ტომი“, **ოფსი** (მეგრ.) „ოსი“ (ციფშიძე 1914: 295) – **ა-ჭაფს** „ოსი“ (ჯანაშია 1954: 266), **ა-ჭაპს** „id.“ (შაყრილი 1987: 184); სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ჭარაია 1912: 16).

სვანი „სვანეთის მკვიდრი“ (ქეგლ VI: 1002), **შონი** (მეგრ.) „სვანი“ (ქაჯაია 2002-ა: 266) - **ა-შანგუა** „სვანი“ (ჭარაია 1912: 15), **ა-შან** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 651). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 15). ბოლოკიდური -**უა** ელემენტი წარმოადგენს **ა-უა-ვჷ** „ადამიანი“ სიტყვის **უა** ძირისეულ ელემენტს (გვანცელაძე 1993: 315). სიტყვა გვხვდება აფხაზურ გვარსახელში **ასვანუა** (ხორავა 2000: 46).

სომეხი „სომხეთის მკვიდრი“ (ქეგლ VI: 1126) – **ა-შამახ** „სომეხი“ (ჯანაშია 1954: 335). აფხაზურში სიტყვა შესულია ქართულიდან.

ურია „ძველი ბიბლიური სახელი ებრაელისა“ (ქეგლ VI: 1580), **ურია** „იუდეანი, ნათესავი ებრაელთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1267), **ურია** (მეგრ.) „ებრაელი“ (ყიფშიძე 1914: 333), **ურია** (სვან.) „ებრაელი“ (ავალიანი 1995: 56) – **ა-ურია** „ებრაელი“ (ჯანაშია 1954: 270). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში შესულია ქართულიდან (გვანცელაძე 2011: 63).

ქართველი „იბერიელი“ (აბულაძე 1973: 451), **ქორთუ** (მეგრ.) „ქართველი“ (ყიფშიძე 1914: 345), **ქართუელ** (სვან.) „ქართველი“ (სადლიანი 2005: 30) – **ა-ქერთუა** „ქართველი“ (ჭარაია 1912: 16), **ა-ქართველ** „1. ქართველი, 2. ქართველური“ (კასლანძია 2005: 538). ეტიმოლოგიურად **ა-ქერთუა** ეთნონიმი უკავშირდება ქართულ სახელწოდებას **ქართველ-ი**. ბოლოკიდური -**უა** ელემენტი წარმოადგენს **ა-უა-ვჷ** „ადამიანი“ სიტყვის **უა**

ძირისეულ ელემენტს (გვანცელაძე 1993: 315). ეთნონიმი რეალიზდება აფხაზურ გვარსახელში **აქირთაა / აქირთავა** (ხორავა 2000: 46). ტერმინ **ა-ქართველ**-თან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ის პირველად აქვს წარმოდგენილი ვ. კასლანძიას თავის „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“. ლექსიკონში ცალ-ცალკე სიტყვა-სტატიებადაა გატანილი **ა-ქართველ** (გვ. 538) და **ა-ქერთუა** (გვ. 539). შეიძლება გვეფიქრა, რომ სინონიმებთან გვექონდა საქმე, რომ არა უცნაური განმარტება: პირველის მნიშვნელობაა 1. картвел. 2. картвельский, მეორის – грузин. მეტიც, ლექსიკოგრაფს სალექსიკონო ერთეულებად გატანილი აქვს **ა-ქერთუატ^რ** грузинизация, იგივე სიტყვა რატომღაც გამეორებულია და წარმოდგენილია ახალი მნიშვნელობით **огрузинить** და შემოტანილი აქვს კიდევ ახალი სიტყვა **ა-ქერთუახარა** დამაბნეველი მნიშვნელობით **стать, сделаться грузином**.

ჭანი „ერთ-ერთი ქართველური ტომი“ (ქეგლ VIII: 1226) – **ა-ჭან** „ჭანი, ლაზი“ (შაყრილი 1987: 426). სიტყვა რეალიზდება აფხაზურ გვარსახელში **ჭანბა** (ხორავა 2000: 46).

ციგანი (მეგრ.) „ციგანი, ბომა; ხუმარა“ (ქაჯაია 2002-ა: 347) – **ა-ციგან** „1. ბომა“; 2. არასერიოზული, უწესო“ (კასლანძია 2005-ა: 409).

თავი 7. ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა

მშენებლობასთან, კერძოდ, ნაგებობებთან დაკავშირებული ლექსიკის შესწავლას ქართველურსა და აფხაზურში რამდენიმე ნაშრომი მიემძღვნა, მაგრამ შესაბამისი მასალის მოძიებამ ცხადყო, რომ ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება ახალი საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ორი ეთნოსის ენობრივ-კულტურული ურთიერთობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენს ხელთაა ნაგებობებთან დაკავშირებული ლექსიკის აღმნიშვნელი რამდენიმე ათეული სიტყვა, რომელიც პოვნიერია ორსავე ენობრივ ერთეულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ძველებური აფხაზური საცხოვრებელი ნაგებობანი ხუთ ტიპად იყოფა: **ა-ქაგ** „წრიული ფორმის უსადირკვლო წნული სახლი“, **ა-ბგათძე** „კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხა წნული სახლი“, **ა-მასართძე** „ხის საძირკვლიანი მართლკუთხა წნული სახლი“, **ა-განზნე** „განივი წნული სახლი“, **ა-ჯარგ^ალ / ა-ჯგრგ^ალ** „მორებით ნაგები სახლი“ (გვანცელაძე 1998: 20). ამათგან სამში ქართველური სიტყვაა გამოყენებული: **ა-მასართძე** ჰიბრიდული კომპოზიტია, პირველი ნაწილი

ქართველური მესერი (ქართ.), მასარი (მეგრ-ლაზ.), მასარ (სვან.) სიტყვაა, მეორე კი აფხაზური ა-თმგ „კედელი“. ქართულ-აფხაზური კომპოზიტია ა-განზნგ, რომელიც ზედმიწევნით „განის სახლს“ აღნიშნავს, შდრ. გურ. განის სახლი, მეგრ. განიშ ცუდე „განის სახლი; ორთვალა სახლი, რომელსაც ერთი თვალი (ოთახი) უიატაკო, ჰქონდა, მეორე ოთახი კი ფიცრულით მოგებული“ (ქაჯაია 2001: 287). ა-ჯარგალ / ა-ჯგრგალ კი მეგრულიდანაა შეთვისებული და ეტიმოლოგიურად „მრგვალ ხეს, მრგვალ ძელს“ ნიშნავს. ჯარგვალი ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: ჯარგვალი (იმერ.) „საქონლის სადგომი ზემო იმერეთში“ (მაკალათია 1978: 69), ჯარგვალი (გურ. აჭარ.) „მრგვალი მორებით აგებული სახლი, ქობი, ფაცხა“ (ღლონტი 1984: 775); ჯანგვარი (ლექხ.) „ჯარგვალი“ (იქვე, 774), სალექსიკონო ერთეულად შეტანილი აქვს საბას თავის ლექსიკონში: ჯარგული (BC რედაქციით ჯარგვალი) / ჯირგვალი „ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამოთხ კუთხედ მალალი, ვიეთნი კიდობანად სახელს-სდებენ B. ესე არს ხე მოჭდობილი სამ-ოთხ კუთხად, ვიეთნი კიდობანს (კიდობანად Cq) უქმობენ (უწოდენ Cq) (საბა 1993: 452, 458). მეგრულიდან შეთვისებული სიტყვა აფხაზურში კომპოზიტის ნაწილადაც გვხვდება: ა-ჯარგალზნგ „ქობი“ (რალ 1964: 243), ა-ჯარგალანდა „ხის ღობე“ (კასლანძია 2005-ა: 684). ამ მასალის ანალიზის საფუძველზე თ. გვანცელაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლების დროისთვის აფხაზები იცნობდნენ მხოლოდ პირველი ორი ტიპის წნულ საცხოვლებლებს და

მშენებლობაში ჯერ კიდევ არ იყენებდნენ ხის დამუშავებულ მასალას (გვანცელაძე 1998: 21). ქართველური კომპონენტისგან შედგება კიდევ ერთი სახეობა აფხაზური სახლისა **ასგრუნგ** „ისლით გადახურული სახლი“ (ბლაჟბა 1964: 204). **ასგრ** / **ასგრ** „ისლია“ აფხაზურად და მომდინარეობს მეგრული **ისირ**-ისგან. სიტყვის მეორე კომპონენტზე **ა-უნგ**, რომელიც ხშირად შედის ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინში, იხ. ქვემოთ.

საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველური **ფაცხა** ≈ აფხაზური **ა-ფაცხა**-ს ურთიერთმიმართების საკითხი. სიტყვა წარმოდგენილია მთელ ქართველურენოვან სივრცეში: **ფაცხა** „უჭერო და უიატაკო წნული ქოხი ისლით, ჩალით და მისთანებით დახურული“ (ქეგლ VII: 50); **ფაცხა** “წნული სახლი” (საბა 1993: 187); **ფაცხა** (გურ.) „წნელით მოწნული უჭერო-უიატაკო, ისლით დახურული ქოხი“ (ღლონტი 1984: 538), **ფაცხა** (მეგრ.-ლაზ.) „ფაცხა, წნელით მოწნული ქოხი“ (ყიფშიძე 1914: 335; მარი 1910: 193), **ფაცხ** (სვან.) „ფაცხა“ (თოფურია 2000: 753). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აბჟურ დიალექტში წარმოდგენილ **ა-ფაცხა**-ს ბზიფურში ენაცვლება **ა-ბგცაყუნ** (ბლაჟბა 1964: 203). გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ **ა-ფაცხა** აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (მაჭავარიანი 1966: 168). გ. კლიმოვი **ფაცხა**-ს აფხაზურიდან ნასესხობად თვლის (კლიმოვი 1986: 182); თ. გვანცელაძის შეხედულებით, ამოსავალია ბზიფური ფორმა, **ა-ბაცა** > **ა-ბგცა** „წნელს“ აღნიშნავს, **ყუნ** < **ყუნა** „ტალახის, ნაკელის“ აღმნიშვნელი ძირია, **უნგ** კი „სახლის“

აღმნიშვნელი ფუძე, ე.ი. ***ა-ბგცაყ** აფხაზურში თავდაპირველად ერქვა ტალახით ან ნაკელით შეღესილ წნელ სახლს. ***ა-ბგცაყ** ფორმა უსესხებია მეგრულს (აფხ. **ა-ბგცაყ** > მეგრ. ***ზაცხა > ფაცხა**). თავის მხრივ მეგრული ფორმა უკუისესხა აფხაზური ენის აბჟურმა დიალექტმა, ბზიფურს კი შერჩა საკუთარი სიტყვა (გვანცელაძე 1998: 21). ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ აფხაზურში გვაქვს ფიჩხის აღმნიშვნელი **ა-ფაცხ** (მაყრილი 1987: 31), რომელსაც მეგრული **ფეცხ**-იდან მომდინარედ ვთვლით. **ფეცხი** მეგრულში „ფიჩხს, წნელს“ (ყიფშიძე 1914: 336), აგრეთვე „ტოტს და ხის ტოტებისგან გაკეთებულ ცოცხს“ ნიშნავს (ქაჯაია 2002: 98). ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს **ფეცხი** ≈ **ფაცხა**, **ა-ფაცხ** ≈ **ა-ფაცხა**-ს დაკავშირება არც ფონეტიკურად, არც სემანტიკურად (ბუკია 2006: 102). სიტყვა გვხვდება კომპოზიტშიც: **ა-ფაცხ** **გარა** „ახალშობილი საქონლის დროებითი სადგომი მთის სამოვრებზე“ (ბჟანია 1962: 49).

გარდა ზემოთმოყვანილი ფორმებისა, ყურადღებას იქცევს ქართველურსა და აფხაზურში წარმოდგენილი ნაგებობების აღმნიშვნელი სხვა სიტყვები:

ვანი „ძვ. სადგომი, ბინა“ (ქეგლ IV: 17), **ვანი** (ძვ. ქართ.) „სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი“ (აბულაძე 1973: 153) ახლოს დგას აფხაზურ **ა-ჯნე** „სახლი, ოჯახი“ (უსლარი 1887: 126); პ. ჭარაიას აზრით, შესაძლოა, აფხაზურში ქართულიდან იყოს შეთვისებული და ამოსავალი იყოს ქართული **ვანი**

(ჭარაია, 1912, 21). ქ. ლომთათიძე აფხაზურ **ა-ზნე** ფორმას უკავშირებს ქართულ **საყუდელ**-სა და მეგრულ **ცუდე**-ს (ლომთათიძე 1955: 824). თ. გვანცელაძეს მიაჩნია საკუთრივ აფხაზურ სიტყვად (გვანცელაძე 2011: 55).

გალავანი „1. ქალაქის, ციხე-სიმაგრის ან რაიმე ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი; 2. ასეთი კედლით შემოზღუდული ადგილი“ (ქეგლ II: 631); **გალავანი** „არა ზღუდე, არამედ კედელი მაგარი, გრძლად ნაგები“ (საბა 1991: 130), **გალავანი** (კახ., თუმ., რაჭ.) „გალავანი“ (ჯავახიშვილი 1976: 99, 161, 353), **გალაუპან** / **გალაუან** / **გალაუან** / **გალაუპან** (სვან.) „გალავანი“ (თოფურია 2000: 163) – **ა-გალავან** „გალავანი“; აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ჭარაია 1912: 14), **ა-გალაუან** (კასლანძია 2005: 268); გვაქვს სხვა კავკასიურ ენაშიც: **გალან** (ხუნდ.), **ღლან** (ჩეჩნ.) „გალავანი“, ასევე ოსურში: **გალაუან** / **გალაუპან** / **გალაონ** „გალავანი“ (აბაევი 1958: 507).

ნანია (მეგრ.) „ნალია, სასიმინდე“ (ყიფშიძე 1914: 286), **ნალა** (ლაზ.) „ნალია, სასიმინდე“ (მარი 1910: 172) – **ა-ნანგრა** „ფარდული, საბძელი“ (ჯანაშია 1954: 203).

ხულა „1. ცალკე მდგომი საკუჭნაო ან მარცვლეულის შესანახი შენობა. 2. ძვ. და კუთხ. (რაჭ.) ხის პატარა სადგომი, – ჯიხური, ბუდრუგანა“ (ქეგლ VIII: 1524), **ხულა** „სახლი სავაჭროს სადები“ (საბა 1993: 434), **ხულა** (გურ., აჭარ., იმერ.) „ბეღელი, სასიმინდე, ნალია“ (ღლონტი 1984: 764), **ხულა** (მეგრ.) „პატარა ბეღელი“ (ყიფშიძე 1914: 611), – **ა-ხულა** „ხორცისა და რძის

პროდუქტების შესანახი შენობა“ (ბჟანია 1962: 137). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ჩანს, აფხაზურში შედარებით ახალი ნასესხობაა, ამაში აფხაზური ფორმის უ ხმოვანი გვარწმუნებს, ფონოტაქტიკის წესების მიხედვით ქართულ ხუ-მარცვალს აფხაზურში ხ⁰გ კომპლექსი უნდა მოეცა.

აფხაზურიდანაა შემოსული ქართველურში (მეგრულში) **ამხარა** „პატარა სახლი ახალდაქორწინებულთათვის“ (ჭარაია 1997: 35) < **ა-მჰარა** „პატარძალ-სიძის საცხოვრებელი სახლი, სანთიობო“ (ჯანაშია 1954: 199); ასევე **აბარწა** „აივანი“ (ყიფშიძე 1914: 191) < **ა-ბარწა** „აივანი“ (ჯანაშია 1954: 63). ეს უკანასკნელი ნასესხობის სახით გვხვდება ლეჩხუმურშიც: **აბარწა** „აივანი“ (ჯავახიშვილი 1976: 359).

აქვე განვიხილავთ მეგრულ **აბაყა**-ს „ნაგებობის ერთ-ერთი სახეობა ძველად სამურზაყანოში“ (ქაჯაია 2009: 19), რომელიც აფხაზური **ა-ბაყა** „ძველიდან“ მომდინარეობს (ჯანაშია 1954: 64). აფხაზური **ა-ბაყა** სულის სახლია, რომელსაც მიცვალებულის სახელის უკვდავსაყოფად აღმართავდნენ ხოლმე სოფლების დამაკავშირებელი გზების გასაყარზე. ის ერთგვარი თავმესაფარი იყო მგზავრისთვის (ანთელავა 2006: 11).

ღობის აღმნიშვნელი **ღანდა** (ქაჯაია 2002-ა: 165) მეგრულში შემოსულია აფხაზურიდან ჯერ კიდევ აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროს. შდრ. **აანდა** „ღობე“ (ჯანაშია 1954: 4).

აქვე განვიხილავთ ხიდის აღმნიშვნელ ერთ სიტყვას ქართველურსა და აფხაზურში: **ბოგირი** „ხის პატარა ხიდი“ (ქეგლ I: 1086), **ბოგირი** „ბოგას უდიდე, მცირე კიდი“ (საბა 1991: 107), **ბოგა** „მცირე ხიდი მიწადაყრილი“, **ბოგირი** „მოდიდო ხიდი ან საგუბარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 111), **ბოგა** (გურ., იმერ.) „ხიდი, ბოგირი“ (ღლონტი 1984: 78), **ბოგა** (მეგრ.) „პატარა ხიდი“ (ყიფშიძე 1914: 204), **ბოგა** (ლაზ.) „გომი; გომის იატაკი; ხის ხიდი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 90), **ბოგ** / **ბოგირ** (სვან.) „ხიდი; ხის პატარა ხიდი“ (თოფურია 2000: 156), **ბაგ** (სვან.) „ბაგა“ (იქვე: 140) – **ა-ბაგ-ზრ** (აბჟ.), **ა-ცაჰა** (ბზ.) „ბოგა, ბოგირი“ (ჯანაშია 1954: 62); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აბჟუური ტერმინი ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში. ამაში, გარდა სიტყვის საერთოქართველური წარმოშობისა, გვარწმუნებს აფხაზური სიტყვის ფონეტიკური ატრიბუტი და გავრცელების არეალი. ზიფურში მას **ა-ცაჰა** ჩაენაცვლება (ბუკია 2006: 101).

აკლდამა „ქვითკირის სამარა, რომელშიც მარხავენ მიცვალებულს“ (ქეგლ I: 247), **აკელდამა** (ძვ. ქართ.) „აკლდამა, “დაბა სისხლისაჲ“ (აბულაძე 1973: 2), **აკარდამა** (მეგრ.) „აკლდამა“ (ქაჯაია 2001: 170); **აკლდამ** / **აკვლდამ** (სვან.) „აკლდამა“ (თოფურია 2000: 36) – **ა-კარდამა** „id.“ (რალ 1964: 160). < ებრ. **aqeldam** „სისხლისთვის განკუთვნილი მიწა“. ვ. კვარჭია აფხაზურ ოიკონიმთა შორის ასახელებს გულრიფშის რაიონში მდებარე სოფელს **აკარდამა** (კვარჭია 1985: 38). ჩანს, სახელდება

ქართველურის საშუალებით შეთვისებული ტერმინის მიხედვით მოხდა.

ორსავე ენაში ნასესხებია:

ოდა „[თურქ. **ოდა**] ხის, ქვის... ბოძებზე დადგმული ფიცხული სახლი“ (ქეგლ VI, 8) **ოდა** (მეგრ.) „სახლი“ (ყიფშიძე 1914: 293), **ოდა** (ლაზ.) „ოთახი“ (მარი 1910: 176) – **ა-უადა** „ოთახი“ (ჯანაშია 1954: 263). **ა-უადა** ძირითადად ბზიფურში გვხვდება (ბლაჟბა 1964: 204);

კიოსკი „[რუს. **киоск**, სპარ. კომკ-იდან] 1. პატარა სათავსი სახელდახელო ვაჭრობისათვის. 2. პატარა ნაგებობა რაიმე სახის სპეციალური დანადგარისთვის“ (ქეგლ IV: 1223) – **ა-კასკა** „ოდა სახლი“ (ჯანაშია 1954: 152) / **ა-კასკა** „id.“ (კასლანძია 2005: 528);

მაღაზა (მეგრ.) „ნალია, სასიმინდე“ (ყიფშიძე 1914: 278), **მაღაზა** (სვან.) „ნალია“ (ავალიანი 1995: 48) – **ა-მაღაზა** „საწყობი, სასიმინდე“ (ჯანაშია 1954: 186);

ყაზარმა „[იტალ. **caserma**] სამხედრო ნაწილების საცხოვრებელი შენობა“ (ქეგლ VII: 498), **კაზარმა** „მხედართ სადგომი სახლი“ (ჩუბინაშვილი 1887: 588), **კაზარმა** (მეგრ.) „ბოსელი, კაზარმა“ (ქაჯაია 2002: 97) – **ა-კაზარმა** „ფარდული“ (ჯანაშია 1954: 139), **ა-კარზამა** (ოთხ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 103);

ოთახი „[თურქ. **ოთახ**] სამყოფ-საცხოვრებელი შენობის ნაწილი, რომელიც კედლებით არის

გამოყოფილი“ (ქეგლ VI: 13), **ოთახი** (მეგრ.) „ოთახი“ (ციფშიძე 1914: 293), **ჭოთახ** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 60) – **ა-ჭათახ** „ოთახი“ (ჯანაშია 1954: 263). ძირითადად გვხვდება აბჟურში (ბლაჟბა 1964: 204);

ოჯახი „[თურქ. **ოჯაკ** „კერა, სახლი, სახლელი“] ერთად მცხოვრებ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შედგება უახლოესი ნათესავებისაგან, – კომლი, სახლობა“ (ქეგლ VI: 98), **ოჯახი** (მეგრ.) „სახლი, ოჯახი, კერია“ (ციფშიძე 1914: 296), **ჭოჯახ** / **ჭოჯახ** (სვან.) „ოჯახი“ (თოფურია 2000: 747) – **ა-ჭაჯაყ** „ბუხარი“ (რალ 1964: 266); **უაჯაყ** (აბაზ.) „საკვამური“ (აბრლ 1967: 375);

ფანჯარა „[სპარ. **ფანჯარაჰ**] შენობის კედელში დაყოლებული ღია ადგილი, რომელშიც მომინული ჩარჩოა ჩასმული“ (ქეგლ VII: 17) – **ა-ფენჯერ** „ფანჯარა“ (რალ 1964: 382);

შუმბანდი „[სპარ. **შრშებანდ**] 1. მომინული აივანი. 2. უხმარიან ვიტრინის მნიშვნელობით“ (ქეგლ VII: 1470) – **ა-შუმბანდ** „შუმბანდი“ (ჯანაშია 1954: 328);

ქარვასლა „[სპარ. **ქარავანსარაჰ**] ძვ. ქარავნის დასადგომი, ვაჭრების სადგომი, – ფუნდუკი“ (ქეგლ VII: 261), **ქარვასლა** „სხვათა ენაა, ქართულად ფუნდული ჰქვიან“ (საბა 1993: 213) – **ა-ქარუასა** „ქარვის მრავალსართულიანი ზღაპრული სახლი“ (შაყრილი 1986: 349).

ნაგებობათა ნაწილების აღმნიშვნელ ლექსიკაში ძირითადად ქართველურიდან ნასესხობა დომინირებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თ. გვანცელაძის ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მართებულობას (ხის მასალის გვიანდელ პერიოდში გამოყენების შესახებ).

ქვემოთ წარმოდგენილი სიტყვები ძირითადად ფიცრული სახლის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია:

ბირკული / ბრიკული (მეგრ.) „რიკული, მოაჯირი“ (ჭარაია 1997: 42), **ბირკვილი / ბირკილი** (იმერ., გურ.) „რიკული, მოაჯირი“ (დლონტი 1984: 75) – **ა-ზგრკ~გლ** „მოაჯირი“ (ჯანაშია 1954: 76), **ა-ზარკ~გლ** „რიკული“ (შაყრილი 1986: 97); „გემზანის მოაჯირი“ (ძიძარია 1989: 16). საერთო წარმოშობის სიტყვებად მიიჩნევა დ. გულია (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 149; ძიძარია 1989: 47).

ბოკონი „მორის ბოძები, რომელზედაც დაყრდნობილია ფიცხული სახლის სასაძირკვლე დირეები“ (ქეგლ I: 1090), **ბოკონი** (იმერ., გურ.) „სახლის საძირკვლის ბურჯი, ბოძი“ (დლონტი 1984: 79), **ბოკონი** (მეგრ.) „სახლის საძირკვლის ბარჯგი“ (ჭარაია 1997: 42) – **ა-ზაკ~ან** „აფხაზური სახლის დირე“ (კასლანძია 2005: 218). სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული (ბუკია 2010: 9).

ბოყვი „კუთხ. (იმერ. გურ.) „ჩარჩო, რომელშიც კედლის ფიცრებია ჩასმული“ (ქეგლ I: 1115), **ბოყვი**

(ქართლ., იმერ., რაჭ., ლეჩხ., გურ., აჭარ.) „კედლის ფიცრების ჩასასმელი ჩარჩო“ (ჯავახიშვილი 1976: 217, 264, 330, 360, 404, 417), **ბოყვი** (მეგრ.) „ხის სახლის კარის თამასა“ (ციფშიძე 1914: 207) – **ა-ბეჟ** „ბოყვი“ (ჯანაშია 1954: 76); აფხაზურში შესულია ქართველურიდან (ლომთათიძე 1976: 52).

პალო „მოკლე და მსხვილი ჯოხი, რომელსაც ბოლო წაწვეტიებული აქვს მიწაში ჩასარჭობად“ (ქეგლ VI: 111), **პალო** „მცირე მანა, პალო ფრანგულია“ (საბა 1991: 614), **პალო** (მეგრ.) „პალო“ (ქაჯაია 2002: 474) – **ა-პალო** „კარის მბრუნავი ძელი“ (ბლაჟბა 1964: 204), **ა-პალონგ** „ძელური“ (იქვე). ტერმინი ქართულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 144).

დანი (მეგრ.) „წისქვილის ნაწილი, დირე“ (ქაჯაია 2001: 433) – **ა-დან** „ლარტყა“ (რალ 1964: 500). სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურში. ორი ხმოვნის გაჩენა ნასესხებ მასალაში ბუნებრივია აფხაზური ფონოტაქტიკისთვის: **ა-ყარან** „ყვავი“ < ქართ. **ყორანი**, **ა-გაბალა** „გობი, გობელა“ < მეგრ. **გვაბალა**.

კიბე „1. საფეხურების საშუალებით ასასვლელ-ჩამოსასვლელი. 2. იგივეა, რაც სკალა“ (ქეგლ IV: 1193), **კიბე** „აღსავალი, ხარისხი დანდალოვანი, უფრორე ძელთაგან ქმნილი საფეხურებით“ (ჩუბინაშვილი 1887: 611), **კიბე** (მეგრ.) „კიბე“ (ციფშიძე 1914: 257), **კიბ** (სვან.) „კიბე“ (საღლიანი 2005: 40) – **ა-კიბ** / **ა-კიბა** (უსლარი 1887: 142), **ა-კიბ** / **ა-კიბა** „კიბე“ (ჯანაშია 1954: 162); ფორმები

შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 60).

კუთხე „1. მათემ. ერთი წერტილიდან გასულ ორ სწორ ხაზს შუა მოქცეული ფართობი. 2. ადგილი, სივრცის ნაწილი, სადაც ერთმანეთს ხვდება ან ერთმანეთს კვეთს ორი საგანი, ან საგნის ორი მხარე. 3. გადატ. საცხოვრებელი ადგილი“ (ქეგლ IV: 1410), **კუნთხუ** (მეგრ.) „კუთხე“ (ციფშიძე 1914: 262), **კუთხ** (სვან.) „კუთხე“ (საღლიანი 2005: 40) – **ა-კუნდბ^ო** „კუთხე“ (ჯანაშია 1954: 154), **ა-კუნთხ^ო** (კასლანძია 2005: 536); შდრ. ბზ. **ა-კაქ^ტ** „id.“ (ბლაჟბა 1964: 204); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 149). მეგრულიდან ზედმიწევნით გადმოღებული ფორმა აქვს დაფიქსირებული ვ. კასლანძიას.

ლამფა „ჭერის თხელი ფიცარი“ (ქეგლ IV: 1474), **ლამფა** (მეგრ.) „წვრილი ფიცარი“ (ჭარაია 1997: 85) – **ა-ლამფა** „ერთგვარი თხელი ფიცარი, ლამფა“ (ჯანაშია 1954: 166).

ლარტყა „1. ოთხკუთხა დაბრტყელებული ძელი. 2. გრძელი და ბრტყელი, ხაზებითა და ციფრებით დაყოფილი სვეტი“ (ქეგლ IV: 1484), **ლარტყა** „ბრტყელი ლატანი“ (საბა 1991: 407), **ლარტყა** (გურ.) „თხელი და ვიწრო ფიცარი, ხმარობენ სახლის სახურავის გასამართავად“ (ლლონტი 1984: 323), **ლარტყა** (მეგრ.) „ძელი, რომელსაც სახურავი ეყრდნობა“ (ციფშიძე 1914:

270) – **ა-ლარტყა** (აბჟ.), **ა-მერთაქ** (ბზ.) „ოთხკუთხა ძელი“ (ბლაჟბა 1964: 204). აბჟურთი ფორმა მეგრულიდანა შესული, ბზიფური – თურქულიდან: **mertek** „ლარტყა“ (მაგაზანიკი 1945: 407).

ოსხირი (მეგრ.) „საძირკველი“ (ჭარაია 1997: 110) – **ა-ჟასხგრ** „საძირკველი“ (ჯანაშია 1954: 266), **ა-ჟაცხგრ** (ბზ.) „id.“ (შაყრილი 1987: 188); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზური ფორმა მეგრულიდანა შეთვისებული (კლიმოვი 1986: 182). ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითა დაცული – **ო** ხმოვანი **ჟა** კომპლექსადაა დაშლილი, ინტერვოკალურ პოზიციასი **ო > გ ; სხ > ცხ** ბუნებრივი მოვლენაა.

ჩართი (მეგრ.) „კიბე“ (ჭარაია 1997: 155) – **ა-ჩართ** (ბზ.) „კიბე“ (შაყრილი 1987: 414). სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანა შესული.

მეგრულიდან შეთვისებულ **ა-მერკატელ** „მაკრატელი“ სიტყვას აფხაზურში გადატანითი მნიშვნელობაც შეუძენია და მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემული **ა-მარკატელჟა** აფხაზური ფაცხის დეტალს აღნიშნავს – კარებთან დარჭობილ წაბლის ხის ორ მოხრილ პალოს, რომელიც მაკრატელს ჰგავს (ჭარაია 2011: 30).

თავანი „სხვენი“ (ქეგლ IV: 213), **თავანი** (გურ., იმერ., ქიზიყ., ზემოაჭარ., მესხ.) „არე ჭერსა და სახურავს შორის; სხვენი; „ოდის“ თავი; სახლის ჭერი“ (ლლონტი

1984: 238), **თავანი** (ლაზ.) „სხვენი“ (ჯიქია 1975: 68) – **ათჷან** „ჭერი“ (ჯანაშია 1954: 127), „თავანი“ (გვანცელაძე 2003: 191). **ათჷან** > ბზ. **ათონ** (ბლაჟბა 1964: 96). ხ. ბლაჟბა მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმა ქართულიდანაა ნასესხები (იქვე). ქართველური მასალის შეპირისპირება აფხაზურ ფორმასთან გვამღევს საშუალებას, არ დავეთანხმოთ ა. შაგიროვის მოსაზრებას, რომელიც ვარაუდობს, რომ სიტყვა ორივე ენაში თურქულიდანაა შეთვისებული (შაგიროვი 1989: 108). შესაძლოა, საპირისპირო მოვლენასთან გვეკონდეს საქმე და თურქული **tavan** „ჭერი“ (მაგაზანიკი 1945: 592) ქართულიდან იყოს ნასესხები.

ნაგებობის, სახლის აუცილებელი ატრიბუტია საკეტი. ქართველურსა და აფხაზურში დავადასტურეთ ამ სემანტიკის რამდენიმე საერთო სიტყვა:

ბოქლომი „[ბერძ. **mochlos**] ჩამოსაკიდებელი საკეტი (რკინისა)“ (ქეგლ I: 1112), **ბორქომი** (მეგრ.) „ბოქლომი“ (ყიფშიძე 1914: 206) – **ა-ბარქამ** (აბჟ.), **ა-საპარ** (ბზ.) „ბოქლომი“ (ბლაჟბა 1964: 206); აბჟურული ფორმა შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 146).

ზირზა (მეგრ.) „ჭიმურის ქიმები“ (ქობალია 2010: 310), **ზირზა** (ლაზ.) „ხის საკეტი“ (ნარაკიძე 1983: 63) – **ზარზა** „რაზა, კოშაკი“ (ჯანაშია 1954: 108).

ლჷკუ (სვან.) „საკეტი, ურდული“ – **ა-ლგკ** „ურდული, სანძალი“ (ჯანაშია 1954: 179). სვანურში

აფხაზურიდან შეთვისებულად მიაჩნია მ. სადლიანს (სადლიანი 2007: 65).

რაზა „კარის ან ფანჯრის დასაკეტი რკინა, რომელიც გადაეცემა კოჭაკს“ (ქეგლ VI: 354), **რაზა** (მეგრ.) „კარის საკეტი“ (ჭარაია 1997: 115), **რზ** / **რზარ** / **რაზ** / **რაზა** (სვან.) „რაზა, კარის ურდული“ (თოფურია 2000: 688) – ა-**რაზა** „ურდული“ (კასლანძია 2005-ა: 99).

არაერთგვაროვანი ვითარებაა სამშენებლო მასალისა და ინვენტარის აღმნიშვნელ სემანტიკურ ჯგუფში. ლექსემათა ერთი ნაწილი ნასესხებია ორსავე ენაში, სესხებაც ქრონოლოგიურად დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს.

კირი „კირქვის გამოწვით მიღებული თეთრი ნივთიერება“ (ქეგლ IV: 1223), **კირი** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 199), **კირი** (მეგრ.) „კირი“ (ყიფშიძე 1914: 259), **კირ** (სვან.) „კირი“ (თოფურია 2000: 348) – ა-**კვრ** „კირი“ (ჯანაშია 1954: 162); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). ქართულიდან ნასესხები **კირ** გვხვდება უბიხურშიც (შაგიროვი 1989: 139). ქართველურიდან აფხაზურში შესული სიტყვა გვხვდება ტოპონიმებშიც: **აკირახუ** / **კირახუ** – სერი, დასახლებული უბანი ოტაფის მარცხ. მხარეს (ცხადაია 1999: 227), **აკირბღღერთა** „კირის საწვავი“ (ადგილი) – ფერდობი წარჩის მარჯ. მხარეს (ცხადაია 2003: 17), **აკირძე** „კირის წყალი“ – წყარო აკირახუში (იქვე), **კირ იგვავე** – ტყე

ქაცვაკვარის ნაპირას. ინფ.: აგვავა აფხაზურში ეწოდება ჩავარდნილ ადგილს. იქ წვავენ კირს (იქვე, 83).

ტკეჩი „1. სიგრძივ ვიწროდ დაჭრილი თხელი ფიცრები, კედლებზე ჯვარედინად მისაკრავი, რომ შესაღესი მასალა დაიჭიროს. ზოგი ხის სწორი წვრილი ტოტის სიგრძივ ანახეთქი; იხმარება კალათის (გოდრის, გიდლის...) დასაწნავად, – პწკალი“ (ქეგლ VI: 1307), **ტკეჩი** (იმერ.) „მუხისა ან თხილისგან ახდილი კანი კალათების დასაწნავად“ (ბერიძე 1912: 53), **ტკეჩი** (მეგრ.) „ზოგი ხის სწორი ტოტის სიგრძივ ანახეთქი, იხმარება კალათის დასაწნავად“ (ქაჯაია 2002-ა: 30) **ტკეც / კეც** (სვან.) „ტკეჩი, წნელი, წნული“ (თოფურია 2000: 718), **ტკეჩ** (სვან.) „საკერებელი, ბებკი“ (საღლიანი 2005-ა: 253) – **ა-ტკაჯ** „ტკეჩი“ (ჯანაშია 1954: 260), **ა-დკაჯ** „id.“ (შაყრილი 1987: 137).

კრამიტი „სილა-ნარევი თიხის გამომწვარი ფირფიტა, ხმარობენ შენობის სახურავად“ (ქეგლ IV: 1365), **კრამიტი** „კეცის ლორფინი“ (საბა 1991: 387), **კრამიტი** (მეგრ.) „კრამიტი“ (ყიფშიძე 1914: 263), **კრამიდ** (სვან.) „კრამიტი“ (საღლიანი 2005: 47) – **ა-ქგრმგტ / ა-ქალმგტ** (ბზ.) „აგური“ (ჯანაშია 1954: 310), **ა-კგრმგტ** „id.“ (რალ 1964: 276). ბერძნულიდან მომდინარე სიტყვა სავარაუდოდ ქართველურიდანაა შესული აფხაზურში.

ყავარი „[თურქ. **კავარა** „ნაჭერი“] ნაპობი თხელი ფიცარი შენობის სახურავად“ (ქეგლ VII: 497), **ყავარი** „თხელი და ვიწრო ფიცარი“ (საბა 1993: 262), **ყამბარი**

(მეგრ.) „ყავარი“ (ციფშიძე 1914: 354) – **ა-ყაჭარ** (აბჟ.) > **ა-ყაურ** „ყავარი“ (ჯანაშია 1954: 314); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 130), უბიხური **ყაჭარ** ქართულიდან ნასესხობად მიაჩნია ა. შაგიროვს (შაგიროვი 1989: 139).

თუნუქი „1. თხელი ფურცლოვანი რკინა. 2. გადატ. თუნუქის ჭურჭელი“ (ქეგლ IV: 493), **თუნუქა** „(ოსმალ.) თეთრი რკინის ფიცარი“ (ჩუბინაშვილი 1887: 570), **თანაქა** (მეგრ.) „კეცის დასაფარებელი თუნუქი“ (მაკალათია 1945: 207), **თანაქა** (გურ., იმერ.) „თუნუქის ჭურჭელი, სანავთე“ (ღლონტი 1984: 243) – **ა-თანაქ-გ** „თუნუქი“ (ჯანაშია 1954: 119). ნასესხებია თურქულიდან: **teneke** „თუნუქი“ (მაგაზანიკი 1945: 607).

მარმარილო „[ლათ. **marmor**] სხვადასხვა ფერის მყარი კრისტალური კირქვა; ხმარობენ უმთავრესად არქიტექტურასა და ქანდაკებაში“ (ქეგლ V: 66), **მარმარი** (ძვ. ქართ.) „მარმარილო“ (აბულაძე 1973: 218), **მარმარილო** / **მარმარინო** (ძვ. ქართ.) „მარმორ“ (იქვე), **მარმალი** (მეგრ.) „მარმარილო“ (ქაჯაია 2002: 220) – **ა-მარმალ** / **ა-მარმალტაშ** „მარმარილო“ (ჯანაშია 1954: 185). **მარმარილო** და **ა-მარმალ** ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

შედარებით ახალი ნასესხობაა რუსულიდან ან რუსულის მეშვეობით: **აჩკატურ** / **ა-შკატურ** „ბათქაში“ (შაყრილი 1987: 418, 499). შდრ. მეგრ. **ჩიკატური** „id.“.

ცემენტი „[გერმ. **Zement** ლათ. **Caementum**-იდან „ღორღი“] ფხვიერი საშენი მასალა – მინერალური ნივთიერება, რომელსაც წყალში ზეღენ და იყენებენ ბეტონის ან დულაბის დასამზადებლად“ (ქეგლ VIII: 591), **ცამეტი** (მეგრ.) „ცემენტი“ (ქაჯაია 2002-ა: 342) – **ა-ცამეტ** „ცემენტი“ (რალ 1964: 613), **ა-ცემენტ** „id.“ (შაყრილი 1987: 310); **ა-ცამენტ** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 404); სიტყვა ორივე ენაში ნასესხებია, მაგრამ პირველ აფხაზურ სიტყვას მეგრულის გავლენა ეტყობა, მეორე კი შეიძლება ან ქართულიდან იყოს შეთვისებული, ან რუსულიდან (ბუკია 2010: 31).

სამშენებლო იარაღის აღმნიშვნელი საერთო სიტყვები ორსავე ენაში ნასესხებია:

თარაზო „[სპარ. **თარაზი**] სიბრტყის ან ხაზის ჰორიზინტალურად გასამართავი ხელსაწყო“ (ქეგლ IV: 339), **თერეზო** (გურ.) „თარაზო“ (იმნაიშვილი 2006: 331), **თერეზი** (მეგრ.) „თარაზო“ (ქაჯაია 2002: 43) – **ა-თერეზ** „თარაზო“ (ჯანაშია 1954: 126), **ა-თერაზ** (აბჟ.), **ა-ჯუა** (ზზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 203). გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: **თერეზ**, **თერეზარ** (ლეზგ.), **თერზა** (ჩეჩნ.), **თარაზ** (ინგ.) „სასწორი“, **თარაზ** (ადიღ.) „სწორად“, „ზუსტად“, **ლე-თერეზე** (უბიხ.) „ზუსტად გაკეთება“ (აბაევი 1979: 266).

შალაშინი „სადურგლო იარაღი – ხის (რკინის) ბუდე შიგნამული ბრტყელი მჭრელი პირით“ (ქეგლ VII: 621), **შალაშინი** „ხის პირის მოსასწორებელი“ (საბა 1993:

278), შალაშენი / შალაშინი (მეგრ.) „შალაშინი“ (ქაჯაია 2002-ა: 239), შალშუმი / შალაშუმი / შალაშენ / შალაშინ / შალაშინ (სვან.) „შალაშინი“ (თოფურია 2000: 810) – ა-შალაშენ / ა-ჩალაშენ „შალაშინი“ (ჯანაშია 1954: 321); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 148).

ჩაქუჩი „[თურქ. ჩაქუჩ] ხისტარიანი რკინის იარაღი, რომელსაც იყენებენ სარტყმელად“ (ქეგლ VIII: 418), **ჩაქუჩი** (მეგრ.) „ჩაქუჩი“ (ქაჯაია 2002-ა: 296) – ა-ჩაქუჩ (აბჟ.), ა-კ^ვგრკლოჭ (ბზ.) „ჩაქუჩი“ (ბლაჟბა 1964: 203); აბჟურული ფორმა აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 148).

ბოლოს მოვიხილოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ კიდევ ერთ მოსაზრებას: ვ. სიზოვის კვლევებზე დაყრდნობით, ეთნოლოგი ს. ბახია-ოქრუაშვილი მიუთითებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილი უძველესი საცხოვრებლები უმთავრესად ქართული კულტურის ნიშნებს ატარებდა (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 57).

თავი 8. კულინარიული ლექსიკა

ქართველთა და აფხაზთა ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის კვალი კარგად ჩანს კულინარიულ ლექსიკაში. რამდენიმე ათეული ლექსიკური ერთეულის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სესხება ორივე მიმართულებით ხდება, გვაქვს უცხო ენებიდან შეთვისებული ფორმები, უკუნასესობები. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორენოვანი კომპოზიტები, რომელთა დიდი ნაწილი აფხაზურ ენაშია წარმოდგენილი, გვხვდება მეგრულშიც.

ლექსემათა ნაწილი უკვე განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაწილი კი ჩვენ მიერაა პირველად შემოთავაზებული.

ქართველური > აფხაზური:

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ აფხაზური **ა-ბჟეი** „ძმარი“ (ჯანაშია 1954: 72) ქართულიდან მეგრულის გზითაა შეთვისებული აფხაზურში (ჯანაშია 1955: 8). ამოსავალი კი **ბაჟა** „ხორცეული შეჭამანდის შესაკმაზავი მომჟავო წვენი“ (ქეგლ I: 873), **ბაჟა** (მეგრ.) „ნიგვზის წვენი, – ბაჟე“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 214) ფორმაა. აფხაზური **ა-ბჟეი**-სთვის შესაძლოა ამოსავალი ყოფილიყო არა **ბაჟა**, არამედ მეგრული **ბჟე** „ძმარი“ (ყიფშიძე 1914: 207), სემანტიკა ამ უკანასკნელებისთვისაა ერთნაირი. ვფიქრობთ, ამავე წარმომავლობისად უნდა

მივიჩნით „მდოგვის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ბაჯ** (უსლარი 1887: 124).

არაერთგზის მითითებულა, რომ აფხაზური **ა-გ~აბჟალა** „სანელებლებთან ერთად მოხარშული ყველისგან დამზადებული კერძი“ (შაყრილი 1986: 143) მომდინარეობს იმავე სემანტიკის მეგრული **გებჟალია-სგან** (ლომთათიძე 1999: 25). მეგრულში იმავე მნიშვნელობით გვხვდება სინტაგმა **გებჟალაფირი ცვალი** „გადაზელილი ყველი“ (ყიფშიძე 1914: 418), მიმღეობური **გებჟალაფირი** „პიტნითა და მარილით შეკმაზული გადაზელილი ყველი (სულგუნი)“ (ქაჯაია 2009: 66). აფხაზურს ეს ფორმაც უსესხებია: **ა-გ~აბჟაფგრ / ა-გ~გბჟაფგრ** „id.“ (გენკო 1998: 63) სახით.

მეგრულიდანვეა ნასესხები აფხაზური **ა-ყ~ალმითა** „პიტნიანი ყველი“ (ლომთათიძე 1999: 25). თვით მეგრული პიტნის აღმნიშვნელი ტერმინი **ცვალმინთა** კი კომპოზიტია და შედგება ორი წევრისაგან – **ცვალი** და **მინთა**. **ცვალი** მეგრულად **ყველს** ნიშნავს, ხოლო **მინთა** სხვა არაფერია, თუ არა სვანური **მინთოორ / მინთუ** და ბერძნული **მინთა (Mintha)** (ბართაია 2002: 290). ეს სიტყვა გვხვდება ყველის სახეობის აღმნიშვნელ მეგრულ სინტაგმაში **ცვალმინთამ ცვალი**.

მეგრული **კაჭაბე** „ნიგვზიანი სუნელი“ (ჯავახიშვილი 1986: 208) ფორმიდან არის მიღებული იმავე მნიშვნელობის აფხაზური **ა-კაჭბე** „დანაყილი ნიგვზის ურწყული“ (ჯანაშია 1954: 145); ფონოტაქტიკის

წესები ზედმიწევნითაა დაცული – აუსლაუტში დიფთონგიზაცია, ასევე ფუძეში ა ხმოვნის კუმშვა.

მეგრულიდანვეა შეთვისებული აფხაზურში **ა-კვარცახ** „ტყემლის საწებელი“ (შაგიროვი 1989: 150). ამოსავალია მეგრული **კვარწახი** „ტყემლის საწებელი“ (ყიფშიძე 1914: 255).

მეგრული **კოხა** „ტყემლის სიმჟავე, კვარწახი“ (ჭარაია 1997: 82) არის საფუძველი იმავე მნიშვნელობის აფხაზური **ა-კაახა** (აბჟ.) „ტყემლის საწებელი“ (ჯანაშია 1954: 153) ფორმისთვის (შაგიროვი 1989: 150). ბათუმელ აფხაზებში გავრცელებული კომპოზიციის **ა-კპხსამხალ** „ისრიმის საწებელი“ (კოპეშვიძე 1980: 134) ორივე ნაწილი ქართველურიდანაა შეთვისებული.

ქართულიდან ნასესხობად ვთვლით **ა-ჭადგ** „მწვადი“ (ჯანაშია 1960: 97) < **მწვადი** „შამფურზე შემწვარი ხორცი“ (ქეგლ V: 1219).

ამავე რიგში განიხილება აფხაზური **ა-ზეთ** „ზეთი“ (ჯანაშია 1954: 110). შდრ. **ზეთი** „ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება, რომელსაც იღებენ სხვადასხვა მცენარეულ და მინერალურ ნივთიერებათა გადამუშავების გზით“ (ქეგლ IV: 127), **ზეთი** (მეგრ.) „ზეთი“ (ყიფშიძე 1914: 236), **ზეთ** (სვან.) „ზეთი“ (თოფურია 2000: 251) სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 48), ნასესხობის სახით გვხვდება ყაზარდოულშიც: **ზეთ** ფორმით (შაგიროვი 1989: 139)

ა-კალია „მწვანე ლობიო და მისგან დამზადებული შექამადი“ (შაყრილი 1986: 295) აფხაზურში შესულია მეგრულიდან (გვანცელაძე 1997: 58). შდრ. კალია (მეგრ.) „ეკალა“ (ყიფშიძე 1914: 251). ხშირად გვხვდება ჰიბრიდულ კომპოზიტებში (იხ. ქვ.).

აფხაზური ა-კაკარ „მოხარული კვერი“ (ჯანაშია 1954: 152) ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბუკია 2001: 71). შდრ. კვეკვერა „კვერი“ (ქეგლ IV: 1171), კვეკვერა (ქართლ.) „პატარა მრგვალი შუაში გახვრეტილი პური“ (ლლონტი 1984: 285), კოკორი (გურ.) „მცირე კვერი მჭადისა“ (იქვე: 299), კოკორი (იმერ.) „მინიატურული სარიტუალო ხაჭაპური“, კოკორწ / კოკორ (სვან.) „კვერი, კოკორი“ (თოფურია 2000: 349). მეგრულში გვხვდება აფხაზურიდან მიღებული უკუნასესხოზა (იხ. ქვ.).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური ა-მგ~ალ „მჭადი“ (ჯანაშია 1954: 189); ნასესხოზის მიმართულეზაზე მიუთითებს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1999-ა: 124). გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში: ა-ცხამგ~ალ „თაფლიანი მჭადი“ (შაყრილი 1987: 318). შდრ. ა-ცხა „თაფლი“ (იქვე); ა-ჩაშ~ემგ~ალ „ხოვრბლისგან დამზადებული ყველიანი ღვეზელი“ (შაყრილი 1987: 417), სადაც ა-ჩა „პურია“, ა-შ~ე „ყველი“. შდრ. მგ~ალ (აზაზ.) „ფეტვის პური“ (აბრლ 1967: 277), ასევე რიტუალური ხმიადის აღმნიშვნელ სიტყვებში: ჯაბრანმგ~ალ „ჯაბრანის ხმიადი“, ჟაბრანმგ~ალ „ჟაბრანის ხმიადი“ (კვარჭია 1981: 49), ა-კვეცმ~გალ / ა-კვეცხმ~გალ „კეცზე გამომცხვარი

მჭადი“ (კასლანძია 2005: 517). ამ უკანასკნელში ორივე სიტყვა ქართველურიდანაა ნასესხები.

ქართული ძირი უნდა იძებნებოდეს აფხაზურ **ა-ქარბეჟ** „კიპრუჟი“ (ჯანაშია 1954: 296), **ა-ქერბეჯ** (ბზ.) „id.“ (გენკო 1998: 128) სიტყვაში. ამოსავლად კი ივარაუდება **კიპრუჟი** „ფიჭიანი თაფლი, გოლეული“ (ქეგლ IV: 1222).

ქართული წარმოშობისაა აფხაზური **ა-სარანჯ** / **ა-სარაჯ** „ფიჭა“ (ჯანაშია 1954: 254); ამოსავალია **სარაჯი** „ფიჭა“ (ქეგლ VI: 776), **სარაჯი** (იმერ.) „ფიჭა“ (ჯავახიშვილი 1987: 26), **სარანჯი** (ლექს.) „id.“ (იქვე: 27), **სარანჯი** (მეგრ.) „გოლი, გოლეული თაფლისა“ (ჭარაია 1997: 122), **სარაჯ** / **სარაჯ** (სვან.) „სარაჯი, თაფლით სავსე ფიჭა“ (თოფურია 2000: 696). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ამოსავალია მეგრული ფორმა (შაგიროვი 1989: 150). გვაქვს ჰიბრიდულ კომპოზიტშიც (იხ. ქვ.)

აფხაზური **ა-საზბალ** / **ა-საძბალ** / **ა-სეზბალ** (ჯანაშია 1954: 253, 254, 258), **ა-სეძბალ** (რალ 1964: 548) იგივეა, რაც **საწებელი** „სხვადასხვა სანელებლით საგანგებოდ შემზადებული ტყემლის, ნიგვზის, ბროწეულისა და მისთ. წვენი, რომელშიც ხორცს, თევზს და ა. შ. დებენ“ (ქეგლ VI: 923), **საწებელი** (მეგრ.) „საწებელი“ (ჭარაია 1997: 123) ფორმა აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული (მაჭავარიანი 1966: 168). გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტის კომპონენტად (იხ. ქვ.).

ტყლაპი „მოდულებული ტყემლის (ქლიავის...) გამრობილი თხელი ფენა“ (ქეგლ VI: 1371), **ტყაპი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 330) – **ა-ტყაბ** (აბჟ.), **ა-მტყალ** (ზზ.) „ტყლაპი“ (ბლაჟბა 1964: 207); **ა-ტყაბ** აფხაზურში შეთვისებულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 150), ბზიფურისთვის ამოსავალია ქართული **ტყემალი** (ბუკია 2010: 31).

აფხაზური **ა-ქლამეშ** „ფელამუში, თათარა“ (ჯანაშია 1954: 296) ნასესხებია ქართულიდან მეგრულის გზით (ჯანაშია 2010: 57), შდრ. **ფელამუში** „ნადუდი ყურძნის ტკბილისა და სიმინდის (ხორბლის) ფქვილისაგან გაკეთებული (მოდულებული) ფაფისებური საჭმელი“ (ქეგლ VII: 57), **ფელამუში** „სქელი თათარა“ (საბა 1993: 187), **ფელამუში** (მეგრ.) „ფელამუში“ (ჭარაია 1997: 135), **ფელანდიშ** (სვან.) „ფელამუში“ (თოფურია 2000: 757).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია რომ მეგრული **ფოკვა / ფოყვა** „ობი“ (ყიფშიძე 1914: 337) არის ამოსავალი აფხაზური **ა-ფაკა** „ობი“ (ჯანაშია 1954: 273), **ა-ფაკა** (აბჟ.) „id.“ (შაყრილი 1987: 29) ფორმებისთვის (შაგიროვი 1989: 152).

მეგრულიდან არის შეთვისებული აფხაზურში **ა-ინჩ** (ჯანაშია 1968: 166), **ა-ინჭკვ** „id.“; (შაგიროვი 1989: 152). ამოსავალია **ინჩქი** (მეგრ.) „ღვინის ბრკე“ (ყიფშიძე 1914: 248).

ღვეზელი „1. ხაჭაპური, რომელსაც ჩართული აქვს მოხარშული და შებოლილი კვერცხები. 2. საერთოდ, ხორცის, ყველ-კვერცხისა და მისთ. გულის მქონე ნამცხვარი“ (ქეგლ VII: 422) ფართოდ არის გავრცელებული ქართველურ მიკროსისტემებში: **ღუეძილი** „პურში საჭმელს გამოაცხოვენ გემოიანს“ (საბა 1993: 259), **ღვეზელი** / **ღვეძელი** (იმერ.) „კვერცხ-ნართავი პური“ (ბერიძე 1912: 63), **ღვეზილი** (ლექს.) „ნაღვერდალში გამომცხვარი პური“ (ღლონტი 1984: 587), **ღვეზილი** (მეგრ.) „ღვეზელი“ (ყიფშიძე 1914: 350). ამ სიტყვიდან მომდინარეობს აფხაზური **ა-ღაზალ** „ღვეზელი“ (შაყრილი 1986: 190), ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზური სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული (შაგიროვი 1989: 149).

ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-ხარჩო** „ხარჩო“ (რალ 1964: 606). შდრ. **ხარჩო** „წვნიანი საჭამადი – ბრინჯით, ხახვით, მწვანილითა და ტყემლით მოხარშული ხორცი“ (ქეგლ VIII: 1348), **ხარშო** „წნოვანი ჯორცი“ (საბა 1993: 418).

ხაჭაპური „ნამცხვარი, რომელსაც გულად ყველი აქვს“ (ქეგლ VIII: 1359), **ხაჭაპური** „ნაზუქი“ (საბა 1991: 561), **ხაჭაპური** “ხაჭაპური” (ჭარაია 1997: 177) – **ა-ხაჭაპერ** „ხაჭაპური“ (ჯანაშია 1954: 413); ტერმინი მეგრულში დასავლურქართული დიალექტებიდანაა შეთვისებული. ნასესხობის სახით გვაქვს აფხაზურშიც. ბზიფურში იმავე სტრუქტურის საკუთრივ აფხაზური **ა-ჩაშ** (ა-ჩა „პური“, ა-შ „ყველი“) გვაქვს (ჯანაშია 1954: 344).

ვეიქრობთ, რომ მეგრული **ხვაპილია** (მეგრ.) „რძის თავზე მოდებული ქაფი“ უდევს საფუძვლად აფხაზურ **ა-ხ^აფა** (ზზ.) „ობი, ფორი“ (ჯანაშია 1954: 421) სიტყვას. გვაქვს აზაზურშიც: **ჯ^აფი** „ობი“ (აბრლ 1967: 404).

ხოზო „ხოზბლის უფხო ჯიშია“ (ქეგლ VIII: 1485); **ხოზო** (მეგრ.) „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“ (ჭარაია 1912: 15), **ხოზო / ხვეზა** (მეგრ.) „ყველის გულიანი კვერი, მთლიანად რძეში ხარშავდნენ“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 207), **ჯუეზა** (ძვ. ქართ.) „პური, ღვეზელი“ (აბულაძე 1973: 571), **ჯუეზა** „მრგვალი პური“ (საბა 1993: 446), **ხოზო** (იმერ.) „სხვილ-მარხვლიანი უფხო პური“ (ბერიძე 1912: 82) პ. ჭარაია აფხაზურ **ა-ხ^აჟ^ა** „კონუსისებური კვერი, რომელსაც სპეციალურად მსხვერპლშეწირვისთვის, ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ“ (ჯანაშია 1954: 419; კვარჭია 1981: 49) სიტყვას მიიჩნევს მეგრული **ხოზო**-ს ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია 1912: 15). მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებისა (კვარჭია 1981: 49), აფხაზური ფორმა უნდა ჩაითვალოს მეგრულიდან ნასესხობად (ბუკია 2001: 71); ასევე შეუძლებელია დავეთანხმოთ ლ. აკაბას, რომელიც თვლის, რომ სარიტუალო კვერის სახელი მომდინარეობს როდოდენდრონის აფხაზური სახელწოდებიდან **ა-ხ^აჟ^ა** (აკაბა 1984: 52).

ნასესხებია აფხაზური **ა-ხ^აჟ^აკ^ავ^არ** „კონუსისებრი სამსხვერპლო კვერი“ (კვარჭია 1981: 49); კომპოზიტი აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2001: 71), ამოსავალი კი **ხოზოკვარი** (მეგრ.) (ყიფშიძე 1914: 255), **ხოზოკვარი / ხოზოკონი** „სარიტუალო კვერი“ (მაკალათია 2006: 364, 386). შეიძლება საკითხი ოდნავ განსხვავებულადაც დავსვათ: არ არის გამორიცხული, რომ მეგრული ხოზოკვარის გავლენით საკუთრივ აფხაზურში მომხდარიყო გაკომპოზიტება: **ა-ხ^აჟ^ა + (ა)კ^ავ^არ**.

ქართველურიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-ჯანჯუბ^ა** „ჩურჩხელა“ (ჯანაშია 1954: 446), **ა-ჯანჯელ^ა** (ბზ.) „id.“ (შაყრილი 1987: 537). **ჯანჯუბა** „კუთხ. (იმერ. გურ.) იგივეა, რაც ჩურჩხელა“ (ქეგლ VIII: 1562), **ჯანჯუბა** (მეგრ.) „ჩურჩხელა“ (ჭარაია 1997: 183). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვის სესხების მიმართულებაზე მიუთითებს ბ. ჯანაშია (ჯანაშია 2010: 57).

აფხაზური > ქართველური:

სვანური **ცგრცმა** „ფაფა ქონნარევი“ (თოფურია 2000: 844) აფხაზურიდან უნდა იყოს შეთვისებული (საღლიანი 2007: 65). მიღებულია სიტყვისგან **ა-ც^აგრც^ამა** „თაფლითა და ქონით შეზავებული ღომი“ (ჯანაშია 1954: 370).

ცეზი (მეგრ.) „რიტუალური ყველი“ (ციფშიძე 1914: 371); „დიდი ყველი“ (ხობი) – **ა-ცე~აშ** „რიტუალური ყველი“ (ბჟანია 1962: 121); ტერმინი მეგრულში აფხაზურიდანაა შემოსული, მაგრამ ასახსნელია მეგრულ ფორმაში წარმოდგენილი **ბზ** კომპლექსი (ბუკია 2006-ა: 339). შესაძლოა, აფხაზური კომპოზიტი იყოს: (ა)ცე~ა „წმინდა“, (ა)ბზ(ია) „კარგი“ (ჯანაშია 1960: 24).

მეგრულში **ძირძი** / **ძერძე** (მეგრ.) „სანელებლებით შეკმაზული რძე, რომელშიც დებენ პიტნიანი საკმაზით შენელებულ ახლად გადაზელილ ყველს“ (წალენჯ.), სინტაგმის სახითაც გვხვდება: **აფხაზური ძირძი** „წიწაკითა და მარილით შეზავებული მაწონი“ (ქობალია 2010: 42). სიტყვა ნასესხებია აფხაზურიდან – **ა-ძერძ** „პიტნიანი მაწონი“ (შაყრილი 1986: 277), „მარილიანი წყალი“ (კასლანძია 2005: 455).

ხიჯაჯა / **ხჯაჯა** / **ხაჯაჯა** / **ხეჯაჯა** / **ხეჯეჯი** (მეგრ.) „ხსენი“ (ქარაია 1997: 179; ჯვ., წალენჯ., ჩხორ., ზუგდ.) ფორმებიც აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულში: **ა-ხჯაჯა** „ხსენი“ (ჯანაშია 1954: 431). ტერმინი მეგრულში აფხაზურიდანაა შემოსული.

ხეჭეთი (მეგრ.) „წაქის ნადული“ (წალენჯ.) იგივეა, რაც აფხაზური **ა-ხჭათ** „ნაღები“ (ჯანაშია 1954: 431), ასევე **ჩათა** (აბაზ.), **ჩატა** (უბიხ.), **შატა** (ადიღ.) „ნაღები, არაჟანი“ (კვარჭია 1981: 119); სიტყვა მეგრულს შეთვისებული აქვს აფხაზურიდან (ბუკია 2006-ა: 334). მ. ჩუხუა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებს უპირისპირებს ქართულ **წვეთ**-ს,

ზანურ **ჭვათ**-ს „id.“, სვანურ **უიდე** / **უედ** „დელამო, წვეთი“ სიტყვებს და მიაჩნია, რომ საერთო წარმომავლობისაა (ჩუხუა 2007: 103).

მეგრული **ხაწა** „მაწვნის დედა“ (ჭარაია 1997: 177) აფხაზურიდან არის შემოსული. შდრ. **ა-ხააწა** „1. მაწვნის დედა, 2. დვრიტა, მაჭიკი ყველისა“ (ჯანაშია 1954: 406).

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართული **ხაჭო** აფხაზური **ა-ხერწე**-დან არის მიღებული, კერძოდ, მის ფუძეში შედის **ხა** ძირი, რაც „რძის“ გამომხატველია, ხოლო მეორე კომპონენტი აფხაზური „მაწვნის“ (**ა-ხერწე**) ფუძეში შემავალი „მჟავის“ გამომხატველი **წე** ძირი გამოდის, რომელიც ქართულად **ქო** (/ჭვა)-თია გადმოცემული (ლომთათიძე 1999: 28).

ჩემქვა / **ჩემჰვა** „რძისა და ფქვილისაგან გაკეთებული ფაფის მსგავსი საჭმელი“ (ყიფშიძე 1914: 364; ჭარაია 1997: 156); **ჩემჩქვა** „რძეში მოხარშული ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული კერძი“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 209) – **ა-ჩამეჭა** „ყველითა და რძით გაკეთებული ღომი“ (ჯანაშია 1954: 342); „რიტუალური კერძი“ (ჯანაშია 1960: 27); რადგან **ა-ჩამეჭა**-ს ეტიმოლოგია ნათელი არ არის, გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ შეიძლებოდა გვემსჯელა ტერმინის კომპოზიტურ წარმომავლობაზე და ლექსემაში **ჩე**- ელემენტი გამოგვეყო, მითუმეტეს, რომ საქმე გვაქვს ფაფასთან ან მის მსგავს კერძთან, მაგრამ საძიებელია **-ქვა**-ს რაობა, რომლის ეტიმოლოგიისათვის მეგრულში ჯერჯერობით არანაირი ხელჩასაჭიდი მასალა

არ მოგვეპოვება. (ბუკია 2009: 39), თუმცა აზაზურში გვაქვს იმავე მნიშვნელობის **ჯამგჟა** / **ჩამგჟა** „ნაციონალური კერძი“ (აბრლ 1967: 209). იქნებ -**ქვა** აფხაზური მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსია?!

უცხო ენებიდან შეთვისებული ლექსიკა, სადაც სესხების შუალედური რგოლი ქართველურია:

ძვ. ებრ. **pesah** > ქართ. **პასკა** „საადღგომო ნამცხვარი“ (ქეგლ VI: 145), **პასქა** (ძვ. ქართ.) „დღესასწაული“ (აბულაძე 1973: 337) > **ა-პასკა** „id.“ (შაყრილი 1987: 13); აფხაზურში შესულია ქართულის გზით (შაგიროვი 1989: 141).

ბერძ. **μαζα** „ნამცხვარი“ > ქართ. **მაზა** „სანუკვარი საჭმელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 660) > მეგრ. **მაზვა** „ნამცხვარი ფქვილისა და თაფლისაგან“ (ჭარაია 1997: 89) > აფხ. **ა-მაჟა** „ნამცხვარი“ (ჯანაშია 1954: 184). გ. მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი მეგრულია (მაჭავარიანი 1966: 166).

იტალ. **maccheroni** რუს. **Макарон** > ქართ. **მაკარონი** (ქეგლ V: 23) > მეგრ. **მაკარნა** > აფხ. **მაკარგნა** „id.“ (ჯანაშია 1954: 183). ქართულიდან შეთვისების შემდგომ მეგრულში განვითარებული ფონეტიკური პროცესები გვაპარაუდებინებს, რომ აფხაზურისთვის ამოსავალი სწორედ მეგრული ფორმაა.

სპარ. შაქარ > ქართ. შაქარი (ქეგლ VII: 633) > აფხ. ა-შაქარ / ა-შაქარ „id.“ (ჯანაშია 1954: 323; რალ 1964: 508). ორივე ენაში ნასესხებია სპარსულიდან (ჭარაია 1912: 10). ა. შაგიროვი აფხაზურისთვის სესხების შუალედურ ფორმად ქართულს მიიჩნევს (შაგიროვი 1989: 111).

არაბ.-სპ. მურაბა > ქართ. მურაბა (ქეგლ V: 1157) > აფხ. ა-მურაბა „მურაბა“ (რალ 1964: 71). სესხების შუალედური რგოლი აფხაზურისთვის ქართულია. გვხვდება ოსურ ენაში მურაბა ფორმით (აბაევი 1973: 133).

თურქ. კაფურმა > ქართ. ყაურმა „თავისსავე წვენში მოხრაკული ხორცი“ (ქეგლ VII: 512) > აფხ. ა-კურმა „ყაურმა“ (ჯანაშია 1954: 154). სავარაუდოდ, აფხაზურში ქართულის მეშვეობით უნდა იყოს შეთვისებული.

არაბ. ჰალვა > ქართ. ჰალვა „ერთგვარი ტკბილეული“ (ქეგლ VIII: 1621) > ა-ჰაილუა / ა-ჰალუა „ჰალვა“ (შაყრილი 1987: 285, 287).

ჰიბრიდული კომპოზიტები:

a. აფხაზური:

მეგრულიდან შესული ა-კალია „ეკალა“ გვაქვს აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში: ა-კალიაყვდ (იქვე), ა-ყვდკალია „პარკი ლობიო“ (ჯანაშია 1954: 316); ა-კალიაჩაფა „ეკალას ფხალი“ (კოპეშავიძე 1980: 133)

პირველი ნაწილი მეგრულიდანაა შეთვისებული, **ა-ყ**გდ „ლობიო“ აფხაზურად, **(ა)ჩაფა** კი „ფხალი“ (კასლანძია 2005-ა: 516).

ასევე ჰიბრიდული კომპოზიტია აფხაზური **ა-ცხარანჯ** „ფიჭა“ (შაყრილი 1987: 318). **ა-ცხა** აფხაზურად „თაფლია“ (იქვე), ხოლო მეორე ნაწილი ქართველურში ფართოდ გავრცელებული: **სარაჯი** / **სარანჯი** / **სარაჯ** „ფიჭა“ (იხ. ზემოთ).

აფხაზური ტრადიციული წეს-ჩვეულებების დროს აუცილებელი ატრიბუტი იყო **ა-ჩა-ღაზალ** „რიტუალური პური“ (ჯანაშია 1960: 57), კომპოზიტის მეორე ნაწილი **(ა)ღაზალ** აფხაზურში ქართულიდანაა შესული, პირველი ნაწილი **ა-ჩა** კი აფხაზური „პურია“.

ხარკალია ლებია (მეგრ.) „კირკაჟი“ (ქობალია 2010: 718) – **ა-ყ**გდ**ხარკალე** „კირკაჟი“ (ჯანაშია 1954: 316); აფხაზური სიტყვა ჰიბრიდული კომპოზიტია: **ა-ყ**გდ „ლობიო“ (შაყრილი 1986: 396), **ხარკალია** მეგრული „კირკაჟი“.

ქართველურ ენობრივ მიკროსისტემებში ფართოდაა გავრცელებული **ჭაჭუ**, **ჭაჭუა**, **ჭაჭუტა** „კუთხ. (იმერ. გურ.) პატარა წველა ყველი“ (ქეგლ VIII: 1235), **ჭვეჭვერეში** (მეგრ.) „ჭაჭუტა, ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ჭარაია 1997: 78), **ჭაჭუტა** (გურ.) „ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ჟღენტე 1936: 259), **ჭაჭუტა** (იმერ.) „ჩვილი, ახლადამოყვანილი ყველი“ (ბერიძე 1912:

77), **ჭაჭუტა** (აჭარ.) „ყველის პატარა თავი“ (სურმაგა 1990: 19). ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვა შედის აფხაზურ კომპოზიტი **ა-შ-ჭკა / ა-შ-ხგკა** „დაფშვნილი ყველი“ (კვარჭია 1981: 52); კომპოზიტის პირველი ნაწილი **ა-შ** აფხაზური „ყველია“, მეორე კი სავარაუდოდ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ქართველური ფორმა (ბუკია 2006-ა: 339).

აფხაზურ კომპოზიტი: **ა-კვხსაძხალ** „ისრიმის საწებელი“ (კოპეშავიძე 1980: 134) სხვაგვარი ვითარებაა. **ა-კვხ** „მკვახე ყურძენი, ისრიმი“ (შაყრილი 1986: 347) მომდინარეობს ქართული **მკვახე / კუხე / კუხი**-სგან, მეტიც, ლაზურში **კოხა** „ისრიმია“. **(ა)საძხალ** კი ქართული **საწებელი**-ა. სხვა სიტყვებით, აფხაზური კომპოზიტის ორივე წევრი ქართულიდანაა ნასესხები.

ჰიბრიდული კომპოზიტია აფხაზური **ა-ხარწესგძხალ** „მაწვნიანი კერძი“ (კვარჭია 1981: 52), სადაც პირველი კომპონენტი მაწვნის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხარწე**-ა, მეორე კი ქართული **საწებელ**-იდან მიღებული **(ა)სგძხალ** (ბუკია 2006-ა: 339).

ჰიბრიდულ კომპოზიტებად განვიხილავთ **ა-ჯკაძერძ** „მარილწყალი, წათხი“ (ჯანაშია 1954: 450) და **ა-ჯკაძერძშ** „დამარილებული ჭყინტი ყველი“ (კვარჭია 1981: 119) ფორმებს (ბუკია 2006-ა: 333).

ზემოთ განხილული **ა-ხაჟა** „კონუსისებური რიტუალური კვერი“ ხშირად გვხვდება აფხაზურ

კომპოზიტებში: ა-ჩახაჟი „ყველიანი კვერი“ (შაყრილი 1987: 416), ხაჟკერა „აითარის სალოცავი, ხოზოს დაჭერა“, ხაჟკვენ-მზა „თებერვალი“ (ჯანაშია 1960: 26). თვემ ეს სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ რიტუალი თებერვალში სრულდებოდა (იქვე). ასევე ხაჟკვენ „ყველიერი“ (კასლანძია 2005-ა: 362), ხაჟკერამზა „მარტი“ (იქვე).

ვ. კვარჭია კულინარიული ლექსიკის ანალიზისას ასახელებს არაჟნისმაგვარ აფხაზურ ეროვნულ კერძს ა-შოწღღრა (კვარჭია 1981: 52). ვფიქრობთ, ის კავშირში უნდა იყოს მეგრულ ჭელრა / ჭიღრა / ჭიხრა ფორმასთან, რაც „გუდის ყველს“ ნიშნავს. აფხაზური ტერმინი კომპოზიტია, მისი პირველი ნაწილი ა-შო ყველს ნიშნავს, მეორე მეგრული „გუდაა“.

b. მეგრული:

მეგრული ხიჯებჟა „ხენი“ ჰიბრიდული კომპოზიტია. მისი პირველი ნაწილი აფხაზური ა-ხჯაჯა „ხენი“ (ჯანაშია 1954: 431) ფორმიდან მომდინარეობს, მეორე კი მეგრულია: ზჟა „რძე“.

გვაქვს რამდენიმე სიტყვა, რომელიც უკუნასესხობად ითვლება ქართველურსა და აფხაზურში:

აჯიკა „დანაყული წიწაკისა და სხვა სანელებლების ცხარე საწებელი“ (ქობალია 2010: 54), **აჯიკა** (სვან.) „აჯიკა“ – **ა-ჯგვა** „მარილი“ (უსლარი 1887: 133); პ. ჭარაია გამოთქვამს მოსაზრებას მეგრული **ჯიმუ**, სვან. **ჯემ / ჯიმ** „მარილი“ ფორმების დაკავშირებისა აფხაზურ-ჩერქეზულ ფორმებთან: აფხ. **ა-ჯიკა**, უბიხ. **ჯი** (ჭარაია 1912: 23). აფხაზური ფორმა უნდა მომდინარეობდეს მეგრულში არსებული შესიტყვების **ჯიმუ-კაკილი-საგან** > ***ჯიმ-კაკილი** > ***ჯიმკა** > ***ჯიკა** (ლომთათიძე 1999: 27). შდრ. **ჯკა** (აბაზ.) „მარილი“ (აბრლ 1967: 210). არ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას აფხაზური ფორმის თურქულიდან მომდინარეობის შესახებ.

სამურზაყანოში გავრცელებული მეგრული **აკვაკვარი** (მეგრ.) „კვერკვერა, მოხარშული კვერი“ (ქობალია 2010: 16) უკუნასესხობად უნდა განვიხილოთ. ის მიღებულია აფხაზურიდან: ა-კ^აკ^არ „მოხარშული კვერი“ (ჯანაშია 1954: 152). ეს უკანასკნელი კი ქართული **კოკორ-** ფორმიდან მომდინარეობს (იხ. ზემოთ).

ხვაჟია (მეგრ.) „კონუსისებრი რიტუალური კვერი“ (ქობალია 2010: 725) შეიძლება სამურზაყანულში აფხაზურის გავლენით გაჩენილიყო, თავის მხრივ აფხ. **ა-ხ^აჟ^ა** „კონუსისებური კვერი, რომელსაც სპეციალურად მსხვერპლშეწირვისთვის, ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ“ < მეგრ. **ხოზო** „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“.

თუ მივიღებთ ქ. ლომთათიძის მოსაზრებას ქართული **ხაჭო**-ს აფხაზური **ა-ხარწუგ**-დან მომდინარეობის შესახებ, აფხაზური **ა-ხაჭა** „ხაჭო“ ქართველურიდან ნასესხობად უნდა ჩაითვალოს (ბუკია 2006-ა: 334).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ფინჩხა / ფუნჩხა** „კუთხ. (იმერ. გურ.) „ნამცეცი, ნაფშენი“ (ქეგლ VII: 114, 199), **ფუჩხა** (მეგრ.) „ნამცეცი“ (ყიფშიძე 1914: 340), **ფინჩხ** (სვან.) „ფინჩხა, ნამცეცი“ (თოფურია 2000: 761) მეგრულსა და დასავლურ კილოებში აფხაზურიდანაა შესული ნამსხვრევი > ნაფშენი > ნამცეცის მნიშვნელობით. „საჭმლის ნამცეცის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ფჩგხა** მეგრულიდან უკუნაასესობაა (ლომთათიძე 1989: 50-51).

და ბოლოს, სიტყვები, რომლებიც ქართველურშიც გვხვდება და აფხაზურშიც, მაგრამ სესხების მიმართულების დადგენა ამ ეტაპზე ჭირს:

ელარჯი / ეარჯი (მეგრ.) „ფქვილით და სულგუნით მოხარშული ღომი“ (ყიფშიძე 1914: 231), **ელარჯი** (გურ.) „სიმინდის ფქვილისა და უმარილო ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული ღომი“ (იმნაიშვილი 2006: 330) – **აღლარჯ** „ყველმუზელილი ღომი, ელარჯი“ (ჯანაშია 1954: 27; კოპეშავიძე 1980: 127; გულია, 2004, 12). ვვარაუდობთ, რომ ტერმინი მეგრულიდანაა შესული აფხაზურში, თუმც ამ მოსაზრებას დამატებითი არგუმენტები სჭირდება (ბუკია 2006-ა: 335).

თაშ / თაშ (სვან.) „ყველი“ (თოფურია 2000: 258) – აშ „ყველი“ (ჯანაშია 1954: 57); ქ. ლომთათიძე აფხაზურ ფორმას უდარებს ძვ. ქართულის X ს-ის ძეგლში (ოშკის ბიბლია) დაცულ **ნუშ-** „ყველი; ახალი ყველი, ან გაწურული მაწონი“ (აბულაძე 1973: 331) ფორმას (ლომთათიძე 1996-ა: 18). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება აფხაზური ყველის აღმნიშვნელი ფორმის შედარებისა ქართულ **სველ-** „შრატი“, სვანურ **შტელ** „შრატი“ ფორმებთან (ჩუხუა 2006: 62). **სველ-** ფორმა გვაქვს თუშურში, მთიულურში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში (ჯავახიშვილი 1986: 95, 142, 183, 203, 229).

უპრიანია, კულინარიულ ლექსიკასთან განვიხილოთ საზრდელის მიღებასთან დაკავშირებული შემდეგი ტერმინები:

ლუკმა „1. საჭმლის მცირე ნაწილი, რასაც ერთ ჯერზე ჩაიდებენ პირში; 2. გადატ. საზრდო, საკვები (ადამიანისა)“ (ქეგლ IV: 1589), **ლუკმა** „(არაბ.) ერთი საცოხნელი ხემსი“ (ჩუბინაშვილი 1887: 654), **ლუკა** (მეგრ.) „ლუკმა“ (ყიფშიძე 1914: 274) – ა-**ლაკმა** „ლუკმა“ (კილბა 1983: 85); შდრ. **ჩაწაკ** (იქვე). ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში გვხვდება ქართულიდან შეთვისებული ფორმა, სხვაგან (აფხაზეთში) საკუთრივ აფხაზური ლექსემა გვაქვს.

ულუფა „კერძი, წილი საზრდოსა, საკვებისა“ (ქეგლ VI: 1511), ულუფა „(სპარ.) სარჩო, საზრდო, გარდაკვეთილი როჭიკი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1256) – ა-
ჭალაფა „ულუფა“. ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზებს სპარსელებთან უშუალო ურთიერთობა არ ჰქონდათ, სავარაუდოდ, ეს სიტყვა ქართულის მეშვეობით შეიტვისეს.

თავი 9. ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკა

საკმაოდ დიდი რაოდენობის საერთო ქართველურ-აფხაზური სიტყვა აღმოჩნდა ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში. რამდენიმე ათეული ტერმინის შესწავლამ გვანახა, რომ, როგორც სხვა დარგში, აქაც მრავლად გვაქვს ურთიერთნასესხობები. მართალია, ეს სესხება თანაბარი ინტენსივობით არ ხდება ორივე მიმართულებით, მაგრამ სახეზეა ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის კვალი, განფენილი ენობრივ მასალაში. გვაქვს ორივე ენაში სხვა ენებიდან ნასესხობებიც, მაგრამ დაკვირვების შედეგად აქაც კარგად ჩანს სესხების შუალედური რგოლი, შესაბამისად, კულტურული გავლენები.

სიტყვათა დიდი ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შესული:

ბუყინი / **ბუყუნი** / **ბუკუნი** „ხის ჭურჭელი მაწვნისათვის“ (ყიფშიძე 1914: 210), „რძის ჩასაწური“ (ჯავახიშვილი 1986: 222); „ყველის შესანახი ჭურჭელი“ (ელიავა 1989: 28); სიტყვა გვხვდება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში: იმერ. **ბოკონი** „ყველის ჩასადები (ამოსაყვანი) ჭურჭელი“, ლეჩხ. **ბოკონი** „საწველელი, ხის ჭურჭელი საწველად“, წარმოდგენილია სვანურშიც: **ბეყუ** < **ბოყუ** (სვან.) „ხის ქერქისაგან

გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის“. საერთოქართველურ დონეზე აღდგენილია ***ზოყტ** „ხის ჭურჭელი“ > ქართ. **ზოყვ-ი** : ზან. **ბუყუნი / ბუყუნი** < ***ზუყტ-ინ-ი** : სვან. **ბეყტ** / < **ზოყტ** (ჩუხუა 2000-2003: 66).

აფხაზურ-აბაზურსა და უბიხურში სიტყვა ასეთნაირადაა წარმოდგენილი: **ა-ბყღლ** (აბჟ.) „ხის ჭურჭელი რძის შესადეებლად“ (რალ 1964: 263), **ა-ბაკღლ** (ბზ.) „ყველის დასამარილებელი და შესანახი ხის ჭურჭელი“ (ბჟანია 1962: 128), **ა-პყღლ** (შაყრილი 1987: 18), **ბყღლ** (აბაზ.) „კასრი“ (აბრლ 1967: 121), **ბაყგრ** (უბიხ.) „ყველის დასამარილებელი და შესანახი ხის ჭურჭელი“ (შაგროვი 1989: 139, 140); საერთოქართველური სიტყვა მეგრულის საშუალებითაა შესული აფხაზურ-ჩერქეზულში (ბუკია 2007: 161).

ბურწენი (მეგრ.) „დიდი ხის ბუყუნი“ (ჯავახიშვილი 1979: 228) – **ა-ტაწა** „ღვინის ჭურჭელი“ (ჯანაშია 2010: 72). ბ. ჯანაშიას ვარაუდით, აფხაზური სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები და ამოსავალი **ბურწენ-ია** (იქვე).

გვაბალა „ხის გობი, რომელზეც სულუგუნს ზელენ“ (ჯავახიშვილი 1979: 228). კნინობითი სახელის ამოსავალია ქართველური დიალექტური **გობელა**.

ტერმინი მეგრულიდან შეთვისებული აქვს აფხაზურს **ა-გაბალაა** სახით და ნიშნავს „პატარა გობს, ბარქაშს“ (ჯანაშია 1954: 79). სიტყვას აფხაზურში ქართველურიდან ნასესხობად განიხილავს ა. შაგროვი (შაგროვი 1989: 146). გამსესხებელი ენის მასალაში არ

ჩანს წყარო აფხაზური ფორმის ორი ა-სათვის, რომელიც შეთვისების მერე დაჩნდება. შდრ. აფხაზური ა-ყარაან „ყვავი“ < ქართ. ყორანი (ლომთათიძე 1976: 28).

დერგილა / დერგულა „პატარა დერგი“, „ყველის შესანახი ჭურჭელი“; შდრ. ლაზური **დერგულა** „ქოთანი“ (მარი 1910: 138), აჭარული **დერგულა** „მომცრო დერგი“ (ჯავახიშვილი 1979: 252).

სიტყვა ქართველურიდან შეთვისებული აქვს აფხაზურს ა-დერგულა ფორმით, ნიშნავს „დერგს, ყველის შესანახ თიხის ჭურჭელს“ (ჯანაშია 1954: 98; ბჟანია 1962: 128), ბზიფურში მას ა-დერგულა სახე აქვს (ინალ-იფა 1986: 158). სესხების შემდეგ უმახვილო მდგომარეობაში გამსესხებელი ენის ი (გ საფეხურის გავლით?) გაუჩინარებულია: **დერგილა** > ა-დერგულა (ლომთათიძე 1976: 60).

თუჯიშ ჩუანი (მეგრ.) „თუჯის ქვაბი“ – ა-თუჯიშგან „თუჯის ქვაბი“ (ბჟანია 1962: 135). აფხაზური კომპოზიტი მეგრულიდანაა ნასესხები.

კალანჩხა „პატარა კალათი“ (ქეგლ IV: 1030), **კარაჩხა** (მეგრ.) „პატარა კალათი“ (ყიფშიძე 1914: 252) – ა-კალაჩკვზრ / ა-კალაჩკვზრ „პატარა კალათი“ (ჯანაშია 1954: 140); ტერმინი აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (ჯანაშია 1955: 95).

კეცი „თიხის (ან ქვის) ბრტყელი, მრგვალი, დაბალკიდიანი ჭურჭელი, რომელშიც აცხოვენ მჭადს,

პურს“ (ქეგლ IV: 1153), **კეცი** (ძვ. ქართ.) „თიხა, თიხის ჭურჭელი, გამომწვარი კრამიტი“ (აბულაძე 1973: 197), **კიცი** (მეგრ.) „თიხის ან ქვის ჭურჭელი, რომელშიც აცხოვენ მჭადს, პურს“ (ყიფშიძე 1914: 259), **კეცი** / **კეწი** (ლაზ.) „კეცი“ (ქუთელია 2005: 246, 247), **კეც** / **კეც** (სვან.) „ქვის კეცი“ (თოფურია 2000: 347).

კეცი ქართველურში ნასესხებია, მაგრამ აქედანაა შეთვისებული აფხაზური **ა-კეც** „კრამიტი; კეცი“ (ჯანაშია 1954: 160); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 10). იგივე სიტყვა გვაქვს კომპოზიტში **ა-კეცმ-გალ** / **ა-კეცხმ-გალ** „კეცზე გამომცხვარი მჭადი“ (კასლანძია 2005: 517), სადაც ორივე ინგრედიენტი ქართველურიდანაა შეთვისებული (იხ. „კულინარიული ლექსიკა“).

კოპე „ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი აცილოსი (მწარე კვახისა)“ (ქეგლ IV: 1336), **კოპე** „სადვინე არს ათის თუხტის დამტევენელი“ (საბა 1991: 384); **კოპე** (გურ., აჭარ.) „მწარე, მაგარკანიანი გოგრისაგან გაკეთებული ჭურჭელია“ (ღლონტი 1984: 301), **კოპა** (მეგრ.) „კოპე“ (ქაჯაია 2002: 157); **კოპ** / **კოპ** / **კოპ** / **კოპ** (სვან.) „ხის სასმისი, ჩამჩა“ (თოფურია 2000: 350).

აფხაზურში გვაქვს იმავე მნიშვნელობის **ა-კაპე** „კოპე, ორშიმო, ხაპი“ (ჯანაშია 1954: 152), რომელიც ქართველურიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 147). აფხაზურში შეთვისების შემდეგ **კო-** კომპლექსმა მოგვცა **კა-**, **-ე** ბოლოხმოვნთან სახელთა აფხაზურში შეთვისების შემთხვევაში დიფთონგიზაციის პროცესი ბუნებრივი მოვლენაა (გვანცელაძე 1998-ა: 35). შდრ. აბაზური **ქპი** / **კპი** „მათლაფა, ლამბაქი“ (აბრლ 1967: 245, 260).

კოჭობი „პატარა ქოთან“ (ქეგლ IV: 1360), **კოჭობი** (ძვ. ქართ.) „ქოთან“ (აბულაძე 1973: 201), **კოჭობი** „მცირე ქოთან“ (საბა 1991: 387), **კოჭობი / კოჭობაძე / კოჭობ** (ხევს., მობ., მესხ., გურ., ინგილ., იმერხ.) „ვერცხლის თასი ლუდის სასმელი“, „სახუცო თასი“, „თიხის პატარა ქოთან“, „პატარა ქოთან“ (ლლონტი 1984: 308; ფუტკარაძე 1993: 256), **კოჭობი** (მეგრ.) „ქოთან“ (ციფშიძე 1914: 262), „ნავთის ჭურჭელი“ (ჭარაია 1997: 82), **კოჭობ** (სვან.) „პატარა ქოთან“ (საღლიანი 2005: 19).

აფხაზური **ა-კაჭაბ** „ჭრაქი“ (ჯანაშია 1954: 153) ფონოტაქტიკის სრული დაცვით და მეგრული სემანტიკით შესულია ქართველურიდან. ქართულიდან შეთვისებული სიტყვა გვაქვს ოსურ ენაშიც: **გოწობი** „პატარა ქოთან“ (აბაევ 1958: 522).

კუპრიელი „1. ტიკი, ტიკჭორა (მოკუპრული). 2. საქალამნე – ძველი რუმბისა“ (ქეგლ IV: 1434), **კუპრი** „ესე კუპრი სომხურია, ქართულად ასფლასტოსია“ (საბა 1991: 397), **კუპრიელი** „ტიკი, ტიკჭორა“ (ჩუბინაშვილი 1887: 635), **კუპრიელი** (გურ.) „მამალი თხის ტყავისაგან გაკეთებული გუდატიკი“ (ლლონტი 1984: 345), **კუპრიელა** (ქართლ.) „მოკუპრული ტყავი, ძველი რუმბის ნაჭერი“ (იქვე), **კუპრი** (რაჭ.) „id.“ (ჯავახიშვილი 1986: 190), **კუპრი** (მეგრ.) „კუპრიელი, ტიკჭორა“ (ქაჯაია 2002: 168), **კუპრ** (სვან.) „კუპრიელი, ტიკი, ტიკჭორა“ (თოფურია 2000: 351).

აფხაზური **ა-კუპრ** „რუმბი“ (ჯანაშია 2010: 72) ქართულიდანაა შეთვისებული (იქვე).

ლახუტი (მეგრ.) „თიხის პატარა ქვევრი“ (ციფშიძე 1914: 271), **ლახუტი** (იმერ.) „პატარა ჭური“ (ბერიძე 1912: 38) – **ა-ლაჰთემ** (აბჟ.), **ა-ჟრგტ** (ბზ.) „ხის ბერკეტი“ (ბლაჟბა 1964: 203). მიუხედავად სემანტიკის სიშორისა, აბჟურული ფორმას ნასესხობად განიხილავს ხ. ბლაჟბა (იქვე).

ნიგა / ნგა „საწველელი ჭურჭელი“ (ციფშიძე 1914: 289, 291), **ნირგა** „დერგი“ (ელიავა 1997: 249) ფართოდაა გავრცელებული დასავლურ ქართველურ დიალექტებში: გურ. **ნიგა** „ხის თუნგი, ჩაიდნის მაგვარი გადმოსასხმელი აქვს“ (ჟღენტი 1936: 237); ზემოიმერ. **ნოგა** „ბათმანის მსგავსი ხის ტუჩიანი ჭურჭელი, რომელშიც მეჯოგეები წველიან მთაში ძროხას“ (ძოწენიძე 1974: 292); იმერ. **ნიგა** „რძის ჩასაწველი ჭურჭელი“ (ჯავახიშვილი 1986: 183).

მეგრული **ნიგა** „ხის ვედრო“ სვანურიდან შეთვისებულად მიაჩნია გ. როგავას. სვან. **ნელარ** „კასრი“ – **ნელარ** > ***ნეგარ** > ***ნიგარ** > **ნიგა**. **ნიგა** მეგრულიდან ჩანს შესული დასავლურ-ქართველურ კილოებში, ასევე აფხაზურში: **ა-ნგა** „საწველი, დურკი“. სვან. **ნელარ** > **ნიგა** სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ამ შემთხვევაში სვანური **ღ** სპირანტი მეგრულს გადაუღია **გ** ხშულით. ეს შეიძლება მომხდარიყო იმ დროს, როცა სვანურში ჯერ კიდევ მოქმედი იყო მჟღერი ფარინგალური ხშული (როგავა 1975: 40). მ. ჩუხუა ამოსავალ საერთოქართველურ ფორმად მიიჩნევს ***ნოგა** „ხის ჭურჭელი, დურკი“ > ქართ. **ნოგა** > /**ნურმა** : ზან. **ნიგა** / < **ნგა** (ჩუხუა 2000-2003: 171).

აფხაზურში გვაქვს იმავე მნიშვნელობის **ა-ნგა** „საწველელი“. სამეცნიერო ლიტერატურაში სესხების მიმართულებასთან დაკავშირებით განსხვავებული

აზრებია გამოთქმული: პ. ჭარაიას აფხაზური ფორმა მეგრულიდან ნასესხობად მიაჩნია (ჭარაია 1912: 31); ვ. კვარჭია მიიჩნევს, რომ საერთო აფხაზურ-აბაზური სიტყვაა, იმოწმებს ყიფშიძეს, რომელსაც სალექსიკონო ერთეულის განმარტებისას პარალელურ ფორმად მოხმობილი აქვს აფხაზური **ანგა** (ყიფშიძე 1914: 291), თუმცა იქვე უთითებს, რომ პ. ჭარაია მეგრულიდან შეთვისებულად მიიჩნევდა. ვ. კვარჭია მხოლოდ მითითებას არ სჯერდება და გვთავაზობს ტერმინის სეგმენტაციის მისეულ ვერსიას: სიტყვა მიღებულია **ანგ** პრევერბზე (რამეში ან რამეში ყოფნა) -**გა** საჭურვლის სუფიქსის დართვით და ეტიმოლოგიურად განიხილება, როგორც „ის, რითაც უნდა აიღო, წაიღო“, მაგ. **ახშ ნგა** (რძის საწველელი) „ის, რითაც რძე მიაქვთ“. აფხაზურისთვის ამოსავალ ფორმად აუცილებლად მეგრული **ნიგა** უნდა ვივარაუდოთ, მითუმეტეს, ეს ტერმინი აბჟურის არეალში გვხვდება, ბზიფურში მას **ა-ხ~არ** ჩაენაცვლება (ინალ-იფა 1986: 158), რაც ზედმიწევნით „წველას, საწველელს“ ნიშნავს. გავრცელების არეალი და ფონეტიკური ინვენტარი გვაფიქრებინებს, რომ აფხაზურში შესულია მეგრულიდან (ბუკია 2007: 163).

მეგრული **ორკოლი** „დოქი“ (ყიფშიძე 1914: 294) მიიჩნევა ამოსავალ ფორმად აფხაზური **აირემ** „დოქი“ (ჯანაშია 1954: 34) სიტყვისთვის. ფორმები შეაპირისპირა ნ. მაჭავარიანმა (მაჭავარიანი 2006: 161).

ფოხალი „თიხის ჭურჭელი წყლისა“ (ციფშიძე 1914: 338). სიტყვა წარმოდგენილია მთელ ქართველურენოვან სივრცეში. შდრ. **ფოხალი** „ხის ჭურჭელი, – მარცვლეულის საწყაო“ (ქეგლ VII: 164); სვან. **ფოხალ** / **ფოხალ** „ჩაფი; ბათმანი“ (თოფურია 2000: 767); ზემოიძერ. **ფოხალი** „ხის ჭურჭელი“ (მოწენიძე 1974: 392); ქიზიყ. **ფოხალი** „საწყაო ერთეული“ (მენტეშაშვილი 1943: 188); რაჭ. **ფოხალი** „ხის ჭურჭელი ცილინდრული ფორმისა“ (კობახიძე 1987: 107); აფხაზური **ა-ფჰალ** „კოკა“ (ჯანაშია 1954: 292), „წყლის ჭურჭელი“ (ბლაჟბა 1964: 302) ცალსახად ქართველურიდან ნასესხობად განიხილება აფხაზურში (შაგიროვი 1989: 147). **ხ > ჰ** ბუნებრივი პროცესია ქართველურიდან აფხაზურში სესხებისას. შდრ. მეგრ. **კალმახა** – აფხ. **ა-კალმაჰა**...

ქვაბი „ლითონის ჭურჭელი საჭმლის მოსახარმად ან წყლის გასაცხელებლად“ (ქეგლ VII: 296); ძვ. ქართ. **ქვაბი** „ქვაბი“ (აბულაძე 1973: 456); სვან. **ქვჰბ** / **ქვჰბ** „გამოქვაბული, ქვაბი“ (თოფურია 2000: 788);

აფხაზურსა და აბაზურში გვაქვს იმავე სემანტიკის **ა-ქვჰბ** „ქვაბი“ (უსლარი 1887: 145), **ქვჰა** (აბაზ.) „ქვაბი“ (შაგიროვი 1989: 139) ჯერ კიდევ პ. ჭარაია ვარაუდობდა, რომ ეს სიტყვა აფხაზურს ქართველურიდან აქვს შეთვისებული (ჭარაია 1912: 13). ამ სიტყვის ქართველურ წარმომავლობაზე მიუთითებს ა. შაგიროვიც (შაგიროვი 1989: 140). ოროგრაფიული ტერმინის მნიშვნელობით შესულია სამურზაყანოელ აფხაზთა მეტყველებაში: **აქვაბრა** – მორევი ღალიძგაზე, **აქვაბარხა**, **აქვაბრახ** – სახნავები სოფ. საჩაჩხალიაში, **ქვაბისთოლ** / **აქვაბუსთოლ** –

ღრმა ხევი ჩხორთოლში (ცხადაია 1999: 228). ქართულიდან შეთვისებული ქვაბ-ი გვაქვს აფხაზური რიტუალის სახელწოდებაში: ქვაბ-ღარღარ სრულდებოდა ვნების ხუთშაბათს (ჯანაშია 1960: 34). მესაქონლეობისთვის განკუთვნილი ჭურჭლის აღმნიშვნელ სახელთა განხილვისას ვ. კვარჭია აღნიშნავს, რომ „სპილენძის ჭურჭელს ა-ქვაბ-ს ამზადებდნენ ადგილობრივი მჭედლები აფხაზეთში შემოტანილი ნედლეულით“ (კვარჭია 1981: 135). თუ ადგილობრივი მჭედლები თავიანთ ნაწარმს ამ სახელს არქმევდნენ, უნდა დავფიქრდეთ რეგიონის სამეტყველო კოდზე – ან აფხაზურის გვერდით ქართველური ენაც იყო გავრცელებული, ან ტერმინის გამოყენება ოდინდელი ვითარების გამოხმაურებაა, როცა ადგილობრივი მეტყველება ქართველური იყო (ბუკია 2008: 22).

ყანწი „1. ღვინო-არყის სასმელი რქა. 2. (ინგილ.) ურმის ღერძის საპოხი საპნის ჭურჭელი რქისა. 3. მამლის დეზი“ (ქეგლ VII: 507), **ყანწი** (მეგრ.) „ღვინის დასალევი რქა“ (ყიფშიძე 1914: 354) – ა-ყანწ „ყანწი“ (ჯანაშია 1954: 314), ა-ფათხ~ (ზზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 205) აფხაზურში შესულია ქართულიდან (იქვე).

ყუბარი „კარაბა, კოკა“ (აბულაძე 1973: 470); **ყვიბარი** „მცირე დერგი, გინა ჭურჭელი რამე“ (საბა 1993: 52); გურული **ყუბარი** „პატარა ქვევრი“ (ყლენტი 1936: 252); იმერ. **ყუბარი** „ერთი, ერთნახევარფუთიანი ქვევრი“ (გაჩეჩილაძე 1976: 143);

აფხაზური **ა-ყზარ** „ყვიბარი, პატარა ჭური, ქოცო“ (ჯანაშია 1954: 316), „ანაფრას რიტუალური ნივთი“ (ჯანაშია 1960: 60) ქართველურიდანაა ნასესხები ფონოტაქტიკის დაცვით, კერძოდ, **ყ**-ს ლაბიალიზაციით.

სუჯელი „ქილა, ერთგვარი ქოთანი“ (ყიფშიძე 1914: 423), „ხის ჩასაწველი“ (ზუგდიდი). იგივე ფორმა გვაქვს ლაზურშიც: **სუჯელი / სუჯილი / ყუჯონი / სუჯონი** „თიხის ქოთანი“ (მარი 1910: 205), ზედმიწევნით „ყურიანს“ ნიშნავს. პ. ჭარაიას **სუჯელ**-ის ლექსიკურ ფარდად მოაქვს **სუჯამ დერგი** ზედმიწევნით „ყურიანი დერგი“ (ჭარაია 1997: 150).

ტერმინი მეგრულიდან ფონოტაქტიკის სრული დაცვით აქვს შეთვისებული აფხაზურს **ა-ყუჯალ** სახით (ბლაჟბა 1964: 157), ნიშნავს „ქვავს“.

ჩქიფი „1. იგივეა, რაც ჩანგალი. 2. იგივეა, რაც პინცეტი“ (ქეგელ VIII: 553), **ჩქიფი** (გურ., აჭ.) „ჩანგალი“ (ღლონტი 1984: 667), **ჩქიფი** (მეგრ.) „ჩანგალი“ (ქაჯაია 2002-ა: 324) – **ა-ჩქეგ** „ჩანგალი, ჩქიფი“ (რალ 1964: 87). სიტყვა ქართულიდანაა შესული აფხაზურში.

წუკალი (მეგრ.) „პატარა ქვაბი“, **ჭუკი** (ლაზ.) „დიდი ქვაბი“ (მარი 1910: 226), **ჭუკალი / ჭუკანი** (ლაზ.) „ქვაბი“ (ქუთელია 2005: 87).

მეგრულ-ლაზურ ფორმასთან ახლოს დგას აფხაზური **ა-ჭკვ** „ვარცლი“ (ჯანაშია 1954: 395). სიტყვის ძირი სემანტიკური ვარიაციებით პოვნიერია სხვა კავკასიურ ენებში: აბაზ. **ჭკვ** „ვარცლი“, ჩეჩნ. **ჭუგ**, ინგ.

ჭუქ, ბაცბ. ჭუკ „ყანწი“, ხუნძ. ჭიკარო „კოვზი“, ლაკ. კიჭუ „ჯამი“, დარგ. კუწულ „კოვზი“, თაბას. ჭაყა, არჩ. ჭაყუ „დოქი, კოვზი“ (ჩუხუა 2008: 465). შესაძლოა, ვისაუბროთ საერთოკავკასიურ ძირზე.

ჭიქა „1. ცილინდრული ფორმის ჭურჭელი (სასმისი) მინისა; 2. მინა, შუშა“ (ქეგლ VIII: 1268) < ***ჭვი[რ]ქა, ჭირქა** (მეგრ.) „ჭიქა“, **ჭიქ** (სვან.) „ჭიქა“ (თოფურია 2000: 862).

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ **ჭიქა**-სთან შედარებულია აფხაზური **ა-წცა** „ჭიქა“ (ჯანაშია 1954: 392) და გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 222).

ლექსემათა მცირე ნაწილი ქართველურში აფხაზურიდანაა შეთვისებული:

ა-ფშერჰა „სარქვანი; მთლიანი ხისგან გამოთლილი ცილინდრისებური ჭურჭელი“ (ჯანაშია 1954: 284); „ყველის შესანახი ჭურჭელი“ (ბჟანია 1962: 128). სიტყვა გვხვდება აზაზურშიც **ფშირჰა** ფორმით.

მეგრული **აფშირჰა** „ხის ჭურჭელი მაწვნისთვის“ (ყიფშიძე 1914: 197); **აბშირა** „ახლადამოღებული სულეგუნის კალაპოტი“ (ჯავახიშვილი 1986: 223); **ავშირა / აბშირა** „სულეგუნის ჩასადები ჩარჩო“ (ქაჯაია 2001: 165); **აბშიხა / აბშირყა** „მაწვნის ჭურჭელი“ (წალენჯ.) აფხაზურიდან ნასესხობად განიხილება, მაგრამ არადამაჯერებლად ჟღერს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება: ვ. კვარჭიას ეტიმოლოგიით

ტერმინი იყოფა **ა-ფშ** „გვერდი“ და **რჰა** „გამოწეული, გამოზნექილი“ ელემენტებად (კვარჭია 1981: 124).

სიტყვა შეთვისებული აქვს დასავლურ-ქართველურ დიალექტებს; იმერ. **აფშარა** „ყველის კალაპოტი“ (ჯავახიშვილი 1986-ა: 184), ლეჩხ. **აფშარა** „სულუგუნის კალაპოტი“ (დლონტი 1984: 144), გვხვდება ტოპონიმებში: **აფშირაშ დენადგემ** „სადაც აფშირა დადგეს“ (ზედმ. „აფშირას დანადგამი“) – ფართო მინდორი სამურზაყანოს მთაში; **აფშირაშ სუკი** „აფშირას სერი“ – ბორცვი; **აფშირაშ გინალ** „აფშირას გადასასვლელი“ – უღელტეხილი (ცხადაია 1999: 229).

ა-რამაგა (ჯანაშია 1954: 232), **ა-ხრამაგა** (არშბა 1980: 67) „საწური, ავრეზი“ ეტიმოლოგიურად „საწველელს“ ნიშნავს, ზედმ. „რამიც წველიან“, დაიყოფა ასე: **ახ-რამაგა** (კვარჭია 1981: 118).

აფხაზურიდან შეთვისებული ტერმინი მეგრულში გვხვდება ფონეტიკური ვარიანტების სახით: **ხარამაგა / ხერამაგა** (ჯავახიშვილი 1986: 217), **ხაზარაკი / ხაზარაკა** (იქვე: 222), **ხერამაგაფა** (ჯავახიშვილი 1979: 179), **ხარაზა** (ჯგალი) „საწველელი“.

ცალკე ჯგუფს ქმნის ლექსემათა ნაწილი, რომელიც ორსავე ენაში შეთვისებულია. სესხება სხვადასხვა დროს მომხდარა, გვხვდება როგორც ქრონოლოგიურად ძველი ფენა, ასევე ახალი ნასეხობები:

ბაკი „[ფრან. **bac**] დიდი დახურული ჭურჭელი ლითონისა“ (ქეგლ I: 955) – **ა-ბგვ** „საარყე ქვაბის მილი“

(ჯანაშია 1954: 75); აფხაზურში შესულია ქართულიდან (მაჭავარიანი 2006: 161), ქართულში კი რუსულის გზითაა შეთვისებული.

ვედრო „[რუს. **ведро**] 1. ლითონის, ხის და სხვ. ჭურჭელი ცილინდრული მოყვანილობისა; 2. ძვ. სიტხის საზომი ერთეული“ (ქეგლ IV: 42), **ვედრა** (მეგრ.), „id.“ (ქობალია 2010: 306), **უედრა** (სვან.), „id.“ (საღლიანი 2005: 29) – **ა-ვედრა** „ვედრო“ (შაყრილი 1986: 123). აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში აუსლაუტის **ო ა**-ში გადადის, შდრ. **პალტო** > **ა-პალტა**, **სედლო** > **ა-სედლა**, **კანჯო** > **ა-კანჯა**, **გემო** > **ა-გამა**, მაგრამ ამ შემთხვევაში მეგრულსა და სვანურშიც იგივე მოვლენაა მომხდარი, შესაბამისად, ძნელია ვთქვათ, სიტყვა უშუალოდ რუსულიდან ისესხა აფხაზურმა, თუ მეგრულის მეშვეობით.

თავა (მესხ.) „თუნუქის ოთხკუთხედი ფართო ტაფა ნამცხვრისათვის“ (ღლონტი 1984: 237), **თავა** (ლაზ.) „ბექემეზის მოსახარში ქვაბი“ (მარი 1910: 146) – **ა-თაჭა** „თავა“ (ჯანაშია 2010: 73); ნასესხებია ქართულიდან (მაჭავარიანი 2006: 160) ბ. ჯანაშიას ბერძნულიდან ნასესხებად მიაჩნია (ჯანაშია 2010: 74). ასეც რომ იყოს, სესხების შუალედურ რგოლად ქართულია საგულვებელი. ბერძნიზმები აფხაზურში ძირითადად ქართულ-მეგრულის მეშვეობითაა შესული.

კალათი „1. წნელის, ტკეჩისა და მისთანათაგან დაწნული ჭურჭელი რისამე ჩასაწყობად ან გადასატანად“ (ქეგლ IV: 1029), **კალათა** „მცირე გოდორი“ (საბა 1991: 348),

კალათი (მეგრ.) „კალათი“ (ციფშიძე 1914: 251), **კალათი** (ლაზ.) „კალათი“ (მარი 1910: 151), **კალათ** / **კალათ** (სვან.) „კალათი“ (თოფურია 2000: 341) – **ა-კალათ** „კალათი“ (ჯანაშია 1954: 140); **ა-კალათ** (ზზ.) „id.“ (ჯანაშია 1955: 13). ნასესხებია ქართულიდან (ჭარაია 1912: 13). შდრ. **კლათ** (აბაზ.) „კალათი“ (აბრლ 1967: 257). < ბერძ. **καλανα** „დიდი კალათი“ < არაბ. **kalat**.

მათარა „[არაბ. **მათარა** „წყლის ჭურჭელი“] პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე. ძველად კეთდებოდა ტყავისაგან“ (ქეგლ IV: 19), **მათარა** (მეგრ.) „მათარა, ტყავის სასმისი“ (ჭარაია 1997: 89) – **ა-მათარა** / **ა-მათარ** „ტყავის ჭიქა“ (ჯანაშია 1954: 182; ბჟანია 1962: 99); სიტყვა ორივე ენაში ნასესხებია, წმინდა ლინგვისტური წესებიდან გამომდინარე მნელია სესხების მიმართულეობაზე ლაპარაკი, მაგრამ ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ აფხაზურისათვის არაბულიდან სესხებისას შუალედური რგოლი ქართულია (ბუკია 2007: 166).

საინი „იგივეა, რაც თეფში“ (ქეგლ VI: 627), **სენი** (მეგრ.) „თეფში“ (ციფშიძე 1914: 317), **საინ** / **საინ** (სვან.) „თეფში“ (თოფურია 2000: 699) – **ა-საან** „საინი, თეფში“ (ჯანაშია 1954: 252). ამოსავალია არაბული სიტყვა, რომელიც სავარაუდოდ თურქულის გზით შევიდა ქართველურსა და აფხაზურში: **საჰან** (თურქ.) „ლანგარი“ (მაგაზანიკი 1945: 512); შდრ. **საჰან** (აბაზ.) „თეფში“ (აბრლ 1967: 333). თ. გვანცელაძე მიიჩნევს, რომ აფხაზურში

თურქულიდან ან ყარაჩაულიდან არის შესული (გვანცელაძე 2011: 47).

ურნა „[ლათ. *urna*] 1. ლარნაკის მსგავსი ჭურჭელი, რომელშიც ინახავენ გარდაცვლილის კრემაციის შედეგად დარჩენილ ფერფლს. 2. ერთგვარი ყუთი, ჭურჭელი პაპიროსის და მისთ. ჩასაყრელად. 3. ნახვრეტიანი ყუთი, რომელშიც უშვებენ, ყრიან ბიულეტენებს ფარული კენჭისყრის დროს“ (ქეგლ VI: 1582) – **ა-ურნა** „ურნა“ (ჯანაშია 1954: 270). აფხაზური ფორმის **უ** ახალ ნასესხობაზე მიუთითებს, ძნელია სესხების შუალედურ რგოლზე ლაპარაკი, შესაძლოა, უშუალოდ რუსულიდან იყოს ნასესხები.

ფინჯანი „1. ფაიფურის, ან ფაიანსის ყურიანი ჭურჭელი. 2. იმდენი სითხე, რამდენიც ასეთ ჭურჭელში ჩაეტევა“ (ქეგლ VII: 115) – **ა-ფჯრჯან** „სირჩა“ (ჯანაშია 1954: 460). არაბული წარმოშობის სიტყვა თურქულის გზითაა შესული ორივე ენაში; **filcan / fincan** „ფინჯანი, თასი, ჯამი“ (მაგაზანიკი 1945: 191).

შუმა „[სპარ. *შოშე*] 1. იგივეა, რაც მინა. 2. ამ ნივთიერებისაგან გაკეთებული ჭურჭელი“ (ქეგლ VII: 1470) – **ა-შუმა** „ჭიჭლა, შუმა, ბუმტულა“ (ჯანაშია 1954: 328). სპარსული სიტყვა აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 148).

ჩანახი „1. გულამოდებული ხის (ან თუნუქისაგან გაკეთებული) ცილინდრული ჭურჭელი მარცვლეული-

სათვის. 2. ამ საწყაოს წონისა“ (ქეგლ VIII: 317), ჩანახი „სხვათა ენაა, ქართულად მრდა ჰქვიან“ ZA. „დიდი პინა CD“ (საბა 1993: 315) – **ა-ჩანახ** „თეფში, მათლაფა“ (უსლარი 1887: 175). ამოსავალია თურქული **çanak** „თიხის ჯამი“ (მაგაზანიკი 1945: 108); გვაქვს კომპოზიტში **ა-ჩეიჩანახ** „ლამბაქი“ (რალ 1964: 55).

ჩანი (მეგრ.) „ხის დიდი ჭურჭელი“ (ქობალია 2010: 670) – **ა-ჩან** (ბზ.) „კოდი, კოდურა“ (ჯანაშია 2010: 41). შემოსულია რუსულიდან. აბჟურში გვაქვს **აეჰა** (იქვე).

ჩაყვა (მეგრ.) „ხის ჭურჭელი მაწვნისათვის“ (ჯავახიშვილი 1979: 233; სახოკია 1985: 353), **ჩაკვა / ჩაყვა** (იმერ.) „ხის ფართოფსკერიანი თავვიწრო, სახელურიანი ჭურჭელი, ხმარობენ მაწვნის ჩასასხმელად“ (გაჩეჩილაძე 1976: 157) – **ა-ჩაყა** „ხის მოზრდილი ხელიანი ტოლჩა მაწვნისა და რძის დასალევი“ (ჯანაშია 1954: 344); მეგრულ ფორმას აფხაზურიდან ნასესხობად მიიჩნევს გ. კლიმოვი (კლიმოვი 1986: 182). ფორმა ორსავე ენაში ნასესხობაა, მათი სესხების მიმართულებების და შუალედური რგოლის დადგენას დამატებითი კვლევა სჭირდება (ბუკია 2007: 167).

ჩუანი / ჩუვანი (მეგრ.) „თუჯის ქვაბი“ (ჭარაია 1997: 157), **რჩუანი** „id.“ (ჭანტურია 1996: 216); **ჩუვენი** (ლაზ.) „ქვაბი“ (მარი 1910: 211); **ჩუენი / ჩუედნ / ჩედნ / ჩოინ / ჩუენ** (სვან.) „სპილენძის, ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდილა“ (თოფურია 2000: 833), **ჩოინა** (რაჭ.) „თუჯის ქვაბი“ (ლლონტი 1984: 661) – **ა-ჩუან** (აფხ.) „თუჯის ქვაბი“

რძის ასადულებლად“ (ჯანაშია 1954: 345; ინალ-იფა 1986: 158); პ. ჭარაია თვლის მეგრულიდან ნასესხობად (ჭარაია 1912: 13). ვთვლით, რომ ორსავე ენაში ნასესხებია თურქულიდან, მაგრამ სესხების შუალედური რგოლის გარკვევა ჭირს (ბუკია 2007: 166). სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ ენებში: **ჩუან** (აბაზ.) „ქვაბი“ (აბრლ 1967: 429), **ჩოდენ** (ხუნძ.), **ჩუნ** / **ჩონ** / **ჩუნინა** (ვეინახ.), **შუან** (ყაბ.). გვაქვს ოსურშიც: **ცუან** / **ციუან** „თუჯი“. რუსული **чугун** ამ ნასესხობათა რიგშია (აბაევი 1958: 318).

ხონჩა „[სპარ. **ხონჩე**] მოგრძო ტაბაკი ხისა, ოდნავ გულამოდებული“ (ქეგლ VIII: 1438), **ხონჩა** „(სპარ.) გრძელი და დიდი ტაბაკი, სევილა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1752), **ხონჩა** (მეგრ.) „ხის ჯამი, საღარიბო“ (ქობალია 2010: 730), **ხვარჩენი** (მეგრ.) „ღომის ამოსაზელი ხის ნიჩაბი“ (ყიფშიძე 1914: 402) – **ა-ხაჩა** „როფე, ღორების საჭმლის ჩასაყრელი“ (კვარჭია 1981: 99). ლექსემა ძირითადად აბჟურ დიალექტშია გავრცელებული. ბზიფურში მას ჩაენაცვლება **ა-ჩეჯე** / **ა-იჰა**. ვ. კვარჭიას ეტიმოლოგიით ლექსემაში შემორჩენილია „ღორის“ აღმნიშვნელი სიტყვის ძველი ფორმა **ა-ხა** (> **ა-ჰა**). მეორე ელემენტი **-ჩა** აფხაზურსა და აბაზურში ნიშნავს „ჭამას“ (კვარჭია 1981: 99). ვ. კვარჭიასეული ეტიმოლოგია ძნელადაა მისაღები. იქნებ ამოსავალი ქართულის მეშვეობით შეთვისებული **ხონჩა-ა?** ფონეტიკურად წინააღმდეგობა არ ჩანს, არც სემანტიკაა დიდად დაშორებული. აფხაზური ფორმის გავრცელების არეალი ჩვენი შეხედულების სასარგებლოდ მეტყველებს.

ჯამი „[სპარ. **jām**] 1. ჩაღრმავებული ჭურჭელი. 2. რაც ჯამში ეტევა“ (ქეგელ VIII: 1553), გვხვდება თითქმის ყველა დიალექტში (ჯავახიშვილი 1979) – **ა-ჯამ** „თასი“ (უსლარი 1887: 133); ნასესხებია ორივე ენაში, სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს (ჭარაია 1912: 11). ა. შაგიროვი აფხაზურისთვის სესხების შუალედურ რგოლად ქართულს მიიჩნევს (შაგიროვი 1989: 147). კომპოზიტებში: **ა-კალამჯამ** „შედებილი ბამბუკის ჯამი“ (შაყრილი 1986: 294), **ა-კალამ** „ბამბუკი, ლერწამი“ (იქვე). ეს უკანასკნელიც ქართულიდანაა შეთვისებული (გვანცელაძე 1997: 59).

თავი 10. სამოსელთან დაკავშირებული ლექსიკა

სამოსელთან დაკავშირებული ქართველური და აფხაზური ლექსიკური ერთეულები 9 ათეულზე მეტს ითვლის. მასალის სისტემატიზაციისთვის ვისარგებლეთ ე. შენგელიას მიერ შემოთავაზებული სქემით (შენგელია 2006: 320-340).

სამოსლის სახეობის აღმნიშვნელი ლექსიკა

სამოსლის სახეობის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა შედარებით ახალი შემოსულია ქართულსა და აფხაზურში, სავარაუდოდ, რუსული ენის გავლენით, ამიტომ ამ შემთხვევაში სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ეს სიტყვებია: ქართ. **კიტელი** „[გერმ. **kittel** რუს. ენის მეშვეობით] სამხედრო ფორმის ქურთუკი“ (ქეგლ IV: 1232) ≈ აფხ. **ა-კიტელ** „კიტელი“ (შაყრილი 1986: 308); ქართ. **პალტო** „[ფრ. **paletot**] ზევიდან ჩასაცმელი გრძელი, სახელოებიანი სამოსელი“ (ქეგლ VI: 111) ≈ აფხ. **ა-პალტა** „პალტო“ (რალ 1964: 406); ქართ. **ჟაკეტი** „[ფრ. **jaquette** რუს. ენის მეშვეობით] ქალის მოკლე ზედა ტანსაცმელი, უპირატესად წელში გამოყვანილი“ (ქეგლ VI: 321) ≈ აფხ. **ა-**

ჟაკეტი „ჟაკეტი, მოსასხამი“ (შაყრილი 1986: 226). ქართ. **კოფთა** „[რუს. **кофта**] ქალის ტანსაცმელი, წელზეით ჩასაცმელი“ (ქეგლ IV: 1352), ლაზ. **კოჭტა** „ქალის ზედა ჩასაცმელი“ ≈ აფხ. **ა-კუაფთა** „კოფთა“ (შაყრილი 1986: 339); ეს უკანასკნელი აფხაზურში სავარაუდოდ ქართულიდანაა ნასესხები, რადგან ძირში ფ თანხმოვანი გვაქვს.

ადრინდელი ნასესხობებია ქართულში: **ანაფორა** „[ბერძ. **ἀναφορά** „ზევით აწევა, გამოყოფა] განიერი და გრძელი ზედა ტანსაცმელი მღვდლისა“ (ქეგლ I: 487). ჩანს, ქართულიდან უნდა იყოს შესული აფხაზურში **ა-ნაფარა** „ანაფორა“ (ჯანაშია 1954: 206) ისევე, როგორც სხვა ქრისტიანული ლექსიკა (გვანცელაძე 1996).

კაბა „1. ქალის ტანსაცმელი; 2. ძვ. კალთებიანი გრძელი ტანსაცმელი (ქალისაც, კაცისაც)“ (ქეგლ IV: 1001), **კაბა** (მეგრ.) „ქალის ზედა ჩასაცმელი, ასევე მამაკაცის ჩასაცმელი ჩოხის ქვეშ“ (ყიფშიძე 1914: 249), **კაბ** (სვან.) „კაბა“ (თოფურია 2000: 340) – **ა-კაბა** „ახალუხი“ (უსლარი 1887: 142); არაბულ-სპარსულ სიტყვას **ყაბზ** პ. ჭარაია ქართველურიდან ნასესხობად მიიჩნევს (ჭარაია 1912: 11), იმავეს იმეორებს ხ. ბლაჟბა (ბლაჟბა 1964: 206). **კაბა** ბეწვიან თუ უბეწვო ზედა ჩასაცმელს ნიშნავს. ქართულ მწერლობაში XIII ს-დან გვხვდება. „ვეფხისტყაოსანში“ ის მამაკაცის ჩვეულებრივ სამოსლად ჩანს (ჯავახიშვილი 1962: 101).

ხალათი „[არაბ. ხილ'ათ] 1. აღმოსავლური გრძელი და ფართო ზედა ჩასაცმელი. 2. გრძელი ხალვათი სამინაო ჩასაცმელი. 3. ტანსაცმლის ზემოდან ჩასაცმელი სამოსი“ (ქეგლ VIII: 1319). ეს ფორმა XVII საუკუნემდე უცხოა ქართული მწერლობისთვის. ის თავდაპირველად სპარსულ და თურქულ ტანსაცმელს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ სპარსი და ოსმალთა მებატონეებისგან მიღებულ საჩუქარს, ანუ წყალობას (ჯავახიშვილი 1962: 115). ჩანს, ქართულის მეშვეობით აქვს ნასესხები აფხაზურს **ა-ხალათ** „ხალათი“ (რალ 1964: 606), რაზეც ძირის **თ** თანხმოვანი მიუთითებს.

ყანთარი (მეგრ.) „ლიფი, ქალის ზედა სამოსი“, **კანთარ** (სვან.) „ლიფი“, **ა-ყანთარ** (აფხ.) „ქალის ზედა უსახელო სამოსი“ (შაყრილი 1986: 384) ნასესხები ჩანს როგორც მეგრულსა და სვანურში (სვანურში, სავარაუდოდ, მეგრულიდან), ისე აფხაზურში, მსგავსად მისი ომონიმური წყვილისა **ყანთარი** „[არაბ. კანტარ „სამხრიანი სასწორი“] ლოლარიკი, ცალ-სასწორა“ (ქეგლ VII: 506), აფხ. **ა-კანთარ** „ყანთარი, სასწორი“ (ჯანაშია 1954: 141). ორივე ენაში შესულია არაბულიდან. სესხების შუალედური რგოლი სავარაუდოდ თურქულია: **kantar** „სასწორი“ (მაგაზანიკი 1945: 312).

მეგრული **გვაბანაკი** „მწყემსის პალატა“ (სახოკია 1985: 349). ქეგლ-ის მიხედვით **გვაბანაკი** „ერთგვარი ზედა სამოსი, თექის მსგავსი“ (ქეგლ II: 1432). იგივე სიტყვა სემანტიკის შენარჩუნებით გვაქვს აფხაზურში: **ა-გ'აბანაქ'** „ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჩასაცმელი, გვაბანაკი“

(ჯანაშია 1954: 79). წ. ბჟანია აფხაზურისთვის ამოსავალ ფორმად თვლის თურქულ **კაპანეკ**-ს და მიუთითებს, რომ აფხაზური **ა-გაბანაქ** მეგრულად ჟღერს, როგორც **გობენეჯი**, რუსულად (ყუბანელ და სხვა კაზაკებთან) **კობენიაკი** (ბჟანია 1962: 99). ეს შეხედულება ნაკლებად სავარაუდოა, რადგან მეგრულშიც და აფხაზურშიც გვაქვს მარტივი **გვაბანი** (იხ. ქვემოთ) და მისგან ნაწარმოები **გვაბანაკი**, მაგრამ ასეც რომ იყოს, აფხაზურისათვის სესხების შუალედური რგოლი მაინც მეგრულია – პალატალიზებული ქ-ს გაჩენას ახსნა სჭირდება, რაც მხოლოდ მეგრული სახელობითი ბრუნვის რეფლექსად თუ ჩაითვლება (ლომთათიძე 1976: 170). აფხაზურში სესხებისას ადაპტაციის წესები დაცულია, კერძოდ, **გვ**-კომპლექსი შეცვლილია **გ** თანხმოვნით. გარდა ამისა, აუსლაუტში მეგრულის სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით მოხდა უკანაენისმიერი ქ-ს პალატალიზაცია. ცნობილია, რომ პალატალიზებული უკანაენისმიერები აფხაზურის ძირეულ ლექსიკაში მინიმალური რაოდენობით გვხვდება, ძირითადად რეალიზდება ქართველურიდან ნასესხებ მასალაში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ სიტყვებს აფხაზურში დიალექტების მიხედვით სინონიმური წყვილები მოეპოვება: ბზიფურში აბჟურ **ა-გაბან**-ს **ა-ცართა** ჩაენაცვლება, აბჟურ **ა-გაბანაქ**-ს კი **ა-ჩება** (ბჟანია 1962: 205). ჩვენთვის საინტერესოა, რომ სესხების პროცესი აფხაზურით არ დასრულებულა: გვხვდება ამ ჯგუფის ყველა ენაში, გარდა უბიხურისა: აბაზ. **გაბანაქ** ადიღ. **გაბანაჩ**, ყაბარდ. **გაბანაჩ** (შაყრილი 1968: 65).

ქართული **ლაზადა**-დან არის მიღებული აფხაზური **ა-ლზადა** „ხიფთანი“ (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 64).

აფხაზურიდან ნასესხობად მიაჩნია გ. კლიმოვს მეგრული **ძიქვა** „შარვალი“, ამოსავლად მიაჩნია აფხაზური **ა-იქა** (რალ 1964: 64), რომელიც **ა-ძიქა** (ჯანაშია 1954: 374) ფორმითაც გვხვდება (კლიმოვი 1986: 182). იგივე **აძქა** გვხვდება აზაზურშიც (აბრლ 1967: 46). საგულისხმოა, რომ **ძიქვა / ძიკვა** სიტყვა გვაქვს ლაზურში, სადაც აფხაზური ენობრივი გავლენა ნაკლებადაა მოსალოდნელი. შეიძლება საკითხი სხვაგვარადაც დაისვას, ანუ სესხების მიმართულება სხვაგვარად იქნეს განხილული.

სამოსლის ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები

რამდენიმე საერთო ფორმა დასტურდება ტანსაცმლის ნაწილების აღმნიშვნელ სიტყვებში:

ქართულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-კალთ** „კალთა (ტანისამოსისა)“ (ჯანაშია 1954: 140); შდრ. **კალთა** „1. „სამოსლის ფესვი“ (საბა), ქვემოთკენ გაშლილი ტანისამოსის ქვედა ნაწილი. 2. რაც კალთაში ჩაეტევა იმდენი“ (ქეგლ IV: 1033), **კართე** (მეგრ.) „კალთა“, **კალთაძ** / **კალთა** / **კალთ** / **კალთაძ** (სვან.) „კალთა“. ქართულიდან ნასესხობა გვაქვს აზაზურშიც: **კალთა** „კალთა“ (შაგიროვი 1989: 139).

არაბული წარმოშობის **ა-ჯგბა** „ჯიბე“ (ჯანაშია 1954: 450), **ა-ჯაბა** (ბზ.),„id.“ (ბლაჟბა 1964: 206) ქ. ლომთათიძის თვალსაზრისით ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ლომთათიძე 1976: 47). სიტყვა ფართოდაა გავრცელებული კავკასიურენოვან სივრცეში: **ჯიბე** „ფარაგი“ (საბა 1993: 456), **ჯიბე** (მეგრ.) „ჯიბე“ (ყიფშიძე 1914: 413), **ჯები / ჯებე** (ლაზ.),„id.“ (მარი 1910: 236); **ჯიბ / ჯიბაი / ჯიბწ** (სვან.),„id.“ (თოფურია 2000: 887), **ჯგვ** (აბაზ.),„id.“ (აბრლ 1967: 211), **ჯიბ** (უდ., თაბას.), **ჟიფ** (არჩ.), **ჟიფ** (ლაკ.), **ჟგვ** (ყაბარდ.), **ძგფფ** (ოს.),„id.“ (აბაევი 1958: 406). აფხაზური კომპოზიტი **ა-გ°გრჯ~გბა** „გულის ჯიბე“ (შაყრილი 1986: 166) მეგრულიდანაა ნასესხები. ამოსავალია **გურიშ ჯიბე** „გულის ჯიბე“.

სამოსლის შესაკრავების აღმნიშვნელი სიტყვები

ტანსაცმლის შესაკრავის აღმნიშვნელ საერთო ტერმინთა ნაწილი აფხაზურში დიალექტური ვარიანტების სახითაა წარმოდგენილი. აბჟურში ქართველურიდან, ან ქართველურის გზით ნასესხები ფორმები გვხვდება, ბზიფურში კი საკუთრივ აფხაზური, ან რუსულიდან ნასესხები:

ა-კაცბ° (აბჟ.), **ა-ჭაპ** (ბზ.) „კაბის შესაკრავი კაუჭი“ (ბლაჟბა 1964: 207). აბჟური ფორმა იმავე მნიშვნელობის

მეგრული **კაცხუ**-სგან არის მიღებული (შაგიროვი 1989: 152).

ა-ქ~ნგსთა (აბჟ.), **ა-გ~ლაფკა** „ქინძისტავი“ (ბლაჟბა 1964: 207). აბჟურთი ფორმის საფუძველია მეგრული **ქინძსთე** „ქინძისტავი“, ბზიფური კი რუსული **булавка**-დანაა მიღებული (ბლაჟბა 1964: 207).

ა-სადეფ „ლილი“ (შაყრილი 1987: 114), **ა-სადაფ** / **ა-სადიფ** (ბზ.), „id.“ (კასლანძია 2005-ა: 160), შდრ. **ა-ჰ~ენწ~რა** (ბზ.) „ლილი“ (შაყრილი 1987: 302). **ა-სადეფ** / **ა-სადაფ** / **ა-სადიფ** ფორმებისთვის ამოსავალია არაბული **სადაფ** „მარგალიტის ნიჟარა“, რომელიც **სადაფი** / **სადაფ** (ინგ.) / **სედეფი** (აჰარ.) / **სადაფი** (მეგრ.) / **სედეფი** (ლაზ.) / **სადაფ** / **სადაფ** (სვან.) სახითაა წარმოდგენილი ქართველურ მიკროსისტემებში. აფხაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია. შდრ. თურქ. **sadefe** „ნიჟარა“ (მაგაზანიკი 1945: 510).

ა-მახუჟ აფხაზურში „ქვედაკაბაში გასაყრელი თასმაა“ (მალია 1982: 100). იმავე სემანტიკისაა მეგრული **მახუჟალი**, რომელიც **ხუჟუნს** „ანაოჟებს“ ზმნური ფორმისგან მიღებული მიმღეობაა და „დამნაოჟებელსაც“ აღნიშნავს და „დასანაოჟებელსაც“, ამიტომ აფხაზურ ფორმას მეგრულიდან მომდინარედ მივიჩნევთ.

ქართულიდან ნასესხობად განვიხილავთ აფხაზურ **ა-დუგმა-საც** (ჯანაშია 1954: 96). შდრ. **დუგმა** „ლითონის ერთგვარი შესაკრავი, – ლითონის ღილ-კილო, ხრიკა“

(ქეგლ III: 1231), ამოსავალია თურქული **düğme** „1. დილი; 2. კნოპი“ (მაგაზანიკი 1945: 159).

სამოსლის მოსართავის აღმნიშვნელი ტერმინები

ტანსაცმლის მოსართავის აღმნიშვნელი საერთო ტერმინები ორსავე ენაში ნასესხებია. სესხების შუალედური რგოლის რკვევისთვის ხელშესახები მასალა არ ჩანს, ამიტომაც ჩვენ ანალიზის გარეშე მივუთითებთ ამ ლექსიკურ ერთეულებს:

არშია „1. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული. 2. იგივეა, რაც კარნიზი. 3. იგივეა, რაც რანტი. 4. წიგნის ან რვეულის დაუწერლად დატოვებული კიდე“ (ქეგლ I: 580) – **ა-რამშა** „არშია“ (შაყრილი 1987: 68), **ა-რამშია** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 105). 1720-52 წწ. საეკლესიო სამკაულების ნუსხაში ნაქსოვი **არშია**-ა მოხსენებული, გვხვდება XVII-XVIII საუკუნის მზითვის წიგნებში (ჯავახიშვილი 1962: 199).

ბანდი „[სპარს. **ბანდ** „შეკვრა“, „ნასკვი“] 1. წვრილი თოკი ან თასმა; 2. ჭრილობის შესახვევი ქსოვილი“ (ქეგლ I: 968), **ბანდი** ნ. **შებანდული** „შეყინულივით“ (საბა 1993: 282) – **ა-ბანდა** „ლენტი“ (შაგიროვი 1989: 151). აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (იქვე). ყურადღება უნდა

გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ **ბანდ-** ძირი მთელ ქართველურ ენობრივ სივრცეში ჩანს: ქართ. **ბანდვა** „ჯღანის ძირის გამოქსოვა თასმით“, **ბანდული** „მთაში სასიარულო, დაწნულძირიანი ქალამანი“, მეგრ. **ბონდი** „დაწნული; დაკიდებული დაწნული ხიდი“; **ბონდილი** „ბადე“; სვან. **ლიბანდე** „გაკერილი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 93). რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ქართული **ბანდი** ნასესხები კი არა, ძირეული საერთოქართველური სიტყვაა?!

კანტი „[გერმ. **Kante**] ქსოვილის ვიწრო ზოლი ტანისამოსის კიდეზე მოვლებული ან ნაკერში ჩაყოლებული“ (ქეგლ IV: 1053) – **ა-კანტ** „კანტი“ (შაყრილი 1986: 297), „ტყავის თასმა“ (კასლანძია 2005: 483).

სირმა „ოქროს ან ვერცხლის ძაფი, – ოქრომკედი“ (ქეგლ VI: 1062) – **ა-სგრმა** „ზეზი, სირმა“ (რალ 1964: 146). ამოსავალია თურქული **sirma** „ვერცხლის ან ოქროს ძაფი“ (მაგაზანიკი 1945: 542).

ყათანი „[თურქ. **კაითან**] წნული ზონარი მოსავლებად“ (ქეგლ VII: 500) – **ა-ყათან** „ზეზი, სირმა, ყათანი“ (რალ 1964: 146). ორივე ენისთვის ამოსავალია თურქული **kaytan** „ქალაღდის ან აბრეშუმის თასმა“ (მაგაზანიკი 1945: 328).

სამოსლისთვის გამოყენებული მასალის აღმნიშვნელი სიტყვები

ქსოვილის სახეობის და, ზოგადად, სამოსლისთვის გამოყენებული მასალის აღმნიშვნელი სიტყვების დიდი ნაწილი ორსავე ენობრივ სისტემაში ნასესხებია. უმეტეს შემთხვევაში ახალი ნასესხობაა, ამიტომ სესხების შუალედური რგოლის დადგენა (თუ ეს საერთოდ არსებობს) ჭირს, სავსებით შესაძლებელია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეეთვისებინა ქართულს და აფხაზურს, ლექსემათა ნაწილში კი სესხების მიმართულება ადვილად ინიშნება.

თოფი (ქსოვილის) „მატერიის, ქსოვილის მთლიანი ნაჭერი, ბრტყლად დახვეული; მატერიის ზომის მსხვილი ერთეული“ (ქეგლ IV: 474), **თოფი** „ერთი დანა ან ნაჭერი ქსოვილთა, ვითარ: ერთი თოფი მაუდი, ორი თოფი ჩითი, ლეინი“ (ჩუბინაშვილი 1887: 568), **თოფი** (მეგრ.) „ქსოვილის ზომის ერთეული“ (ქაჯაია 2009: 252), **თოფ / თოფრა** (სვან.) „ქსოვილის რულონი“ და **ა-თოფ** „id.“ (ჯანაშია 1954: 126) სპარსული წარმოშობის სიტყვაა. თურქულის მეშვეობით სიტყვა **tup** შესულია სხვა ენებშიც: **თუფ** (ჩეჩნ.), **თოფფ** (ოს.) „ქსოვილის რულონი“ (აბაევი 1979: 304).

ქართულის მეშვეობით ნასესხებად მიიჩნევა აფხაზური **ა-ბამბა / ა-ბამბა / ა-ბემბა**, რომელიც მთელ

ქართველურ ენობრივ სივრცეში გვხვდება: **ბამბა** „[სპარ. **პანბაჰ**] ტექნიკურ კულტურაში ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი მცენარე. 2. ამავე მცენარის ნაყოფში გამოხვეული თეთრი ბოჭკო“ (ქეგლ I: 964), მეგრ: **ბამბე**, ლაზ. **ბამბუ**, სვან. **ბამბან** / **ბანბან** „ბამბა“. ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზური სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (გვანცელაძე 1997: 206). ქართულიდანვე ნასესხებად ითვლება უზიხ. **ბამბა**, აზაზ. **ბამბი** (შაგიროვი 1989: 139).

ჩოჯა / ჩოხა ქართულში IX-X საუკუნეებში ჩნდება, ამიტომ უფრო საფიქრალია, რომ ეს ტერმინი სპარსულიდან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულიდან (ჯავახიშვილი 1962: 99). ძველ ქართულში ის „საბერო სამოსელია“ (აბულაძე 1973: 512). მეგრულში **ჩოხა** ქსოვილის სახეობას, კერძოდ, „შალს, მაუდს“ აღნიშნავს. ქსოვილის სახეობის მნიშვნელობით შეითვისა აფხაზურმა ენამ **ა-ჩოტჰა** / **ა-ჩუჰა** „მაუდი“ (ჯანაშია 1954: 345), შესაბამისად, ის მეგრულიდან შეთვისებულად უნდა ჩაითვალოს.

ინდურიდან მომდინარე **ჩითი** ყველა ქართველურ ენაში გვხვდება: **ჩითი** „[ინდ. **ჩით**] ბამბის თხელი, სახეებიანი ქსოვილი“ (ქეგლ VIII: 503), **ჩითი** „ჭრელი ნარმა“ (საბა 1993: 319), **ჩინთი** (მეგრ.) „ჩითი“ (ციფშიძე 1914: 365), **ჩითი** (ლაზ.) „ჩითი“, **ჩინთ** / **ჩიმთ** (სვან.) „ჩითი“ (თოფურია 2000: 830). პ. ჭარაიას თვალსაზრისით აფხაზურში **ა-ჩეთ** „ჩითი“ შესულია ქართველურიდან (ჭარაია 1912: 12). სიტყვა გვხვდება ჰიბრიდულ

კომპოზიტი **ა-ჩეთჯაჯა** „ბიაზი“, (შაყრილი 1987: 424) და ზედმიწევნით ნიშნავს „უხემ ჩითს“.

ქართულიდან შეთვისებულთა რიცხვში განიხილავს ხ. ბლაჟბა **ა-ნარმა**-ს „ნარმა“ (ბლაჟბა 1964: 206), გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტის ნაწილად: **ა-ნარმაეიქა** „მამაკაცის გრძელტოტება საცვალი“ (იქვე). ზედმ. „ნარმის საცვალი“.

ქართულის მეშვეობითვე უნდა იყოს შესული აფხაზურში სპარსული წარმოშობის **ა-ბერძენ** „აბრეშუმი“ (ჯანაშია 1954: 76). ქართულიდანაა შეთვისებული **ა-ტგლა** „ტილო“ (რალ 1964: 610), ასევე **ა-ქეშმერ** „ქიშმირი“ (ჯანაშია 1954: 309), შდრ. **ქიშმირი** „რბილი და სუფთა მატყლის ერთგვარი ქსოვილი (ინდოეთსა და პაკისტანს შორის მდებარე მხარის ქიშმირის სახელწოდების მიხედვით)“ (ქეგლ IV: 331).

შედარებით ახალი ნასესხობა უნდა იყოს ქართ. **ბამბაზია** „[ფრ. **bombasin**] ბამბის თხელი ქსოვილი, რბილი, ბუსუსიანი“ (ქეგლ I: 964) ≈ აფხ. **ა-ბამბაზია** „ბამბაზია“ (რალ 1964: 65); ქართ. **ბატისტი** „[ფრ. **ბატისტე**] სელის ანდა ბამბის ქსოვილი, ძალიან თხელი და ოდნავ პეწიანი“ (ქეგლ I: 990) ≈ აფხ. **ა-ბატისტა** „ბატისტა“ (შაყრილი 1986: 97); **დრაფი** „[ფრ. **drap** „მაუდი“] სქელი და მკვრივი ქსოვილი წმინდა მატყლისა ან ბამბის ფუძეზე, ორვად ნაქსოვი მაუდი“ (ქეგლ III: 1221) ≈ აფხ. **ა-დრაფ** „დრაფი“ (შაყრილი 1986: 210); **მიტკალი** „[არაბ. **მიტკალ**] ბამბის თეთრი ქსოვილი“ (ქეგლ V: 441) ≈ აფხ. **ა-მიტკალ** „ტილო“

(კასლანძია 2005: 683). ჩანს, აფხაზურში ახალი ნასესხობაა ქართულიდან; **სატინი** „[არაბ. **ზაიტუნ**] ატლასივით პრიალა ქსოვილი ბამბისა ან აბრეშუმისა“ (ქეგლ VI: 826) ≈ აფხ. **ა-სატინა** „სატინი“ (შაყრილი 1987: 118); **ფლანელი** „[ფრ. **flanelle**] ტილოს მსგავსად ნაქსოვი შალის ან ბამბის თბილი ქსოვილი, რომელსაც აქვს წმინდა ბუსუსები ორსავე ან ცალ მხარეს“ (ქეგლ VII: 133), მეგრ. **ფანელი**, სვან. **ფანელ / ფანელ** ≈ აფხ. **ა-ფნელ** (ჯანაშია 1954: 459), **ა-ჭანელა** „ფლანელი“ (რალ 1964: 603), **მუშამბა** „ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით“ (ქეგლ V: 1166) ≈ აფხ. **ა-შშამბა** „მუშამბა“ (ჯანაშია 1954: 195), „ლაბადა“ (შაყრილი, 1986, 458); შდრ. თურქ. **muşamna** „მუშამბა, წყალგაუმტარი ლაბადა“ (მაგაზანიკი 1945: 427).

ვევარაუდობთ, რომ მეგრული (resp. ქართველური) წარმოშობის უნდა იყოს აფხაზური **ა-კუკუგა** „მრგვლად დახვეული ძაფი, მორგვი“ (ჯანაშია 1954: 153). მის ამოსავალ ფორმად ვთვლით მეგრულ რედუპლიცირებულ კომპოზიტს **კვირკვი** „ძაფის გორგალი“ (ყიფშიძე 1914: 256). სესხებისას უკანაენისმიერი ლაბიალური კომპლექსის გადაქცევა ლაბიალიზებულ ხმულად აფხაზური ფონოტაქტიკისათვის ბუნებრივი მოვლენაა. შდრ. აფხ. **ა-მაგ** „მწყემსის ფეხსაცმელი“ < ძვ. ქართ. **მოგვი** „ჩექმა“, მეგრ. **მაგუია** „უხეში ფეხსაცმელი“ (იხ. ქვემოთ), არც აუსლაუტში ხმოვანი ა-ს გაჩენაა უცხო აფხაზურისთვის. მაგ.: **ა-შარბა** „ორბი“. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველურში გვაქვს იმავე ძირის, მსგავსი სემანტიკის სიტყვა: **ზანური** (მეგრული) **კვარკვაშა**

„მატყლის ქულა“, ქართული (მთიულური) კვირსლი „ბეწვი შალისა“, სვანური კუნკუჷს „ნართი, შულო ძაფისა“. ფუძის უძველესი სახეობა დაცულია ქართულში, სადაც მარტივი, გაუორკვეცებელი არქექტიპია შემორჩენილი. ე. ი. სვან. კუნკუჷს < *კუტირ-კუთემ-ა < *კუტირშ- კუტირშ-ა, მეგრ. კვარკვაშ-ა < *კურ-კუმ-ა < *კუტირშ-კუტირშ-ა (ჩუხუა 2000-2003: 130).

ასევე მეგრული წარმოშობისაა აფხაზური ა-ძგა „მატყლის გრეხილი ძაფი“ (ჯანაშია 1954: 376). ამოსავალია მეგრული ძგა „მატყლის ძაფი, შითი, ღაზლა, ღაზლის ძაფი“.

გაზაფხულზე განაკრეჭი მატყლი მეგრულში ბუთა / ნაბუთუ ფორმებით გადმოიცემა. იმავე სემანტიკის მატარებელია აფხაზური ა-ბთა (ჯანაშია 1954: 68). მეგრული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1997: 44). მ. ჩუხუას თვალსაზრისით, აფხაზური ფორმა პარალელს პოულობს, ერთი მხრივ, ქართ. ფთილა / ფითილა „ბამბის წნული“ : სვან. ფითუ „ნამცეცი; თოვლის ფთილა“, ფათუ / ფათუ „თმა“ და მეორე მხრივ ბაცბ. ფათარ, ჩაჩნ. ფათარ, ინგ. ფათარ „ბუმბული, თივთივი (თხისა)“ ფორმებთან, ხოლო ზანური შესატყვისი არ მოეპოვება (ჩუხუა 2000-2003: 236). ვვარაუდობთ, რომ მეგრული ბუთა აფხაზური ა-ბთა-დან მომდინარეობს, ხოლო ნაბუთუ წინა ვითარების სახელია და აფხაზური ფორმიდან არის მიღებული.

თავსაბურავის აღმნიშვნელი სიტყვები

მსგავსი ფორმებია მეგრულ ქიცა „თავსაფარი“ და აფხაზურ ა-ქასგ „თავსაფარი“ (მალია 1982: 66). საგულისხმოა, რომ გვხვდება აბაზურშიც: ქასგ „თავსაფარი“ (აბრლ 1967: 257). სესხების მიმართულებაზე საუბარი ჭირს.

ქართველურიდან ჩანს შეთვისებული აფხაზური ა-ჩქეთგ „ვული, მარლა“ (გენკო 1998: 326), ამოსავალი კი ქართველურ მიკროსისტემებში ფართოდ გავრცელებული ჩიხტი / ჩიხტი-ა „ქართველი ქალის თავსაბურავის ნაწილი, თავზე დასადგმელი ბრტყელი რკალი, რომელზეც თავსაკრავია დამაგრებული“ (ქეგლ VIII: 523).

თურქულიდანაა ნასესხები მეგრულში წარმოდგენილი შარშაბი „აბრემუმის თავსახური“ (ჭანტურია 1996: 223), ლაზური ჩარშაბი / ჩარჩაბი „ზეწარი; მუსლიმი ქალის თავწამოსასხამი“, იგივე სიტყვა აფხაზურში „ზეწრის“ მნიშვნელობითაა შესული (იხ. ქვემოთ). აგრეთვე ჩადრი „[სპარ. ჩადირ] თხელი განიერი წამოსასხამი, – პირბადე“ (ქეგლ VIII: 61), ჩადრი (ლაზ.) „ჩადრი“ (შენგელია 2006: 333) – ა-ჩადგრ „ჩადრი“ (კილბა 1983: 85).

აქვე განვიხილავთ გვირგვინი „1. ძვირფასი ლითონისაგან გაკეთებული, პატიოსანი თვლებით შემკული თავსაბურავი. 2. წრედ შეკრული ჯვრიან-

ფოჩებთან საქორწინო სამკაული, რომელსაც ჯვრისწერის დროს თავზე ადგამენ დასაქორწინებელ ქალ-ვაჟს“ (ქეგლ II: 1443), **გვრგვინი** (ძვ. ქართ.) „გვირგვინი“ (აბულაძე 1973: 103) **გურგინი** (მეგრ.) „გვირგვინი“ (ყიფშიძე 1914: 217); **გურგუტინ** / **გურგუტინ** „გვირგვინი“ (თოფურია 2000: 26) – **ა-გორგენ** „საქორწინო გვირგვინი“ (ჯანაშია 1954: 86), **ა-გორგენ** (კასლანძია 2005: 313) ფორმებს. სიტყვები აფხაზურში შესულია ქართველურიდან (შაგიროვი 1989: 151), თუ დავაკონკრეტებთ, **ა-გორგენ** მეგრულიდანაა ნასესხები და ამოსავალია **გურგინ** ფორმა. სესხების შემდეგ **გუ** კომპლექსმა კანონზომიერად მოგვცა **გ** ლაბიალური უკანაენისმიერი, **გი-მ** კი **გზ**. კასლანძიას ლექსიკონში წარმოდგენილი ფორმა კი ქართული **გვირგვინი**-იდან მომდინარეობს. შდრ. **გორგორ** (აბაზ.) „ბეჭედი“ (აბრლ 1967: 139); ასეთი სემანტიკური გადაწევა **დაგვირგვინება** > **ბეჭედი** ბუნებრივი ჩანს.

ფეხსაცმლის აღმნიშვნელი ტერმინები

ფეხსაცმლის აღმნიშვნელი სიტყვები ძირითადად ქართველურია, გვხვდება ორიოდ ნასესხები ფუძე.

ქართველურ ენებში ფეხსაცმლის ერთ-ერთ სახეობას აღნიშნავს სიტყვა, რომელიც ასეა წარმოდგენილი მიკროსისტემებში: **მოგვი** „ძვ. ყელმადალი ფეხსაცმელი, ჩექმა“ (ქეგლ V: 620), **მაგუ** / **მაგუია** (მეგრ.) „ბანდული, ჩექმა“ (ჭანტურია 1996: 223), **სამგე** (მეგრ.)

„ფეხსაცმელი ერთგვარი“ (შენგელია 2006: 334), **მანგუ** (ლაზ.) „საბელი“ (ჩუხუა 2000-2003: 151), **სამეგუ** (სვან.) „ტყავი“ (თოფურია 2000: 694) – **ა-მაგ** „ტყავისაგან შეკერილი მწყემსის ფეხსაცმელი“ (ბჟანია 1962: 153). ლაზურში ფიქსირებული საბელის გაგება იმაზე მიუთითებს, რომ საერთოქართველური ერთობის დონეზე ***მეგუ** პრაფორმა ტყავის თასმებიან ფეხსაცმელს აღნიშნავდა (ჩუხუა 2000-2003: 151) ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ ძველი ქართული არის ამოსავალი აფხაზური **ა-მაგ**-სთვის (შაგიროვი 1989: 150). ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფორმისთვის ამოსავალი მეგრული **მაგუ**-ა.

მეგრული **ობოხუა** ა. ჭანტურიას განმარტებით „ოროფეხია“ (ჭანტურია 1996: 223), ხშირად აღნიშნავს სქელლანჩიან ფეხსაცმელსაც. ვვარაუდობთ, რომ ეს ფორმა უნდა იყოს ამოსავალი აფხაზური იმავე სემანტიკის სიტყვისთვის – **ა-ლაბახა** „ოროფეხები“ (კასლანძია 2005: 605).

ყაყაბი „ძვ. იმერელი ქალის ფეხსაცმელი“ (ქეგლ VII: 514), **ყაყაბი** / **ყაყაბია** (მეგრ.) „ხისძირიანი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი“. აფხაზურში გვხვდება მსგავსი მნიშვნელობის **ა-ყაფყაფ** (ჯანაშია 1954: 314), **ა-ყაყაფ** (კასლანძია 2005: 581); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (შაგიროვი 1989: 150). ბზიფურში ამ მნიშვნელობით გვაქვს **ა-ყარმეგ** (ბლაჟბა 1964: 207).

ჩხარკი (მეგრ.) „ძველი ფეხსაცმელი, რომელსაც არ აქვს საქუსარი“, **ჯღარკი** (გურ., იმერ., ლეჩხ., რაჭ.) „ძველი

დახეული ფეხსაცმელი“ (დლონტი 1984: 787) – ა-ჩხ~არკ~ „ოთახის უსაქუსარო ფეხსაცმელი“ (კასლანძია 2005-ა: 521). აფხაზურ ფორმაში დაცული პალატალური უკანანისმიერები გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურში. სესხებისას ფონოტაქტიკის წესები სრულადაა დაცული.

ვფიქრობთ, მეგრული კანიმ ჩაფლა-ს („წულა“ ყიფშიძე 1914: 363) კალკია აფხაზური ა-კან ეიმაა „ქალამანი“ (ჯანაშია 1954: 141). ეს უკანასკნელი ჰიბრიდული კომპოზიტია. ქართველურიდან მომდინარე ა-კან „ჭორფლს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 141), ასევე „თევზის ქერცლს“ (მიძარია 1989: 22), ზოგადად ა-კან ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში.

მესტი „1. მოკლეყელიანი უძირო მემის ფეხსაცმელი ან უყელო საძირიანი მემის ფეხსაცმელი“ (ქეგლ V: 197), ფართოდაა გავრცელებული ქართული ენის დიალექტებში: კახურში, თუშურში, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში (ჯავახიშვილი: 1983), გვაქვს მეგრულ-ლაზურშიც: **მესტი** / **მესთი** (მეგრ.) „წულა“, **მესტი** (ლაზ.) „ტყავის უძირო ფეხსაცმელი“. თურქული სიტყვა გვხვდება აფხაზურშიც: **ა-მესტ** „მწყემსის წინდები ტყავისა“ (ბჟანია 1962: 98); სიტყვა შეთვისებულია სხვა კავკასიურ ენებშიც: **მადესტ** (აბაზ.) „მსუბუქი ფეხსაცმელი, იცმევენ ლოცვის დროს“ (აბრლ 1967: 272), **მესთ** (ყაბ.) **მწჩი** (ჩეჩნ., ინგ.), **მაჩუაღ** (ხუნძ.), **მაჩუათი** (დარგ.), **მწს** (ლეზგ.) „წულა“; აგრეთვე **მეს** / **მესთაღ** (ოს.) „მსუბუქი ფეხსაცმელი, მესტი“ (აბაევი

1973: 112); შდრ. მესტ „საშინაო ფეხსაცმლის სახეობა“ (მაგაზანიკი 1945: 408).

ასევე ნასესხებია ფაჩუჩი „1. საშინაო თბილი, უქუსლო ფეხსაცმელი; 2. ბავშვის ფეხსაცმელი რბილი ტყავისა“ (ქეგლ VII: 49), პაპუჩი (ლაზ.) „ჩუსტი, ფლოსტი“, ფაჩი / ფაჩლელ (სვან.) „ფაჩუჩი“ – ა-პაპუჩი „უქუსლო წაღა“ (ჯანაშია 1954: 217); თუ ერთსა და იმავე სიტყვაზეა საუბარი ქართველურსა და აფხაზურში, ამოსავალია სპარსული **pāpūšū** (ბართაია 2010: 93) > თურქული **pabuç** / **papuç** „უქუსლო ფეხსაცმელი“ (მაგაზანიკი 1945: 477: 479). ჩანს, აფხაზურს უშუალოდ თურქულიდან აქვს ნასესხები, ასევე ლაზურს, ქართულში კი შესაძლოა ვიმსჯელოთ სპარსულიდან ნასესხობაზე.

გვიანდელი ნასესხობაა რუსულიდან **კალოში** „[ფრ. **Galoche**] პირფართო დაბალი ფეხსაცმელი რეზინისა, რომელსაც იცვამენ ჩვეულებრივ ფეხსაცმელზე“ (ქეგლ IV: 1038), **კალოშიქი** (მეგრ.) „კალოში“, **კალოშ** (სვან.) „კალოში“, ა-კალოშ / ა-გალოშ (აფხ.) “კალოში” (კასლანძია 2005: 269, 480). პირველი აფხაზური სიტყვა ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში, მეორე – რუსულიდან.

კერვისთვის საჭირო ხელსაწყოების აღმნიშვნელი სიტყვები

საინტერესო პარალელებია დამებნილი კერვის-თვის საჭირო ხელსაწყოების აღმნიშვნელ ტერმინთა სემანტიკურ ჯგუფში.

საერთო ლექსიკის დიდი ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული.

აფხაზური **ა-კანჭ** „კოჭი (მაფისა)“ (ჯანაშია 1954: 152), **ა-კანჭ(ა)** „id.“ (კასლანძია 2005: 527) **კოჭ**-ის მეგრული სონორგანვითარებული **კონჭ**-ს ვარიანტიდან არის ნასესხები ფონოტაქტიკის წესების დაცვით (მეგრ. **კო** > აფხ. **კა**), **ა-კანჭ**-ისგან ფონეტიკური არის მიღებული იმავე სემანტიკის **ა-განჯა** (შაყრილი 1986: 151).

მაკრატელი „საჭრელი იარაღი“ (ქეგლ V: 25) მეგრულში მეტათეზირებული სახით არის შემოსული და გვაქვს **მარკატელი** / **მარგატელი** ფორმები. მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-მერკატელ** „მაკრატელი“. ამ ნასესხობაზე მიუთითებს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 14).

მასრა „საზედაო მაფის დასახვევი მოკლე ჯოხი, მაქოში ჩასადები“ (ქეგლ V: 84) მეგრულ-ლაზურში **მარსა** / **მასლა**-ს სახითაა შემოსული. მეგრული ფორმა ამოსავალი იმავე სემანტიკის აფხაზური **ა-მარსა**-სთვის (ჯანაშია 1954: 185). საგულისხმოა, რომ ეს ფორმა

აბჟურშია წარმოდგენილი, ბზიფურში მისი სინონიმური წყვილია ა-ბა (ბლაჟბა 1964: 203).

მაქო „საქსოვი დაზვის ნაწილი – მასრის ჩასადები, მოგრძო და ოვალური“ (ქეგლ V: 93) სალექსიკონო ერთეულად აქვს შეტანილი საბას: **მაქო** „საქსოვრის საზედაოს გასავლები“ (საბა 1991: 443). მეგრულში მისი შესატყვისია **მარქვი**, ლაზურში გვაქვს **მაქოქი / მაქოჩი** სახით. მეგრულის მსგავსი სონორგანვითარებული ვარიანტი გვხვდება სვანურში: **მარქჷ** „მაქო“. ჩანს, ეს უკანასკნელი ზანიზმია. მეგრულიდან არის შეთვისებული აფხაზურში **ა-მარქა** „მაქო“ (ჯანაშია 1954: 185); ქართველური და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13), ამ ნასესხობაზე მიუთითებს ა. შაგროვი და თვლის, რომ სიტყვა აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგროვი 1989: 152).

აფხაზური **ა-მახათ** „თამბაქოს ასასხმელი ნემსი“ (კასლანძია 2005: 669) ქართულიდანაა შეთვისებული. შდრ. **მახათი** „გრძელი, მსხვილი ნემსი, მაგარი მასალის საკერავად“ (ქეგლ V: 114), **მახათი** „დიდი ნემსი“ (საბა 1991: 451), **მახათი** (თუშ., რაჭ., გურ.) „მსხვილი ნემსი“ (ჯავახიშვილი 1983: 97, 231, 256), **მახათი** (მეგრ.) „მახათი“ (ჭანტურია 1996: 217), **მახაწ** / **მახათ** (სვან.) „მახათი“ (თოფურია 2000: 553).

ჩაჩაზია მეგრულში „სიმინდის ღეროების წწულია“, აგრეთვე „ჭილოფი, რომელზეც ითელება მატყლი“. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით უსესხებია აფხაზურს

მეგრულიდან: **ა-ჩაჩაზ** „სიმინდის ღეროების წნული, გამოიყენება მეაბრეშუმეობასა და მატყლის დამუშავებაში“ (შაყრილი 1987: 416).

მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-ჩჩებ** „ბამბის საწმენდი ინსტრუმენტი“ (შაყრილი 1987: 422), **ა-ჩჩებ** „id.“ (გენკო 1998: 327). ამოსავალია მეგრული **ჩიჩიხი** „ხის მანქანა, რომელიც ბამბას აცლის კურკებს“.

ფირფიტა „1. თხელი, ბრტყელი ნაჭერი ხისა, ლითონისა და მისთ.“ (ქეგლ VII: 117) მეგრულსა და სვანურშიც არის წარმოდგენილი: **ფირფიტა** (მეგრ.) „1. ფირფიტა, ძაფის დასახვევი ხის ნაჭერი“, **ფირფიტა** / **ფირფიტა** (სვან.) „ფირფიტა“. მეგრული სემანტიკით გვხვდება აფხაზურში: **ა-ფარფეტა** „საქსოვი დაზვის ნაწილი“ (შაყრილი 1987: 30), **ა-ფარფეტა** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 93); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 60).

ქართულიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-დაფა** „ჩითის გადასაჭიმი ჩარჩო“ (შაყრილი 1986: 194); „ჩანთა ხელსაქმის ინსტრუმენტებისთვის“ (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 94).

ასევე ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-სართ** „საფეიქრო დაზგა“ (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 93). შდრ. **სართავი** „1. რასაც ართავენ; 2. რითაც ართავენ; 3. სადაც ართავენ“ (ქეგლ VI: 783).

გ. კლიმოვი აფხაზური **ა-ძამ** / **ა-ძემ** „სადგისი“ (ჯანაშია 1954: 374, 378) ფორმის შესატყვისად მიიჩნევს ქართულ **ძემვ**-ს (კლიმოვი 1971: 229). ა. შაგიროვი მიიჩნევს, რომ აფხაზური ფორმის შესატყვისია ადიღური **დგდ** / **დგდგ** „სადგისი“ (შაგიროვი 1977: 154). მ. ჩუხუა კი უკავშირებს ქართ. **ძაძა**, ზან. **ძონძი**, სვან. **ძაძრა** „ტომარა“ ფორმებს (ჩუხუა 2007: 43). საგულისხმოა, რომ მეგრული **ძანძა** „კანაფისა და სელის ქსოვილია“, **ძანძუა** კი „ძენძვა“ (ქაჯაია 2002-ა: 374).

ამავე სემანტიკურ ჯგუფში ვაერთიანებთ **თარაზო**-ს, რომელიც ქეგლ-ის მიხედვით „სიბრტყის ან ხაზის ჰორიზინტალურად გასამართავი ხელსაწყო“ (ქეგლ IV: 339) და მშენებლობის ლექსიკისთვის არის ბუნებრივი, მაგრამ სავლელ მასალების მიხედვით იგი ასევე გამოიყენებოდა კერვისას. სპარსული წარმოშობის **tarāzū** / **tarāzo**, რომლის მნიშვნელობებია: 1. თარაზო, 2. დონე, 3. კატეგორია (ბართაია 2010: 58), ფართოდაა გავრცელებული კავკასიურ ენებში: გვხვდება სხვა კავკასიურ ენებშიც: **თერეზ**, **თერეზარ** (ლეზგ.), **თერზა** (ჩეჩნ.), **თარაზ** (ინგ.) „სასწორი“, **თარზ** (ადიღ.) „სწორად“, „ზუსტად“, **ღე-თერეზგ** (უბიხ.) „ზუსტად გაკეთება“ (აბაევი 1979: 266). საინტერესოა, რომ ბზიფურში ამ ტერმინის პარალელურად საკუთრივ აფხაზური **ა-ჯჷა** (ბლაჟბა 1964: 203) გამოიყენება.

დასაგების აღმნიშვნელი სიტყვები

სამოსლის აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკურ ჯგუფში განვიხილავთ დასაგების (გადასაფარებელი, საბან-საგებელი, ფარდაგი...) აღმნიშვნელ სიტყვებს, მითუმეტეს, ის ხანდახან ომონიმს წარმოადგენს და სამოსის სახეობასაც აღნიშნავს.

გვაბანა მეგრულში „საზამთრო წამოსასხამსაც“ აღნიშნავს და „ლეიბსაც“. ქვემაგის მნიშვნელობით გვხვდება რაჭულშიც, სადაც **გონაბი** „ქვემაგები ლეიბია“. მეგრულიდან შეთვისებული **ა-გაბან** აფხაზურში მხოლოდ „ლეიბის“ მნიშვნელობით არის წარმოდგენილი (ბუკია 2002: 37). ტერმინი შესულია აბაზურშიც: **გაბან** „ლეიბი“ (აბრლ 1967: 129). საგულისხმოა, რომ **ა-გაბან** სიტყვას დიალექტური სინონიმი გააჩნია და ბზიფურში **ა-წართა** ფორმითაა წარმოდგენილი (ბლაჟბა 1964: 204). **ა-გაბან** სიტყვა გვაქვს აფხაზურ კომპოზიტში **ა-გარაგან** „სპეციალური ლეიბი აკვნისათვის“ (შაყრილი 1986: 132), სადაც **ა-გარა** „აკვანს“ აღნიშნავს (იქვე).

ზეწარი „ლეიბზე გადასაფარებელი დიდი თეთრი ქსოვილი“ (ქეგლ IV: 146) ქართველურ მიკროსისტემებში ასეა წარმოდგენილი: **ზეწარი** (მეგრ.), **ძეწარ** / **ზეწარ** / **ძეწარ** / **ზეწარ** (სვან.). **ზეწარი** ქართულ სინამდვილეში პირველად „ვისრამიანში“ გვხვდება და ქალის სამოსს, კერძოდ, წამოსასხამს აღნიშნავს. ლეიბზე გადასაფა-

რებელი ქსოვილის მნიშვნელობა გვიან შეიძინა (ჯავახიშვილი 1962: 138). მეგრული სონორგანვითარებული ფორმისგანაა მიღებული აბჟურთი **ა-ზანწარ**, ბზიფურში ამ მნიშვნელობით თურქულიდან ნასესხები **ა-შერშაქ** გვაქვს (ბლაჟბა 1964: 205). თურქული წარმომავლობის **ჩარშაქი** / **ჩარჩაქი** ლაზურში „ზეწარსაც“ აღნიშნავს და „მუსლიმი ქალის თავწამოსასხამსაც“.

ორხაო ქეგლ-ის მიხედვით „ორმხრივ ხაოიანი (საფენი, ნოხი)“ (ქეგლ VI: 71), საბასთან **ორხოვა** ფორმითაა წარმოდგენილი (საბა 1991: 607), მეგრულში გვხვდება ფონეტიკური ვარიანტების სახით: **ორხიოლი** / **ორხუუ** / **ორახუ** / **ორხოვა** / **ორხოა** / **ორხუა** „ხალიჩის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ტარხ~აუ** / **ა-ტარხ~ალ** (ჯანაშია 1954: 269) მეგრულიდანაა შესული აფხაზურში. ქ. ლომთათიძე და ა. შაგიროვი ქართულიდან ნასესხობად განიხილავენ (ლომთათიძე 1976: 191; შაგიროვი 1989: 87).

სპარსულიდან ნასესხობაა ქართული **ბალიში** (სპარ. **ბალიშ**) „ბუმბულჩაყრილი თავქვეშ დასადები“ (ქეგლ I: 961) და აფხაზური **ა-ბალგშ** (აბჟ.) „ბალიში“ (ჯანაშია 1954: 63); ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). სიტყვა ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტების სახით ფართოდ არის გავრცელებული ზოგ ენაში: ძველ ინდურში, სომხურში, ოსურში, სლოვენურში, სერბიულში, რუსულში, ძველ პრუსიულში, გოთურში, გერმანულში... (აბაევი 1958: 241). აფხაზურში ქართულიდან ნასესხობას ვარაუდობს პ. ჭარაია (1912: 10). სიტყვის აფხაზურში გავრცელების არეალი (აბჟურთი

დიალექტი) გვავარაუდებინებს, რომ გამსესხებელი ენობრივი ერთეული მეგრულია (ბუკია 1999: 125).

ასევე ნასესხებია ორსავე ენობრივ სისტემაში, ერთი მხრივ, **მუთაქა** „მატყლით (ბამბით...) გატენილი მოგრძო და მრგვალი თავქვეშ სადები“ (ქეგლ V: 1154), **მუთაქა / მურთაქა / მურთაგა** (მეგრ.), **მუთაქა** (სვან.) „მუთაქა“ და, მეორე მხრივ, აფხაზური **ა-ჟანთაქ** (ზზ.) „მუთაქა“ (ბლაჟბა 1964: 224), **ა-მართაქ / ა-მერთაქ** „მუთაქა“ (შაყრილი 1986: 431, 460). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურში სესხების შუალედური რგოლი მეგრულია (შაგიროვი 1989: 147).

აქვე განვიხილავთ სამოსის აქსესუარის აღმნიშვნელ სიტყვებს:

ქისა „[არაბ. **ქისატ**] 1. მომცრო პარკი ფულის ან სხვა წვრილმანი ნივთებისათვის“ (ქეგლ VII: 330), **ქისა** „ქართული არ არის, თალისა ჰქვიან“ (საბა 1991: 376), **ქესა** (მეგრ.) „ქისა“ (ყიფშიძე 1914: 342), **ქესა / ქისა / ქესა** (სვან.) „ქისა“ (საღლიანი 2005: 101) – **ა-ქასა** „ქესა“ (ჯანაშია 1954: 307). გვაქვს სხვა კავკასიურ ენებში: **ქესე** (ხუნძ.) **ქისა** (დარგ., ჩეჩნ., ყაბ.) „ჯიბე“, აქვე განიხილება ოსური **ქესან / ქესან / ქისან** „ქისა“ (აბაევი 1958: 613).

ქოლგა „წვიმისა და მზისაგან დასაცავი ხელში დასაჭერი დასაკეცი მოწყობილობა – ჯოხზე მიმაგრებულ ჩხირებზე გადაჭიმული ქსოვილით“ (ქეგლ VII: 341), **ქოლგა** „(ოსმალ.) საწვიმარი ან სამზებური“ (ჩუბინაშვილი

1887: 1356), **ქორგა** (მეგრ.) „ქოლგა“ (ყიფშიძე 1914: 345), **ქორგა** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 132) – **ა-ქარგა; ა-ჰარგ** ~ „ქოლგა“ (ჯანაშია 1954: 453), **ა-შამსდა** (ზბ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 206); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 51), **ა-ქორგა** (აბჟ.) „ქოლგა“ (კასლანძია 2005: 539).

ჩანთა „[თურქ. **ჩანთა**] ტყავის (ქსოვილის...) მომცრო, მხარზე გადასაკიდებელი (ან ხელში დასაჭერი) პარკი სხვადასხვა ნივთების ჩასალაგებლად“ (ქეგლ VIII: 320), **ჩანთა** „სხვათა ენაა, ქართულად ხილინდარი ჰქვიან“ (საბა 1993: 315) – **ა-ჩანთა** „დაწნული ჩანთა“ (შაყრილი 1987: 519); თურქული სიტყვა გვხვდება სხვა ენებშიც: **ჩანთა** (ლეზგ.), **ცანთა / წანთა** (ოს.) „ჩანთა“ (აბაევი 1958: 288).

ხურჯინი „[სპარ. **ხურჯინ**] ორთვლიანი ნაქსოვი აბგა მხარზე გადასაკიდებელი ან ცხენის უნაგირის ტახტაზე ჩასაკვრელი, ჩვეულებრივ სურსათ-სანოვავის საზიდად“ (ქეგლ VIII: 1532), **ხურჯინი** „თურქეთ(ა) ენაა, ქართულად მახალი ჰქვიან, აბგას – მახალაკი“ (საბა 1993: 435), **ხურჯინი / ხურჯონი / ხუროჯინი / ხურუჯონი** (მეგრ.) „ხურჯინი“ (ყიფშიძე 1914: 30; სამუშია 1979: 157), **ხურჯინ / ხურჯუნ** (სვან.) „ხურჯინი“ (თოფურია 2000: 877) – **ა-ხურჯენ** „ხურჯინი, აბგა“ (ჯანაშია 1954: 425), **ა-ხორჯან** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 373). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზურისთვის ამოსავალია ქართველურიდან შეთვისებული ფორმა. ვ. აბაევი მიუთითებს კავკასიურ

ენებში გავრცელებულ სხვა ფორმებსაც: ყაზ. **ხერჯენ**,
თაბას. **ხურჯ**, ლაკ. **ხხურჯინ**. მათთვის ამოსავალია
სპარსული **ხურჯინ** (აბაევი 1989: 217).

თავი 11. ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის საინტერესო ასპექტს წარმოგვიდგენს ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ამ დარგის ცალკეული სიტყვები სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში განხილულია პ. ჭარაიას, დ. გულიას, ქ. ლომთათიძის, ხ. ბლაჟბას, გ. კლიმოვის, გ. მაჭავარიანის, ა. შაგიროვის და სხვათა მიერ. ცალკე მონაკვეთად აქვს გაანალიზებული თ. გვანცელაძეს ნაშრომში „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ (1997). საკუთრივ აფხაზურ საზღვაო ლექსიკას ეძღვნება ო. ძიძარიას მონოგრაფია „Морская лексика в абхазском языке“ (1989).

შევეცადეთ ერთად მოგვეყარა თავი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებებისათვის, ამავე დროს განვიხილავთ იმ ლექსემებს, რომლებიც მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, ან ჩვენს მიერ შემოთავაზებულია განსხვავებული თვალსაზრისი.

სანაოსნო საშუალებათა აღმნიშვნელი

სიტყვები

ქართველურსა და აფხაზურში საკმაოდ შთამბეჭდავადაა წარმოდგენილი სანაოსნო საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვები. მათი ნაწილი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული:

კანჯო „მომცრო ნავი“ (ქეგლ IV: 1058), **კანჯო** „(თათრ.) მომცრო ნავი“ (ჩუბინაშვილი 1887: 593), **კანჯო** (მეგრ.) „კანჯო; ჭიდან ჩავარდნილი ვედროს ამოსაღები საშუალება“ (ქაჯაია 2002: 107) – **ა-კანჯა** „იალქნიანი გემი“ (ჯანაშია 1954: 141). სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული. გვაქვს აბაზურშიც **კანჯა** ზოგადად „გემის“ მნიშვნელობით (მიძარია 1989: 53). დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ სიტყვა ქართულში თურქულიდანაა ნასესხები, თუმცა თანამედროვე თურქულში ეს სიტყვა არ ჩანს. თუნდაც **კანჯო** წარმოშობით ქართული არ იყოს, აფხაზურ-აბაზურისთვის სესხების შუალედური რგოლი ქართველურია.

ნიში (მეგრ.) „ნავი“ (ყიფშიძე 1914: 290), **ნუშა** „მცირესა ნავსა ეწოდების“ (საბა 1991: 559), **ნიში** / **ნუში** (ლაზ.) „ნავი“ (ნარაკიძე 1986: 85) – **ა-ნემ** „ნავი“ (ჯანაშია 1954: 214); აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან (ჭარაია 1912: 13).

ტივი „ერთიმეორეზე მიწყობით შეკრული დიდი ძელები მდინარეზე დასაცურებლად“ (ქეგლ VI: 1292),

ტივი „ძელნი ერთად შეკრულნი მდინარეზედ სატარებლად“ (ჩუბინაშვილი 1887: 1220) – **ა-ტივი** „ტივი“ (ჯანაშია 1954: 260), **ა-ტვჯ** (მიძარია 1989: 68); აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 149). სიტყვა მხოლოდ აზრულ დიალექტშია წარმოდგენილი.

ნაწილი სიტყვებისა ორივე ენაში ნასესხებია:

სანდალი „მომცრო ნავი“ (ქეგლ VI: 750), **სანდალი** (ძვ. ქართ.) „ნავი“ (აბულაძე 1973: 366); „ნავია მომცრო“ (საბა 1993: 46), **სანდალი** (მეგრ.) „მომცრო ნავი“ (სახოკია 1989: 244) – **ა-ზენდალ** „იალქნიანი გემი“ (ჯანაშია 1954: 114), **ა-ზანდალ** „ხომალდი“ (რალ 1964: 292). ამოსავალია თურქული **სანდალ** „ნავი“ (მაგაზანიკი 1945: 518). სესხების შუალედურ რგოლზე ლაპარაკი რთულია. შესაძლოა, ორივე ენაში დამოუკიდებლად შემოსულიყო, თუმცა ანგარიშგასაწევია ის ვითარება, რომ ეს ლექსემა ჯერ კიდევ ძველ ქართულში ჩანს.

ფილუკა (მეგრ.) „ნავი“ (ყიფშიძე 1914: 336), **ჭელუკა** (ლაზ.), „id.“ (მარი 1910: 240), **ფელუკა** (გურ., იმერხ.) „ნავი“ (ნიკოლეიშვილი 1999: 142), **ფილკუჭ** / **ფილიკუჭა** (სვან.), „id.“ (საღლიანი 2005: 130) – **ა-ჭლიკა** „ნუშა (მცირე ნავი)“ (ჯანაშია 1954: 459). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). ორივე ენაში შეთვისებულია იტალიურიდან თურქულის მეშვეობით: **ფილიკა** „აფრიანი ნავი“ (შაგიროვი 1989: 100).

გემის, ხომალდის ნაწილის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული:

ა-ბერკ`გლ „გემბანის მოაჯირი“ (ძიძარია 1989: 16) აფხაზურში შესულია მეგრულიდან. სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა „მოაჯირი, ნაგებობის ნაწილია“, ამიტომაც ლექსემა შესაბამის სემანტიკურ ჯგუფშია განხილული (ბუკია 2012: 94).

ა-გან „გემის ბორტი“ (ძიძარია 1989: 16). აფხაზურში **ა-გან** „განი, სიგანე“ ქართულიდან შეთვისებულად ითვლება (ჭარაია 1912: 13); „გემის ბორტის“ მნიშვნელობა აფხაზურში მეორეულია. საკუთრივ **განი** პირვანდელი „სიგანის“ მნიშვნელობით ქართულიდან შესულია აფხაზურში **გან** სახით (შაგიროვი 1989: 139).

აზრთა სხვადასხვაობისა და დავის საგანია ქართული **აფრა** და აფხაზური **ა-ფრა** „აფრა, იალქანი“ სიტყვების ურთიერთმიმართების საკითხი. სიტყვა „იალქნის“ მნიშვნელობით ძველ ქართულში უკვე ჩანს (აბულაძე 1973: 11). ო. ძიძარია ნ. მარზე დაყრდნობით სიტყვას უკავშირებს აფხაზურ **ა-ფრგრა** „ფრენა“ ძირს (ძიძარია 1989: 14). ქ. ლომთათიძე მიუღებლად მიიჩნევს **ა-ფრა**-ში **ა-** ზოგადობის აფიქსის გამოყოფას. ის შესაძლოა იყოს ქართულში ფართოდ გავრცელებული ***სა-**პრეფიქსის თანხმოვანჩამოშორებული, ხმოვნითი ელემენტი, ისე როგორც **ა-დგილ** სიტყვაში, რომელიც

უნდა მომდინარეობდეს სრული *სა-დგილ სახეობიდან. ფუძე კი ხმაბაძვითია, ისევე როგორც ქართულში (ლომთათიძე 1999: 26).

თევზის სახეობებისა და სათევზაო საშუალებების აღმნიშვნელი სიტყვები

ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ აფხაზები ძველად თევზეულს არათუ პატივს არ სცემდნენ და გამოიყენებდნენ, არამედ „ეზიზღებოდათ“ კიდეც (ბახია-ოქრუაშვილი 2011: 72). პ. ჭარაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კიბოს და სხვ. აფხაზი არ მიეკარება; თევზსაც ძლიერ ერიდება, მხოლოდ ახლა ცოტ-ცოტა შეეჩვია“ (ჭარაია 2011: 31). საგულისხმოა, რომ ეს ეთნოგრაფიული ჩანაწერი გაკეთდა 1870-იან წლებში.

თ. გვანცელაძე თავის ნაშრომში „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“ მიუთითებს: „იქტიოფაუნის აღმნიშვნელ არცთუ მდიდარ აფხაზურ ლექსიკაში ქართველიზმების დიდი ხვედრითი წილია. რაც მთავარია, ლექსიკის ამ ჯგუფში ქართველური (მეგრული და ქართული) წარმოშობისაა სწორედ თევზის იმ სახეობათა სახელები, რომლებსაც თევზისმჭამელ ეთნოსთა შორის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და გამოირჩევიან საკვები ღირსებებით: **ა-ღლამ** „ლოქო, ღლავი“, **ა-კალმახ** / **ა-კამლაჰ(ა)** „კალმახი“, **ა-ჟ(ა)ლაგ'გლ** / **ა-მლაგ'გრ** „ორაგული“, **ა-ღ'არჯა** „ღორჯო“, **ა-წ'ერედ** / **ა-წ'ერედ** / **ა-წარედ** „წვერა“, **ა-ჟ'გნთხ** „ზუთხი“ (მეგრ.

ზუნთხი), ა-შ^ეყ^ა / ა-შ^იყ^ა / ა-შ^იყ^ა „სვია, ქამბალა, ტაბაკა“, ზედმ. „ბრტყელი სვია“ (გვანცელაძე 1997-ა: 221).

ღლაგ-ს მეგრულში გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: **ღლამცალ კოჩი** „ძლიერი, ჯანიანი კაცია“. იგივე მნიშვნელობით გადასულა აფხაზურშიც: **ა-ღლამ** „უდიდესი ძალის მქონე ზღაპრული არსება“ (გენკო 1998: 77; კასლანძია 2005: 321), **ა-საღლამ** „id.“ (კასლანძია 2005-ა: 160). აფხაზურში **ა-ღლამ** ლექსემას „ზვიგენის“ მნიშვნელობაც აქვს (ძიძარია 1989: 48). სიტყვა გვხვდება აფხაზური ტოპონიმის ნაწილად: **აღლამიხაშიზ** „სადაც ღლავი მოკლეს“ – მორევი ღალიძგაზე, სოფ. კაციჰაბლაში (ცხადაია 1999: 228).

კალმახი „შავ- და თეთრხალებიანი თევზი“ (ქეგლ IV: 1036), **კალმახი / კალმახა** „კალმახი“ (საბა 1991: 349), **კალმახა** (მეგრ.) „კალმახი“ (ყიფშიძე 1914: 251), **კალმახ / კალმანხ / კალმახუ** (სვან.) „1. კალმახი, 2. თევზი“ (თოფურია 2000: 342) ნასესხები აქვს აფხაზურს **ა-კალმახ / ა-კალმაჰა** (ჯანაშია 1954: 140) სახით; ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 11). ნ. მაჭავარიანის მითითებით, აფხაზურში (ზზიფურში) **ა-კამლაჰ**, ზოგადად, „თევზს“ ნიშნავს, ისევე, როგორც სვანურში (მაჭავარიანი 2010: 101).

ღორჯო „პატარა მსხვილთავიანი მოშავო ფერის თევზი“ (ქეგლ VII: 566), **ღორჯო** „თევზია“ (ჩუბინაშვილი 1887: 1365) – **ა-ღარჯა** „ღორჯო“ (შაყრილი 1986: 190); აფხაზურში შესულია მეგრულიდან – ქართველურმა **ღო**

მარცვალმა აფხაზურში მოგვცა ლა კომპლექსი, აუსლაუტის ო კი გადაიქცა ა-დ (გვანცელაძე 1997-ა: 221).

ორაგული „მოზრდილი თევზი ქაშაყისებრთა რიგისა“ (ქეგლ VI: 34), **ორაგული** „თევზი“ (საბა 1991: 604), **ორაგული** (მეგრ.) „ორაგული, დიდი თევზი ერთი“ (ჭარაია 1997: 108) აფხაზურში **ა-შალაგ°გლ** „ორაგული“ (ჯანაშია 1954: 264), **ა-მლაგ°გრ** (ბზ.) (შაყრილი 1986: 444), **ა-მალაგ°გლ** „id.“ (გვანცელაძე 2003-ა: 192) ფორმებითაა შესული. აფხაზურისთვის ამოსავალია ქართული ფუძე (შაგიროვი 1989: 143). ბზიფურისთვის შუალედური ფორმა აბჟურია (ძიძარია 1989: 57).

წერედი „თევზის სახეობა, წვერა“ (ბლაჟბა 1964: 216), **წვერედი / წვერენდი** „წვერა“ (ყიფშიძე 1914: 378), **წვერადი / წვერადა** (გურ.) „წვერა“ (დლონტი 1984: 700) – **ა-წერედ / ა-წარედ** (აბჟ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 216), **ა-წერედ/ა** „id.“ (შაყრილი 1987: 401); სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (ბლაჟბა იქვე, შაგიროვი 1989: 143). აფხაზურისთვის უჩვეულო ვოკალიზმი (ე ხმოვნის არსებობა) მიგვანიშნებს გვიანდელ ნასესხობაზე.

ზუთხი „ერთგვარი მსხვილი ძვლოვან-ხრტილოვანი თევზი“ (ქეგლ IV: 183), **ზუნთხი** (მეგრ.) „ზუთხი“ (ყიფშიძე 1914: 238) – **ა-ჟუნთხ** „ზუთხი“ (ჯანაშია 1954: 229); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (მაჭავარიანი 1966: 166). ზუთხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, მ. ჩუხუას ვარაუდით, აფხაზური ფორმა გვაფიქრებინებს, რომ ზანურში შიშინა ***ჟუნთხი**

ვარიანტიც უნდა გვექონოდა (ჩუხუა 2000-2003: 105), ჩვენი მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ სესხებისას აფხაზური ფონოტაქტიკა ქართველურ სისინა **ზ**-ს აფხაზურში შიშინა **ჟ**-დ აქცევს; შდრ. **ზუგდიდი** > **ჟერგით**, **ზურაბი** > **ჟერაბ**. შესაბამისად, აფხაზური ფორმისთვის **ზენ**-იანი ფორმაა ამოსავალი.

სვია „დიდი ზომის თევზი ზუთხისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 1005), **სვია** „თევზია“ (ჩუბინაშვილი 1887: 1166) – **ა-შეყა** / **ა-შეყა** / **ა-შეყა** „სვია, ქამბალა, ტაბაკა“ (გვანცელაძე 1997-ა: 221), ზედმ. „ბრტყელი სვია“ (გვანცელაძე იქვე). აფხაზური ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია.

ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზური **ა-ტოფ** „თევზის სახეობა“ (მიძარია 1989: 62). ამოსავალია **ტოფი** / **ტობი** „თევზის სახეობა, კოლხური კობრი“, **ტოფი** / **ტიფუ** (მეგრ.) „თევზის სახელწოდება“ (ყიფშიძე 1914: 330). მეგრული **ტოფი** ქართული **ტაფელა**-ს („პატარა წითელი თევზი“) შესატყვისად მიიჩნევა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 429). ეს სიტყვაა საფუძველი ქართველური **ტოფობა** „ქვირითის დაყრა“ (ქეგლ VI: 1327), **ტობობა** / **ტოფობა** (იმერ., ლეჩხ.) „თევზის მიერ ქვირითის დაყრის პერიოდი“ (ლლონტი 1984: 514, 516), **ტოფუა** (მეგრ.) „ქვირითის დაყრა“ (ჭარაია 1997: 129), **ტოქობ** (სვან.) „თევზთა განაყოფიერება; ტოქება“. ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-ტოფრა** „თევზის ამოხტომა წყლიდან ტოფისკენ მიმავალ გზაზე“ (ბლაჟბა 1964: 216), „ქვირითობა“ (მიძარია 1989: 62), **ა-ტაჟფრა** „id.“ (გენკო

1998: 230). ო. ძიძარია გვთავაზობს სრულიად გაუგებარ სემანტიკას და ეტიმოლოგიას, თუმცა იქვე ეჭვქვეშ აყენებს თავის შეხედულებას და მიუთითებს, რომ აუხსნელია ო ხმოვნის გაჩენა აფხაზურ სიტყვაში (ძიძარია 1989: 62). ა. შაგიროვის მითითებით, სიტყვა აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 142). მეგრული **ოტოფე** „სატოფე, თევზის ტოფობის ადგილი“ დასდებია საფუძვლად აფხაზურ ტოპონიმს **ჭატაფ** – ლალიძგის მარცხენა შენაკადი და მისი ხეობა (ოჩამჩ.). ტოპონიმთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს აფხაზი ინფორმატორი: „ტაფ არის თევზი. ლალიძგიდან ვატაფის შუა წელამდე ამოდის ქვირითის დასაყრელად“ (ცხადაია 2004: 113).

ქართველურიდანაა ნასესხები აფხაზურში **ა-კვრთ** „ქვირითი“ (ჯანაშია 1954: 154), **ა-ქვრით** (ბზ.), **ა-ქვლით** (აბჟ.), „id.“ (ბლაჟბა 1964: 216); სესხების ამ მიმართულებას აღნიშნავს ა. შაგიროვი (შაგიროვი 1989: 146). დავაკონკრეტებთ, რომ აბჟურული ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული, ბზიფური – ქართულიდან (ბუკია 2010: 31).

ვვარაუდობთ, რომ ქართველურიდან (/ქართველურის მეშვეობით) უნდა იყოს შეთვისებული აფხაზურში თევზის სახეობების აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც: **ა-კამპვლა** (აბჟ.) „თევზის სახეობა“ < **კამპულა** (მეგრ.) „თევზის სახეობა, ქამბალა“; **ა-ქაფვრ** „კეფალი“ (კასლანძია 2005: 542) < **კეფალი** / **კიფალი** (მეგრ.) შდრ. ბერძ. **κεφαλος** „კეფალი“. შესაძლოა, ამავე რიგში განვიხილოთ აფხაზური **ა-ტარან** „ტარანი“ (რალ 1964: 567)

< **ტარანი** „საშუალო ზომის თევზი კობრისებრთა ოჯახისა“ (ქეგლ VI: 1254).

ო. ძიძარას მითითებით, ვ. კვარჭია **ა-ბარზალ** „სვია“ ლექსემას უკავშირებს მის ომონიმს **ა-ბარზალ** „ძველი საკულტო და საომარი იარაღი“ (ძიძარია 1989: 46). მართალია, ამ ლექსემათა სემანტიკურად დაკავშირება რთულია, მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ **ა-ბარზალ** „ბოძალი“ აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2012-ა: 24).

აქვე განვიხილავთ წყლის სხვა ბინადართა ქართველურ-აფხაზურ სახელწოდებებს:

კიბო „1. წყლის ათფეხა ცხოველი, სხეული დაფარული აქვს მაგარი ქიტინოვანი საფარველით. 2. მედიც. ქრონიკული ავთვისებიანი სიმსივნე ერთგვარი“ (ქეგლ IV: 1194), **კიბო** „ასთაკივი“ (ჩუბინაშვილი 1887: 611), **კიბოია** (მეგრ.) „კიბოჩხალა“ (ყიფშიძე 1914: 257) – **ა-კიბეია** „კიბო“ (უსლარი 1887: 142); **ა-კ-გზა** (სამედ.) „კიბო“ (რალ 1964: 491); **ა-კ-აზაია** (აბჟ.) „id.“ (კასლანძია 2005: 518). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 143). **ა-კ-გზა** „კიბოს, სიმსივნის“, სამედიცინო ტერმინის მნიშვნელობით მეორეულია ისევე, როგორც ქართველურში და სალიტერატურო ქართულიდანაა შეთვისებული, პირველადი მნიშვნელობით კი – მეგრულიდან.

კუ „1. ქვეწარმავალი, რომლის ბრტყელი სხეულიც დაფარულია ძვლოვანი ბაკნით“ (ქეგლ IV: 1397), **კუ** „ბაღა“ (საბა 1991: 391), **კუ** (მეგრ.) „კუ“ (ქაჯაია 2002: 163), **კუ** (სვან.) „კუ“ (საღლიანი 2005: 20) – **ა-კუჭა** „კუ“ (ჯანაშია 1954: 155). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). ქართულიდან აფხაზურში შესული სიტყვა (შაგიროვი 1989: 143) გვხვდება ტოპონიმებშიც: **აკუათრა** „საკუვე ადგილი“ – ლალიძის მარცხ. შენაკადი (ცხადაია 1999: 227).

ლაჭაჭია (მეგრ.) „კიბორჩხალა“ (ქაჯაია 2002-ა: 170), **ლაჭაჭა/ე** (იმერ.) „კიბორჩხალა“ (ბერიძე 1912: 63) – **ა-დალაჭია** / **ა-დელაჭია** „კიბორჩხალა, კირჩხიბი“ (ჯანაშია 1954: 93, 99), **ა-დელაჭა** (ზზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 229), **ა-ლაჭკედა** (აბჟ.) „id.“ (გენკო 1998: 76), **ა-ლალაჭია** (აბჟ.) „id.“ (კასლანძია 2005: 319). ერთი შეხედვით **ა-დალაჭია** აფხაზური **ა-დაღ** „ბაყაყი“ და მეგრული **ლაჭაჭია**-ს კონტამინაციას ჰგავს (ძიძარია 1989: 49). ნ. გენკოს და ვ. კასლანძიას მიერ მითითებული ფორმა მეგრულიდან ნასესხობაა (ბუკია 2010-ა: 9).

წურბელა „1. პარაზიტი, სისხლის მწოველი ჭია. 2. კუთხ. (გურ.) საქონელი, რომელსაც ზურგზე თასმასავით თეთრი ზოლი აქვს გაყოლებული“ (ქეგლ VIII: 1181), **წურბელი** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 552), **წურბელი** „მძრომი“ (საბა 1993: 388), **წურბელი** (მეგრ.) „წურბელა“ (ჭარაია 1997: 168), **წურბელ** (სვან.) „წურბელა“ (ავალიანი 1995: 67) – **ა-წგრბელ** „წურბელა“ (ჯანაშია 1954: 388), **ა-წარბელ** „id.“ (რალ 1964: 418); სიტყვა

ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (მაჭავარიანი 1966: 168), გვხვდება ტოპონიმშიც: **აწურბელთრა** / **აწულბელთრა** – გუბე კეკვაჩიკვარის მარც. ნაპირას (ცხადაია 1999: 228); სიტყვა გვხვდება ცხენის შეფერილობის აღსანიშნადაც: **აბლა აწარბელგქდან** „ცხენი, რომელსაც ზურგზე შავი ზოლი გასდევს“ (ამიჭბა 1975: 118); კომპოზიტში ქართველურიდან შეთვისებული **აწარბელ** გვაქვს (ბუკია 1999: 77). აფხაზური კომპოზიტის მნიშვნელობა უახლოვდება ქეგლ-ის განმარტებას: „საქონელი, რომელსაც ზურგზე თასმასავით თეთრი ზოლი აქვს გაყოლებული“.

აფხაზურ **ა-გლშაპ** სიტყვას, გარდა ამოსავალი („გველქაპი“) მნიშვნელობისა, „ნიანგის“ სემანტიკაც შეუძენია (მიძარია 1989: 47). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 12). აფხაზურში შესულია მეგრულიდან (გვანცელაძე 1997-ა: 221).

სათევზაო საშუალებების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი აფხაზურში ქართველურიდანაა შეთვისებული:

ანკესი „თევზის საჭერი წვრილი, წვეტიანი კაუჭი რკინისა“ (ქეგლ I: 505), **ანკესი** „წვრილი ნემსკავი“ (საბა 1991: 57), **ანკესი** / **ანკეცი** / **არკეცი** (მეგრ.) „ანკესი“ (ციფშიძე 1914: 197), **ანკესი** / **ანკეცი** (ლაზ.) „id.“ (მარი 1910: 126, ნარაკიძე 1986: 82), **ანკეს** (სვან.) „id.“ (საღლიანი 2005: 14) – **ა-რკ~გც** (აბჟ.), **ა-წგ~გზ** (ზზ.) „ანკესი“ (ბლაჟბა 1964: 221); **ა-რკ~აც** (მიძარია 1989: 62), **ა-ნკ~გც** ფორმა გვხვდება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში. ეს სიტყვა

ქართულიდანაა ნასესხები, ხოლო აბჟუური ფორმა – მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 143). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ბზიფურში „ანკესი“ საკუთრივ აფხაზური ფორმითაა გადმოცემული. ქართველურენოვან სივრცეში სიტყვა ბერძნულიდანაა შემოსული.

დარჩი (მეგრ.) „თევზის საჭერი, წნელით დაწნული ღარისნაირი მახე“ (ქაჯაია 2001: 439) – **ა-დარჩ** „თევზის საჭერი, ძირისკენ დაწვრილებული კალათი“ (კასლანძია 2005: 335), **ა-დარაჩ** „id.“ (ძიძარია 1989: 49). ო. ძიძარია განიხილავს **ა-დარაჩ** ფორმას და ამბობს, რომ სპეციფიკური ბზიფური სიტყვაა, რომლის წარმომავლობაც უცნობია. რეალურად, ბზიფურისთვის ამოსავალია მეგრულიდან შეთვისებული აბჟუური **ა-დარჩ** (ინტერკონსონანტურ პოზიციაში -ა-ს გაჩენისთვის შდრ. **პრასა** > **ა-პარასა**). ეს უკანასკნელი ბზიფური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული.

კუნო (მეგრ.) „თევზის საჭერი კალათი“ (ყიფშიძე 1914: 262) – **ა-კუნა** „ფაცერი, გოდორი“ (ჯანაშია 1954: 154). ო. ძიძარია აფხაზური ტერმინის განხილვისას აღნიშნავს, მისი წარმომავლობა გაურკვეველია. ჩვენი აზრით, სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული. ფონოტაქტიკის წესები ზედმიწევნითაა დაცული: მეგრ. (resp. ქართველური) **კუ** > აფხ. **კ^ჲ**, შდრ. ქართ. **კუბო** > აფხ. **ა-კ^ჲბა**, აუსლაუტის ო > ა. შდრ.: ქართ. **გემო** > აფხ. **ა-გ^ჲამა**.

ქუფე (მეგრ.) „ფრინველის, ცხოველის დასამწყვდე-
ვი გალია“ (ჭარაია 1997: 143), „დაწნული გოდორი“
(ჯავახიშვილი 1986-ა: 213), **ქუფ** (სვან.) „1. დაწნული
კიღობანი; 2. ბუდე; 3. ყველის შესანახი მოგრძო
ჭურჭელი“ (საღლიანი 2005: 124) – **ა-ქუფა** „კონუსის
ფორმის კალათი თევზის დასაჭერად“ (კასლანძია 2005:
577). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).
აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია
2010-ა: 9).

ზღვასთან დაკავშირებული სხვა სიტყვები

ბოლაზი „[თურქ. **ბოლაზ**] „ყელი“, „სრუტე“]
„ნავსადგური“ (ქეგლ I: 1113), **ბოლაზი** (გურ.) „ტივების
მისადგომი, ნავსადგური“ (ღლონტი 1984: 83), **ბოლაზი**
(მეგრ.) „უბე, ყურე“ (ქაჯაია 2009: 52) – **ა-ბაღაზა** „პორტი“
(რალ 1964: 66). ორივე ფორმისთვის ამოსავალია
თურქული **boğaz** „სრუტე, არხი“ (მაგაზანიკი 1945: 82).
სესხების შუალედურ რგოლზე საუბარი ძნელია. სიტყვა
შედარებით ახალ ნასესხობას ჰგავს, შესაძლებელია,
ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შესულიყო
ქართველურსა და აფხაზურში.

კენჭი „წვრილი, თხილისოდენა ქვა“ (ქეგლ IV:
1142), **კენჭი** „მცირე ქვათაგანი“ (საბა 1991: 366) – **ა-კანჭ**
„კენჭი“ (ჯანაშია 1954: 161); სიტყვა აფხაზურში
ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). ო.

მიძარია ამავე რანგში განიხილავს **ა-ბლანჭ** ფორმას და მიუთითებს, რომ სიტყვის ეტიმოლოგია გაუგებარია, თუმცა აღნიშნავს, რომ ჰგავს რამდენიმე კავკასიურ ენაში გავრცელებულ სიტყვას: ქართ. **კენჭი**, ხუნდ. **განაჭ** „ქვა“ (მიძარია 1989: 47).

ლევი „თხლე ნოტიოთა ძირს დალევილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 647), **ლევი** (გურ.) „შლამი“ (ლლონტი 1984: 328), **ლევი** (მეგრ.) „შლამი“ (ქაჯაია 2002: 190) – **ა-ლგვ** „ლამი, შლამი“ (ჯანაშია 1954: 179); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976: 170).

ტალღა „წყლის რხევითი მოძრაობით გამოწვეული ამონაზნეჟი ზედაპირზე, – ზვირთი“ (ქეგლ VI: 1239), **ტალღა** „ღელვა წყლისა, ზვირთი, მოქცევი წყალთა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1214) – **ა-დაღვა** „ტალღა, ზვირთი“ (ჯანაშია 1954: 92). სიტყვა თურქულიდანაა ნასესხები. შდრ. **dalga** „ტალღა“ (მაგაზანიკი 1945: 129). ო. მიძარია მიუთითებს, რომ სიტყვა დაცულია მხოლოდ აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში (მიძარია 1989: 49), თუმცა ბ. ჯანაშიას მითითებული აქვს თავის ლექსიკონში.

ფონი „მდინარეზე გადასასვლელი ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი“ (ქეგლ VII: 145), **ფონი** „მდინარის გასავალი“ (საბა 1993: 196), **ფონი** (მეგრ.) „გადასასვლელი მდინარეზე, სადაც თავთხელია“ (ქაჯაია 2002-ა: 107) – **ა-ფან** „ფონი“ (ჯანაშია 1954: 273); სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული (ლომთათიძე 1976:

51). **ა-ძაფან** (ბლაჟბა 1964: 97) ჰიბრიდული კომპოზიტია. ქართველური სიტყვა გვხვდება აფხაზურ ტოპონიმებში: **აყვარჩაფანი** – სოფელი ღალიძგის მარცხ. ნაპირას; **მარკოზიფანი, მიხაიფანი, შეგვიფანი** – ფონები და მორეგები ღალიძგაზე (ცხადია 1999: 228), **ხაპა იფანი** – ფონი ოხურეში (ცხადია 2003: 216).

ყორე „1. ქვისა და მისთ. გროვა. 2. უკიროდ, უტალახოდ ნაგები ქვის კედელი“ (ქეგლ VII: 568), **ყორე** (ძვ. ქართ.) განუმარტავია (აბულაძე 1973: 467), **ყორე** „უტალახოდ ლიტონის ქვით ნაშენები“ (საბა 1993: 269), **ყორე** (მეგრ.) „ყორე (შეშის ან ქვის ზვინი)“ (ჭარაია 1997: 148) – **ა-ყარა** „რიყე“ (უსლარი 1887: 157). აფხაზური სემანტიკა უტოლდება ქეგლ-ის პირველ განმარტებას: „ქვისა და მისთ. გროვა“. პ. უსლარის აზრით, სოხუმის სახელწოდება **აყვა** სწორედ ამ სიტყვიდან უნდა მოდიოდეს – ქალაქს აკრავს ქვებით ჩახერგილი სანაპიროს დიდი ზოლი (იქვე). ბზიფური **ა-ყარგ**-სთვის ამოსავალია **ა-ყარა** (ბლაჟბა 1964: 125). გვხვდება ტოპონიმად: **აყვარა** – სახნავეები ღალიძგის ნაპირას (ცხადია 2003: 144).

ზღვასთან დაკავშირებულ ლექსიკურ ჯგუფში განვიხილავთ ჰიბრიდულ კომპოზიტებს: **ა-დგელბჟახა** „კუნძული“, რომელიც ეტიმოლოგიურად ნიშნავს „მიწის შორის მდებარეს“, ხოლო „მიწა“ გადმოცემულია ქართული **ადგილ-** ფორმით, ასევე **ა-დგელჩაგ** „ნახევარკუნძული“, რომელიც იმავე **ადგელ** ფორმას შეიცავს.

ზღვასთან, მდინარესთან და იქტიოფაუნასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა კარგად წარმოგვიდგენს იმ ყოფით და კულტურულ ურთიერთობებს, რომელიც ამ ორ ეთნოსს შორის ისტორიულად იყო ჩამოყალიბებული.

დასკვნის სახით მოვიყვანთ ამონარიდს თ. გვანცელაძის მონოგრაფიიდან „აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება“: „აფხაზურ წარმართულ პანთეონში არ დასტურდება არც ზღვის, არც ზღვაოსნობის, არც თევზთა მფარველი სულები თუ ღვთაებები, რაც კიდევ ერთი უტყუარი საბუთია იმისა, რომ აფხაზთა წინაპრები შავი ზღვის სანაპიროზე არ ცხოვრობდნენ გვიან შუა საუკუნეებამდე“ (გვანცელაძე 2011: 348).

თავი 12. ლანდშაფტთან დაკავშირებული ლექსიკა

ლანდშაფტთან დაკავშირებულ საერთო ქართველურ-აფხაზურ ლექსიკაში თითქმის თანაბარი რაოდენობით ფიქსირდება ურთიერთნასესხობანი, აფხაზური ლექსიკა გავრცელებულია მეგრულში, აფხაზიზმები გვხვდება ლაკადაში, მთიან სამეგრელოში.

ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული ტერმინებია:

ადგილი „1. სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო. 2. მამული...“ (ქეგლ I: 112), **ადგილი** (ძვ. ქართ.) „საცხოვრისი, სამყოფი“ (აბულაძე 1973: 2), **არდგილი** (გურ.) „ადგილი“ (იმნაიშვილი 2006: 320), **არდგილი** (მეგრ.) „id.“ (ყიფშიძე 1914: 196), **ადგილ / ადგილ** (სვან.) „ადგილი“ (თოფურია 2000: 107) – **ადგილ** „ადგილი, მიწა“ (უსლარი 1887: 130); ფორმა **ადგ~გლ** გვაქვს აბაზურშიც (ლომთათიძე 1976: 60); სიტყვები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 12); სიტყვა ხშირად გვხვდება აფხაზურ კომპოზიტებში: **აფს-ადგ~გლ** „სამშობლო“ (ჯანაშია 1954: 247), **აფს'ადგ~გლ** (ზზ.) „id.“ (შაყრილი 1986: 10), ზედმ. „აფხაზეთის ადგილი, ქვეყანა“; სხვა კომპოზიტები: **ადგ~გლწა** „მიწავაშლა“ (გვანცელაძე 1997-ა: 208); **ადგ~გლბჟახა** „კუნძული“ (ძიძარია 1989: 49),

ა-დგ~ღლჩაგ^ა „ნახევარკუნძული“ (იქვე). ა-რხადგ~ღლ „დაბლობი“ (კასლანძია 2005-ა: 136). გვხვდება აფხაზურ ტოპონიმებში: კუკულიდგილ – სახნავი, ქვაჩალიდგილ – ტყე, გუჯიადგილ – მინდორი, დათაიდგილ – სამოვარი, შაშიადგილ – სახნავი, ბახვიადგილ – სამოვარი, ყვებანიადგილ – ფერდობი... (ცხადაია 1999: 227), დენფჰალადგილ – მინდორი კაციჰაბლის საზღვართან (ცხადაია 2003; 60), ხემზაბ ლადგილ – სახნავი ლამკაცის მარც. მხარეს (იქვე: 220).

აღმართი „დაქანებული ადგილი – ქვევიდან მაყურებლის თვალსაზრისით“ (ქეგლ I: 760), აღმართი „ქვევიდან ასავალი, შეღმართი“ (ჩუბინაშვილი 1887: 66) – ა-მარდა „აღმართი“ (უსლარი 1887: 148); ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 29).

დარანი „გამოქვამული კლდეში ან მიწაში“ (ქეგლ III: 615), დარანი „კლდეში, ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი“ (საბა 1991: 197), დარანი (მესხ., ჯავახ., ხევს., ფშ., მოხ., ოკრიბ., ქიზიყ., მთიულ.) „1. მიწის ქვეშ ხელოვნურად გაყვანილი საიდუმლო ხვრელი, რომელსაც ძველად სამალავად იყენებდნენ; 2. ციხის სარდაფი, რომელსაც გარედან კარი არ აქვს“ (ღლონტი 1984: 183), დარანი (მეგრ.) „დარანი, გვირაბი წყლის დონისა, წყალქვეშა ბუდობი თევზებისა, ნაპრალი, გამოქვამული კლდეში, წყალში“ (ქობალია 2010: 235) – ა-დამრა „აკლდამა“ (ჯანაშია 1954: 92); აფხაზურისთვის ამოსავალია ქართული დარანი (< დარან < *დამრან < *დამბრან < *დამბარან). ფორმები შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ

(ლომთათიძე 1997-ა: 3). ბზიფური **ა-დგმრა** მეორეულია < **ა-დამრა** (ბლაჟბა 1964: 121).

პაპანწყვილი / პაპანწყვირი „წყლიანი ორმო; საშიში გუბე ძნელად გადასასვლელი; სახიფათო გზა, ადგილი“ (ქაჯაია 2002: 475) – **ა-პაპანწყვრ** „გაიძვერა“ (ბლაჟბა 1964: 118), „1. ჯოჯოხეთი, ქვესკნელი, 2. საშინელი, ძნელად მისაღწევი ადგილი, 3. საშინელება“ (კასლანძია 2005-ა: 43). ვ. კასლანძიას ლექსიკონში სიტყვას ახალი, მანამდე უცნობი სემანტიკა აქვს შეძენილი, რომელიც ახლოს დგას მეგრულ მნიშვნელობასთან (ბუკია 2010-ა: 10). **პაპანწყვილი** ტბის სახელწოდებაცაა აფხაზეთში (ჯანაშია 1960: 17), ისევე როგორც სამეგრელოში, ხობის რ-ნში მდებარე ტბას ჰქვია **პაპანწყვილი**.

საზღვარი „ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ჰყოფს ურთიერთისაგან, – მიჯნა, ზღვარი“ (ქეგლ VI: 596), საზღვარი „სამზღვარი, სამანი, მიჯნა“ (ჩუბინაშვილი 1887: 1070), **სანძლო** (მეგრ.) „საზღვარი“ (ჭარაია 1997: 122), **სამძლუწარ** (სვან.) „საზღვარი“ (თოფურია 2000: 695) – **ა-სანძლგ** (აბჟ.) „საზღვარი“ (რალ 1964: 159), **ა-ჰაა** (ბზ.) „id.“ (ბლაჟბა 1964: 221); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 152).

საფარი „1. გადასაფარებელი. 2. რაც ფარავს, იფარავს, მალავს, იცავს. 3. თხრილი ან საგანგებო ადგილი შესაფარებლად“ (ქეგლ VI: 839), **საფარი** „შესაფარებელი ადგილი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1126) – **ა-საფარა** „ჯებირი“

(ჯანაშია 1960: 118), **ა-საფარ** „ხერგი, ზვაგი“ (რალ 1964: 204), „საფარი“ (შაყრილი 1987: 117). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13).

ტლაპო „თხელი ტალახი, ლაფი“ (ქეგლ VI: 1309), **ტლაპო** „თხელი ტალახი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1224), ტყლაპო (იმერ.) „id.“ – **ა-ტყაპ** „ტალახი, ლაფი, ტლაპო“. სიტყვა აფხაზურში ქართულიდანაა (იმერულიდან) შეთვისებული მეგრულის მეშვეობით, რაზეც მიგვითითებს მეგრული რბილი **ლ** თანხმოვნის მიერ პალატალიზებული **ყ** თანხმოვანი (გვანცელაძე 1998-ა: 105).

აფხაზურიდანაა შემოსული მეგრულში შემდეგი სიტყვები:

აზმახი (მეგრ.) „გუბე, ტბორი, გამოყენებულია საქონლის სარწყულებლად სამეგრელოს მთიანეთში“ (ელიავა 1997: 12), **აძმახი / აძმახე** „გუბე“ (ქაჯაია 2001: 204), **ადმახე** „დაგუბებული პატარა ღრმა წყალი“ (ქაჯაია 2009: 20), **აზიმახი** „id.“ (ქობალია 2010: 9) – **ა-ძმახ** „ჭაობი, ჭანჭყობი“ (ჯანაშია 1954: 375; რალ 1964: 57); სიტყვა მეგრულში შემოსულია აფხაზურიდან (ბუკია 2002: 53). **ფართო აძმახი, დიდაზმახი, ჭუბურაძმახი** (ცხადაია 1999: 52), ასევე **ეკუხონაშ აზმახი, შვამახიაშ აძმახ, წიფერაშ აძმახ, ჯვარიშ აძმახ, ორადილ აძმახი** (ცხადაია 1999-ბ: 52) ჰიბრიდული ტოპონიმებია (ბუკია 2007-ა: 51), **ა-ძმახ** კომპონენტის ტოპონიმებია აგრეთვე **ურწყანაძმახ** – ნატბევარი საბულესკირიო-ანარის გზაზე (ცხადაია 2003:

179), **ჩამ(3)ააძმახ** – სამოვარი ღუმურიში-ოჭაკეს გზაზე (იქვე: 197), **ორსყანაძმახ** – „ორსყანის გუბურა“, გუბე აგვავერა-ანარის გზაზე (იქვე: 128).

ახრა (მეგრ.) „ციცაბო, შვეულკლდოვანი მთა; ჭიუხი“ (ქაჯაია 2001: 208) – **ა-ხრა** „ციცაბო კლდე“ (ჯანაშია 1954: 416). გვხვდება ჰიბრიდული კომპოზიტის ნაწილად: **ახრაწყარი** – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელია (ცხადაია 2003: 12), **აბძაკვარაშ ახრა** – ჭიუხები აბძაკვარის სათავესთან (იქვე). ამ უკანასკნელში სინტაგმის ორივე წევრი აფხაზურია, მაგრამ კავშირი მათ შორის მეგრული მართვის პრინციპითაა გაფორმებული, შესაბამისად ჰიბრიდულ კომპოზიტად ვთვლით. აგრეთვე **ახრაშქვინჯი / ახრაშწა** „კლდის ძირი“ – კლდის ძირები ყვარათბაში (ცხადაია 2003: 36), **ახრაშ წყურგილი** – წყარო ახრაში (იქვე), **გორღამილი ახრა** „დაღარული კლდე“ – კლდეები (იქვე: 54), **მიკოთოლირი ახრა** – პიტალო კლდე ახრაჯარაში (იქვე: 97), **ჭითა ახრა** – ტყე, კლდეები ოფუჯესა და ოჭაკეს შუა (იქვე: 211).

აჰაფუ-ფოქვა (მეგრ.) „გამოქვაბული, კლდიანი ადგილი, ქვაბი“ (ჭანტურია 1996: 228), **აჰაფუ** „გამოქვაბული, კლდიანი ადგილი, ქვაბი“ (ქაჯაია 2009: 43) – **ა-ჰაფუ** „გამოქვაბული, მღვიმე“ (ჯანაშია 1954: 454). მეგრული ტერმინი ჰიბრიდული კომპოზიტია, პირველი ნაწილი აფხაზურიდანაა ნასესხები. მეგრული **ფოქვა** „მღვიმე“ (ყიფშიძე 1914: 338) ხშირად გვხვდება ჰიბრიდულ ტოპონიმებში: **კვრბაიაშ აჰაფუ** – მღვიმე ელიაკვარის მარცხ. მხარეს, **წყარამაჰაფუ** „წყლიანი

მღვიმე“ – მღვიმე ოქუმაბასთაში, **ჭითა აჰაფუ / ჭითა წყარო აჰაფუ** – მღვიმე მთა ოისირის კალთაზე (ცხადაია 2004: 153).

აფხაზური წარმომავლობის გვეგონია მეგრული **ალგვდი** (მეგრ.) „ქვაბივით ჩავარდნილი ადგილი მთაში“ (ჭანტურია 1996: 228).

საერთო ძირები ჩანს ქართულ **ახო** „საყანედ გაკაფული ტყე“ (ქეგლ I: 923) და აფხაზურ **ა-მხე** „ყანა“ (ჯანაშია 1954: 199) სიტყვებში; გვაქვს აბაზურშიც: **მხე** „ნათესი, მოსავალი“ (შაგიროვი 1982: 77), ქართული და აფხაზური ფორმები შეაპირისპირა ქ. ლომთათიძემ (ლომთათიძე 2000: 233). გვხვდება ჰიბრიდულ კომპოზიტებში: **ამუხკვარა** მიტიშ ღალის ზემო წელი. ზედმ. „ყანის ღელე“ (ცხადაია 2003: 20), **გენდიაა რგმხ** „გინდიათა ყანა“ – სახნავი ღალიძგის მარცხ. ნაპირას (იქვე: 58).

ასევე საერთო ძირებად ივარაუდება ქართველური **წვირე / მწვირე** „1. ჭუჭყი; 2. ძვ. „მყრალი ლაფი“ (საბა), წუმპე“ (ქეგლ V: 1221), **წვირე** (მეგრ.) „ნაკელი, ნეხვი“ (ჭარაია 1997: 165), **უერ / უორ** (სვან.) „მიწა, თიხა“ (თოფურია 2000: 742) და აფხაზური **ა-ჰენწა** „ტალახი, ლაფი, ტლაპო“ (ჯანაშია 1954: 458). მ. ჩუხუა ქართველურ ფორმებს უდარებს აფხ. **ა-რწგრა**-ს და გენეტიკურად საერთო ძირებს ადასტურებს: ადილ. **აჭგრ** „მიწა“, წახ. **ჭიდე**, ხინ. **ინჩე**, ლეუგ. **ჩილ**, თაბას. **ჯილ**, ად. **ჯილ**, რუთ.

ჩილ „მიწა“, დიდ. ჭედო, ხვარშ. ჭიდა (ჩუხუა 2000-2003: 221).

ლანდშაფტის აღმნიშვნელი ქართული ტერმინებია გამოყენებული აფხაზურ ტოპონიმებშიც:

მებოძირი „სადა გზანი შეიყრებიან მრავლად“ (საბა 1991: 458) – **მგ'გძ'გრზ'ა** მგუძიხვა – სოფელი გუდაუთის რაიონში. ხ. ბლაჟბა თვლის, რომ ოიკონიმი აფხაზური წარმოშობისაა (ბლაჟბა 1964: 258). თ. გვანცელაძე ოიკონიმს ჰყოფს **მგ'გძ'გ** და **რზ'ა** ელემენტებად. პირველი ქართული **მებოძირ**-ისგანაა მიღებული აფხაზურისთვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის წესების დაცვით, მეორე კი აფხაზური **ა-ხ'გ** „ბორცვა“. შესაბამისად **მგ'გძ'გრზ'ა** ჰიბრიდული კომპოზიტია და „გზაჯვარედინს, ბორცვს“ აღნიშნავს (გვანცელაძე 2008: 30-32).

პარეხი „კლდე გამოქვაბული“ (საბა 1991: 615), მეგრული **ოპარეხე** არის ამოსავალი აფხაზური ტოპონიმისთვის **ოპარახ'ა** – მიკროტოპონიმი ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კინდლში; ტოპონიმის ძირეული მასალა აფხაზურს უსესხებია არა აპელატივის, არამედ ტოპონიმის სახით, უეჭველად განეკუთვნება სუბსტრატულ ქართველურ ფენას და აბჟუაში აფხაზთა დასახლებამდეა შექმნილი (გვანცელაძე 2002: 17).

ფარყი (მეგრ.) „ტყე-ბუჩქიანი ფერდობი“ (ქაჯაია 2002-ა: 87) გვაქვს კომპოზიტურ ტოპონიმში **არგუნფაყ**

„არგუნის ფერდობი“. ეს არის სოფ. ატიშადუში ტყიან დაფერდება (ცხადაია 2004: 148).

თავი 13. ავადმყოფობის, ავადმყოფისა და სამკურნალო საშუალებათა აღმნიშვნელი ტერმინები

ქართველთა და აფხაზთა საუკუნოვანი ურთიერთობა კარგად აისახა ავადმყოფობის აღმნიშვნელ და მასთან დაკავშირებულ ლექსემათა სხვა სემანტიკურ ჯგუფებში.

ავადმყოფობის აღმნიშვნელი ლექსიკა

საკუთრივ ავადმყოფობის აღმნიშვნელი საერთო სიტყვები 2 ათეულამდე ერთეულს ითვლის. აქ გავაერთიანეთ როგორც ადამიანის, ისე ცხოველ-ფრინველთა ავადმყოფობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები, თუმცა ეს უკანასკნელი შედარებით ნაკლებია. სიტყვათა ნაწილი იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სივრცეს განეკუთვნება, ნაწილი კი ნასესხებია.

ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებული სიტყვებია:

ბარბაცი „სიარული ადამიანისა, რომელიც წინასწორობას ვერ იცავს“ (ქეგლ I: 977) > **ა-ბარბაც** „ალერგია“ (ავიძბა 2010: 10). ლ. ავიძბა მიიჩნევს მეგრულიდან ნასესხობად (იქვე).

კატუჯარი „ცხენის სირაჯა, ცხენის დარღვევა“ (საბა 1991: 359), **კატუჯარი** „სირაჯა, ცხენის სენი“ (ჩუბინაშვილი 1887: 597), **კატაჯვარა** (გურ.) „საყმაწვილო სენი, დაავადება“ (წულაძე 2009: 82), **კატუჯარი** „ავადმყოფობა“ (ჭარაია 1997: 76) > **ა-კატჯარ** (აბჟ.) „ყელის ჯირკვლების შეშუპება“ (ბლაჟბა 1964: 219), **ა-კატჯარ** / **ა-კატიჯარ** (გენკო 1998: 113; კასლანძია 2005: 489); აფხაზურში შესულია ქართველურიდან (შაგიროვი 1989: 152).

კიბო „2. მედიც. ქრონიკული ავთვისებიანი სიმსივნე ერთგვარი“ (ქეგლ IV: 1194) > **ა-კუგბა** „კიბო (სამედ.)“ (რალ 1964: 491). ტერმინი მეორეული მნიშვნელობით – ავადმყოფობის სახეობის აღნიშვნის სემანტიკით, ისევე, როგორც პირვანდელი მნიშვნელობით, აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 143; ავიძბა 2010: 10).

კილი (მეგრ.) „ნაკლი“ (ყიფშიძე 1914: 258), **კილუამი** „ავადმყოფი“ (იქვე), **კილ** (სვან.) „ნაკლი, წუნი, ზადი“ (თოფურია 2000: 348) > **ა-კუგლ** (აბჟ.) „ავადმყოფობა, ნელ-ნელა არყევს ჯანმრთელობას“ (კასლანძია 2005: 523). ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფორმა მეგრულიდანაა

შეთვისებული. ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ, გარდა ფონეტიკური ინვენტარისა (ფონოტაქტიკის წესების სრული დაცვა), მეტყველებს აფხაზურში სიტყვის გავრცელების არეალი – ის გვხვდება მხოლოდ აბჟურში – მეგრულის გავრცელების არეში.

საწერელი „ფრჩხილის ავადმყოფობა, დუდკო“ (ქეგლ VI: 924), **საწერელი** (მეგრ.) „საწერელი“ (ჭარაია 1997: 123) > **ა-საწარელ** „id.“ (ბლაჟბა 1964: 219); აფხაზურში შესულია ქართულიდან (შაგიროვი 1989: 152).

ქეცი „კანის ერთგვარი ავადმყოფობა; ქავილი იცის, თმა-ბალანს აყრევიანებს და კანს შაშრავს“ (ქეგლ VII: 293), **ქეცი** „მქონავი სენი, ძნელად საკურნებელი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1333), **ქერცა / ქირცა** (მეგრ.) „ქერტლი“ (ყიფშიძე 1914: 343), **ქერცლ** (სვან.) „ქერცლი“ (საღლიანი 2005: 30) > **ა-ქერც** „ქერტლი“ (ბლაჟბა 1964: 219); აფხაზურში შესულია მეგრულიდან (შაგიროვი 1989: 146).

ქუქუ (მეგრ.) „თვალის ავადმყოფობა, ზიბზიბა“ (ჭარაია 1997: 143) > **ა-ქუქუ** „ქუქუ“ (ჯანაშია 1954: 303). აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

ყვაპუ / ყვაპუ „ღორის ავადმყოფობა, უსივდება ყელი“ (მაკალათია 2006: 271); შდრ. **ყაპო** (იმ.) „ღორის ავადმყოფობა“ (ლეონიძე 1925: 81); **ყაპუ** (იმერ.) „ღორის ავადმყოფობა“ (ბერიძე 1912: 66); **ღორის ყაპო** (იმერ.) „ერთგვარი ავადმყოფობა ღორის“ (გაჩეილაძე 1976: 145); **ყაპო** (რაჭ.) „ღორის ავადმყოფობა“ (კობახიძე 1987: 115) >

ა-ყბ „კამეჩის ავადმყოფობა“ (არშბა 1980: 36), ა-ყაპ „id.“ (კასლანძია 2005: 595); შდრ. ოსური ყფფვ / ყაფუ „ყელის დაავადება“ (აბაევი 1973: 329). ჩანს, ორივე ენაშია ქართულიდანაა ნასესხები.

ჩიყვი „1. ავადმყოფობა, რომელსაც ახასიათებს ფარისებრი ჯირკვლის გადიდება; 2. კუთხ. (იმერ.) სოკო სიმინდის ღეროზე გაჩენილი“ (ქეგლ VIII: 518), **ჩიყვი** (მეგრ.) „ჩიყვი, გამობერილი ყელი ჩიჩახვივით“ (ჭარაია 1997: 157) > **ა-ჩყყ** „ჩიყვი“ (შაყრილი 1987: 423), **ა-ჩყყუატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ (კასლანძია 2005-ა: 523). ფორმები შეაპირისპირა დ. გულიამ (გულია 2004: 13). აფხაზური **ა-ჩყყ** „ჩიყვი“ ფონოტაქტიკის სრული დაცვითაა ნასესხები ქართულიდან – ინტერკონსონანტურ პოზიციაში **ი > გ, ყვ** თანხმოვანთკომპლექსმა კანონიკურად მოგვცა ლაბიალიზებული ყ°. კომპოზიტი **ა-ჩყყუატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ ორივე სიტყვა ქართველური წარმოშობისაა: **ა-ჩყყ** „ჩიყვი“, **ა-უატალა** < **ოტოლე** (მეგრ.) „ჯირკვალი“. გურულში პოვნიერი **ორტოლა** ზანურის სუბსტრატია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ოტოლე / ონტოლე** ზანური შესატყვისია ქართული **არტალა**-სი (როგავა 1962: 73). ამავე რანგში განიხილება სვანური **ღუნტულ / ღუნტლა** „ჯირკვალი“ (თოფურია 2000: 797). **ა-უატალა / ა-კატალა** „ჯირკვალი“ (ჯანაშია 1954: 266) ბგერათგადაღების სრული შესაბამისობით არის ქართველურიდანაა შესული აფხაზურში (ლომთათიძე 1981: 84-85).

ჭვალი „მჩხვლეტავი ტკივილები გვერდში ან მკერდში“ (ქეგლ VIII: 1246), **ჭვალი** / **პჭვალი** / **ბჭვალი** „აგებულებათა შინა გათანგვით ტკივილი სხვა და სხვა ადგილას“ (ჩუბინაშვილი 1887: 1706), **ჭვალი** (მეგრ.) „ჭვალი, მჭვალი, ავადმყოფობა“ (ჭარაია 1997: 170), **ჭუალ** (სვან.) > ა-**ჭუალ** „ფილტვების ანთება“ (გენკო 1998: 329). ნ. გენკოს მიერ მითითებული სიტყვა, რომელიც სხვა ლექსიკონებში არ იძებნება, აფხაზურში ქართულიდანაა შეთვისებული.

აფხაზურიდან ქართველურში შემოსულია:

ა-**ხაგარა** „სიგიჟე“ (შაყრილი 1987: 211) > **ხანგობა** „გიჟობა“ (ქაჯაია 2002-ა: 513). სიტყვა (ძირი) აფხაზურიდანაა შეთვისებული, აბსტრაქტულობის მაწარმოებელი -ობა ქართველურია.

საერთო წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევა ქართული **თია** „1. “გაუქარვებელი კორძი“ (საბა); ცხიმოვანი სიმსივნე; 2. ავადმყოფური როკი, ნუჟრი, დამსხვილება ხეზე; 3. კორძისებური გამაგრება რაიმე შენადნობზე, კერამიკულ ნაკეთობაზე და სხვ.“ (ქეგლ IV: 451) და აფხაზური ა-**თა** / **ათია** „ჩირქი“ (შაყრილი 1987: 179). მ. ჩუხუას მოჰყავს შემდეგი პარალელები: ქართული **თებო** „გამონაყარი“, სვან. **შდრმ** / **შდტემ** „გამონაყარი სხეულზე“, აფხაზური ა-**თა** “ჩირქი^{1/2}, აბაზ. ჩა < *თა „id.“,

ყაბ. ჭათა „ბაყლი“ და საერთო ქართველურ-აფხაზური წარმოშობის ოდენობებად მიაჩნია (ჩუხუა 2007: 103).

ვვარაუდობთ, რომ საერთო წარმომავლობისაა მეგრული წყირტუ „ქათმის ავადმყოფობა“ (ქაჯაია 2002-ა: 451) და აფხაზური ა-ყიტ „id.“ (შაყრილი 1986: 388).

სიტყვათა ნაწილი ქართველურსა და აფხაზურში უცხო ენებიდანაა შეთვისებული:

დამბლა „ავადმყოფობა, როცა რომელიმე ორგანო კარგავს მოქმედების უნარს“ (ქეგლ II: 516), **დამბლა** „(სპარ.) სენი ხელ-ფეხის და ტანის დადუნებისა, წვეთის დაცემა“ (ჩუბინაშვილი 1887: 381), **დაულა** (მეგრ.) „დამბლა“ (ყიფშიძე 1914: 222), **დაბლა / დავლა** „id.“ (ქაჯაია 2001: 427) – **ა-დაბლა** „id.“ (რალ 1964: 406). სიტყვა ნასესხებია ორივე ენაში, მაგრამ აფხაზურში სავარაუდოდ ქართულიდანაა შეთვისებული.

თიაქარი „ავადმყოფობა, რომლის დროსაც შინაგანი ორგანო (მაგ. წვრილი ნაწლავები), მუცლის კედლის აპკითურთ, მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოდის“ (ქეგლ IV: 451), **თიაქარი** (მეგრ.) „მუცლის მწვავე ტკივილი“ (ყიფშიძე 1914: 242) – **ა-თიაქარი** „ავადმყოფობა“ (ამიჭბა 1988: 150). სიტყვა ახალი ნასესხობა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ი ხმოვანი ფონეტიკურად შეიცვლებოდა.

იამანი „საქონლის ავადმყოფობა, სიმსივნე იცის ჯიქანთან ან უმთავრესად ყელთან; ცხენის, ჯორის და ვირის მძიმე სენი“ (ქეგლ IV: 527) – **ა-ამენა / ა-ამან** „ერთგვარი დაავადება“ (გენკო 1998: 109). სავარაუდოდ, აფხაზურში შეთვისების შუალედური რგოლი ქართულია.

ბერძნული ენიდანაა შემოსული ქართულში **ქოლერა** „[ბერძ. cholera] მწვავე გადამდები სნეულება“ (ქეგლ VII: 342), რომელმაც მეგრულში **ხორიალე** ფორმა მოგვცა (ქაჯაია 2002-ა: 572), შდრ. დიალექტ. **ხოგრელა** „ქოლერა“. იგივე სიტყვა აბჟურშიც ჩანს: **ა-ხორიალ** (აბჟ.) „ქოლერა“ (გენკო 1998: 282; კასლანძია 2005-ა: 364). აბჟურში სიტყვა მეგრულიდანაა შესული (ბუკია 2010-ა: 9).

ბალდამი „1. წყლულის, მუწუკის ჩირქოვანი სითხე. 2. ნარწყევი, ნალველი. 3. გადატ. სიმწარე, შხამი, გესლი“ (ქეგლ I: 963) – **ა-ბლამ** „ბალდამი“ (ჯანაშია 1954: 68). სიტყვა ორსავე ენაში ნასესხებია, მაგრამ ძნელია საუბარი სესხების შუალედურ რგოლზე.

საინტერესოდ გვეჩვენება არაბულიდან შეთვისებული **შაკიკ**-ის განაწილება ქართველურსა და აფხაზურში: **შაკიკი** „[არაბ. შაყიყა] თავის ერთი მხრის დროგამოშვებით ტკივილი, გამოწვეული თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით“ (ქეგლ VII: 619), **შაკიკი** „რიგით თავის ტკივილი დროსა და დროზედ“ (საბა 1993: 278), **შაკიტახა** (მეგრ.) „შაკიკი“ (ჭარაია 1997: 151), **შაგიტახა** (ჭანტურია 1982: 236), **შაკიკ / შაკიკ** (სვან.) „id.“ (თოფურია

2000: 811) ≈ ა-შაკვი (ჯანაშია 1960: 59), ა-შაკ~ტახ~ა „შაკიკი“ (ჯანაშია 1954: 321), ა-შაკ~ტახ~ (აბჟ.) „id.“ (შაყრილი 1987: 493) პირველი სიტყვა (ბზიფური) ქართულის მეშვეობითაა ნასესხები (შაგიროვი 1989: 153). საინტერესოა, რომ აფხაზურად ა-ხ~აა „ტკივილია“ (ჯანაშია 1954: 411). ხომ არაა ქართულ-აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტი, სადაც პირველი სიტყვა დაავადების აღმნიშვნელი ტერმინია, მეორე კი აფხაზური „ტკივილია“? მეგრული სიტყვა კი აფხაზურიდან ნასესხობა. ამ შემთხვევაში საკვლევა -ტა- ელემენტის მნიშვნელობა.

ავადმყოფის აღმნიშვნელი სიტყვები

აქვე განვიხილავთ ავადმყოფთან მიმართებაში გამოყენებულ ქართველურ და აფხაზურ სიტყვებს. მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი ურთიერთნასესხობები ორივე მიმართულებით, ასევე გვხვდება სიტყვები, რომლებიც ორივე ენაში ნასესხებია.

ქართველურიდან აფხაზურში შეთვისებულია:

ბრიყვი „1. სულელი, რეგენი, უმეცარი, 2. უსაქციელო, გაუთლელი, უზრდელი, ხეპრე“ (ქეგლ I: 1134), **ბრიყვი** „უწურთვნელი, უზდელი, უთლელი, რეგენი, უგბირი“ (ჩუბინაშვილი 1887: 118), **ბლაცვი** (გურ.,

იმერხ.) „ლენჩი, გაუგებარი“ (ნიკოლეიშვილი 1999: 142), **ბრიყუ** (სვან.) „ბრიყვი“ (საღლიანი 2005: 15) – **ა-ბლაყუ** „ბლაყვი“ (კილბა 1983: 84); შდრ. აფხ. **ა-გაძა** (იქვე). ეს სიტყვაც აშკარად ქართული დიალექტიზმია აფხაზურში, მითუმეტეს, გავრცელებულია ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში და მას აფხაზური სინონიმური წყვილი მოეპოვება.

ლოგო / **ლუგა** (მეგრ.) „სულელი, ჩლუნგი“ (ყიფშიძე 1914: 274) – **ა-ლუგა** (აბჟ.) / **ა-ლგ** „სულელი, ბოთე, უგერგილო ადამიანი“ (ჯანაშია 1954: 177, 179). შდრ. **ლაგა** (აბაზ.) „სულელი“ (აბრლ 1967: 263). სიტყვა მეგრულიდანაა შესული აფხაზურსა და აბაზურში. საკუთრივ მეგრული სიტყვა კი ქართული **ბლაგვ**-ის ეკვივალენტია (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 113).

სუნგა „ყრუ“ (ყიფშიძე 1914: 422) – **ა-ყუნგა** (აბჟ.) „სისულელე, უჭკუობა, უგუნურობა“ (კასლანძია 2005: 601). აბჟურში გავრცელებული სიტყვა მეგრულიდანაა შეთვისებული, მაგრამ საკუთრივ მეგრული ფორმის –**გა** მორფემა აფხაზურიდან შეთვისებული ჩანს. შდრ. **ხანგა** „გიჟი“ (იხ. ქვემოთ). სემანტიკური გადასვლა **ყრუ** > **სისულელე, უჭკუობა** დასაშვებია, მითუმეტეს, მეგრულში გვაქვს **სურუ** გარდამავალი მნიშვნელობებით: „ყრუ, უყურო; უჭკუო“ (ქობალია 2010: 656).

აფხაზური **ა-ჩალა** ლექსიკონებში ასეა განმარტებული: „ავადმყოფი საქონელი“ (კვარჭია 1981: 108), „უძლური, დაღლილი“ (კასლანძია 2005-ა: 514). ვ.

კვარჭიას განმარტებით, ტერმინი აფხაზურია. მისი პირველი ნაწილი **ა-ჩ** „ავადმყოფობას“ ნიშნავს, **-ლა** სუფიქსი კი „რამეში, რამეზე ყოფნას“ აღნიშნავს. საილუსტრაციოდ კი მოჰყავს აფხაზთა მეფის თეოდოსის თიკუნი **ჩალა-მეფე**. გარდა იმისა, რომ **ჩალა-მეფე** მეგრულ-ქართული კომპოზიცია და „ჩერჩეტს, გონებაჩლუნგ მეფეს“ ნიშნავს, შეუძლებელია, მე-10 საუკუნეში ქუთაისში მჯდარ მეფეს აფხაზური თიკუნი ჰქონოდა. მეგრული ტერმინი ქართველური **ჩალა**-ს სემანტიკის გადაწევით არის მიღებული. ტერმინი აფხაზურში მეგრულიდანაა შეთვისებული (ბუკია 2008: 23). მეგრული **ჩალა** გლახაკს, გონებაჩლუნგს, სულელს, ჩერჩეტს, ლაჩარს ნიშნავს (ქაჯაია 2002-ა: 289).

აფხაზურიდან ქართველურში შემოსული სიტყვებია:

დაგვა (მეგრ.) „ყრუ“ (ყიფშიძე 1914: 221) – **ა-დაგ°** „ყრუ“ (ჯანაშია 1954: 91); სიტყვა მეგრულში აფხაზურიდანაა შეთვისებული. მეგრულში მას სინონიმი გააჩნია **ცუნგა** „ყრუ“ (ჭარაია 1912: 23). შდრ. **დაგ°** (აბაზ.) „ყრუ“ (აბრლ 1967: 200), აგრეთვე უბიხ. **დაგ°**, ადიღ. **დაგ°** / **დაგ°** „ყრუ“ (შაგიროვი 1977: 145).

ხანგა (მეგრ.) „გიჟი“ (ყიფშიძე 1914: 397) – **ა-ხანგა** „გიჟი, გაგიჟებული, გადარეული; შემინებული“ (ჯანაშია 1954: 406). ფორმები შეაპირისპირა პ. ჭარაიამ (ჭარაია 1912: 16). მეგრულში აფხაზურიდანაა შემოსული.

უცხო ენებიდან შეთვისებულია:

აბდალი „[არაბ. აბდ ალჰაჰ „მონა ღვთისა“, „ღვთის გლახა“] სულელი, ჩერჩეტი“ (ქეგლ I: 56), **აბდალა/ე-ი** (გურ.) „სულელი“ (იმნაიშვილი 2006: 320) – **ა-ბდალ** „id.“ (კილბა 1983: 85); შდრ. აფხ. **ა-ბჰამგეჟ** (იქვე). მართალია, სიტყვა ნასესხებია ქართულსა და აფხაზურში, მაგრამ **ა-ბდალ** ფორმის გავრცელების არეალი (ის გვხვდება ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში) გვაფიქრებინებს, რომ ის ქართულიდანაა შესული.

რეგვნი „1. სულელი, ბრიყვი, უმეცარი; 2. კუთხ. (გურ.) ახალგაზრდა, გამოუცდელი“ (ქეგლ VI: 387), **რეგვნი** „სულელი, გიჟი“ (ჩუბინაშვილი 1887: 1035), **რუნგა** (მეგრ.) „სულელი, შტერი“ (ქაჯაია 2002: 543) – **არნგ** „სულელი, რეგვნი“ (შაყრილი 1987: 87). ა. შაგიროვი მიიჩნევს ირანული წარმოშობის სიტყვად, შდრ. ოს. **არნაგ** „ველური, გაველურებული“ (შაგიროვი 1989: 162).

სამკურნალო საშუალებათა აღმნიშვნელი სიტყვები

ეს სემანტიკური ჯგუფი რამდენიმე სიტყვითაა წარმოდგენილი და მასში გაერთიანებულია როგორც სამკურნალო საშუალებების, ასევე საწამლავის აღმნიშვნელი ფორმები:

რხინა (მეგრ.) „ქინაქინა“ (ქაჯაია 2002: 564) – **ა-ხინა** „ქინაქინა“ (ჯანაშია 1954: 443) **ა-ხ-ენა** „id.“ (შაყრილი 1987: 266). სიტყვა მეგრულიდანაა ნასესხები აფხაზურში.

წარმაქი (მეგრ.) „შაბიამანი“ (ჭარაია 1997: 165) – **ა-წარმაქ** „დარიშხანა, თაგვის წამალი“ (ჯანაშია 1954: 381) / **ა-წარმაქ-ა** „id.“ (შაყრილი 1987: 370). აფხაზურში ქართველურიდან ნასესხობად განიხილება.

მალამო „ცხიმში ახელილი სამკურნალო ნივთიერებები, – საცხი, სალბუნი“ (ქეგლ V: 26), **მალამო** „(სპარ.) სალბუნი, ემპლასტრო“ (ჩუბინაშვილი 1887: 662), **მალამო** (მეგრ.) „მალამო“ (ყიფშიძე 1914: 275) – **ა-მალჰამ** „მალამო“ (ჯანაშია 1954: 183); **ა-მალამ** „სახალხო მედიცინაში გამოყენებული საცხი“ (გენკო 1998: 163; კასლანძია 2005: 661). აფხაზურ სიტყვაში დაცულია თურქულში გავრცელებული **ა-მალჰამ** ფორმა. შდრ. თურქ. **მელჰემ** / **მერჰემ** „მალამო“ (მაგაზანიკი 1945: 403). შესაბამისად, სიტყვები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის შეთვისებული ქართველურსა და აფხაზურში, რასაც ვერ ვიტყვით **ა-მალამ** ფორმაზე. შესაძლოა, ეს უკანასკნელი ქართულის მეშვეობით ესესხებინა აფხაზურს.

შხამი „საწამლავი ნივთიერება, – გესლი“ (ქეგლ VII: 1474), **შხამი** „გესლი გველთა და მძრომთა, ხოლო მოლნიცა არიან გესლოვანნი“ (საბა 1993: 311), **შხამი** (მეგრ.) „შხამი“ (ყიფშიძე 1914: 360), **ჩხამი** (ლაზ.) „შხამი“

(მარი 1910: 212) **შხამ** / **შხამ** (სვან.) „შხამი, გესლი“ (თოფურია 2000: 825) – **ა-შჰჰამ** „შხამი“ (ჯანაშია 1954: 335);
პ. ჭარაიას თვალსაზრისით, აფხაზურში ნასესხებია ქართულიდან (ჭარაია 1912: 16).

მკურნალის აღმნიშვნელი ორიოდე სიტყვა ორსავე ენაში ნასესხებია. მათგან ქართ. **ექიმი** ≈ აფხ. **ა-ჰჰეჰმ** „ექიმი“ (ჯანაშია 1954: 454) შედარებით ძველი ნასესხობა ჩანს. მართალია, უკანაენისმიერის მომდევნო პოზიცივაში **ი > გ** და წინამავალი უკანაენისმიერის პალატალიზაცია ძირითადად ქართველურიდან შეთვისებულ სიტყვებში ჩნდება, მაგრამ აფხაზური სიტყვის ანლაუტის ჰ გვავარაუდებინებს, რომ სიტყვა თურქულიდანაა შესული აფხაზურში. შდრ. თურქ. **hekim** „ექიმი“ (მაგაზანიკი 1945: 243).

ქართ. **ფერშალი** „[გერმ. **Feldscher**] მედიცინის მუშაკი საშუალო განათლებისა, – ექიმის თანაშემწე“ (ქეგლ VII: 75) ≈ აფხაზური **ა-ჰჰერშალ** „ფერშალი“ (შაყრილი 1987: 201) შედარებით ახალი ნასესხობაა, სავარაუდოდ, რუსულიდან.

დასკვნა

ქართველურ-აფხაზური ისტორიული თუ კულტურული ურთიერთობა ზედმიწევნით არის ასახული ენობრივ მასალაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგების ლექსიკური ერთეულების შედარება.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე დარგის 500-ზე მეტი ტერმინი, გამოვლენილია საერთოკავკასიური, ქართველურ-აფხაზური ძირები, გარკვეულია სესხების მიმართულება და ხშირ შემთხვევაში სესხების ქრონოლოგია.

ქართველურ-აფხაზური საერთო ლექსიკური ფორმების შედარებამ შესაბამის იბერიულ-კავკასიურ მასალასთან საშუალება მოგვცა გამოგვეყო საერთოკავკასიური ფორმები: ქართ. **ხვეწი** ≈ აფხ. **ა-მჰაწ** „კოვზი“, მეგრ. **წუკალი**, ლაზ. **ჭუკი** / **ჭუკანი** ≈ აფხ. **ა-ჰგვ** „ვარცლი“ ... (მ. ჩუხუა)

სიტყვათა გარკვეული ნაწილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საერთო ქართველურ-აფხაზური ფორმა: მეგრ. **ხალა** / **ხაფა** „გაჩენა“ ≈ აფხ. **ა-ხ~არა** „გაჩენა“, ქართ. **წოვა** ≈ აფხ. **ა-წ~არა** „წოვა“ ... (პ. ჭარაია, ხ. ბლაჟბა)

სიტყვათა უმრავლესობა ნასესხებია, სესხება ორივე მიმართულებით მიმდინარეობს, მაგრამ განსხვავებული ინტენსივობით: ქართველურიდან აფხაზურში ნასესხებია საყოფაცხოვრებო, შრომის იარაღების, სამეურნეო ნაგებობების, მიწათმოქმედებასთან, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ტერმინები, აფხაზურიდან ქართულში ჭარბობს მთის ლანდშაფტთან, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სიტყვები, აფხაზურიდან მეგრულში ნასესხები რამდენიმე ტერმინი შეგვხვდა კულინარიული ლექსიკიდან.

ქართველურიდან აფხაზურში შესული ფორმები შესაძლოა რამდენიმე ნაწილად დავაჯგუფოთ:

1. სიტყვები, რომლებიც ადაპტირებულია აფხაზური ფონემატური სტრუქტურის შესაბამისად, ადრეულ ნასესხობას წარმოადგენს: გიორგობა > ა-გ~არგ~აზა, ხერხი > ა-ხ~არხ~, მეგრ. ხორხი > ა-ხ~არხ~ “ხერხი”, კეხი > ა-კ~ახ~...

2. სიტყვები, რომლებშიც შენარჩუნებულია გამსესხებელი ენისთვის ბუნებრივი, მაგრამ აფხაზურისთვის უცხო ბგერები, შესაბამისად, წარმოადგენს ახალ ნასესხობას: მამიდა > ა-მამიდა, მუშა > ა-მუშა...

3. სიტყვები, რომლებსაც აფხაზურში ამოსავალი სემანტიკა არ გააჩნიათ, სემანტიკის გადაწვევით არის დამკვიდრებული: მეგრ. ბორბონჩია / ბორბონჯია „გიზგიზა ცეცხლი“ > ბარბანჯია „ჭიაკოკონა“; მეგრ. ჯანგარა „მავი“ > ჯანგერი „ავი სული აბჟუის აფხაზთა რქმენით“...

4. სიტყვები, რომლებსაც სემანტიკა გამსესხებელ ენაშიც აქვთ გადაწეული და აფხაზურშიც ორივე (ძირითადი და შეცვლილი) სემანტიკით არიან დამკვიდრებული: მეგრ: **ღლამი** „ღლაღი“ > **ა-ღლამ**, მაგრამ სემანტიკის გადაწევით მეგრული **ღლამი**, **ღლამცალ კოჩი** ძლიერი, ჯანიანი კაცია, აფხაზური **ა-ღლამ**, **ა-სადლამ** „უდიდესი ძალის მქონე ზღაპრული არსება“.

ბევრ ნასესხებ სიტყვას აფხაზურში თავისი საკუთარი სინონიმური წყვილი მოეპოვება, მაგრამ უფრო ინტენსიურად ქართველური ფორმები გამოიყენება: **გოუთანუ** „აფხაზური წარმართული სალოცავი“ < მეგრ. **გოთანა** „გათენება“, იქვე აფხ. **შარფ-ნგჰა** „დილის სალოცავი“, მაგრამ მეგრული ტერმინი უფროა გავრცელებული; **აიგუშ** „მალღარის სასხლავი“, ხალხში **წალდა** ტერმინია გავრცელებული...

შესაძლოა აფხაზურიდან ქართველურში შეთვისებული სიტყვების დიფერენცირებაც: ტერმინთა დიდი ნაწილი აფხაზურისთვის ბუნებრივი ზოგადობის ა- ნიშნით არის გადმოსული. საფიქრალს გვიჩენს ფორმები, სადაც ეს ნიშანი არ ჩანს. სავარაუდოდ, ეს ნასესხობა იმ ქრონოლოგიურ შრეს მიეკუთვნება, როდესაც აფხაზურში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ზოგადობის ნიშანი (გვაქვს სიტყვები, რომლებიც ქართველურში (რესპ. მეგრულში) აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დროსაა შემოსული, მაგ. **ღანდა** „ღობე“), ან შეთვისებულია იმ ენობრივი კოლექტივის მიერ, რომელმაც კარგად იცოდა აფხაზური

და ა- პრეფიქსის ფუნქციაც გარკვეული ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ეს ტერმინები მწყემსურ ლექსიკას ეკუთვნის: **ხინწირა** < **ა-ხწაარა** „სერი“, **ხიჯაჯა** < **ა-ხჯაჯა** „ხსენი“, **ხაწა** < **ა-ხააწა** „დვრიტა“...

ორივე მიმართულებით გვხვდება უკუნასეს-ხობები, ანუ სიტყვა შეთვისებულია ერთ-ერთ ენაში, ფონეტიკურად ადაპტირებულია, შემდგომ კი უკუნასესხობის სახით დაჩნდება გამსესხებელ ენაში: მეგრ. **სუმკეტი** „სამჯოხი“ > აფხ. **ა-შემკ~ათ** „სარიტუალო მაგიდა“ > მეგრ. **აშვამკათი** „მწყემსის ბუფეტი სააფუნო კარავში“, ქართ **კვეკვერა** > აფხ. **ა-კ~აკ~არ** „მოხარშული კვერი“ > მეგრ. **აკვაკვარი** „id.“, მეგრ. **ხოზო** „პატარა კონუსის ფორმის კვერი, გამოიყენებოდა მსხვერპლშეწირვის დროს“ > აფხ. **ა-ხოჟა** „id.“ > მეგრ. **ხვაჟია** „id.“, აფხ. **ა-ფრგხა** „ნატეხი“ > მეგრ. **ფურხა** „ნამცეცი“ > აფხ. **ა-ფრგხა** „საჭმლის ნამცეცი“...

სიტყვათა დიდი ნაწილი ნასესხებია აფხაზურსა და ქართველურ ენებში, თუმცა, ფონოტაქტიკის წესებზე დაკვირვებით კარგად ჩანს სესხების მიმართულება, თითქმის ყველა ქართულ-ქართველურის (resp. მეგრულის) მეშვეობითაა შეთვისებული აფხაზურში.

სიტყვათა მცირე ნაწილი ორივე ენაში ნასესხებია, მაგრამ ფონეტიკური ინვენტარი არ გვამღევს საშუალებას განვსაზღვროთ სესხების შუალედური რგოლი ამა თუ იმ ენისთვის. ეს ძირითადად თურქულიდან და, ბოლო დროს, რუსულიდან შეთვისებული სიტყვებია.

ისტორიული თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია ის სიტყვები, რომლებიც გამსესხებელ ქართველურ ენებში დაკარგულია და მხოლოდ აფხაზური ფორმების მიხედვით შეიძლება მათი ოდინდელი სახით რეკონსტრუქცია: *მაწევარი „მწევარი“ > ა-მაწუარ, მეგრ. *ჩალა > ა-ჩაალა / ა-ჩალაა „ცელი“ (გვანცელამე).

გამოვლენილია ტერმინთა ერთი ნაწილი, ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიტები“, რომლებიც ქართველური და აფხაზური სიტყვების შერწყმით არის ჩამოყალიბებული და ახალ რიგს ქმნიან ენობრივ სისტემაში. ეს სიტყვები ყველა დარგში გვხვდება და ქრონოლოგიურად სხვადასხვა შრეს მოიცავს: ა-ჩაგაწარკანტ „თოხწერაქვა“ < ა-ჩაგა აფხ. „თოხი“, წარკანტ მეგრ. „წერაქვი“, ა-ლზარზ / ა-ლზარზ „ფიცხის გასახერხი ხერხი“ < ა-ლგ აფხ. „ფიცარი“, ხარზ / ხარზ ქართ.-მეგრ. „ხერხი“...

რამდენიმე სიტყვის წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისისგან განსხვავებული მოსაზრება, კერძოდ, ვთვლით, რომ ქართ. ბანდი, მეგრ. ბონდი „დაწნული; დაკიდებული დაწნული ხიდი“; ბონდილი „ბადე“; სვან. ლიბანდე „გაკერილი“ სპარსულიდან კი არაა ნასესხები, არამედ საერთო-ქართველური ოდენობებიან; ასევე ქართულად ვთვლით „ჭერის“ აღმნიშვნელ თავან-ს, არ შეიძლება ის თურქულიდან შეთვისებულად ჩავთვალოთ.

ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევა არაერთ
საინტერესო ენობრივი, ასევე ისტორიული თუ
კულტურული ურთიერთობის ფაქტს გამოავლენს.

შემოკლებათა განმარტებანი

აბაზ.	აბაზური ენა
აბჟ.	აბჟური დიალექტი
ადიდ.	ადიდური ენა
აზერბ.	აზერბაიჯანული ენა
ალთ.	ალთაური ენა
ანატ.	ანატოლიური დიალექტი
ანდ.	ანდიური ენა
არ.-სპ.	არაბულ-სპარსული ენები
არაბ.	არაბული ენა
არჩ.	არჩიბული ენა
აფხ.	აფხაზური ენა
ალ.	ალულური ენა
აჭარ.	აჭარული დიალექტი
ახვახ.	ახვახური ენა
ბაგვ.	ბაგვალალური ენა
ბალყ.	ბალყარული ენა
ბაცბ.	ბაცბური ენა
ბეჟ.	ბეჟიტური ენა
ბერძ.	ბერძნული ენა
ბზ.	ბზიფური დიალექტი
ბოთლ.	ბოთლიხური ენა
ბულგ.	ბულგარული ენა

გერმ.	გერმანული ენა
გოთ.	გოთური ენა
გუდ.	გუდამაყრული დიალექტი
გურ.	გურული დიალექტი
დარგ.	დარგული ენა
დიდ.	დიდოური ენა
ვაინახ.	ვაინახური დიალექტი
ზან.	ზანური ენა
ზემოაჭარ.	ზემოაჭარული დიალექტი
ზემოიმერ.	ზემოიმერული დიალექტი
ზუგდ.	ზუგდიდი
თაბას.	თაბასარანული ენა
თურქ.	თურქული ენა
თურქ.-არაბ.	თურქულ-არაბული ენები
თურქ.-სპ.	თურქულ-სპარსული ენები
თუმ.	თუმური დიალექტი
იმერ.	იმერული დიალექტი
იმერხ.	იმერხეული დიალექტი
ინგ.	ინგუშური ენა
ინგილ.	ინგილოური დიალექტი
იტალ.	იტალიური ენა
კარატ.	კარატაული ენა
კახ.	კახური დიალექტი
ლაზ.	ლაზური დიალექტი
ლათ.	ლათინური ენა
ლაკ.	ლაკური ენა

ლეზგ.	ლეზგიური ენა
ლენტ.	ლენტეხური დიალექტი
ლექხ.	ლექხუმური დიალექტი
ლიტვ.	ლიტვეური ენა
მარტვ.	არტვილი
მეგრ.	მეგრული დიალექტი
მეგრ.-ლაზ.	მეგრულ-ლაზური ენა
მესხ.	მესხური დიალექტი
მთ.	მთიულური დიალექტი
მონღ.	მონღოლური ენა
მორდ.	მორდვეული ენა
მოხ.	მოხეური დიალექტი
ოს.	ოსური ენა
ოსმალ.	ოსმალური ენა
პოლონ.	პოლონური ენა
რაჭ.	რაჭული დიალექტი
რუთ.	რუთულური ენა
რუს.	რუსული ენა
სენ.	შენაკი
სვან.	სვანური ენა
სომხ.	სომხური ენა
სპარ.	სპარსული ენა
ტინდ.	ტინდიური ენა
უზბიხ.	უზბიხური ენა
უდ.	უდიური ენა
უკრ.	უკრაინული ენა

უნგრ.	უნგრული ენა
ფრ.	ფრანგული ენა
ფრიგ.	ფრიგიული ენა
ფშ.	ფშაური დიალექტი
ქართ.	ქართული ენა
ქართლ.	ქართლური დიალექტი
ქართვ.	ქართველური ენები
ქიზიყ.	ქიზიყური დიალექტი
ყაბარდ.	ყაბარდოული ენა
ყუმ.	ყუმბიხური ენა
შაფს.	შაფსულური დიალექტი
ჩეჩნ.	ჩეჩნური ენა
ჩეხ.	ჩეხური ენა
ჩუვაშ.	ჩუვაშური ენა
ჩხორ.	ჩხოროწყუ
ძვ. ებრ.	ძველი ებრაული ენა
ძვ. ქართ.	ძველი ქართული ენა
წალენჯ.	წალენჯიხა
წახ.	წახური ენა
ჭამ.	ჭამალალური ენა
ჭან.	ჭანური დიალექტი
ხეთ.	ხეთური ენა
ხევს.	ხევსურული დიალექტი
ხვარშ.	ხვარშიული ენა
ხინალულ.	ხინალულური ენა
ხუნძ.	ხუნძური ენა

ჯავახ.

ჯვ.

ჰინალ.

ჰუნზ.

ჯავახური დიალექტი

ჯვარი

ჰინუხური ენა

ჰუნზიხური ენა

მითითებული ლიტერატურა

a. სამეცნიერო ლიტერატურა

აბაკელია 1991 – ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი

ავიძბა 2010 – ლ. ავიძბა, დაავადების აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინისათვის აფხაზურ ენაში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II თბილისი

აკაბა 1984 – Л. Х. Акаба, Исторические корни архаических ритуалов абхазов. Сухуми

ამიჩბა 1975 – С. А. Амичба. Термины коневодства в абхазско-абазинских диалектах. იკეწ. II. თბილისი

ამიჩბა 1988 – С. А. Амичба. О некоторых картвелизмах в языке абхазского фольклора, პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისი

ანთელავა 2006 – ნ. ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები. ენციკლოპედია. თბილისი

ბართაია 2002 – ნ. ბართაია, ერთი მცენარის აღმნიშვნელ ტერმინთა ირგვლივ, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი

ბართაია 2010 – ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა, თბილისი

ბაღათურია 1996 – ნ. ბაღათურია, ლაფშა-ს ეტიმოლოგიისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VI, თბილისი

ბაღიშვილი 2009 – ა. ბაღიშვილი, მეგრ. „ნაფრა“ თეონიმის წარმომავლობისათვის, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 68-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ბახია-ოქრუაშვილი 2011 – ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბილისი

ბეზარაშვილი 1978 – ც. ბეზარაშვილი, გლეხი ქალის ჩაცმულობა იმერეთში, მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი

ბჟანია 1962 – Ц. Н. Бжания, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми

ბუკია 1999 – მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში (მეგრული დიალექტის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი

ბუკია 2000 – მ. ბუკია, აფხაზური წარმოშობის აფუნ-ის სემანტიკური ველი მეგრულში. საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. X, თბილისი

ბუკია 2001 – მ. ბუკია, ქრისტიანული ტერმინოლოგიის დამკვიდრების გზები მეგრულ საკულტო ლექსიკაში. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. V, ქუთაისი

ბუკია 2002 – მ. ბუკია, კოლხურ-აფხაზური ისტორიულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობის ასახვა მეგრულ ტრანსკუმანურ ლექსიკაში. ქართველური მემკვიდრეობა. ტ. VI, ქუთაისი

ბუკია 2002-ა – მ. ბუკია, მწყემსის სამოსისა და აღჭურვილობის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულში. საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XIII, თბილისი

ბუკია 2003 – მ. ბუკია, ლაზურ-თურქული და მეგრულ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VIII, თბილისი

ბუკია 2006 – მ. ბუკია, კვლავ ქართველურ-აფხაზური ლექსიკური შეხვედრების შესახებ, წელიწადეული II, თბილისი

ბუკია 2006-ა – მ. ბუკია, რამდენიმე ურთიერთ-ნასესხობისათვის მეგრულსა და აფხაზურში, თსუ ზუგდიდის ფილიალის შრომები, II, თბილისი

ბუკია 2007 – მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლექსიკური შეხვედრები, კავკასიოლოგიური კრებული, თბილისი

ბუკია 2007-ა – მ. ბუკია, ერთი ტიპის ტოპონიმებისათვის მეგრულში, ქართველური ონომასტიკა, III, თბილისი

ბუკია 2008 – მ. ბუკია, რამდენიმე ქართველურ-აფხაზური საზიარო ფუძის წარმომავლობის საკითხისათვის, კრებული აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს, თბილისი

ბუკია 2008-ა – მ. ბუკია, კომპოზიტთა ერთი რიგისათვის ქართველურ და აფხაზურ ენებში, შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომების კრებული, I, თბილისი

ბუკია 2008-ბ – მ. ბუკია, სინონიმებისათვის მეგრულ მესაქონლეობის ლექსიკაში, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები-XIX, თბილისი

ბუკია 2009 – მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან II.

რიტუალური ლექსიკა, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I, თბილისი

ბუკია 2010 – მ. ბუკია, ქართველიზმთა ერთი რიგისათვის აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში, საენათმეცნიერო ძიებანი. ტ. XXXI, თბილისი

ბუკია 2010-ა – მ. ბუკია, ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ბუკია 2012 – მ. ბუკია, ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან – III. ნაგებობების აღმნიშვნელი ლექსიკა, პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბილისი

ბუკია 2012-ა – ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან – VI. საომარი იარაღის აღმნიშვნელი ლექსიკა, XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი

ბლაჟბა 1948 – X. Бгажба, Общие корни (и основы) в абхазском и картвельских языках, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, II, თბილისი

ბლაჟბა 1964 – X. С. Бгажба, Бзынский диалект абхазского языка, Тбилиси

გამბა 1987 – ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბილისი

გვანცელაძე 1988 – თ. გვანცელაძე, ბატკან- და მწევარფუძეთა ისტორიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

გვანცელაძე 1992 – თ. გვანცელაძე, ქართველური ლექსიკა აფხაზურში. 1. ა-ჟყანდარ „ეპისკოპოსი“, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 50-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი

გვანცელაძე 1993 – თ. გვანცელაძე, ქართველთა აღმნიშვნელი ტერმინები აფხაზურსა და აზაზურ ენებში, საქართველოსა და ქართველთა აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბილისი

გვანცელაძე 1996 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ ენაში ქრისტიანული საკულტო ლექსიკის მიხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, I, ქუთაისი.

გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, ქართველიზმები აფხაზურ ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში და აფხაზთა ისტორიული მიგრაციის მიმართულეზანი, კრებული „გიორგი როგავას“, თბილისი.

გვანცელაძე 1997-ა – თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვეზლად. თბილისი

გვანცელაძე 1997-ბ – თ. გვანცელაძე, 1562 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია, არტანუჯი, # 6

გვანცელაძე 1998 – ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის, აფხაზეთის ისტორიის პროზღემები, თბილისი

გვანცელაძე 1998-ა – Т. И. Гванцеладзе. Тенденции дифтонгизации в заимствованных словах в абхазском языке.

IX международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Махачкала.

გვანცელაძე 2000 – თ. გვანცელაძე, კვირის დღეთა აღნიშვნის აფხაზურ-აბაზური სისტემის ისტორიისათვის, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები-XI, თბილისი

გვანცელაძე 2000-ა – თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის, არტანუჯი, #10, 2000

გვანცელაძე 2001 – აფხაზური ენის მონაცემთა მნიშვნელობა ორი მეგრულ-ჭანური სიტყვის ისტორიისათვის, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

გვანცელაძე 2002 – თ. გვანცელაძე, ქართველური ლექსიკა ოჩამჩირის რაიონის აფხაზურ სოფელთა მიკროტოპონიმიაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

გვანცელაძე 2008 – თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: მგუძირხვა, კრებული აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს, თბილისი

გვანცელაძე 2011 – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი

დანელია 1991 – კ. დანელია. მეგრულ-ჭანური ლექსიკის საკითხები. ქართული ხალხური სიტყვიერება. II. თბილისი

ვახანია 1959 – О. Вахания. Абхазские народные игры. Сухуми.

ზვანბა 1982 – Званба С. Т. Абхазские этнографические этюды.. Сухуми

ინალ-ივა 1956 – Ш. Инал-ипа, Социальная сущность аталычества в абхазии в XIX веке, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XXVII, სოხუმი

ინალ-ივა 1986 – Ш. Инал-ипа, Г. Смыр, Р. Чанба, Земледелие и скотоводство у абхазов (Материалы к историко-этнографическому атласу Грузии). Редакторы И. Робакидзе и Л. Акаба. Тбилиси

კაიშაური 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი

კვარჯია 1981 – В. Е. Кварчия. Животноводческая лексика в абхазском языке, Сухуми

კვარჯია 1985 – В. Е. Кварчия. Ойконимы Абхазии в письменных источниках, Сухуми

კილბა 1983 – Э. Килба, Особенности речи батумских абхазов, Тбилиси

კლიმოვი 1965 – Г. А. Климов, Абхазско-адыгские этимологии (исконный фонд). Этимология, Москва

კლიმოვი 1968 – Г. А. Климов, Абхазско-адыгские этимологии II (заимствованный фонд). Этимология-1966, Москва

კლიმოვი 1969 – Г. А. Климов, Абхазоадыгско-картвельские лексические параллели. Этимология-1967, Москва

კლიმოვი 1971 – Г. А. Климов, Кавказские этимологии, Этимология-1968, Москва

კლიმოვი 1986 – Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание, Москва

კოპეშავიძე 1980 – Г. Г. Копешавидзе, Традиционная пища абхазов, проживающих в Аджарии, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბილისი

ლამბერტი 1938 – არქ. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბილისი

ლომთათიძე 1945 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური აფსაა / აფსაატ° („ფრინველი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VI, # 4

ლომთათიძე 1955 – ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, # 10

ლომთათიძე 1956 – ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, „მნათობი“, # 12.

ლომთათიძე 1974 – ქ. ლომთათიძე, უბიხურ ენაში ქართველურ ენათაგან შესული ლექსიკური მასალის საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, თბილისი

ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბილისი

ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში, „საიუბილეო კრებული აკაკი შანიძეს“, თბილისი

ლომთათიძე 1989 – ქ. ლომთათიძე, სიტყვის უკუსესხების ერთი შემთხვევა, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

ლომთათიძე 1991 – ქ. ლომთათიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივ მიმართებათა

გადანაცვლების ტენდენციების შესახებ (ნაშიერის სახელთა მიხედვით), ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი

ლომთათიძე 1992 – ქ. ლომთათიძე, ნათესაობის აღმნიშვნელი ძირითადი ლექსიკა აფხაზურ-ადილურ ენებში, იკე, XXXI, თბილისი

ლომთათიძე 1996-ა – ქ. ლომთათიძე, აფხ. აშ° („ყველი“) სიტყვის თავდაპირველი სახეობისათვის (ძველი ქართულის წერილობითი ჩვენების გათვალისწინებით), არნ. ჩიქობავას სახელობის ენათნეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი

ლომთათიძე 1997-ა – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ა-დამრა-ს („აკლდამა“, „სამარე“) წარმომავლობა, საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბილისი

ლომთათიძე 1999 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X. თბილისი

ლომთათიძე 1999-ა – ქ. ლომთათიძე, დ > გ მონაცვლეობის შემთხვევები ქართულში და ამ პროცესთან დაკავშირებული ზოგი ფუძის წარმომავლობის საკითხი აფხაზურში, ქართველოლოგიური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი

ლომთათიძე 2000 – ქ. ლომთათიძე, მიწათმოქმედების დარგის ერთი საერთო ზმნური ფუძე ქართულსა და

აფხაზურში და მისი ეტიმოლოგიის ცდა, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი

ლომთათიძე 2000-ა – ქ. ლომთათიძე, აფხ. აყარდო („საჯდომი ჯორკო“) სიტყვის წარმომავლობა (ლაბიალიზებული დ° ფონემის აფხაზურ-აბაზურში ოდენ ნასესხებ ძირეულ ფუძეებში არსებობასთან დაკავშირებით), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 59-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ლომთათიძე 2000-ბ – ქ. ლომთათიძე, ხის აღმნიშვნელ ფუძეთა ურთიერთობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIV, თბილისი

ლომთათიძე 2000-გ – ქ. ლომთათიძე, მწვევალ-იდან [ფ]ხემდე (აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო ფუძეებთან ურთიერთობის გათვალისწინებით), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი

ლომთათიძე 2001 – ქ. ლომთათიძე, ერთი ფონეტიკური კანონზომიერება ბგერათა ფარდობისა: ხ (ჰ), ხვ (ჰვ) > აფხ. ჰ, ჰ° (ნასესხებ ფუძეებში) და სვან. მგხვგე („ძმა ძმისთვის“) > აფხ. ამაჰ°, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნ. სესიის მასალები, თბილისი

მაკალათია 2006 – ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბილისი

მაკალათია 1978 – მ. მაკალათია, მეცხოველეობა ზემო იმერეთში, მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბილისი

მალია 1982 – ე. მ. მალია, ლ. ხ. აკაბა, Одежда и жилище абхазов, Тбилиси

მაჭავარიანი 1966 – გ. მაჭავარიანი, სუბსტრატის საკითხისათვის დასავლურ-ქართველურ (ზანურ-სვანურ) ენობრივ არეალში, იკე, XV, თბილისი

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში, თბილისი

მაჭავარიანი 2010 – ნ. მაჭავარიანი, უმდაბლესი ხერხემლიანების აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი, იკე, ტ. 38, თბილისი

ნარაკიძე 1983 – ც. ნარაკიძე, ლაზური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბილისი

ნარაკიძე 1986 – ც. ნარაკიძე, მეთევზეობა-ნაოსნობის ლექსიკიდან ლაზურში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბილისი

ნიკოლეიშვილი 1999 – ე. ნიკოლეიშვილი, გურული და აჭარული ლექსიკის ურთიერთმიმართებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი

ოსიძე 2001 – ე. ოსიძე, სვანური აფსანთ, აფხაზური აამგსთა, ქართული ღმერთი, კრებული ვარლამ თოფურია-100, თბილისი

ჟღენტა 1938 – ს. ჟღენტა, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, თბილისი

როგავა 1962 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბილისი

როგავა 1975 – გ. როგავა, ქართულ ე, ზანურ ი ხმოვანთა შესაბამისობის ახსნისათვის, ენათმეცნიერება, თსუ შრომები, 164, თბილისი

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი

საღლიანი 2005-ა – მ. საღლიანი, ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში, იკე, XXXV, თბილისი

საღლიანი 2007 – მ. საღლიანი, სვანური და აფხაზურ-ჩერქეზული შეხვედრები. I. ნასესხობანი. XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბილისი

სახოკია 1985 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი

სურმავა 1990 – ნ. სურმავა, მესაქონლეობისა და რძის ნაწარმის შემზადების ლექსიკა აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VII, თბილისი

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი

ქავთარაძე 1972 – ი. ქავთარაძე. რამდენიმე საერთო ხმარების სიტყვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. თსუ შრომები, (142). თბილისი

ქერქაძე 1974 – ი. ქერქაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი

ქუთელია 1982 – ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი

ქუთელია 2005 – ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სისტემა, თბილისი

შაგიროვი 1982 – А. К. Шаги́ров. Материальные и структурные общности лексики абхазско-адыгских языков. Москва

შაგიროვი 1989 – А. К. Шаги́ров, Заимствованная лексика абхазско-адыгских языков. Москва

- შამილაძე 1986** – ვ. შამილაძე. მესაქონლეობა საქართველოში. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი. მასალები. თბილისი
- შაყრილი 1968** – К. С. Шакрыл, Некоторые лексические и звуковые соответствия в абхазско-адыгских языках, Сухуми
- შაყრილი 1971** – К. С. Шакрыл, Очерки по абхазско-адыгских языках, Сухуми
- შაყრილი 1985** – К. С. Шакрыл, Труды. Очерки по абхазскому языку и фольклора, Сухуми
- შენგელია 2006** – ე. შენგელია, სამოსელთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა მეგრულ-ლაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXII, თბილისი
- ჩიქობავა 1942** – სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი
- ჩუხუა 2006** – მ. ჩუხუა, ლაბიალურ თანხმოვანთა შესატყვისობისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 65-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი
- ჩუხუა 2007** – მ. ჩუხუა, დენტალური რიგის ბგერითი შესატყვისობანი ქართველურსა და აფხაზურ-ადილურ ენებში, ჩიქობავას საკითხავები-XVIII, თბილისი
- ჩუხუა 2007-ა** – მ. ჩუხუა, ამოსავალ სისინა სიბილანტთა რეფლექსაციისათვის ქართველურ და აფხაზურ-ადილურ ენებში, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 66-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი
- ჩუხუა 2008** – მ. ჩუხუა, პროტოკავკასიური კულტურა ენობრივი მონაცემების მიხედვით, იბერიულ-კავკასიური

ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები. II
საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი
ციკოლია 1960 – მ. ციკოლია, აფხაზური ა-წორე („ბერწ“-)
ტერმინის შესახებ, აელიშ, ტ. 31, სოხუმი
ცხადაია 1999 – ვ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერ-
ფერენციის საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა
ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვრებზე. ქართველური
მემკვიდრეობა, III, ქუთაისი
ცხადაია 1999-ა – ვ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპო-
ნიმიდან I, თბილისი
ცხადაია 2004 – ვ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული
და თანამედროვე ტოპონიმია, თბილისი
ცხადაია 2004-ა – ვ. ცხადაია, მესაქონლეობის აღმნიშ-
ვნელი ლექსიკა ზემო სამეგრელოს ტოპონიმიაში,
ქართველური ონომასტიკა-II, თბილისი
ძიძარია 1989 – ო. პ. ღვიძარია, Морская лексика в
абхазском языке, Сухуми
ჭანტურია 1982 – აკ. ჭანტურია, ეთნოგრაფიული
ჩანაწერები, მეგრული რწმენა-წარმოდგენები და ზნე-
ჩვეულებანი, თსუ შრომები, ტ. 227, თბილისი
ჭარაია 1912 – პ. ჭარაია, Об отношении абхазского языка к
яфетическим, МЯЯ, IV, С.-Пб
ჭარაია 2011 – ვ. ჭარაია, აფხაზეთი და აფხაზნი
(საეთნოგრაფიო აღწერა), კავკასიური ეტიუდები, I,
თბილისი
ჭინჭარაული 1989 – ა. ჭინჭარაული. ლოყა და ღაწუ
სიტყვათა ისტორიისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი.
თბილისი

ხაბიჩევი 1980 – М. Хабичев. Взаимовлияние языков народов Западного Кавказа. Черкеск.

ხორავა 2000 – ბ. ხორავა, ეთნიკური პროცესებისათვის გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთში (აფხაზური გვარ-სახელები), არტანუჯი, # 10

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი

ჯავახიშვილი 1960 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი

ჯავახიშვილი 1962 – მასალები ქართველი ერის მატერი-ალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბილისი

ჯავახიშვილი 1976 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. 1, აღმშენებლობა და ავეჯი, თბილისი

ჯავახიშვილი 1979 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. II. ნაწ. 1. მეჭურჭლეობა. თბილისი

ჯავახიშვილი 1983 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. III. ნაწ. 1. ტანისამოსი. თბილისი

ჯავახიშვილი 1986 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა, თბილისი

ჯავახიშვილი 1986-ა – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. III, ნაწ. II. საჭმელ-სასმელი, თბილისი

ჯავახიშვილი 1987 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. IV, ნაწ. II. სოფლის მეურნეობის დარგები, თბილისი

ჯავახიშვილი 1992 – მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, ტ. V, მეურნეობის სხვადასხვა დარგები და ზოგიერთი ყოფითი რეალია, თბილისი

ჯანაშია 1955 – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, автореферат диссертационной работы, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, შრომები, III, თბილისი

ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми

ჯანაშია 1968 – ს. ჯანაშია, ეთნოგრაფია, შრომები, ტ. IV, თბილისი

ჯანაშია 2010 – Б. П. Джанашия, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Тбилиси

ჯაფარიძე 1966 – ზ. ჯაფარიძე. მესაქონლეობის ლექსიკა (სიტყვათა სემანტიკურ ბუდეებად განლაგების ცდა ხუნძური ენის მასალაზე). იკე, XV. თბილისი

ჯიქია 1974 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 3. თურქული ზგერების გადმოცემისათვის ლაზურში. თსუ შრომები, B 8-9 (155-156), თბილისი

ჯიქია 1975 – ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში. თსუ შრომები. ენათმეცნიერება. ტ. 164. თბილისი

b. ლექსიკონები

აბაევი 1958 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 1. Москва-Ленинград.

აბაევი 1973 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.2. Ленинград.

აბაევი 1979 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т.3. Ленинград.

აბაევი 1989 – В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка. Т. 4. Ленинград.

აბრლ 1967 – Абазинско-русский словарь. Москва

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი

ავალიანი 1995 – ა. ავალიანი, ქართულ-მეგრულ-სვანური სიტყვარი, თბილისი

არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანკტ-პეტერბურგი.

გაჩეჩილაძე 1976 – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის
სალექსიკონო მასალა, თბილისი

გენკო 1998 – Генко Н. А. Абхазско- русский словарь,
Сухуми

გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და
ქართველური ენების შემსწავლელთათვის, ქართულ-
აფხაზური ლექსიკონი, ტ. I, თბილისი

გულია 2004 – დ. გულია, ქართულ-მეგრულ-აფხაზური
ლექსიკონი, „მახარია“, # 1, თბილისი

ელიავა 1997 – გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
მარტვილი – თბილისი

თოფურია 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური
ლექსიკონი, თბილისი

იმნაიშვილი 2006 – გ. იმნაიშვილი, გურული დიალექტი,
თბილისი

კასლანძია 2005 – В. А. Касландзия, Абхазско-русский
словарь, т. I, Сухуми

კასლანძია 2005-ა – В. А. Касландзия, Абхазско- русский
словарь, т. II, Сухуми

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь
картвельских языков, Москва

კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის
ლექსიკონი. თბილისი

ლეონიძე 1925 – ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი,
თბილისი

მაგაზანიკი 1945 – Д. А. Магазаник. Турецко-русский
словарь. Москва

მარი 1910 – Н. Я. Марр. Грамматика чанского (лазского)
языка с хрестоматиею и словарем. С.-Пб.

მენტეშაშვილი 1943 – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური
ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, II, თბილისი

ჟენტი 1936 – ს. ჟენტი, გურული კილო. გამოკვლევა,
ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი

რალ 1964 – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба,
Сухуми.

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართუ-
ლი, ტ. I, თბილისი

საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართუ-
ლი, ტ. II, თბილისი

უსლარი 1887 – П. К. Услар. Этнография Кавказа.
Языкознание. Абхазский язык. Тифлис

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე,
ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი,
თბილისი

ფოჩხუა 1987 – ბ. ფოჩხუა. თანამედროვე ქართული ენის
იდეოგრაფიული ლექსიკონი. ნაკვეთი I. თბილისი

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
ტ. I, თბილისი

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
ტ. II, თბილისი

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
ტ. III, თბილისი

ქაჯაია 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი,
ტ. IV (დამატებანი), თბილისი

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ.
ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1955-1964

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი,
თბილისი

- დლონტი 1984** – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი
- ციფშიძე 1914** – ი. ა. კიპშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С-ПБ
- შაგიროვი 1977** – А. К. Шаги́ров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. I. Москва
- შაგიროვი 1977-ა** – А. К. Шаги́ров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. т. II. Москва
- შაყრილი 1986** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Вловарь абхазского языка, т. I, Сухуми
- შაყრილი 1987** – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Вловарь абхазского языка, т. II, Сухуми
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, IV, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ჩუბინაშვილი 1887** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს.-პბ Д. Чубинашвили, Грузино-русский словарь, С.-Пб
- ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმნითურთ. თბილისი
- ჩუხუა 2000-2003** – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი
- ცხადაია 2003** – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი
- ძოწენიძე 1974** – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული დიალექტი, თბილისი
- ჭანტურია 1996** – აკ. ჭანტურია, მასალები მეგრულ-ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონისათვის, თსუ შრომები, ტ. 321, თბილისი

ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მებრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი